ალბომი

მხატვარი მილენა მიქელაძე

5 2024

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

24005

9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 66-ე წელი | სექტემბერი-ოქტომბერი | №5 | 2024 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
გენრი დოლიძე
დავით თედორაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
თინა შიოშვილი
ცისანა ანთაძე
იაშა თანდილავა
ლალი კონცელიძე
გურამ ფუტკარაძე
ვახტანგ ღლონტი
მალხაზ ჩოხარაძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

კორექტორი

მაია ჯაფარიძე

სტილისტი

გურანდა ნიჟარაძე

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2024

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

ბექა ახალაია – ლექსები 3
სოფიო ღლონტი – ლექსები 14
შალვა კვასხვაძე – მოთხრობები 21
გიორგი ტულუში – ლექსები 48
ციცინო გრატიაშვილი – სამოვარი (მოთხრობა) 54
ეკა ჭითავა – ლექსები 66

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

შორენა მახაჭაძე – „ღმერთის ძიების პრობლემა“ (ა. კუდბა „ევლია“) 72
„ფიქრები „სევდიანი მონოლოგების“ შესახებ“ 76
თემო ჭახნაკია – ქრისტეშობის თემა ქართულ პოეზიაში 81
ქალთამზე ანა სურმანიძე – მწერალი მოკვდა. გაუმარჯოს მკითხველს! 93
ანანია ბროველი – ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაცია და იმპერიული ძალების მარცხი ... 96

ისტორია

ალექსანდრე ჩხაიძე – პირველი მსოფლიო ომი (1914-1918 წწ.) და ბათუმი 106
მაყვალა გოგუა – სახელოვანი ბრძოლის ისტორიიდან (1877-1878 წ.წ.) 120
მარგარიტა ხვადაგიანი – წარმატებული ქართველი არქიტექტორი 125

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ, ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲖᲔᲥᲐ ᲐᲮᲐᲚᲘᲐ

ᲙᲣᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ

ჯარისკაცი ყოველ საღამოს თავის კუნელთან
მოდიოდა ჩუმად, ვინმეს რომ არ დაენახა,
რწყავდა ბუჩქს და წმინდა ქალაქის ხრიოკ სანახებს
გასცქეროდა, გრძნობდა სისხლით და კიდევ რაღაცით
გრძნობდა – იდგა ირგვლივ მთავარი საუკუნე და
1. იწყებოდა წელთა აღრიცხვა სხვა და – ახალი.
იჯდა ხოლმე ქვაზე, ფიქრობდა, როგორ მოხდა, რომ
მთელი ეს დრო, მთელი ცხოვრება, სულ სხვა ვიღაცა –
სულ სხვა ვიღაც – იყო, სულ სხვა, და არა – ის კაცი,
ნამდვილად ვინც იყო და ვისაც საგულდაგულოდ
თავის თავში მალავდა, მხოლოდ ზოგჯერ ცოტათი,
2. სულ ცოტათი ჩნდებოდა ხოლმე მისი ნამდვილი,
ჭეშმარიტი სახე, ჩნდებოდა ისე, თავისით,
უკითხავად – დაუკითხავად – ფარდის მიღმიდან
შუბლს აჩენდა ოდნავ, წონიდა – ზუსტად, ითვლიდა
შეუცდომლად ყველაფერს, თანაც იმ ყველაფერში
ჩარევასაც ცდილობდა, მხოლოდ – ზოგჯერ... ამაზე
3. ჯარისკაცი ბრაზობდა მერე, სისხლზე დაგეშილ
ჯარისკაცებს – თავის მეგობრებს – რომ შეატყობდა
ირონიულ ღიმილს სახეზე... იმ დღეს – მაშინაც –
ზუსტად ასე მოხდა: ნამდვილი სახე (საშინლად
უჩვეულოდ ნამდვილი სახე) გამოუჩნდა და
სიბრალული იგრძნო მის მიმართ, როცა ურტყამდნენ,
4. ამცირებდნენ ჯარისკაცები... არ დაუცადა
სიბრალულის რეალიზებას, და რომ ჩაეკლა

სიბრალული – უნდა ეღონა რამე, სასწრაფოდ
უნდა ექნა რამე, არაფრით, დიახ, არაფრით
სხვებს არ უნდა ენახათ ახლაც მისი სისუსტე
და წამებში, უცებ იაზრა მისთვის ეკლისგან –
5. ეკლებისგან – გვირგვინის შეკვრა... წამის სიზუსტით
გამოთვალა – გამოითვალა, – აქ, ამ ბუჩქებთან,
რამდენ ხანში ამოირბენდა, რომ რამდენიმე
პატარა რტო ჩამოესხიპა ჯიბის დანით და
გამოეწნა გვირგინი, უკან დასაბრუნებლად
რამდენი დრო დასჭირდებოდა... მერე ისეთი
6. სისწრაფით და ვნებით ქნა, როგორც რამე ცთუნებას
ბრმად აჰყვება ადამიანი... ეკლის გვირგვინის
თავზე დადგმას საყოველთაო აჟიოტაჟი –
მოწონების შეძახილები – მოჰყვა, ცოტაც და,
აიყვანდნენ – აიტაცებდნენ – ხელში ჯარისკაცს
ამ ოინის მოფიქრებისთვის... და რაც ირბინა,
7. რაც იწვალა, გადაავიწყდა... ცოტა გარისკა,
ამ ყველაფრით, რადგან ამისთვის, შეიძლებოდა –
თავისუფლად შეიძლებოდა, – მკაცრი შენიშვნა
რომ მიეღო... ამოისუნთქა, როცა შენიშნა
მომღიმარი ცენტურიონი... მერე შეუდგნენ
აღმართს, მერე – ჯვარცმა... სიკვდილი... მერე ასეთი
8. სასწაული მესამე დღეს და... ხოლო, მეოთხე
დღეს – ღრუბლიან, პირქუშ შუადღეს, – როცა სუყველა,
ახალ ჭორზე („მკვდრეთით აღდგაო“) ოხუნჯობდა და
იცინოდა, რაღაცა მოხდა (იგრძნო, ზოგადად
მოხდა) უცებ ჯარისკაცში და შემოეცალა –
ვინც არ იყო, დარჩა – ვინც იყო, მძიმე უღელი,
9. მძიმე ტვირთი შეუმსუბუქდა თითქოს (დეტალებს
ჩაუღრმავდა, ბევრი იფიქრა), ხოლო, მეორე
მხრივ პირიქით – უფრო დამძიმდა, მაგრამ ის იყო
მთავარი, რომ განთავისუფლდა. როგორც – სიზიფეს,
სულ სხვა ლოდი უნდა ეთრია, სულ სხვა, ამჯერად.
თუმცა ახლა – ხოდა, ეს იყო სწორედ მთავარი –
10. მართალ გზაზე იდგა... ძელსკამზე იჯდა, ასე რა
დასვამდა იქ უქმად, უნდოდა ყველგან, უკლებლივ
ყველგან, ყველა ადგილზე, მასთან თუნდაც ირიბად
ყოფილიყო რამე კავშირში (არა, არაფერს –
აღარაფერს – დაიშურებდა უკვე ამისთვის),
მისულიყო, მაგრამ შიშებში იყო, მუხლები
11. წინასწარვე უკანკალებდა... ხოდა, ამიტომ,
იმ დღის მერე მხოლოდ ამ ბუჩქთან ამოდიოდა

სულ და, თითქოს, ერთი შეხედვით, ამ ბუჩქისადმი
ზიზღი უნდა ეგრძნო, არ გრძნობდა, და იმისათვის –
იმისთვის, – რომ გამოესყიდა ცოდვა, რატომღაც
(და ეჭვი არ ეპარებოდა მცირეც – იოტიც),
სწამდა (თუნდაც დაქცეულიყო მთელი ქვეყანა),
ეს კუნელი გადაერჩინა უნდა გახმობას,
12. იმ ღამესვე – ჯვარცმის ღამესვე – რომ შეეპარა.

არდაძინების რეკვიემი ნეკერას

...დიდი დიღომი. ძველი ბინა. ჩვენი საერთო
მეგობრის სახლი. ბინდი წვება, მაგრამ ჯერ ისევ
დღის სინათლეა. მეგობრები ვსხედვართ სუფრასთან.
და სწორედ მაშინ ავდექი და ძმად გაგეფიცე.
მერე, ყოველთვის, მახსენებდი, რომ შენ იყავი
ჩემი პირველი დადნაფიცი, და მეც ყველასთან
ვიმეორებდი. და დანარჩენს, რაც კი მემართა,
ცრემლის წვეთები ნაპირებზე გამორიყავენ...
მთელი არსებით ვერიდები მარტო დარჩენას,
შენი არყოფნის თან მჯერა და თანაც არ მჯერა,
ასე, სრულიად დაბნეული, ვრჩები წარსულთან,
მაგრამ ვიცი, რომ რაღაც კარგი ჩემთვის დასრულდა.
ნუ დაიძინებ, დამიჯერე,
ნუ დაიძინებ,
ძილი სიკვდილის მინდვრებია, ნუ დაიძინებ!
...ღამე. ვეწევი აივანზე. ვფიქრობ. გავყურებ
მთაწმინდის წითლად განათებულ ანძას, სამებას,
და ეს დღე, როგორც ხსოვნის წიგნი, უკვე დავხურე,
ეზოს კუთხეში ატეხილ და გაძვალტყავებულ
ძუკნას ხვადების თან დაჰყვება მთელი ამალა...
საკუთარ თავზე მეცინება სიმწრით: დილიდან
ვდუმვარ, არ მითქვამს ჩემებისთვის შენზე, იმიტომ,
რომ სულ ცოტა ხნით სიკვდილისგან გადამემალე.
რას დავაბრალო, სიბრიყვეს თუ გულუბრყვილობას
ეს ყველაფერი?! მეც ძაღლივით უხმოდ ვილოკავ
იარას, და ეს, ალბათ, არის სასოწარკვეთა...
შენს უბანს ვეძებ. რა თქმა უნდა, არ ჩანს აქედან.
ნუ დაიძინებ, მეგობარო,
ნუ დაიძინებ,
ძილი სიკვდილის ველებია, ნუ დაიძინებ!
...დილა. სიჩუმე. სიხალვათე. სადღაც ლოტკინის

თავზე მიფრინავს თვითმფრინავი. ბლომად ჭილყვავი –
ბაღის ხეებზე. რომ გცოდნოდა, როგორ გვატკენდი,
არა მგონია, ასე ადრე წასულიყავი.
ვცდილობ, ძახილი ავაწვდინო შენთან, ზეცამდე,
და თუმცა უკვე გვიანია მონანიება,
მაინც გეძახი: ვერ მოვედი, გთხოვ პატიებას,
კუბოში, თუნდაც ლამაზად მწოლს, ვერ დაგხედავდი.
აქ კი გრძელდება: მიჰყვებიან მდორე დინებებს,
ბავშვებს და ძაღლებს ძველებურად ასეირნებენ,
მინი-მარკეტებს აღებენ და ისევ კეტავენ,
და სული ისევ სულს დაეძებს, მონათესავეს.
ნუ დაიძინებ, თუ ღმერთი გწამს,
ნუ დაიძინებ,
ძილი სიკვდილის ტყეებია, ნუ დაიძინებ!
...საღამო. ქუჩა. უშენობით სავსე ყელამდე
მხარს ვუქცევ ხეებს, ლამპიონებს და სააფიშე
ტუმბოებს. ჩემით დაწყებული, ახლა ყველა მძულს,
სადაც შენ წევხარ, იმ მიწაზე რომ დავაბიჯებთ.
ზოგჯერ დაცინვა (თან ასეთი!) იცის განგებამ,
რა დროს ქუჩებში დაკარგვაა და გზის არევა:
პარკში კონცერტი. მსმენელები. მგლოვიარე ვარ,
ამ ცეკვასა და სიმღერაში რა მესაქმება!
თითქოს ბგერები, ლურსმნებივით, ნერვებს მიხვრეტენ,
და მე გავრბივარ გადამკვეთი ქუჩის კიდემდე,
იქიდან – მარცხნივ. გამვლელები შემომცქერიან
და გზას მითმობენ, ტემპს ვუმატებ, ჩემი ჯერია.
ნუ დაიძინებ, ძალიან გთხოვ,
ნუ დაიძინებ,
ძილი სიკვდილის ყანებია, ნუ დაიძინებ!
...ნაშუადღევი. სოფელი და სახლი. ეგრისის
ქედის კონტური ბურუსს მიღმა. ჩალის ზვინები –
კაკლის ტოტებზე, ერთმანეთს რომ ისე ეკვრიან,
როგორც ბარტყები სველ ბუდეში, ჩავიძირები
ამ პასტორალურ ნირვანაში წამით, სულ რაღაც
წამით და ისევ ამოვყვინთავ, ბოსელს ფარავენ
კივის ყლორტები, დაკოჭლებულ კივის ტალავერს
მამა ბოძს უცვლის. სველ ბალახზე ვწვები გულაღმა,
ცას ავცქერი და მახსენდება, ტობავარჩხილზე
ერთად ასვლა რომ გადავწყვიტეთ, ადრე, არც ისე
დიდი ხნის წინათ. ორღობეში გაბმულ საუბარს
ყურს ვუგდებ. გაღმა პროცესია აღმართს აუყვა.
ნუ დაიძინებ, გეხვეწები,

ნუ დაიძინებ,
ძილი სიკვდილის სერებია, ნუ დაიძინებ!
...შუადღე. ღრუბლით დაფარული ცა და მამათა
მონასტრის ეზო და კელიის ვიწრო სარკმელი
ზურგს უკან, მთელ ამ სიჩუმეში – ფიჭვის საკმევლის
სურნელი. ვფიქრობ იმაზე, რომ თეთრად გავათევ
მორიგ ღამესაც. საკუთარ თავს სად გაექცევი,
ვერც შენი თავის, ვერც კაცის თუ ღმერთის შეწევნით
ვერ მოიშორებ ვერც ტკივილებს და მათ მიზეზებს,
და ვეუბნები კაცს, რომელიც ეზოს კიდეზე
მოთიბულ ბალახს მისდგომია რკინის ორკაპით,
და ბერს, რომელიც ახარისხებს ცოცხის სორგოებს,
და ბიჭს, რომელსაც ეს სიჩუმე უკვე მობეზრდა,
და ქართულ ნაგაზს, მოკლედ დაბმულს ბოსტნის ღობესთან,
და ძველ გალავანს, საფლავის ქვებს, თეთრად მოხრეშილ
ბილიკებს, ვაშლებს, შემალულებს სადღაც ფოთლებში,
მშიერ მტრედებს და მათთვის დაყრილ პურის ნამცეცებს,
ტანაყრილ კედარს და მის გვერდით გამხმარ კვიპაროზს:
საკუთარ ძილშიც შეიძლება, მხარი აგექცეს,
და, სიმზრის ნაცვლად, სიკვდილში რომ გადაიპარო.
ნუ დაიძინებ, ჩემო დაო, ნუ დაიძინებ...

პეპელა

ვინ იყო ასეთი დედაშენი, რა იყო ასეთი დედაშენი,
სახელად „პეპელა“ რომ დაგარქვა, ფრენა კი აგიკრძალა?!
პეპელას, ლამაზს და მშვენიერს,
დღემოკლე, უსუსურ მწერს,
ის დაუშალო, რისთვისაც გაჩნდა, დანაშაულია.

ჩაივლი სოფლის ცენტრში წითლად დაწინწკლული ჩითის კაბით,
რამდენ შეყვარებულ მზერას გაიყოლებ.
– პელო მაااასწ! – სკოლიდან ბავშვები გამოვრბივართ,
კლასშიც ტკბილი ხარ, მაგრამ კლასის გარეთ – ტკბილზე უტკბილესი,
წარბებშეკრული, მოგონილი სიმკაცრით გველოდები,
და გვეკითხები, ასეთ დროს სკოლაში რას ვაკეთებთ.
ზოგს ცეკვა ჰქონდა, ზოგს – ინგლისური, მე კი – ჭიდაობა...
– აბა, სახლებში! – ამბობ, თან გვახსენებ ხვალინდელ დავალებას...

ყველა კაცისადმი გულგრილს, როგორც იქნა ვიღაც შეგიყვარდა,
ოღონდ შენთვის სრულიად შეუფერებელი,

კაი, რა, პელო მასწ!
კაი, რა, პეპელა მასწ!
ის უწიგნური და დამპალი ნარკომანი ასე რამ შეგაყვარა?!

ეს ჩვენთვის იყავი მოსარიდებელი,
დედაშენისთვის კი პატარა, უჭკუო გოგოდ დარჩი,
სხვებივით, მასაც საშინლად არ მოსწონდა შენი არჩევანი,
მაგრამ შეყვარებულ ქალთან რას გააწყობ,
ამიტომ, რომ არ გაპარულიყავი,
ყოველდღე სკოლაში დაგატარებდა პატარა ბავშვივით,
გესმის, პელო მასწ?!
წარმოიდგინე, როგორი სახალისო სანახავი იყო,
მასწავლებელს რომ სკოლაში დედა დაატარებს.

არც მარტოს გტოვებდა სახლში არასოდეს,
სადმე თუ მიდიოდა, გარედან ჩაგკეტავდა,
და შენც, ცხრაკლიტულში გამომწყვდეული მზეთუნახავივით,
აჭედილ ფანჯარასთან იდექი და ჭიშკარს გაჰყურებდი,
იმ ბიჭისთვის თუ არა, მისი მანქანისთვის თვალი რომ მოგეკრა.
ჩამოივლიდა და შენს ჭიშკართან სვლას შეანელებდა.

შაბათის იმ შუადღეს, ჩაკეტილი, დივანზე იწექი,
წინ გაშლილი წიგნი გედო და
ამაოდ ცდილობდი თვალისთვის გონების მიდევნებას.
რატომღაც იგვიანებს გასვენებაში წასული დედა,
და არც მას ჩამოუვლია, არადა იცის, რომ მარტო ხარ,
კაცი არ ჭაჭანებს, თითქოს ყველა გაწყდა ერთიანად,
გარეთ გვიანი გაზაფხულის ლამაზი შუადღეა,
ტანით გრძნობ, რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც უნდა მოხდეს...

დღემდე ვფიქრობ და ვერაფრით ამიხსნია,
იმ გაგანია უშუქობის პერიოდში,
როცა შუქი, თითო საათით, საღამოს მოდიოდა,
დღისით რატომ მოვიდა, ასე ვინ გადაწყვიტა...

შენი ძველი სახლის ძველ დერეფანში მოხდა მოკლე ჩართვა,
დაჩრჩილულ ფიცრებს ცეცხლი წამებში მოედო,
ყვიროდი, მაგრამ მშველელი არ ჩანდა არავინ,
მხოლოდ მინდვრიდან აშლილი შენი დობილები –
ფერადი პეპლები – უტრიალებდნენ ავარდნილ ცეცხლს,
და ფრთებდამწვარნი ცვიოდნენ ფიფქებივით.
შენც შეგეტრუსა წარმოსახვითი ფრთები,
ამიერიდან, აღარასოდეს ამოგივა,

შეგეტრუსა წარბები, თმა და წამწამები,
და ტანსაცმელზე ცეცხლმოკიდებული,
მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოხტი.

როგორ მინდა ვთქვა, რომ მოხდა სასწაული,
რომ შენს ლამაზ სახეს, და ლამაზ სხეულს არაფერი მოსვლია,
მაგრამ ასე არ იყო: გადარჩი, თუმცა – ნახევრად დამწვარი.

პელო მასწ! ღრუბლიდან ფეხდამცდარო ანგელოზო,
მას შემდეგ შენს ეზოში გაზაფხული არ მოსულა,
დობილებს კი არ ავიწყდებოდი:
სახლისგან დარჩენილ, გამურულ ქვის კედლებს
ყოველ წელიწადს სიწმინდესავით დარაჯობდნენ.
ძველებურად აღარ გიხაროდა მათი გამოჩენა,
რადგან თქვენს შორის ყველა მსგავსება წაიშალა,
და ახლა მხოლოდ სეხნიებიღა იყავით.

სკოლაში მუშაობას, რა თქმა უნდა, თავი დაანებე,
არ გამოდიოდი სახელდახელო ფიცრულიდან,
მაგრამ, ამჯერად, კარს არ გიკეტავდნენ.
ხანდახან, ქუდით და თვალებამდე აწეული საყელოთი,
როცა გნახავდით მიმავალს მაღაზიისკენ,
შენი ბავშვები, შვილებივით რომ გიყვარდა,
გადავდიოდით ქუჩის მეორე მხარეს...
შორიდან კი ისევ ის იყავი:
გამოკვეთილი სხეულით, როგორც ფლამენკოს მოცეკვავე.

ვინ იყო ასეთი დედაშენი, რა იყო ასეთი დედაშენი,
სახელად „პეპელა“ რომ დაგარქვა, ფრენა კი აგიკრძალა?!
პეპელას, ლამაზს და მშვენიერს,
დღემოკლე, უსუსურ მწერს,
ის დაუშალო, რისთვისაც გაჩნდა, როგორ შეიძლება?!
თვითონ ღრმა სიბერემდე ისე იცხოვრა,
და შენც ბოლო წუთამდე ისე უვლიდი,
თითქოს რაც მოხდა, სულაც არ მომხდარიყო.

მერე, როგორც გავიგე, ქალაქში გადმოხვედი,
სად არ იმუშავე, ფულს აგროვებდი პლასტიკური ოპერაციისთვის...

და აგერ, მოვიდა ოცდამეექვსე გაზაფხული,
პირველ პეპელას მაჯაზე ვისვამ და ვეკითხები:
– ჭრელო პეპელა, ჭრელო პეპელა,
მითხარი, სად არის შენი დობილი პელო – პეპელა?!

მკვლელობა აღდგომა დღეს

I

მან მოასვენა, თვითონ მკვლელმა მოასვენა გიგა
მისივე ცხენით – გიგას ცხენით – მოასვენა, აღდგომა დღე
იყო, პირქუში... სტადიონზე დაასვენა, თავთან
დაუჯდა, თოფიც იქვე ედო, გამოცვივდნენ – გამოვარდნენ –
სოფლელები და დაეხვივნენ... ის უწვერო ნიკაპს
იფხანდა ხშირად, არ ამბობდა, თუ რა მოხდა... და იმედად
ისღა ჩანდა, რომ თქმა უნდოდა... და თქვა, ოღონდ არ თქვა,
ოცი წლის ბიჭი ასე რატომ, ასე რისთვის გაიმეტა.

II

გიგამ, იმ დილით, წითელ კვერცხებს წამოავლო ხელი,
ცხენზე შეჯდა და გზას გაუდგა – ჯერ მშობლების საფლავებზე
გადააგორა თითო კვერცხი და საფლავის მიწას
ლეკვივით თბილად მოეფერა... ბევრი რამის გამკლავება
მოუხდა მარტოს, იხსენებდა, იხსენებდა, მთელი
ბავშვობა როგორ გაატარა – გაიზარდა მარტო... ობლად
გაზრდილი გიგა სველ მინდორზე (წამოჟინჟღლა) იწვა
და მისი მკვლელი არ ამბობდა, არ ამხელდა, რატომ მოკლა.

III

ყოველ აღდგომას სტადიონზე თამაშობდნენ ფეხბურთს –
მიუხედავად ამინდისა, საფეხბურთო სეზონს ხსნიდნენ –
სოფლის ბიჭები. ძველ ხაზებზე გაავლებდნენ ხაზებს
თოხით, წინა დღეს, ნახერხს ყრიდნენ იმ ხაზებში (ზოზინით და
ცოხნით სულ ახლოს ჩაიარეს კამეჩებმა... გაღმა
დასახლებაში ძაღლი ყეფდა დაუღლელად)... და დღე იყო
პირქუში, სულ მთლად სისხლიანი გიგა იწვა ასე
საჯარიმოში... მკვლელს მიზეზი ვერაფრით ვერ ათქმევინეს.

IV

მე მოვკალიო, სულ ეს იყო, სულ ეს იყო, რაც თქვა
მკვლელმა და ძელზე, კარის ძელზე მიყრდნობილი, თავის უბანს
(მუსულმანების დასახლებას, სადაც ყეფდა ძაღლი)
გასცქეროდა და შუბლგახსნილი იჯდა, იჯდა თავისუფლად
რაღაცნაირად, თითქოს წეღან რაღაც დიდი საქმე
ქნა... იქით ჩანდა სახლებიდან ამოწვდილი მინარეთი
(გიგას მკერდიდან სისხლი ოდნავ მოჟონავდა ახლაც),
აქეთ კი იდგა ეკლესია – მყარ ფლატეზე, მდინარესთან.

V

ძმაკაცი გიგას ერთი ჰყავდა (ერთადერთი) – მკვლელის
ძმა, შარშან მოკვდა, გაზაფხულზე, ჩამოვარდა კახაბლიდან
და გიგა ხშირად დადიოდა მუსულმანთა – გაღმა –
სასაფლაოზე, მის საფლავზე... იმ დილითაც გადაწყვიტა
გულუბრყვილოდ, რომ მის საფლავზეც მისულიყო... ცხენით
გაუყვა ბილიკს... მიაღწია, დააცქერდა ნაღვლიანად...
საფლავზე კვერცხს რომ აგორებდა, ძმამაც მაშინ ნახა
და ამის გამო მოკლა – ბოლოს, როგორც იქნა, აღიარა.

დიქტატორის დუქანი

დიქტატორმა უძღვნა თავის თავს გრანდიოზული
საჩუქარი იუბილეზე (ხუთ წელზე მეტ ხანს
ქმნიდნენ მისთვის, დაუღალავად, უიშვიათეს
ამ საჩუქარს) – სამოცდაათი წლის მოიყარა
დიდი მამა – დიადი მამა – საჩუქარი კი
იყო ძეგლი, სამოცდაათი მეტრის სიმაღლის

ქანდაკება – მისი სახება, სათნო სახება...
რკინის ჩონჩხი შემოგარსული გახლდათ მბზინავი
ფირფიტებით (ალუმინის თუ ვოლფრამის). ძეგლი
დედაქალაქს გადმოჰყურებდა, პლატოზე იდგა
და ქალაქის ყველა კუთხიდან და წერტილიდან
კარგად ჩანდა. შუა ადგილას, შარვლის უბესთან,

ძეგლის შიგნით, გახსნილი იყო ელიტარული
რესტორანი, რომელსაც ხალხი თავისთვის, ჩუმად,
„დიქტატორის დუქანს“ ეძახდა, მთელი ელიტა
იმ რესტორნის კლიენტი გახლდათ, მინისტრები და
მთავრობის სხვა ჩინოვნიკები თუ წვრილფეხობა,
ვალდებულნი იყვნენ, სწორედ იქ გადაეხადათ

ქორწილები, ჭირის სუფრები, სხვა სუფრები თუ
დაბადების დღეები... მამას, დიად დიქტატორს,
ჭიქით ხელში, თავისი დიდი, თეთრი სასახლის
ტერასაზე, შებინდებისას გამოსულს, ნასვამს –
შუქმომფენი პროჟექტორებით განათებული
ძეგლის ცქერა გვრიდა საოცარ სიამოვნებას

და სიცილით კვდებოდა, როცა წარმოიდგენდა,
იქ, შუაში ჩამწკრივებული ფანჯრების მიღმა,

მაგიდებთან მიმსხდარ ელიტას – თავის ჯამბაზებს, –
კმაყოფილი იფხანდა ზუსტად იმ ადგილს, სადაც
ისხდნენ ახლა ისინი. კარგად იცოდა, ბევრს რომ
საერთოდ არ სიამოვნებდა მანდ სიარული,

მაგრამ შიში აიძულებდა ასე მოქცევას...
თვითონ მამა – დიადი მამა – იქ არასოდეს
არ ყოფილა... ერთხელაც, როცა მოულოდნელად
მოკვდა, მისმა მონებმა შური იმით – იმითი –
იძიეს, რომ, მავზოლეუმში დაკრძალვის შემდეგ,
ქელეხი იქ გადაუხადეს – თავის „დუქანში“.

გაცემის ხელოვნება

მე მყავს ძმაკაცი, შეპყრობილი გაცემის მანიით,
ამას აკეთებს მთელი ვნებით, მთელი მონდომებით.

თუ დაკარგვაში დახელოვნება მარტივი საქმეა
(როგორც ბრწყინვალე თავის ლექსში პოეტი გვეუბნება),
ალბათ, რთულია, გაჩუქებაში დახელოვნდე,
უფრო სწორედ, შეუძლებელიც კი მგონია,
ასეთად უნდა დაიბადო, იმთავითვე ასეთი უნდა იყო –
გაცემის დიდოსტატი, ნამდვილი მაესტრო.

ჩემი ძმაკაცი შეპყრობილია გაცემის მანიით,
აღარც კი მახსოვს, რაც დავძმაკაცდით, რამდენი რამე მაჩუქა,
თიკანაძის ფოტოალბომი – ეს იყო ბოლო,
მანამდე – ბესიკ ხარანაულის უშველებელი წიგნი,
უფრო მანამდე – ტყავგადაკრული, ძვირფასი მათარა,
და კიდევ უფრო მანამდე კი – დაწნული სამაჯური,
და ასე შემდეგ... მჩუქნის და მჩუქნის, არაფრით ბეზრდება.

განა მხოლოდ მე?! სხვებსაც, ყველას, ვინც მისთვის ძვირფასია,
ის არ წერს ლექსებს, თუმცა, ალბათ, ლექსებსაც უპრობლემოდ
გააჩუქებდა, სამაგიეროდ ყიდულობს ჩემს კრებულებს
და ჩუქნის თავის თანამშრომლებს, ჩუქნის (ექიმია),
კლინიკაში კი პაციენტებს ჩუქნის სიცოცხლეებს,
ყველაზე ძვირფასს, რაც შეიძლება, ვინმეს რომ აჩუქო
(ჩემთვის ეგ ჯერ არ უჩუქებია, ოდესმე მაჩუქებს)...

ერთხელ წავედით, ნასვამები, დიდუბის პანთეონში,
კონიაკით ჩამოვუარეთ ძვირფას საფლავებს,

დრო გაგვეპარა, თან ისე, რომ ჩაგვკეტეს, არც ახსოვდათ,
იქ თუ ვიყავით, ჩვენ კი, უკვე საკმაოდ მთვრალები,
ვერ გადავძვერით პანთეონის მაღალ გალავანზე,
და გადავწყვიტეთ იქ დარჩენა, სამყოფი კონიაკი
და სიგარეტი თან გვქონდა და დილამდე შევუბერეთ.

როცა სადღაც, კორპუსებს მიღმა, ოდნავ ინათა,
ჩემს ძმაკაცს უცებ შემოაწვა ვნება გაჩუქების,
ჯერ დააპირა პერანგის ან პიჯაკის ჩუქება,
მაგრამ ჩემზე მაღალია და გადაიფიქრა,
ვეცადე, თუმცა ვერ შევძელი – არაფრით დაიშალა,
და მოიქექა ჯიბეები, როგორც იქნა, საფულეს მიაგნო,
მქონდა საფულე, შეყვარებულის ნაჩუქარი,
ამიტომ ცოტა შეყოვნდა, მერე საქ. ბანკის ბარათი
ამოიღო, გამომიწოდა, შენი იყოსო,
რა თქმა უნდა, არ გამოვართვი. არ დანებდა და
ბოლოს თავისი პირადობა მაჩუქა – სახელი:
გურამი; გვარი: თავართქილაძე; პირადი ნომერი: ...

სოფიო ღღონტი

ლექსების ციკლი შექმნილია ბახის მუსიკალური ნაწარმოებების ინსპირაციით — ბახი იღბლის გასაღები

პრელუდია

გაიხსნა ზეცა, ფრთაფარფატა დაეშვა მტრედი,
აიზენახში განთიადი რაღაც სხვას მოჰგავს,
ჩემს სასთუმალთან ისმის ნაზი გალობა დედის,
გაიხსნა ყველა ტაძრის კარი თუ სინაგოგა...
სერაფიმებს და ქერუბიმებს ნათლად ვჭვრეტ ახლა,
და ამქვეყნიურ სილუეტებს ბგერებით ვარჩევ,
ის მოგვები კი ჩერდებიან მუსიკოსთ სახლთან
და ჩემს ცხოვრებას, ბედისწერის მრავალფერ სარჩევს
შლიან ცის წიგნზე, მისტიურად ანათებს მზე და
მთელს დედამიწას საზეიმო სამხარზე იწვევს,
ახლადშობილი პრელუდიას ჩემს გულში ვწერ და
თითქოს იესოს ვუკოცნიდე დამტვრეულ წვივებს
მე დავიბადე წმინდა თომავ, მე დავიბადე
სულიწმინდისგან ნაკარნახევ ვღუღუნებ გამებს
მუსიკის ზღვაში შევცურდები და გავშლი ბადეს
რამდენჯერ კარგო, იმ ძებნაში დღეს დავაღამებ...
მე დავიბადე, მიწა ხელით ცას სწვდება ახლა
ამ სამყაროში შემოვიდა იოჰან ბახი
ბედნიერებით საამური ყოფილა დაღლა
მტრედებმა ბუდე აივანზე ჩემივე სახლში...
“O, Vater unzer vie im Himmel zo auf Erden”...

ლური

წვიმის წვეთები სარკმელზე თვლემენ,
ღამით რომ მოსწყდნენ სახლის სახურავს
და მე ვპოულობ ნუგეშისმცემელს
როდესაც გულის კარებს არ ვხურავ.
მიხსნი დარაბებს და ჩემში გიშვებ,
ეგ მათრობელა შენი პროფილი,
სულ დაგიკოცნი მაგ თვალთა გიშერს,
შენით ვარ სავსე და კმაყოფილი
ბედისწერით და მეცვლები ოთხჯერ
ჩემი კარიდან ისევ გადიხარ,
შენი პორტრეტი მოწყენით ზოგჯერ
მიცქერს, ვით შვილებს მათი გადია
წლებიც გადიან და ასე მერე
ნდობას ვუცხადებ დღეთა ქარტიას
ის, რაც აქამდე ნოტებით ვწერე,
შენი თითებით დანახატია
ძვირფასო ჩემო, ეულობს მთვარე,
ვხედავ, ღრუბელი ღრუბელს ეყრება
და მეღიმება ამ გულში მწარედ,
როცა შორს მოსჩანს ბედნიერება
თუმცა დიდი ხნით არ ვრჩები ეულ
შენც მიბრუნდები იმავე კარით,
ვნებით გიკოცნი მხურვალე სხეულს
ჯილდო ხარ ღმერთის და საჩუქარი...
Meine liebe, liebe meine...

გავოტი რონდო

გავოტი რონდო, გამარჯვების ვიფარებ ჯავშანს,
მესა სი მინორს, პასიონი ეცვლება მათეს,
მოვდივარ შენთან და ხელიდან არ ვუშვებ ამ შანსს,
ვენდობი უფალს ვით ტაძარში მოღვაწე მნათე...
და გიხსნი იღბალს, ჩემეული ხილვებით განცდილს,
ფერწერას ამას, ემატება სხვა ფერთა გამა
და თუ ერთმანეთს ჩვენ ამ გზაზე ჩამოვრჩით, ავცდით,
ოდესმე მაინც შეგვახვედრებს სამყაროს მამა...
გავოტი რონდო, გამარჯვებას მიქადი კვლავაც
შენ ყველა სულდგმულს ახილვინებ გასაღებს იღბლის,

და როცა ისე დაეყრდნობი იესოს მკლავებს,
რომ მის გარეშე აღარასდროს აღარსად ივლი...
გავოტი რონდო, ჩემს თითებში მემწყვდევი ისე
ვით ქალის წელი, ტანი, როგორც ჩემი გიტარა
შენი ნოტების ჯადოქრობა სულს ისე მივსებს
ეს იღბალია, ბედისწერამ ჩამომიტარა
და მეც ავიღე...

პრელუდია

შენს სასთუმალთან ღამეებს თევა,
მოსწონთ მაგ ლამაზ თვალების ჩრდილში
კატერინა ხარ, შენ დოროთეა
და გათენება იღბლიან დილის.
და შენი ძმები, სამების ხატი
სამ ხმაში შენთვის გალობენ ამბავს
ზეცისას, და მეც თქვენ შემოგნატრით
ვარ თავგანწირვის მსურველი მამა
თქვენთვის, ჰო თქვენთვის, მოვიხმობ იღბალს,
სულ არ იშურებს არაფერს ბედი
და ვემსგავსები თქვენს გვერდით ჩვილს ბავშვს,
რომელიც სულ ვერ, სულ ვერ დავბერდი...
ვარ ასე ნორჩი, სიბერეც შორს ჩანს,
თითების ტალღა მიაპობს კლავიშს
და გამარჯვების მაღლა ვწევ დროშას,
ბედნიერებით გავგიჟდე ლამის...
Meine liebe, du bist zo klein...

ადაჯიო

ღმერთო, მიკარნახე ადაჯიო,
გულზე დაგიკრეფო მერე ხელსო,
წუთისოფელმა, აქ დარჩიო,
ველარ მოვერიე ამ სოფელს და
მიწა სულ ვერ გვიკლავს ზოგჯერ წყურვილს,
ამაოება და ქარის დევნა,
ჩემს სახლს დარაჯობს და ირგვლივ უვლის,
ღმერთო, ო, რამდენჯერ უნდა ვევნო?
ზოჯერ მძიმე არის ჩემი ჯვარიც,

გზები გოლგოთამდე არის ვიწრო,
ზოგჯერ გვისაფრდება მტრების ჯარი,
ახლო მეგობარში მტერს შეიცნობ...
ღმერთო, მიკარნახე ადაჯიო,
მიხმე, დამიძახე როგორც ძველად,
შენ ხარ ჩემი ძილის დარაჯი და
შენ ხარ ჩემი იღბლის საპოვნელა.

პრელუდია

ვინაა ღმერთი, ჩვენ ვიცით ორმა,
ნოტების ბილიკს გააპობს ქარი,
მოდი, ჩემს ხელებს შეეხე თომა,
მირწმუნე, მენდე, არ მითხრა უარი,
ღმერთი, რომელიც შენ უკვე გახლავს
და სიყვარულის ქარ-ცეცხლში გახვევს,
აღარც ჩემს ორღანს ემჩნევა დაღლა,
ავე მარია, მარია „ავე“...
ალილუია დასცდება ბაგეს,
ამ პრელუდიას მკარნახობ შენ, თან
მირჩენ იარებს ათასჯერ ნაგვემს,
ღმერთო, ო, როგორ მომინდა შენთან...
მამლის ყივილი, აშფოთებს პეტრეს,
პილატეს მრუდე სინდისი ეწვის,
ცოდვებს შევუნდობ ამაღამ ჩემს მტრებს,
მხოლოდ შენ თომავ, კვლავ გტანჯავს ეჭვი,
ამიტომ მსურს რომ შეეხო თითებს
და მის სასწაულს ერწმუნო ხილვით
მე ღვთისმშობელი ღამეებს მითევს
და შუბლზე მკოცნის მძინარეს დილით...
ვინაა ღმერთი, ჩვენ ვიცით თომა,
ხეზე რომ პირქვე, იმანაც იცის
საკუთარ თავთან დაღალა ომმა
კაცი, რომელმაც გატეხა ფიცი
პილატე ახლა ხელებს კვლავ იბანს
მამლის ყივილი ძილს უფრთობს პეტრეს
მე ძველებურად ვენდობი იღბალს
უფალი რასაც გამოიმეტებს...
ვინაა ღმერთი, ჩვენ ვიცით თომა...

სარაბანდა

ხატებავ ღვთისავ, გაიხადე ძველი სამოსი,
სულით და სიტყვით უნდა იშვა ისევ თავიდან,
და ვით ლაზარეს დაგიძახებს ქრისტე: „გამოდი“
უფალო ჩემო, უშენობას ვეღარ ავიტან.

ახლაც, ტაძრიდან მისტიური ხმები ორღანის,
წმინდავს ჩემს გულს და იდუმალი ძალით მომჩრდილავს,
საკუთარ თავთან, ისევ ვიგებ ომებს მე ღამით
უკუნი ღამე გადამაქცევს როცა მორჩილად...

ჩემი სიცოცხლე შეიწირე, როგორც ზვარაკი,
ვით აბრაამის აიტანე ცამდე ბარძიმად,
მუსიკის ენით მინდა მხოლოდ გელაპარაკო
მოგიყვე იმ თეთრ ღამეებზე, როცა არ მძინავს...

იმ ღამეებზე, როცა სხივებს მივყვები მთვარის
იმ ღამეებზეც, როცა ცრემლი დამდის მალულად
და ჩემი მსხვერპლი, უმცირესი ამასთან არის
ჰო კრავი ღვთისა, გოლგოთაზე ჩემთვის დაკლულა...

აი იღბალიც...

ალემანდა

ის რაც დამიმალეს თვალებმა და
ის რაც გამიმხილეს ამ თითებმა
ზღვის წყლებს მოუყვება ალემანდა,
და ეს მდინარე რომ ადიდდება
ჩანჩქერს ჩამოჰყვება ჩემი სული
ქვეყნის ჭირ ვარამი თანვე მიმაქვს
ადამიანთაგან დაკარგული
ბედად შეეყრება ადამიანს...
ისევ, ისევ ისევ, იღბალს მივსდევ
ყველა კონტინენტზე ბუდე, სახლი
ღმერთო ჩემში კიდევ განადიდე,
იოჰან სებასტიან ბახი...

საორღანო მუსიკის ინსპირაციით

„ათასი წყლის ხმა“, თითქოს და შტორმი
„რად მდევნი სავლე“? მაბრკოლებს ის ხმა,
დამასკოს გზაზე ახლა ვართ ორნი,
ზეციდან ჩემში გადმოდის რისხვა
ამასთანავე მთავარი „სიტყვა“
მიმხელს მისიას, იმეტებს ალერსს,
მავსებს იმედით, რომლითაც ვიტან
სიბრმავეს დიდი სინათლით სავსეს...
დრო ულმობელი სწორ ხაზებს ავლებს,
წუთისოფელში რომ მოსჩანს მრუდედ,
„ამიერიდან გახდები პავლე,
აჰა, გრაგნილი და შეისრუტე“...
შეუცნობელი არიან გზანი,
უფლისანი და ვერ ვიტევ ამ ხმას,
ანანიასთან რომელიც მგზავნის
ნათლისღებით რომ მიპირებს დახსნას...
არასოდეს რომ მოვგავდე მდევნელს,
ფარისევლობის დავუშვა ფარდა
ამიერიდან დავეყრდნო მის ხელს
ალისფერ ცოდვებს რომ დამიფარავს,
მისივე სისხლით და მამის ნებით
ჯოჯოხეთიდან რომელიც მიხმობს,
უწყის დღეიდან თუ ვინ ვიქნები,
მავიწყებს ყოველს, რაც უწინ იყო...
დამასკოს ცაა სრულიად შავი,
თვალებს ჯერ კიდევ ბურუსი აკრავს
და თავს, რომელსაც ვგრძნობ დამნაშავედ
გადავაბარებ მამა ღმერთს და კრავს.
დამასკოს გზაზე ახლა ვართ ორნი...

* * *

დილის შვიდია საათი და მე
ჩრდილების ლიცლიცს კვლავ თვალს ვადევნებ...
რა ბევრი ფიქრი მასწავლა ღამემ,
სარკმელზე თავსხმა წვიმის შადრევნებს
ვეკეკლუცები და ჩემი ჩრდილი,
როგორც ბუკეფალს ისე მაშინებს

ცრემლის მდინარე დიდდება დილით
და აემღვრევა სულს და სამშვინველს.
თეთრ ღამეების უკვირს კალენდარს,
ჩამოჰხევია „კვართი“ რამდენი,
„აღარ ვიფიქრებ ამდენს ხვალიდან“
ვფიქრობ და ფიქრებს ფიქრით მივდენი...
თუმცა ხომ ვიცი, სიცრუეს მოჰგავს
ქარების დევნა, გარჯა ამაო,
შემჯავრდა ძლიერ ამგვარი ბორგვა
იუდას თოკზე ვზივარ, ვქანაობ...
წყეული ტოტი, წყეული ნოტი
მშურს ბეთჰოვენის სრული სიყრუე,
ვინაა ღმერთო სოფიო ღლონტი,
თვალებში უკვე, რომ ვერ გიყურებს?
გათენებული უამრავ დილის
ქორონიკონი და კვლავ უძალოდ,
ვტოვებ შეჩვეულ, ნესტიან დილეგს
უფალო... უფალო... უფალო...



შაღვა კვასხვაძე

მლაშე კურცხალი

„ჰმ“ – ჩაილაპარაკა თავისთვის გულში უკმაყოფილომ და ოვალურ ჩარჩოში ჩასმული სარკიდან მომზირალი კაცის სახეს თვალი მოარიდა. შემდეგ, შემელოტებულ შუბლთან ხელი ისე გადაისვა, იქვე, სარკესთან დადებულ სავარცხლისკენ არც გაუხედავს და ოთახის კარები ღჭრიალით გამოიხურა. კიდევ კარგი, მეუღლე სამსახურშია წასული. დღეს, რატომღაც იჩქარა, თორემ მორიგ საყვედურს ვერ ასცდებოდა. ბოლო ერთი თვეა სულ იმას ეჯუჯღუნება, კაცის საქმეა ეგ, გაზეთე კარის ანჯამები, ხომ ხედავ, ყველა გაღება-დახურვაზე გულის გამაწვრილებლად ხმაურობს, ჩვენც ვწუხდებით და მეზობლებიცო. ანდრო ოცდახუთი წელია დაოჯახებულია და საყვარელი მეუღლის შენიშვნებს იმდენად შეეგუა, რომ მეორე ნახევარი თუ არ წუწუნებს, ის დღე მისთვის უშინაარსოდაა ჩავლილი. გვრიტუნაც მიეჩვია ქმრის გამოკვეთილ მოუქნელობასა და გამკენწლავ იუმორს. მიეჩვია რა, იმუნიტეტი გამოუმუშავდა და ხან დაყვავებით, ხანაც გამოგონილი სიბრაზით შეუტევდა აუღებელ ბასტიონს იმ იმედით, იქნებ ამჯერად მაინც გამიმართლოს და რაიმე სასიკეთოს გამოვრჩეო, მაგრამ რად გინდა? ყველა ჯერზე, დამშვიდების ნაცვლად, ზედმეტად ნერვების მოშლა, ვიშვიში და უკვე ათასჯერ ნანახი სურათი რჩებოდა. მსგავსი წვრილმანების გამოსწორება, დროთა განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, თავად ოჯახის დიასახლისს უწევდა, მოსიყვარულე ოჯახის უფროსი კი, გულისხმიერებას იმით გამოხატავდა, რომ მონდომებას შესაშური ოპერატიულობით და რაც მთავარია, სახეგაღიმებული, გადამდები სითბოთი და ხელგაშლილობით უფასებდა მეუღლეს და საქებარ სიტყვებთან ერთად, „დონაში“ ნაყიდ, ამ ბოლო დროს საგრძნობლად გაძვირებული ნამცხვრების მრავალფეროვანი ასორტიმენტით დამძიმებულ მუყაოს მოზრდილ ყუთს მაგიდაზე სიამაყით დაუდებდა...

„ნამდვილად სულელი ვარ, აქამდე ჭკუა რომ ვერ ვისწავლე?! – ჩუმად ჩაილაპარაკებდა ამ დროს გვრიტუნა, – ამდენი წელია გვერდით მყავს და ვერაფერი დავატყვე, ქალი მქვია ახლა მე?!“ – ნაძალადევი გაბრაზება უხდებოდა გვრიტუნას, შემდგომი ნაბიჯიც, ყავის მოსადუღებლად სამზარეულოში რომ გავიდოდა, ისიც. „ნახევრად ტკბილი, ხომ?“ – რამდენიმე წუთის შემდეგ გამოსძახებდა იქედან და ყავის ორ ფინჯანს გაზის ქურის გვერდით, მარმარილოს დაფაზე დადგამდა. „ჰო, როგორც ყოველთვის...“ – დაუდასტურებდა ანდრო და კარადის ვიტრინიდან გაუხსნელ ლიქიორს გამოიღებდა. – „დაგვიმშვენებს სუფრას, ნამცხვართან მიდის...“

რკინის კიბით, რომელსაც მოაჯირი გვარიანად შელახოდა, ქვევით, ეზოსკენ დინჯად დაეშვა. ადრიანი დილაა და ეზოში სიხალვათეა. მეზობლის წამოჩიტებული გოგონები სკოლაში წასასვლელად მზად არიან და სახლიდან დროუ-

ლად ვერგამოტეულ რამდენიმე თანატოლს ელოდებიან, ბიჭები ცალკე შეჯგუფულან და ქალაქის გუნდის გუშინდელ გამარჯვებაზე ემოციურად და ნიშნისმოგებით ლაპარაკობენ.

რამდენიმე წელში, იტალიური ეზოები და ორსართულიანი, ძველი არქიტექტურით აშენებული ფართო, ხის კოლიდორებიანი, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამაგრებულ-შერემონტებულ-აღდგენილი საცხოვრებელი სახლები რომანტიულ მოგონებად შემორჩება ჩვენი ქალაქის მრავალეროვან მოსახლეობას, ისე, როგორც აქ მცხოვრებთა ყოველდღიური რუტინა, ურთიერთობები, საზიარო წყლის ონკანი ეზოს შუაგულში, ბავშვებს ფეხბურთის თამაშში ხელს რომ უშლიდა, საზიარო ტუალეტები, რამდენიმე მსხმოიარე ტყემლის, ხურმის და კერკეტი ნიგვზის ხე, საღამოს ჩამოჯდომები, ზოგჯერ კაცების მიერ „დურაკაში“ შეჯიბრება, გამარჯვებულის გამოვლენამდე, ემოციური შეძახილები, ენაკვიმატობა, მხარდაჭერა თუ ხელის შეშლა, შებინდებისას, რომელიმე მეზობლის გარეთ გამოსატანად გამეტებული გასაშლელი მაგიდა და ვის რა როგორ შეეძლო ან გაიმეტებდა, ისე გაწყობილი სუფრა... ჰო, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის იგრძნობოდა ბუნებრივი სითბო, ურთიერთპატივისცემა და მოფერების სურვილი. დედმამიშვილებივით შემოუსხდებოდნენ გვერდიგვერდ ქარხანაში მომუშავე სათვალიანი, ბრტყელშუბლიანი და ქერათმიანი ინჟინერი, ექიმივით ჭკუასაკითხავი, ხელახლა გასათხოვი, ხალისიანი და სტუმრის მოყვარული ექთანი, მომღიმარი, სიტყვაძუნწი და წვერგაუპარსავი რკინიგზელი, წუწუნა და მოლაზღანდარე ავტობუსის მძღოლი, მეზობლობაში ხელგაშლილობით გამორჩეული სასურსათო მაღაზიის ღიპიანი და ტრაბახა დირექტორი, ჩემპიონობამდე ვერ მისული, მაგრამ შესაშური მადის მქონე სპორტსმენი, შვიდი შვილიშვილის აღმზრდელი და პერსპექტივაში, ერთი ამდენის კიდევ მომლოდინე, დაბალწნევიანი ბებია, მკითხველების მიერ წიგნების დაგვიანებული დაბრუნებით განაწამები, დაბალშემოსავლიანი ბიბლიოთეკარი, სადღესასწაულო დღეებში თაიგულით დამშვენებული, უფრო ხშირად კი საკონტროლო რვეულებით ხელდამძიმებული, სერიოზული და დინჯი, მუდამ ხელფასზე მოწუწუნე მასწავლებელი, შესაშურად ენერგიული, მოუცლელი, ხელგამოსული, ძნელად შესამჩნევი ყალთაბანდი, ოჯახზე და ხუთსართულიან სახლში მცხოვრებ, ისე რა ავტორიტეტის მქონე ერთ ციცაზე გადაყოლილი ხელოსანი, უცხოეთში სამუშაოდ წასვლის და გამდიდრების დაუოკებელი სურვილით გულანთებული და-ძმა, ყველაფრის მნახველი, მაგრამ რასაც ახლა უყურებს, დაჯერება რომ არ უნდა, იმფერი პენსიონერი და დროებითი რომ ჰქვია, მაგრამ მთელი წელი სახლში რომ ზის და ჭერში ბუზების ნაცვლად ბზარებს ითვლის და თან არ იმჩნევს, ისეთი უმუშევარიც. ეროვნებებს არ იკითხავთ: ქართველი, რუსი, სომეხი, აისორი, თათარი, ებრაელი, ბერძენი... სუფრის წევრები: ქალი, კაცი, მოზრდილი, ზრდა დასრულებულიც და გასაზრდელიც... სასაუბრო ენა ძირითადათ ქართული. შეთავსებით გაშინაურებული უცხო ტომელის მიერ გატეხილი და გალამაზებული ქართული. ვინც დროს და მთავრობას აუღო ალღო, კაი ხანია გამოგვემშვიდობენ და გაფართოვდნენ, ახალი ბინები შეიძინეს. ზოგმა „ნოვოსელიაზე“ დაგვიძახა, ზოგმა მალე დაგვივიწყა, ზოგიც – ჩვენ დავივიწყეთ, აბა, როგორ?!... ასე იცის დროის დინებამ, ინარჩუნებ, იძენ, კარგავ... და ისევ თავიდან იწყებ ათვლას. – ფიქრებმა გაიტაცეს ანდრო.

დღე ისე არ გავა, ინვესტორებმა არ შემოიხედონ იტალიურ ეზოში. მათ დაინტერესებაზე ენაწყლიანად ლაპარაკობს კარის მეზობელი, ადრე მერიაში ნამუშევარი და ახლა ღირსეულ პენსიაზე გასული გედევან ნინიძე. მის სიტყვას აქვს ძალა მეზობლობაში. შეფარულად მსუნაგი კაცია გედევანი, კაი ცხოვრების და პატივისცემის მოყვარული, მაგრამ პრინციპული, მოკირკიმალე და ძნელად გასაცურებელი. საერთო საქმის ნდობა შეიძლება და ამიტომ, აგერ უკვე რამდენიმე წელია, ჩვენი ეზოს ამხანაგობის თავმჯდომარედ ავირჩიეთ. სამ ინვენსტორს კუდით ქვა ასროლინა უკვე, ისეთი დღე აყარა. თქვენი გასაბრიყვებელი ვინაა, თვალები კარ-

გად დაიბანეთ, უკეთ რომ დაგვინახოთო, მიაძახა გაქცეულებს... ახალს ამ დღეებში ელის. ისეთ ადგილას ვცხოვრობთ, ვინ მოგვასვენებს, ფუტკრებივით დაგვესევიან, თანაც, მომავალ წელს არჩევნები მოდისო... – დროდადრო ამშვიდებს დამფრთხალ მეზობლებს გედევანი და სათითაოდ, უკვე მერამდენედ გვაფრთხილებს, ყველა დოკუმენტი მოამზადეთ და საგულდაგულოდ გადაამოწმეთ, შემდეგ დრო რომ არ დაკარგოთო. წინდახედული კაცია გედევანი, იცის სიტყვის და დროის ფასი, თანადგომაც იცის, ოღონდ ჩანჩურა, უმაქნისი და წუწურაქი ადამიანები გულზე არ ეხატება. არც მალავს ამას და როგორც ჩვევია, სათქმელს ყველას პირში ეუბნება. „ვინმეს თუ არ მოვწონვარ, ეს მისი საქმეა, მე არ შევიცვლები, ამის იმედი არავის გქონდეთ“. – რამდენჯერმე უთხრა მეზობლებს და საპასუხო რეაქციასაც დაელოდა.

არვინ შეკამათებია.

ანდრომ თადარიგი დროულად დაიჭირა და მეუღლეს გადააბარა საბუთების მოგვარება. გვრიტუნამ ჩვეული პედანტობით და გულმოდგინებით ერთ თვეში მოაგვარა მინდობილი საქმე. სულ რაღაც 35 კვადრატულ მეტრს შეადგენს მათი ბინის საცხოვრებელი ფართი, მოლოდინი – გაცილებით მეტს... ეს ბინა ანდროს მშობლებისგან ერგო. ახლა ისინი სოფელში ცხოვრობენ და იქედან ეხმარებიან გაქალაქებულ შვილს.

ადრე დაოჯახებულ ანდროს და გვრიტუნას მიჯრით, სამი შვილი შეეძინათ. უფროსი გოგო – ლამზირა სოფელში, ბებია-ბაბუასთან გაიზარდა და სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდა. თანაკლასელებთან ერთად სარიტუალო დარბაზში გადახდილი ქეიფის შემდეგ, სახლში დაბრუნების ნაცვლად, მეზობელ სოფელში ჩაუშვა ღუზა. ერთი გადარევა კი გადაირია გოგოს ჭირისუფალი, – ჭყინტია ჯერ, რა დროის მაგის გათხოვებაა, ჭადი რომ ჭადია, ისიც არ გამოუცხვია დამოუკიდებლად, ქინძს, პრასას და ბაბუაწვერას ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან, შემოევლოს ბებია, სულ მე ვეხმარებოდი, ესწავლა გვინდოდა, ცხოვრება ენახა, წამოიზრდებოდა ამასობაში და მერე ვინ უშლიდა ხელს, მაგის მონაზვნად გაზრდა არც გვიფიქრიაო. – ემოციურად ამტკიცებდა გოგოს მხარე.

სიძე ბატონი კი, რომელიც ოთხი წლით უფროსი აღმოჩნდა პატარძალზე, მეორე სართულის საძინებელი ოთახის ფარდაჩამოფარებული ფანჯრიდან, მკლავებში მომწყვდეულ, შეცბუნებულ და თვალცრემლიან გულისწორთან ერთად, შეფიქრიანებული, სერიოზული გამომეტყველებით ადევნებდა თვალს ეზოში მოვლენების განვითარებას და რიტმიდან ამოვარდნილ საკუთარ გულისფეთქვას გულისწორთან ერთად უსმენდა.

როგორც ასეთ სიტუაციას შეშვენის, აუცილებელი და პროტოკოლური გაწევ-გამოწევისა და ხმამაღალი ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, მასპინძლებმა გაბრაზებული დასამოყვრებელი ხალხი სახლში შემოიპატიჟეს და რძლით შეძენით გახარებულ ოჯახს რომ შეშვენის, ისეთი სუფრა გაშალეს.

მეოთხე ჭიქაზე ახალგამომცხვარი სიძე ლამის შემორიგებულ მოყვრებს გამოუტყდა, რომ ბოლო წლებია ლამზირა თავზე მეტად უყვარს და ამის დასადასტურებლად, გულისწორს რამდენიმე ლექსიც მიუძღვნა. წასაკითხადაც მოემზადა, ფეხზე წამოდგა, ჯიბიდან ცალხაზიანი საერთო რვეულიდან ამოხეული რამდენიმე ფურცელი ამოიღო, გაშალა, ერთი ხნინწიანად ჩაახველა კიდეც, მაგრამ ვინ დააცადა თავის გამოჩენა... როგორც მოგვიანებით გაირკვა, პოეზიის მიმართ მეტად გულგრილი და ინდიფერენტული აღმოჩნდა შეკრებილი აუდიტორია.

– ჩვენსკენ რომ მოგიცდება მაი ანგელოზის ფეხი, მაშინ წაგვიკითხე და გაგვახარეო. – ჯერ შეაგულიანეს და შემდეგ საეჭვოდაც შეათვალიერეს ხასიათგამოკეთებული და ენერგიამოძალებული სიძე.

რაკი სტუმარ-მასპინძელმა საერთო ენა გამონახეს, საღამო უჩვეულოდ მშვიდად, მოკრძალებულ თავაზიანობაში და ღვინის გადამეტებულად დაძალების გარეშე ჩაიარა...

გავიდა ერთი თვე. ყინული არსად იყო, მაგრამ როგორც იტყვიან, ისიც შეუმჩნევლად გა-

ლღვა. იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ორივე მხარე ინატრებდა. სწავლით თავი არ მოუკლავთ. ბიჭი ჯერ მშენებლობაზე მუშაობდა, შემდეგ რკინიგზაში დასაქმდა, ახლაც იქაა. გოგო კარგი დიასახლისი გამოდგა, სახლი, ბაღი, ბოსტანი, მიმსვლელ-მომსვლელი, სოფლად ცხოვრებას და ახალ ოჯახს იოლად აუღო ალღო. ახლა, ორი შვილი ჰყავთ, ქალ-ვაჟი. ბიჭს მამამთილის სახელი დაარქვეს, გოგოს სიდედრის. დედამთილი კი დარჩა გაკუჭებული, მაგრამ არ იმჩნევს (არა და ეტყობა), სეხნია შვილიშვილი უნდა და რას არ პირდება რძალს, მაგრამ ჯერჯერობით, ამაოდ.

ისე, იმედიანადაა...

მეორე შვილი – ნუკრი, გვარის გამგრძელებელი და მამის სიამაყე – 4,5 კგ. მოევლინა წუთისოფელს და პირველივე წუთებიდან თავი ისეთი გამკივანი და ზღვარგადასული ბღავილით გამოიჩინა, რომ ლამის გადადგა სამშობიარო. როცა სული მოითქვა და დაწყნარდა, შესაშური მადა აღმოაჩნდა და გვრიტუნას, ახალშეძენილი მსუნაგის გამოკვებაში, მეზობელი პალატიდან, კიდევ ორი, მასთან ერთად მოლოგინებული ქალი დაეხმარა. გვერდით ლოგინზე მწოლიარეს, დახმარება არ შეეძლო, მასავით ციცქნა ქალიშვილს მკერდს ძლივს ამყოფინებდა და იქეთ იყო მისახედი. ამიტომ, მისთვის არაფერი უთხოვიათ.

– გოლიათი ყაძახი შეგემატათ გვარში, იხარეთ და იმრავლეთ... – მილოცვებს დასასრული არ უჩანდა. ანდროც უჩვეულოდ ამაყი იყო, მოზღვავებული ემოციების ტყვეობაში თავს უბედნიერეს მამაკაცად თვლიდა და გვრიტუნას მადლიერებით გადახედავდა ხოლმე.

ახლა მესამეკურსელია ნუკრი, შესახედი, უაღრესად მორიდებული, უენო, უჩვეულოდ ნაზი, ლამაზი, მეგობრული და გახსნილი ხასიათის, უკონფლიქტო და კომუნიკაბელური. ერასმუსის გაცვლით პროგრამაში გაიმარჯვა და მომავალ სემესტრს ნიდერლანდებში ისწავლის. დაოჯახებას საერთოდ არ ჩქარობს. ჩქარობს რა, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ლაპარაკსაც გაურბის. რამდენჯერაც სიტყვას ჩამოუგდებენ, იმდენჯერ ოსტატურად წაუყრუებს. ეს მანევრი მაგრად დაამუღამა. ნაცნობობით მიკვლეულმა გამოცდილმა ფატი მაჭანკალმაც ისე ხშირად იგემა სირცხვილის გემო, რომ ამასობაში წონაშიც მოიმატა და ჩვეული ფორმის დასაბრუნებლად, ტაიმ-აუტი აიღო და ახლა დიეტას იცავს.

მესამე შვილი – ნინუცა თბილისში ცხოვრობს და მუშაობს. გვრიტუნას ათიოდე წლის წინ დაქვრივებულმა უფროსმა დამ – მედეამ წაიყვანა თავისთან. „თუ სწავლა უნდა, დავეხმარები და რეპეტიტორებთან მივიყვან, სამუშაოსაც გამოვუძებნი, ქვეყნის ნაცნობი მყავს, გვერდით ვეყოლები, ყურადღებას არ მივაკლებ. ღამის გასათევი სადარდებელი არ ექნება და საჭმელ-სასმელი, ჩემი სისხლი და ხორცი მეყოლება გვერდით. უფრო გულიანად და მხნედ ვიქნები, მარტოობამ და ასაკმა მომტეხეს უკვე კინჩხი. იცი შენ, ჩემი ნაზიე საფრანგეთიდან ჩამომსვლელი აღარაა, იქ ოჯახი ჰყავს, მეუღლეს გამართული ბიზნესი აქვს, ვერ ელევიან იქაურობას, შვილების ხვალინდელი დღისთვის ჯერ უცხოეთში დარჩენა ამჯობინეს. მისი არჩევანია და მე ვერაფერს გავხდი. მამამისი ცოცხალი რომ ყოფილიყო, მთას გადავდგამდი და შევეცდებოდი გადაეფიქრებინა, მაგრამ... ეს რა უბედურებაა, სადაქალოში ოჯახი არ დარჩა, უცხოეთში ვინმე რომ არ ჰყავდეს სამუშაოდ წასული. როცა ვესაუბრები, არავინ მალავს გულისწუხილს, თითქმის ყველა წუწუნებს, მაგრამ სახლში დაბრუნებას ჯერ არავინ ჩქარობს.

გადამრევს ეს ხალხი...

ტურისტული საგზურით რამდენი ქვეყანა მოვინახულე, მაგრამ ყველაზე მშვიდად მხოლოდ ჩემს სახლში ვიგრძენი თავი, სიზმრებს მხოლოდ ჩემს ლოგინში გამოძინებული ვნახულობ...

ეტყობა, წლებმა მაჯობეს, გამისწრეს და ვეღარ ვეწევი...

კი ვარ ძნელად ასატანი ზოგის თვალში, მაგრამ არც მასეა საქმე. მეც მიყვარს სიცოცხლე, მოფერება და გვერდით დგომა. აწი რამდენ „ორ პარასკევს“ გავუფრთხობ ძილს, ღმერთმა უწყის. ისე, არსად მიმეჩქარება, ჯანზეც ვარ და ხვალ თუ კარგ ხასიათზე გავიღვიძე, ფიტნესინსტრუქტორსაც დავიქირავებ... ქალს არ უხდება ზედმეტი წონა“. – ზღვაზე რამდენიმე

დღით დასასვენებლად ჩამოსულ მედეას უთქვამს დისთვის.

„თუ ბავშვს არ მოეწონება ჩემთან, მეორე დღესვე გამოვაბანცულებ უკან. აქ, ასეთ სივიწროვეში როგორ ცხოვრობთ, ცოდვა ხართ, მე სამოთახიანში მარტოდ ვარ და კედლებთან ლაპარაკში დავიღალე“.

კვირისთავს იჩქარა გამგზავრება მედეამ. დაქალმა შემოუთვალა: ,,დავალება შევასრულე, ჩემი ბიჭის კომპანიაში შენი დიშვილისთვის ადგილი მოიძებნა, „დასაწყისისათვის ანაზღაურება გადამრიე არ იქნება, მაგრამ თუ თავს გამოიჩენს, დიდი შანსია, სრული კონტრაქტით აიყვანოსო“.

საღამოსვე გახარებულები გაფრენილან დედაქალაქში... ნინუცა რაკი უკან დაბრუნებას არ ჩქარობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმეები კარგად მიუდის და თბილისი ჯერ არ მოსწყენია...

ცხრის ნახევარია. ანდრო სამსახურისკენ მიაბიჯებს. ქუჩაში ოდნავ გრილა, მაგრამ ეტყობა, შუადღისას გვარიანად დათბება. მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობას მაინც ფეხით გავლა ამჯობინა. „იქ ჭეჭყვის თავი სად მაქვს?“ – ენერგიულად გადადგა ნაბიჯი და გზა გააგრძელა. მთავარი ბიბლიოთეკის იმ ფილიალამდე, სადაც მუშაობს, შვიდი კვარტალია გასავლელი. ჩვენი ქალაქის პირობაზე ეს საკმაოდ მცირე მანძილია, სულ რაღაც ნახევარ საათამდე დრო დასჭირდება, საშუალო ტემპით, აუჩქარებლად თუ ივლის, იმ შემთხვევაში. თუ გაიქცევა, მაშინ... არა, ანდრო გამქცევი არაა, დროის აღქმა ისე აქვს შესისხორცებული, რომ პუნქტუალურობაში გერმანელებსაც აჯობებს მგონი. ამიტომ, დაგვიანების შანსი ნულია.

ვერ ვიხსენებ, ადრე თუ გითხარით, ანდროს ფეხით სიარული რომ უყვარს? ბავშვობაშიც უყვარდა. ახლა უფრო მოუხშირა სიარულს. ოჯახის ექიმმა გააფრთხილა: – შენი პროფესიის გამო, ხშირად ხარ უმოძრაო, კომპიუტერთან და წიგნთან დამჯდარი. ამიტომ, სანამ დაკუტდები და ჯანმრთელობას შეირყევ, შეეცადე, დილას ან საღამოს იარო. თუ წაივარჯიშებ, ძალიან წაგადგება. აბა, შენ იცი, ნაადრევად არ დაიბერო თავი და ჯანსაღი ცხოვრებით იცხოვრეო.

როცა გაახსენდება, ექიმისათვის მიცემულ სიტყვას ასრულებს. მართალია, ზოჯერ, რა თქმა უნდა, იმასაც უსიცოცხლოდ, უგულოდ და უდიერად, მაგრამ ხომ ასრულებს და სასაყვედუროდ როგორ მოგიბრუნდება ენა?

კიდევ, ნაცნობებთან გასაუბრება უყვარს, ამბის მოკითხვა, შეხუმრება. არიან ისეთებიც, რომლებსაც თვალს არიდებს. თუმცა დაცდილი აქვს, ასეთ დროს, ვისაც ვერ იტანს, იმათ უფრო ხშირად ხვდება.

ადრიანად დასუფთავებული და კაი ხნის გაღვიძებული ქუჩა უამრავ ნახევრად გამოუძინებულ გამვლელ-გამომვლელს აყოლებს თვალს. აგერ ბატონო უცხვირპირო და პირდაუბანელი ემზარაც გამოსულა საშოვარზე, ტროტუარზე სახელდახელოდ გამართულ დახლზე ხილი და ბოსტნეული დაუხორხლავს. სახედაკარგული მუყაოს ყუთი მცირე ზომებად დაუჭრია და ზედ ფასებს აწერს. ცალი თვალით მყიდველს ეძებს. დაცდილი აქვს, თუ პირველი ორი კლიენტი რაიმეს შეიძენს, ის დღე მისია, წინ სარფიანი ვაჭრობა ელის. უცხვირპირო კი იმიტომ შეარქვეს, რომ სკოლისკენ მომავალ საკუთარ შვილიშვილებს მიჰყიდა ვაშლატამა. უფულოდ არ გაატანა, ვაჭრობას წამიხთენთ და დღეს დამაკარგვინებთო, – უყვირია.

ანდრო შორიდან მიესალმა.

იმან, – გემრიელი ქართული ვაშლები მაქვს, წაიღე, სამსახურში მიირთვიო – მზრუნველი კაცის იერით გადმოხედა.

ამან – დიდი მადლობა, არ მინდაო. – გულში კი მამაპაპურად, გულიანად შეუკურთხა და ქუჩას გაუყვა.

სანდასუფთავების რამდენიმე თანამშრომელს წამოეწია. ისინი დაღლილი, მძიმედ მიაბოტებდნენ და ერთმანეთში მუსაიფობდნენ.

– როგორ ხართ გოგოებო? – როგორც კი გაუსწორდა, მიესალმა ანდრო.

გოგონების ასაკს ორივე კაი ხნის გაშორებულები იყვნენ, მაგრამ ახალგაზრდობის შეხსენებამ ორივეს გამოუკეთა ხასიათი და გაამხიარულა.

– ბედს არ ვემდურით, – თქვა ერთმა და გაღიმებისას, გამეჩხრებულ კბილებზე აიფარა ხელი,

ვედრო და მოზრდილი ცოცხი მეორე ხელში გადაიტანა.

– ხომ ხართ ჯანზე? – იკითხა ანდრომ.

– სხვა რა გზა გვაქვს, – ახლა მეორემ უპასუხა და ქარში მოყოლილი შეჭაღარავებული თმა ტირიფის ნაზი და თხელი ტოტებივით აუშრიალდა.

ქუჩის შუაგულში ყვავილების მაღაზიაა, იქ მოფუსფუსე გამყიდველი – პატარა, კოხტა და მიმზიდველი.

„ყვავილების მსურველებს, ეტყობა, ჯერ არ გაუღვიძიათ“. – გული დაწყდა ანდროს და უკლიენტო ყვავილების მაღაზიას თანაგძნობით გადახედა. ალსტრომერიასავით გაფურჩქნილი გოგო კი, ღრუბელს ამოფარებულ მზესავით იჭყიტებოდა მაღაზიის ვიტრინიდან და სიცოცხლესა და სითბოს დამთრგუნველად ასხივებდა.

– ოჰ, ამას ვის ვხედავ, – თვალებს არ უჯერებს ანდრო, – ჯერ არ გათენებულა და სამათხოვროდ გამოსულან ძმაკაცები.

ტროტუარზე გაფენილ გრძელ კარდონზე ვიტია და რობერტი წამოპლაკულან. ვიტია სტავროპოლიდანაა (თავად ამბობს ასე და სხვა რა გზა დაგვრჩენია, ჩვენც ამ ვერსიას ვყაბულდებით), რობერტამ მამაჩემი აღმოსავლეთ საქართველოდან ჩამოვიდა, მე „კარენნოი“ ქალაქელი ვარ, აქ გავიზარდეო, იძახის. ისე, აღმოსავლური კილო დაჰკრავს და დროდადრო, ქობულეთურსაც საგრძნობლად გამოურევს. ვიტიას წლის დასაწყისში დაუმეგობრდა. „ზღვისპირას გავიცანიო, – უამბო ანდროს. – სიცივისგან კანკალებდა, შილიფად ეცვა. მომცრო ზომის, ხელში მუქი ჩანთა ეჭირა, გვარიანად გათოშილი ჩანდა, სახეზე შიმშილი და უთვისტომობა ეწერა. ეტყობა ღამე გარეთ, ღია ცის ქვეშ გაათია. ზედმეტად ალალი და მიმდობი მეჩვენა, წავიყვანე და ნაცნობ კაფეში ფინჯან ყავაზე დავპატიჟე, მეტი ვერ გავქაჩე, რადგან წინა დღიდან რაც შემომრჩა, სულ ეს იყო. გადაგვარდა და გაღორდა ხალხი. ყვავს უფრო იოლად გააგდებინებ ნისკარტიდან ყველს, ვიდრე ამათ ორიოდ კაპიკს. გაგვიმართლა, კაფის მეპატრონემ შეგვიბრალა და წინა დღის შეკვეთიდან მორჩენილი ხაჭაპურის და პიცის რამდენიმე ნაჭერი ცხვირჩამოშვებულ მიმტანს ჯერ ელექტროღუმელში გააცხელებინა, შემდეგ თეფშზე დაწყობილი ღია ვერანდაზე, ჩვენთან მოატანინა. ორივეს ცრემლები წამოგვივიდა. კაცებს ტირილი რომ არ გვიხდება, ვიცი, მაგრამ არც ისეთი ცხოვრება მშვენის, რომელშიც ვცხოვრობ და თავს ვერაფერს ვუხერხებ, რადგან ჩაძირული გემის მეზღვაური ვარ უკვე და ვგრძნობ, მეც მალე წავალ ბოლოკების შესაღებად...

ვიტიას რომ გადავხედე, გული უფრო დამიმძიმდა. იგი თავაუწევლად, მადიანად იხურხლებოდა, მაგიდაზე ფუნჩხებსაც ნერწყვით დასვეღებული თითებით აგროვებდა და პირში იდებდა. ეტყობოდა, რამდენიმე დღის ნაშიმშილარი იყო. თავი შემეცოდა, რადგან ჩემ წინ ჩემი ტყუპისცალი ორეული იჯდა, უბადრუკი, მივიწყებული და მიგდებული. კაფიდან პირდაპირ ჩემთან წამოვიყვანე, ბარაკში, ზურგის შესაქცევად ვერ გავიმეტე და შევიკედლე უცხოტომელი. ვიტია ვერ იჯერებდა, რომ ვუთხარი, ჩემთან ეცხოვრა, სანამ სახლში გამგზავრებას გადაწყვეტდა. რომ დაიჯერა, ატირდა. შემდეგ ჩამლოშნა. ჩანთა გახსნა, ცელოფნის შეკვრა ამოიღო და გამომიწოდა – აი, შენო – ახალთახალი ლურჯი ფერის მაისური მაჩუქა, – თუ არ ვცდები, შენი ზომა უნდა იყოს, ჩაიცვიო.

და შემოვრჩით აქამდე. რამდენჯერმე პოლიციამ მოგვინახულა, მაგრამ რისი დამშავებელი ჩვენ ვიყავით, რომ დავეპატიმრებინეთ. მოვიდნენ, გვნახეს, რაღაც ჩაინიშნეს, რაღაც გვკითხეს, შემდეგ ცხვირზე ხელი აიფარენ, აქ როგორ ძლებთო, შეგვიკურთხეს და გაგვშორდნენო. – ანდროსთვის მოუყოლია რობერტს.

ფულს არასოდეს ითვლიდა რობერტი, რასაც გაიმეტებდნენ, იმისთვის, დაუზარებლად, მადლიერება ეხატებოდა სახეზე და ძლივს გასაგონად იტყოდა: ღმერთმა ხელი მოგიმართოსო. ვიტიას კი მადლობის თქმა ყოველთვის უჭირდა. ვერც იმას ხვდებოდა, ხურდა ფულის გამეტებისთვის, რატომ უნდა გადაეხადა ვინმესთვის მადლობა.

– დიდი ამბავი, მაგათი თანადგომა არ გაიშვას, ღორებივით გვიყურებენ, წუწკები... – პირაღმა ამობრუნებულ ქუდში ჩაყრილ ხურდას რომ შეავლებდა თვალს, ჩუმი ბოხი ხმით, ბოღმიანად ჩაილაპარაკებდა ვიტია და უკმაყოფილო სახით გახედავდა ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს, თან შემოჩვეულ, მაწანწალა ძაღლებს შეუღრენდა.

რაღაცნაირად უცნაური წელი მიდიოდა. ამდენი მაწანწალა, მათხოვარი, უპატრონო ძაღლი და უჯიშო უცხოტომელი ქალაქს კაი ხანია არ ახსოვდა.

ქსელურ მაღაზიასთან გერვასი დაინახა, აღზნებული, დაყვლეპილი დიდრონი ჭროღა თვალებით, სადისკუსიოდ შემართული და მუდამ უკმაყოფილო გამომეტყველებით მეზობლებს ელაპარაკებოდა.

– ტატიანა, რა ჰქნა შენმა რძალმა, არ გაღირსა ხომ ბებიობა?

– ყველაფერი ღვთის ნებაა, შვილო! მაგის დროც მალე მოვა. – იხტიბარს არ იტეხს ტატიანა, – ეტყობა, ადრეა ჩემი ბებიობა. დაილოცოს ღმერთო შენი სამართალი. ახლა ეკლესიაში მივდივარ, სანთელს დავანთებ, ვილოცებ და ღმერთს შევევედრები, მოწყალების თვალით გადმოგვხედოს...

– გადამრევს ეს ქალი!... მაგ საქმეს ღმერთი და ეკლესიაში სანთლის დანთება ვერ უშველის. თან, რა უნდა ღმერთს ეკლესიაში? თქვენ კაცი რას შეგასმენთ, ისე ხართ დაბრმავებულები.

– გააჩუმე ენა, შე ურწმუნო! რამე არ უწიო თავს, ცოდვა ხარ, – წამოენთო ტატიანას გვერდით მდგომი თათული, – ახალგაზრდა ხარ და მთელი ცხოვრება გაქვს წინ, რას ბოდიალობ? ღმერთის შიში მთლად დაკარგე?

– რა მოგდის გერვასი, არ იყავი ადრე ასეთი ურჯულო? – უკმაყოფილოა ტატიანაც.

– მე ღმერთის თქვენზე უფრო მწამს, თქვენნაირი მორწმუნეების მეშინია უფრო, ღმერთის ცნობა რომ არ იცით. ღმერთი თითოეულ თქვენგანშია, მაგრამ არ გინდათ გაიგოთ და დაიჯეროთ... გაუნათლებლობა და უმეცრება დაღუპავს, გააღარიბებს და გადააჯიშებს კაცობრიობას, – აქ მცირედ შეისვენა გერვასიმ და თანამოსაუბრეებს ქედმაღლულად გადმოხედა, – ცნობილ ექიმებთან მიიყვანეთ რძალი და ბიჭსაც ზედმეტი შეკითხვებით ნუ გადაღლით.

– ნუ იდარდებ შენ მაგაზე, ყურადღებას არ ვაკლებთ! ღვთის წყალობით, ყველა სიძნელეს გადავლახავთ... შენ კი გირჩევ, გერვასი, ნუ სცოდავ უფლის წინაშე! მიდი ეკლესიაში და მოინანიე შენი უგუნური და ბრიყვული საქციელი. ვერ ვხდები, მთლად წადი ხელიდან...

– რას ამბობთ, ტატიანა ბიცოლა, თუ დამიჯერებთ, მთელი გულით მინდა თქვენთვის სიკეთე. დაუჯერებლები ხართ და გულწრფელად მებრალებით, მეტი რა გითხრათ...

– „მიუტევე უფალო, რამეთუ არ იციან, რას იქმან!“ – აღმოხდა თათულის, ტატიანას ხელკავი გაუკეთა და გერვასის გაშორდა, – წყლის ნაყვაა მასთან საუბარი, ნერვებს დაგაწყვეტს.

– ეჰ, რა ძნელია სიკეთის კეთება უვიცებში... – პათეთიკურად ჩაილაპარაკა მარტოდ დარჩენილმა გერვასიმ და ანდრო არც შეუმჩნევია, ისე ჩაუარა გვერდით.

ქუჩის კვეთაში გიგა დაინახა, თანამშრომელი. შეატყო, ელოდა. ხშირად ერთად დადიან სამსახურში.

– დავაგვიანე? – მისვლისთანავე იკითხა ანდრომ.

– რას ამბობ, მაგი არც მიფიქრია.

– გზად ფიქრებში გავერთე.

– ოო, ეგ კარგია.

– რა ვიცი, რა ვიცი...

სამსახური ათის ნახევარზე ეწყებათ და დრო აქვთ.

– უძინარი ჩანხარ. – ანდრომ.

– ასე მეტყობა? – გიგამ.

– არც ისე...

– შენ რას გამოგაპარებს კაცი. ცოლისძმა და ცოლისდა, ბავშვებით მესტუმრნენ წუხელს. მაგრად შევყევით. – არ ვსვამთ, არ ვსვამთ ძახილში, კარგად მოვილხინეთ. გვიან დავიშალეთ. რა კარგია ცოლმა მანქანის ტარება რომ იცის. ღამით სათითაოდ დაარიგა სტუმრები.

– მარჯვე გოგოა ნანუკა. – მეუღლე შეუქო ანდრომ...

გიგას სახეზე კმაყოფილება გამოეხატა.

– გამარჯობა ანდრო ბიძია...

– ოჰ, ვასიკო, საითკენ ასე ადრიანად? – შვილის თანაკურსელი იცნო ანდრომ.

– იუსტიციის სახლში ვარ მისასვლელი, ბიომეტრიული პასპორტი მაქვს გასაკეთებელი. რიგებს მინდა ავცდე.

– მიდიხარ უცხოეთში სასწავლებლად?

– მაგაზე ვოცნებობ ბავშვობიდან. ნუკრი მოდის თუ გადაიფიქრა?

– მოდის შვილო, მოდის... – უგულოდ ჩაილაპარაკა ნირწამხდარმა ანდრომ და გზა განაგრძო, – ვასიკო ნუკრის მეგობარია, მგონი იცნობ, – უთხრა გიგას.

– როგორ არა?! ნაზიბროლას ნაბოლარა გოგოს ქორწილში არ გამაცანი? მგონი საცოლესთან ერთად იყო, შემოდგომაზე აპირებდა დაოჯახებას, ასე მახსოვს.

– ჰოო.

– მერე, შეიქმნა ახალი ქართული ოჯახი?

– არა...

– რა?

– ჰმ, რას გაუგებ ახალგაზრდებს...

ანდრო ფიქრებში გაუჩინარდა და ნაბიჯი დაუმძიმდა. ქორწილის ჩაშლის მიზეზი იცოდა, მაგრამ თქმას მოერიდა.

– კარგი წყვილი იყო! – გაიხსენა გიგამ, – სამწუხაროა...

– მეც მასე ვფიქრობ. – დაუდასტურა ანდრომ.

სკოლის მერხიდან უყვარდა ვასიკოს თანაკლასელი გოგო. ბიჭიც გახარებული და ბედნიერი ჩანდა მის გვერდით, ალერსიანი და მზრუნველი. მშობლებიც თანახმა იყვნენ, მაგრამ წლები გაფრინდა და სურვილი ტკივილიან მოგონებად დარჩა. იმაში მაინც ივარგა ბიჭმა, რომ დაძლია ორჭოფობა, შინაგანი გაუბედაობა, სიმორცხვე, საზოგადოებაში გამეფებული სტერეოტიპები და გულისწორს ალალად გამოუტყდა, ძალიან მინდა გამიგო და თუ შეძლებ, უნდა მაპატიო, უზარმაზარი სურვილის მიუხედავად, ვერ გაგაბედნიერებო...

იყო მოულოდნელობის წამლეკავი ეფექტი, ვულკანური ძალის, დამანგრეველი შედეგის მქონე. გოგოს გაოგნებული და გაქვავებული, სევდიანი და განადგურებული, სიცოცხლეწართმეული სახე, ცრემლები, მუდარა, ამაო თხოვნა... ბიჭიც ანალოგიურ მდგომარეობაში, უფრო უარესში თუ არა... მან გადაწყვეტილება მიიღო და ვერ შეცვლის, ეს არ შეუძლია. ეს უნდა გააკეთოს, რომ თავისუფლად ისუნთქოს და წინ წავიდეს. გოგოს მეტად ვეღარ მოატყუებს, იმდენად უყვარს. ახლა გამოსადენი სისხლის გამოდენის დროა, ჰოდა, ეგუება თავის ხვედრს. ორივე ტირის და ასე თვალცრემლიანები ემშვიდობებიან ერთმანეთს და სკოლის მერხიდან გამოყოლილ, სათუთად ნაფერებ პირველ სიყვარულს...

მეგობრებად დაშორდნენო – გამოვიდა ხმა.

ძალიანაც კარგი, რატომაც არა...

გოგო ექვს თვეში გათხოვდა. ვასიკომ ქორწილში პატარძალს, თეთრი ვარდების დიდი თაიგული და მისალოცი ბარათი გაუგზავნა, თვითონ კი თურქეთში გადავიდა რამდენიმე დღით.

– პანტა ანზორა გახსოვს?

– რამ გაგახსენა?

– აგერაა, სკვერის შესასვლელში, მზესუმზირას ყიდის.

– ვა, კიდევ უფრო დაპატარავებულა?

– რას ამბობ, რაც მახსოვს, სულ მაგხელაა.

– პანტა უძახე და სამი შვილი ჰყავს, სამივე ბიჭი ერთმანეთზე უკეთესები. ცხრა შვილიშვილით, როგორია? დიდი ოჯახის თავკაცია ყაძახი, რა წააქცევს.

– ღმერთმა გაახაროს, ბედნიერი მამაა. მე კი არ მგავს.

– არ გინდა, არ დაიწყო ახლა, საუცხოო ოჯახი გყავს.

– ბიჭს თუ არ ჩავთლით.

– რატომ? რას ერჩი? მაგაზე ხომ შევთანხმდით, შვილი შვილია და ისეთი უნდა მიიღო და

გიყვარდეს, როგორიც გაჩნდა და ამ წუთისოფელს მოევლინა.

– სათქმელად იოლია.

– ესეც ვიცი, მაგრამ წინ გაიხედე, ცხოვრება წინ მოდის, ევროპულ წიაღს ვუბრუნდებით, განვითარების უზარმაზარი შესაძლებლობებით...

– მე კი გვარის გამგრძელებელი არ მეყოლება. გული მიკვდება, ამას რომ გავიფიქრებ.

– ახალგაზრდა ბაბუა ხარ და ნუ წუწუნებ?

– უსულო ოპტიმისტის დედაც...

– მეტი აღარ გაიმეორო, გთხოვ! ძმაზე ნაკლებად არ მიყვარხარ, იცი ეს და შენს გულგატეხილობას ვერ შევეგუები.

– აბა ერთი მე მკითხე, შინაგანად რა დღეში ვარ. ხან ერთი გადმომხედავს ირონიულად, ხან – მეორე, მესამე – ჩასაფრებულია, რომ დაგცინოს, მეოთხეს – ებრალები, მეხუთე – ზურგსუკან ქილიკობს, და ასე დაუსრულებლად მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეასე, მეორასე... კაცი ხარ და გაუძელი, გაგებითაც ვერ გამიგებს ბარე ორი...

– მე არ მიჭირს შენი გაგება. თანაც, მე მარტო არ ვარ, ჩემისთანა ბევრია, ხვალ-ზეგ უფრო მეტი ვიქნებით, ცხოვრება მიჰქრის და მინავარდობს. ყველაფერი იცვლება, ადამიანების ცნობიერება, განათლება, შეფასებები, მთელი სამყარო და ამ სვლას ვერაფერი შეაჩერებს, ეს გარდაუვალი პროცესია და შენაც უნდა შეეცადო, შეუერთდე, შეეგუო, თორემ გაირიყები და გაიჭყლინტები.

– არ მეშინია ხვალინდელი დღის. – თავი უნდოდ გადააქნია ანდრომ და თვალზე კურცხალი მოიწმინდა.

– მერე მაგას რა სჯობია?

– ეჰ! – ამოიოხრა უნებურად.

– მითხარი, რა გაწუხებს, ნუ დამიმალავ... – შეეხვეწა გიგა.

– იმის ჯავრი მკლავს, რომ არ დამიბრუნდეს შვილი უცხოეთიდან, მაშინ რა ვქნა?! – გამოუტყდა ანდრო.

– ჩამოვა, არ იდარდო. – ხმა გაებზარა გიგას.

– შენს პირს შაქარი, სათქმელად იოლია. ნაცნობიც გაუჩენია უკვე ნიდერლანდებში, ვიღაც ფრანკი, მთელი ღამე კომპიუტერშია შემძვრალი და ეტყობა, იმას ემესიჯება. დღეს მითხრა, ჩემი მეგობარია და ის ინგლისურს მასწავლის, მე კი ქართულს ვაჩვევ, გამარჯობა, ნახვამდის, როდის ჩამოხვალ და კიდევ რამდენიმე სიტყვა უკვე იცის და ძალიან სასაცილოდ წარმოსთქვამსო, სახეგაბრწყინებულმა მახარა.

– შენც გაიხარე მერე, შვილის სიხარულით.

– მომკალი და არ შემიძლია...

– უნდა შეძლო! ეს შენი მოვალეობაა, დაიმახსოვრე.

ერთხანობას, ტროტუარზე ორივე ენის ამოუღებლად მიაბიჯებს.

– ანდრო!

– რა იყო...

– გახსოვდეს, რაც არ უნდა გულდაწყვეტილი იყო, ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა და განზე გადგომა არ გაბედო! შენ გვერდით მიგულე!

– მიყვარხარ ძმაო, ოღონდ მართლა!

– აბა, მე მკითხე?!...

ბიბლიოთეკას მიუახლოვდნენ. კარებთან ღამენათევი დაცვის რამდენიმე თანამშრომელი სიგარეტს აბოლებს, კიბის საფეხურზე, თაგვებთან ბრძოლაში გამოწრთობილი, ბიბლიოთეკარების მოფერებით გათამამებული, განებივრებული და გაზულუქებული ევროპული მოკლებეწვიანი კატა უდარდელად იზმორება.

– როდის გაილევა ეს დღეც?!... – დაუფიქრებლად, მისდაუნებურად იტყვის ანდრო და შენობაში შესასვლელად ნაბიჯს გადადგამს...

– რა დროს გალევაა, ბატონო ანდრო, დღე ახლა იწყება!.. – გაიკვირვებს ლოყებჩაცვენილი და უძინარი დაცვის მწითურა თანამშრომელი.

„ჰმ...“ – გაივლებს გულში და უსიტყვოდ გაშორდება მოსაუბრეს.

ანდრო დღის ბოლოს, სამსახურის მერე, იმავე გზით და ძველი წუხილებით დაუყვება სახლისაკენ მიმავალ გზას.

ხვალაც სამუშაო დღეა...

ზეგაც...

იყო და...

– ადე კაცო ზეზე, გაკეთდა ხალხი, – საძინებელ ოთახში შესული ლონდა ქმარს ალერსიანად გახედავს და ლოგინზე ჩამოუჯდება, – რა გაიგდე ძვალი, შუადღემდე კოტრიალს ხომ არ აპირებ? ძილი და უსაქმურობა მერეც გეყოფა, მიქელა რომ მოგაკითხავს და წაგიყვანს.

– არსად მეჩქარება ჯერ, მაცალე სიცოცხლე, – მუდარით ახედა იაშამ ცოლს და საბანი წელსქვევით შემოიკეცა, – როგორი ამინდია გარეთ, გამოიდარა თუ ისევ წვიმს?

– ოდნავ ცრის, ისეთი პირი უჩანს, შეიძლება შუადღისას მზემ გამოიჭყიტოს.

– შენს პირს შაქარი. უამინდობას იმწამსვე ვგრძნობ, ტანში მამტრევს და გადაადგილება მიჭირს.

– ჩამაბერდი თვალდახელშუა, მაგრამ გული არ გაიტეხო, აქა ვარ ბერიკაცო, შენ გვერდით, შენთან და შენთვის, – ამხნევებს ცოლი, – გეტყობა, გუშინ თვალი არ მოგიხუჭავს, გადაყევი დარდს, ხომ?

– რას ამბობ, თავი მივდე სასთუმალს თუ არა, ჩამეძინა.

– ჩემ მოტყუებას ნუ ეცდები.

– როდის მომიტყუებიხარ?

– ჩამოთვლა დავიწყო, თუ შენით მიხვდები და გაჩუმდები?

– უსამართლოდ მექცევი.

– იცოდე გაგიბრაზდები, – ლონდა წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და ზეცას ახედა, – კი, გამომდარებელს ჰგავს ნამდვილად.

– ვერ ვეგუები სოფელში წვიმას. ისე აატალახებს ეზო-კარს, რომ გარეთ გახედვაც შეგეზარება, ნესტიც გამოგვჭამს ძვალ-რბილს, თუ ბრონხები გამიღიზიანა და ხველა დამაწყებინა, წასულია მაშინ ჩემი საქმე, გამაწვალებს და მკურნალობის გარეშე არ გამივლის.

– რა გვაჩქარებს, როცა გამოიდარებს, მაშინ წავიდეთ.

– აჯობებდა, მაგრამ არა, გადადება არ ღირს, ახიბაკებულები ვართ, სახლიც დალაგებულია. როგორც მოვილაპარაკეთ, საღამოხანს წავიდეთ. იმედია, ბესოს ეცლება, დღეს ხომ არ გინახავს.

– დილით შემომირბინა, მინახულა და შემპირდა, ოთხ საათზე თქვენთან ვიქნებიო.

– რა კარგი ბიჭია, ყურადღებიანი და მოყვასი.

– ჩვენს ხელშია გაზრდილი, მისი სამშობიაროდან გამოყვანა გუშინდელ დღესავით მახსოვს, რა შევასკდით ერთმანეთს იმ საღამოს მე და მამამისი. ორი ქალიშვილის მერე ნანატრი ბიჭის შეძენა ოცნების ასრულებას ჰგავდა და ეს მართლა ასე იყო. ღმერთმა აცხონოს ბენია, სადაცაა, საოცარი კაცი იყო, სანდო, საიმედო, ბუნჩულა ხასიათის, უღალატო და კეთილი. ბესო დაემსგავსა მამას, ქალიშვილები უფრო დედას, ანგარიშიანები, ცივი და გულჩათხრობილები გაიზარდნენ.

– ნუ გაიკრიფე ენად და ნუ მაცდენ, სამზარეულო ჯერ არ მიმილაგებია, აბაზანაშიც უნდა შევიხედო, მაღაზიაშიც ვარ წასასვლელი, რომ გიყვარს, ხინკალს, სოსისს, პილმენს და ბანანს წამოგიღებ. ტკბილეულობასაც, შენ ნორმა არ იცი, მაგრამ თავზე დაგადგები და როგორ არ დაიცავ დიეტას, იმასაც დავინახავ.

– მე და წუწკობა, ეგ ვინ თქვა? – აენთო იაშა, – ჩემი შენ გითხარიო, ასე გამოგივიდა ქალბატონო.

– მე ნორმა ვიცი, შენ – არა.

– მაგ სიმართლით იარე.

– ყაბულს ვარ... – დაემოწმა ლონდა, – ადგომას არ ფიქრობ?

– რა დროა?

– ათი სრულდება.

– რა დრო გასულა.

– დრო რომ ყოველთვის უკანმოუხედავად, ელვის სისწრაფით გარბის, ახლა გაიგე თუ რაშია საქმე ბერიკაცო? – გაიკვირვა ლონდამ.

– ეგ ვიცი, – იაშამ მხარი მოიცვალა და გვერდულად წამოწვა, – თმა შეგიღებავს, როდის მოასწარი?

– პროგრესი სახეზეა, როგორ შეამჩნიე?

– გალამაზებულხარ, დამშვენებულხარ, გაახალგაზრდავებულხარ...

– ქათინაურები და შენ? მართლა მაკვირვებ, რა გემართება?

– როდის გითხარი პირველად მიყვარხარო, გახსოვს?

– ქორწილამდე სამი კვირით ადრე, მესამე შეხვედრის შემდეგ, გამომშვიდობებისას...

– ბოლოს?

– მაგი იყო პირველიც და ბოლოც.

– მართლა?

– ნება შენია, გინდ დაიჯერე, გინდ არა.

– აქამდე რატომ არაფერი მითხარი?

– ყველა დღე ვგრძნობდი შენს თვალებში ჩემს სიყვარულს.

– ასე ცოტა რამ გყოფნიდა?

– რაა ცოტა ბიჭო, შენი თვალები ჩემთვის ვეებერთელა ოკეანეა, მხოლოდ ჩემი, უკიდეგანო ოკეანე, უზარმაზარი, უძირო, გიგანტური, ბობოქარი და ირგვლივ ყველაფრის შემმუსრავი და წამლეკავი. მე მყოფნის, მაძლიერებს და მაბედნიერებს შენი გამოხედვა და შენს გვერდით ჩემი არსებობა. ამას ჩვენი ცხოვრება ჰქვია და მე მას ვეფერები და ვუფრთხილდები.

– მადლობა ლონდა.

– რისთვის იაშა?

– იმ სიყვარულისთვის, ჩემთვის რომ გაიმეტე.

– შენც მადლობა, რომ მიმიღე, გამიგე და შენიანად მაქციე...

– უფალს მადლობა, ერთმანეთი რომ გვაპოვნინა და დღემდე გვათელინებს წუთისოფლის შარაგზას...

ლონდამ სკამზე გადაფენილი იაშას ტანისამოსი აიღო და ლოგინთან მიუტანა.

– ახლა მაღაზიაში წავალ და რომ დავბრუნდები, ფეხზე დამხვდი, თორემ ვერ გადამირჩები.

– გიხდება მუქარა, მით უფრო მაშინ, შემსრულებელი რომ არ ხარ.

– გეგონოს. – მიაძახა და ოთახიდან გავიდა.

სამზარეულოში ცელოფნის პარკები აირჩია, ჯიბეში, საფულესთან ერთად ჩაიდო, შემდეგ ლაბადა მოიცვა, სარკეში ჩაიხედა და კარები მიიხურა. კიბეები დინჯად ჩაიარა. ქუჩაში წვრილად ცრიდა. ოდნავ გრილოდა. მაღაზიამდე ორი კვარტალი უნდა გაეარა.

იაშას მარტო დატოვება, ერთი კვირაა უჭირს. მიზეზი ერთადერთი ვაჟის გადაწყვეტილებაა... ორმა ქალიშვილმა თავიანთი ბედ-იღბალი, ავად თუ კარგად იპოვა და შვილებით დაიხუნძლნენ. ერთი ოზურგეთში ცხოვრობს, მეორე – სამტრედიაში და თბილისში საცხოვრებლად გადაბარგებას აპირებს. მამუკა, ნაბოლარა და ნაფერები ვაჟიშვილი, უმაღლესის დამთავრების შემდეგ, რაკი ინგლისური კარგად იცოდა, კონკურსით ერთობრივ ქართულ-უცხოურ სამშენებლო კომპანიაში დასაქმდა, იაშაც მიეხმარა, იაშა რა, უფრო მისი მეგობრის შვილი, რომელიც ამავე სტრუქტურაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, ხელმძღვანელობასთან შეაწია რამდენიმე სიტყვა და გაიჩარხა საქმე. მამუკამაც ნდობა გაამართლა და კარიერულად მალე წაიწია წინ. ახლა, სოლიდურად გამოიმუშავებს და მშობლებს ყურადღებას, სითბოს და მოფერებას არ აკლებს. მეცხრე ცაზე დაფრინავდნენ სიხარულით ლონდა და იაშა, დღე ისე არ ჩაივლიდა, რძალზე არ ჩამოეგდოთ სიტყვა, შინაური წრეც დარაზმული ჰყავდათ, ვინიცობაა თქვენს ბალანზე, შესახედი, კაი ოჯახის შვილი, ნასწავლი და გასათხოვი გოგო გამოჩნდეს, გვაცოდინეთ და ვცადოთ, იქნებ ღმერთმა გადმოგვხედოს და გაგვიმართლოსო. ოცდაათს ამთავრებდა მომავალი თვის ბოლოს მამუკა და მეტის მოთმენა მშობლებს აღარ შეეძლოთ.

არც გაემტყუნებოდათ, ოჯახში გვარის გამგრძელებელი უნდოდათ, პატარების ჟრიამული და მყუდროება მიჩვეული კერიის ახმაურება. ღირებული სურვილი იყო, ვერაფერს რომ ვერ დაუწუნებდა კაცი, ისეთი.

გასულ პარასკევს გამოუტყდა მამუკა მშობლებს, საცოლე შერჩეული მყავს და თუ სურვილი გექნებათ, გაგაცნობთო.

გახარებული ლონდა და იაშა ყურებს არ უჯერებდნენ, ნუთუ ამას მოესწრნენ, ჩვენმა ბიჭმა გულისწორი იპოვა და დაოჯახებას ფიქრობს. სასწრაფოდ მოიცალეს, მაგიდას მიუსხდნენ და მამუკას მიაშტერდნენ.

მამუკამ სერვანტიდან ვისკი გადმოიღო და დაისხა, სანამ დალევდა, მშობლები გააფრთხილა, რასაც ახლა გეტყვით, შეიძლება არ მოგეწონოთ, მაგრამ მე გადაწყვეტილება მიღებული მაქვს და არ შევცლიო.

– ამოღერღე, რის თქმას აპირებ დედა. – სახეშეცვლილი ხმით უთხრა ლონდამ და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

– რასაც გული გეუბნება, ის გვითხარი, შვილო, ჩვენ ყველაფერს გაგიგებთ. მთავარია შენ იყო ბედნიერი. – იაშასაც ავისმომასწავებელი წინათგრძნობა აქვს.

– ვიცი, ძნელი იქნება რასაც გეტყვით, იმის მოსმენა და მიღება, კიდევ უფრო ძნელი, მაგრამ თავს ზევით ძალა არაა, ქვრივი ქალი მიყვარს, რომელსაც ორი შვილი ჰყავს. არ გატყუებთ, თავზე მეტად მიყვარს. აგერ უკვე მერვე თვეა ერთმანეთს ვხდებით, მაგრამ ერთად არ ვართ...

– სად გაიცანით? – იკითხა იაშამ.

– ერთად ვმუშაობთ...

– რას აპირებ?

– დაოჯახებას მამა, ბინას ვიქირავებთ. მეტი ასე გაძლება არც მე შემიძლია და არც მას. ისიც ცოდვაა, ჩემზე ნაკლებად არ იტანჯება. – მამუკასაც უჭირს ლაპარაკი, ვისკმა ვერ იყოჩაღა, შეღავათის ნაცვლად, დაუმძიმა გონება.

იაშამ ლონდას გადახედა. ლონდა აღარ არსებობდა მის გვერდით, გამქრალიყო ქალი...

– ნაქირავები ბინა არ მიხსენო, სახლი გაქვს, კარი, ძირი და ფუძე შვილო, თუ გიყვარს მოიყვანე, მიხედე და გაუფრთხილდი. მე და დედაშენი ისედაც არსად ვმუშაობთ, პენსიონერები ვართ, სოფელში გადავალთ საცხოვრებლად, ჩვენს სამყოფ თავშესაქცევს იქაც გამოვნახავთ, ჯერ სამაგისო ჯანიც გვაქვს, შნოც და ლაზათიც.

– რას ამბობ მამა, სად უნდა წახვიდეთ.

– სიბერისთვის მოვიწყვეთ სოფელი და ეს დროც მოვიდა. გადავალთ დროებით.

– უთქვენოდ რა გამაძლებიებს, რას მიშვებით?

– შენ გვერდით ვიქნებით, ამაში ეჭვი არ შეგეპაროს შვილო. ახლა ასე აჯობებს, დამიჯერე. მოიყვანე და ქალს სითბო და სიყვარული აგრძნობინე, მამაკაცური სიძლიერე და ერთგულება, ბავშვებს ყურადღება და მზრუნველობა. შენც დაწყნარდები და ჩვენც. ჩემი ჯიშის ხარ და მჯერა, შეუძლებელს შეძლებ. მთავარია, გჯეროდეს, რასაც აკეთებ. სხვა რას იტყვის, არაა აუცილებელი სიტყვასიტყვით მოისმინო. იმიტომ გაქვს ორი ყური, რომ საჭირო დროს ორივე გამოიყენო. შემდეგ შევხედოთ მოვლენებს, ზამთრამდე ექვსი თვეა, წინასწარ ვიცი, ზამთარში დედაშენს სოფელში გაუჭირდება, აქ ჩვენი ოთახი იმედია, დაგვხდება და როცა ჩამოვალთ, ღამეს გაგვათევინებთ.

– დამცინი მამა.

– ყური დამიგდე, მომავალ პარასკევს ჩემი ნალოლიავები კერია შენს სიყვარულს აქ ელის, მოიყვანე, დააბუდე, გაამრავლე და გაახარე. ჩვენ ერთ კვირაში ჩამოვალთ და დაიმახსოვრე, ოჯახის ახალმა დიასახლისმა თავი უნდა მოგვაწონოს. შევთანმხვდით? მაშინ მოიტა ხელი...

– მადლობა მამა. – მამა-შვილმა ხელი ხელს ჩასჭიდეს.

– დედასაც მოვუსმენ.

– მამაშენმა ორივეს სათქმელი უკვე თქვა... – ლონდა წამოდგა და კარებისკენ წაბარბაცდა. კარებთან მოტრიალდა და შვილს გასძახა:

– ხელი დაიბანე და სამზარეულოში შემოდი.

– არ მშია დე...

– მარტო რომ დარჩები სახლში, მაშინ იუფროსე, ჯერ მე ვარ აქ მთავარი დიასახლისი, – ქმარსაც შეავლო მზერა და დაუცაცხანა, – შენ ცალკე მოსაწვევი გჭირდება? დაგვდე პატივი და გვეწვიე, გელით...

სუფრა ხვავრიელად გაივსო, ვახშამი დარჩა რატომღაც, უგემური და მოსაწყენი.

* * *

მაღაზიაში ხალხმრავლობა დახვდა. სახლში ფურცელზე რაც ჩამოწერა, იყიდა. რაღაც დამატებითაც შეიძინა, ნუ სამი პარკი გაავსო ლონდამ და კასასთან რიგი დაიკავა.

– ლონდა დეიდა, გამარჯობა. – ეს მეზობლის ბიჭია მინდია.

– გაიხარე შვილო.

– ჩემს რიგს დაგითმობთ, გადმობრძანდით.

– რას ამბობ, შვილო, რა რიგი ესაა, სულ ხუთნი ვართ.

– მაინც...

– არავითარ შემთხვევაში.

ხუთიოდ წუთში უანგარიშეს ნავაჭრი ლონდას. მოლარემ, ბარათით გადაიხდით თუ ქეშადო, იკითხა. მე ფული მაქვს და თქვენს ენაზე მაგას როგორ ჰქვია, მიმიხვდებითო. კი, ქალბატონოო, უთხრა მოლარემ და გადასახდელი თანხა დაუსახელა. ლონდამ საფულე ამოიღო და ქაღალდის ფულს დაუწყო დათვლა.

– ჩემი სიკვდილი...

– რაშია საქმე ლონდა დეიდა?

– მახსოვდა, საფულეში ჩავდე, დამვიწყებია, ეტყობა, ან შეიძლება, სადარბაზოდან გამოსვლისას პავლიკა პიანიცას ხურდა რომ მომთხოვა და მივეცი, მაშინ ხომ არ ამომივარდა. – შეწუხდა ლონდა.

– რამდენია დასამატებელი?

– 13 ლარი და 15 თეთრი.

– რა სალაპარაკოა, ინებეთ. – ამბობს მინდია და მოლარეს ფულს აწვდის.

– მოიცა, ხურდა გეკუთვნის. – გასძახებს გაქცეულ მინდიას.

ხურდას ლონდა გამოართმევს.

– სახლში დავუბრუნებ 15 ლარს. – ეს ლონდაა, პარკებს აიღებს და მაღაზიიდან გამოდის.

ორი კვარტალი გაიარა და გზაში გია შემოხვდა, მეორე სართულის მეზობელი.

– როგორ გამიხარდა თქვენი ნახვა.

– გისმენთ შვილო?

– სადარბაზოს კარებთან თქვენი გაბნეული სამი ხუთლარიანი ვნახე და მოგიტანეთ. – ხელში ფულს უჭუჭკავს და გარბის.

– რის ფული შვილო, არაფერი დამიკარგავს.

ვის ესმის მისი...

სადარბაზომდე კიდევ ერთი მეზობლის ქალიშვილმა ეკამ შემოანათა წამწამებში ჩაკარგული თვალები და 15 ლარი ძალით ჩაუდო ჯიბეში.

– მინდომ თქვა, ლონდა დეიდას დაეკარგაო, სადარბაზოს შესასვლელში ვიპოვე...

ოჰ მინდია, მინდია, მომჭერი თავი საქვეყნოდ ხომ... აღარ გამოვიშვები მარტო გარეთ, არადა გული სახლში რომ ვერ ჩერდება, რა მოვუხერხო... – ფიქრებშია გართული ლონდა.

რა ბევრი რამ შეიძინა სოფელში წასაღებად, მაგრამ ატანაზე ისე დაუმძიმდა ნავაჭრი, რომ სულ მთლად ოფლად გაიღვარა. „იაშა თუ ლოგინიდან ამდგარი არ დამხვდა, ვერც გადამირჩება, მოსამზადებელი ვართ წასასვლელად. დრო ისედაც ანთებული სანთელივით დაგველია, იაშა აქამდე კი იდგა მარჯვედ, მაგრამ მოტეხა ბიჭის არჩევანმა, არ შეიმჩნია, მაგრამ მე რას გამომაპარებს, განადგურებულია კაცი. მაინც შვილის სიყვარული ამჯობინა და თავისი დამოკიდებულება ბიჭის არჩევანის მიმართ, გულში ჩაიკლა. აქაურობის დატოვებაც უჭირს, როდის იყო სოფლის კაცი, თოხი მაგან არ იცის და ბარი. მეც რომ არ ამომაღებინა ენა, რა უცნაური კაცია...“ – ამ ფიქრში იყო, ბინის კარები რომ შეაღო და მისაღებ ოთახში შევიდა. იქვე, სარკის წინ დაალაგა ცელოფნები, ფეხზე გაიხადა და შლოპანცებში შეაბიჯა, ლაბადა ჩამოკიდა და საზაფხულო კოფტის ჯიბიდან განასკვული ცხვირსახოცი ამოიღო, გაშალა და რას ხედავს, დაკარგული სამი ხუთლარიანი აგერ არაა?!

საფულეში ჩადება დავიწყებია თურმე.

სირცხვილო, ეს რომ იაშა შეჩვენებულმა გაიგოს, მაგის პირიდან ვერც ამოვალ. – გაიფიქრა, ცელოფნები აიღო, სამზარეულოში გაიტანა და საძინებელ ოთახში, იაშას შესახედად გავიდა.

– შენ კიდევ წევხარ, გინდა ჭკუიდან შემშალო? – იყვირა ლონდამ, საწოლს მიუახლოვდა და ადგილზე გაქვავდა.

– იაშა ბიჭოოო... – ამოიხავლა შემდეგ და ჩაიკეცა.

იაშას არაფერი ესმოდა უკვე, საოცრად სერიოზული სახე ჰქონდა, ოდნავ ჩაფიქრიანებული და სევდიანი. ღიად დარჩენილი ჩამქრალი თვალები კარებისკენ გადაეხარა. ეტყობა, ლონდას მოელოდა. აბა სხვა ვისი მოლოდინი უნდა ჰქონოდა ამ დროს.

ლონდას სახლში გაჩერება აღარ შეეძლო. აქ სიჩუმე გაუსაძლისად ხმაურობდა და გადადიოდა ყირას. სადაც გაიხედა, ყველგან იაშა დაინახა, წყნარი, ჭკვიანურად მოუბარი და ოჯახზე გადაყოლილი იაშა. კი ელოდა ამ დროს, მაგრამ ასე მალე თუ დადგებოდა, არ ეგონა. ამ რეალობის მიღება და შეგუება არ შეეძლო. არ იყო მზად და ოდესმე თუ შეძლებდა, ესეც საკითხავი იყო.

სიმარტოვის და უსუსურობის განცდამ სუნთქვა შეუკრა და ისე შებოჭა, ლამის დაახრჩო. წამოდგა და გასავლელისაკენ წაბარბაცდა. გარეთ, სადარბაზოს კიბეზე ჩამოჯდა და უპატრონო, მიგდებულ მარტოსულივით სულისშემძვრელად აქვითინდა.

მოპირდაპირე ოთახიდან მეზობლის სტუდენტი ქალიშვილი ნაზიბროლა გამოვიდა. ჯერ კიბეზე ჩამომჯდარი ლონდას გახარებული მიუახლოვდა და რაღაცის თქმა დააპირა, ხელში სამი ხუთლარიანი ეჭირა. დაბნევით მერე დაიბნა, მეზობლის წაშლილ, განადგურებულ და არაადამიანურ სახეს რომ წააწყდა.

– რა ხდება, ლონდა დეიდა?

– იაშა...

– რას ამბობთ. – ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები ნაზიბროლას და თავის ოთახისკენ გავარდა. – დედაააა...

ინეზამ ისე სულისშემძვრელად და გულიანად შეიცხადა იაშა, რომ მარტო სამეზობლო კი არა, გვერდით მდგომი კორპუსიდანაც, დაფეთებული ხალხი მეოთხე სართულზე სამძიმრის სათქმელად ამოიყვანა.

* * *

იაშა სოფელში დაკრძალეს, საგვარეულო სასაფლაოზე, მშობლების გვერდით. ლონდა სოფელში დარჩა და ორმოციც იქ გადაახდევინა ბიჭს. ბესომ ირინე ორი ბავშვით ქალაქის ბინაში მიიყვანა და იაშას უკანასკნელი სურვილი შეასრულა. ივარგა რძალმა. შეხედული, განათლებული და ოჯახის შვილი აღმოჩნდა. სისუფთავის, წესრიგის და ურთიერთპატივისცემის მოყვარული. ბესოც გადასხვაფერდა, ოჯახში გულდადებული და დედაზე მომაბეზრებლად მზრუნველი გახდა. იაშას წლისთავიდან ერთ კვირაში, ვაჟი შეეძინა ბესოს, ყველა წინააღმდეგი დარჩა, მაგრამ რძალმა იყოჩაღა და ბიჭს ბაბუას პატივსაცემად, იაშა დაარქვეს. დაოჯახებიდან მესამე წელს გაჩენილ ქალიშვილს, ბებიას სურვილით, ლოლა, მეექვსე წელს ამ ქვეყნად მოვლენილ ვაჟკაცს კი, ირინეს ხათრით ქუჯი...

ქალიშვილები ვერ უგებდნენ ლონდას ისე, როგორც ირინე. ისე მალე დაუახლოვდა და შეიყვარა რძალი, რომ მასაც უკვირდა და არ ამხელდა. თანდათან ნათესაობასაც გაუთბა გული და შემოეფიცხნენ ბესოს ოჯახს. ლხინი, ჭირი, მისვლა, მოსვლა, გადაპატიჟება, გადმოპატიჟება, იმრავლეს პატარებმა და ოჯახში დამტვრეულმა თეფშებმა, ვაზებმა, სკამებმა, ელექტროტექნიკამ, დაზიანებულმა სავარძელმა და ტახტმა. სანაცვლოდ, ოჯახში ისმოდა ხუთი ბავშვის ცელქობისა და სიცოცხლის ომახიანი სიმფონია.

ლონდამ 89 წელს მოუყარა თავი, ამ წუთისოფელში სიხარულითაც ბევრჯერ ვიჯერე გული და ტკივილითაცო, დროა ახლა მიტოვებული იაშა მოვინახულო, მოვენატრებოდი, ამდენ ხანს მარტო არასდროს დამიტოვებია, ცოდვააო, უთქვამს დილით, ახალ გაღვიძებულზე და შუადღისას, უკვე იაშასთან იყო წაბრძანებული. ბოლო სურვილიც ისე აუსრულდა, როგორც ინატრა და მადლიანი წავიდა ამ ქვეყნიდან.

* * *

სასაფლაოზე ყოფნისას, ერთხელ უმცროსმა იაშამ დაიწუწუნა და დიდი ბაბუას სახელი დაიწუნა.

– დღეს ვიღას ჰქვია იაშა, თანამედროვე სახელი ვერ შემირჩიეთ. – არჩევანი დაუწუნა დედას,

რადგან გაეგო, ეს სახელი დედის დაჟინებული თხოვნით რომ დაარქვეს.

– მაგ კაცს უნდა უმადლოდე, საერთოდ რომ გაჩნდი. – ღიმილით უთხრა დედამ და თვალებით ის საფლავის ქვა მონახა, საიდანაც სანდოსახიანი მოხუცი ბავშვებს ღიმილიანი თვალებით უყურებდა.

– ცოცხალი ერთხელაც არ გინახავს და ასე როგორ შეგაყვარა თავი?

– მისი ბიჭი, სიცოცხლე და ბედნიერება მაჩუქა შვილო და როგორ შეიძლება არ მიყვარდეს... – უპასუხა ირინემ, ტილო დაასველა, ჩაიმუხლა და ფერადსურათიანი მარმარილოს ქვის მტვრისგან გაწმენდა დაიწყო.

შუათითი

ხუთი თვის წინ პერიფერიულ საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტერიაში ახალი თანამშრომელი, ლარისა ყურშუბაძე დასაქმდა – მაღალი, შავგრემანი, მსხვილწამწამიანი, მეტად მოხდენილად და გემოვნებიანად ჩამცმელი. ერთი კვირა სმენა და ყნოსვა გაათმაგებული სწავლობდნენ სამსახურის საქმეგამოლეულები, ვინ იყო ეს საშუალო ასაკს მიტანებული, მიმზიდველი და ენაწყლიანობისგან შორს მდგომი ქალი, საიდან გამოჩნდა, ვინ პატრონობდა ან დირექტორთან როგორ გაუწიეს რეკომენდაცია, როგორი ოჯახიდანაა, ქმარი ჰყავდა თუ საყვარელი, შვილი თუ შვილები. არავინ დაინტერესებულა, რა განათლება ჰქონდა ან რა გამოცდილება უმაგრებდა ზურგს. ასეთი წვრილმანებისთვის ვის სცალია დღეს საერთოდ?! „ეიჩარ“ სამსახურიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ყურშუბაძის ქალს, ადრე თბილისში უმუშავია საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე, „ბეგრაუნდს“ არ ემდუროდა. ახლა სხვა ქალაქში, სხვა გარემოში როგორ მოახერხებდა შეგუებას, ეს იყო გასარკვევი და არკვევდნენ კიდეც.

– ქმარს დაშორებულა ასე 8-9 წელია, უვარგისი გამომდგარა, ნარკომანი, გაუმწარებია ოჯახი, – მიეცა სალაპარაკო და ენა გაისველა ნელი მანწკავამ, – ქალიშვილი ჰყავს ერთი, დედასავით ლამაზი და ახტაჯანა, სკოლის მოსწავლეა, მომავალში ამთავრებს.

– პენსიონერ დედასთან ცხოვრობს, თანაქალაქელი ყოფილა. ბათუმში ორი ოთახნახევრიანი ბინა და გარაჟი ჰქონია, – განავრცო თემა მაკა მაღლაკელიძემ და მაია ხეცურიანს ალმაცერად გადახედა, – ასეთ კაი ქალს უპატრონოდ ვინ დატოვებდა?

– ეს რა ჩვენი საქმეა? – მხარი არ აუბა მაიამ და მისთვის ჩვეული, დაბალი ხმით გააგრძელა თხრობა, – კულტურული, გაწონასწორებული და ზრდილი გოგოა, თქვენი არ ვიცი და მე ძალიან მომწონს. თანაც, როგორი სახე აქვს – მშვიდი, სანდო, სერიოზული და საქმიანი...

– მალე გამოჩნდება, რისი შნოც აქვს. – ქეთი დვალიშვილის მოსაწონი არც კაცი გაჩენილა ამ დუნიაზე და არც ქალი. ამიტომ უფრო მკვეთრ და დამამიწებელ შეფასებას ელოდა დირექტორის არყოფნაში, დირექტორის მისაღებში შეკრებილი საზოგადოება, მაგრამ ვერ მიართვეს, დღეს გულმოწყალე აღმოჩნდა ქალბატონი ქეთი.

– ეტყობა, ფინანსურად არ უჭირს, კარგად იცვამს, ძვირადღირებულ სუნამოებს იპკურებს, ყოველთვის ელეგანტური და თვალისმომჭრელია... – შეაქო კოლეგა ნანული ბერიძემ, – თან დაუზარელია. თხოვე, რაც გინდა და გვერდიდან ვერ მოიშორებ.

– ყავის მოდუღება თუ იცის? – გარაჟიდან ახლახან გამოსული, თავიდან ფეხებამდე მაზუთში ამოთხაპული ქიშვარდი კახიძე მოულოდნელად გამოჩნდა და თან ოთახში ბენზინის მკვეთრი სუნიც შემოიყოლა, – დამალევინებს ვინმე, გავწყდი კაცი და ამ ჩვენს ბერძნულ „მარშრუტკას“ ვერ გავუგე ვეფერი...

– რა სჭირს ასეთი?

– ასაკი, ჩემო მაკა, ასაკი. გაღმა მარილზეა გასული ხუთი წელია და ვაცოცხლებ ძალითა. „ზადნი მოსტი“ არ უვარგა, „ცეპლენია“, საბურავებიც დომენტი მაქაცარიას ხაპერასავითაა გალისებული, „ტორმუზს“ რომ დავაჭერ, მეორე კვარტალში ძლივს ვაჩერებ მანქანას, გული გახეთქვაზე მაქვს, ვინმე არ მოვიყოლო ქვეშ. უფროსობიდან თუა ვინმე ადგილზე? – იკითხა და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, უკმაყოფილომ დაამატა, – ერთხელაც კისერს მოგვატეხინებს სუყველას, მითქმია მე და გამიხსენეთ დრო რომ მოვა, მაშინ...

– რაცხა კაი დაგვიბედე, შე კაცო, ჩვენ დაზაფრვა გვინდა კიდევ... – გაუწყრა მაკა.

ამასობაში ქეთი დვალიშვილმა, დირექტორის მარაგიდან, ფინჯანი ყავა მოუდუღა ორგანიზაციის განაწამებ შოფერს და ორცხობილასთან ერთად მიართვა.

– დალევამდე ხელს ხომ არ დაიბადით? – სიტყვა შეაპარა ნელი მანწკავამ. ქიშვარდიმ იუარა, მაგის დრო სად მაქვსო. ცხელი ყავა შეუსვენებლად გადაუძახა ხახაში, ცოტა შეისვენა, ტკბილეულობას გადახედა, ამას მერე შევჭამო, უფრო თავისთვის თქვა, ვინემ სხვების გასაგონად. გამურული თითებით აიღო, მადლობაო თქვა და დატოვა იქაურობა.

– ერთი კაი ქორწილი არ გვაწყენდა... – ინატრა ნანული ბერიძემ და წამიერი სიჩუმე დაარღვია, – რას გავერთობოდით...

– გასათხოვი აღარავინ შემოგვრჩა და მეორე წრეზე წასვლა ხომ არ გინდათ, გოგონებო? – გამომწვევად იკითხა აქამდე ჩუმად მყოფმა დამლაგებელმა მედეა ხოზრევანიძემ.

– აბა, ვის აქვს ორი თავი, ერთი ნაბიჯით წინ?

გაბედული მსურველი არავინ აღმოჩნდა და გულში ვინ რა გაიფიქრა, ამის გარკვევა გაჭირდა.

– მე ერთხელ ძლივს მოვაფერე მაი საქმე და ახლა, გახსენებაც არ მინდა. – ეტყობა, დაოჯახებამ მთლად კარგი მოგონებები ვერ დაუტოვა მაკა მაღლაკელიძეს.

– ქორწილზე ისე დაათრეს ჩემი მინდია, რომ მესამე დღეს ძლივს გამოფხიზლდა. გამოფხიზლებული კი იმფერი გაკვირვებული თვალებით მიყურებდა, აი ვინ მიწევს გვერდითო, რომ მომდევნო სამი დღე ჩემს თავიდან გაცნობას მოვანდომე... – სახეგაღიმებული იხსენებს ნანული ბერიძე.

– რას ამბობ გო, მთელი კვირა გათხოვილი ქალი ჩოუბურჯგავი ჰყავდი ქმარს? – ვერ დაიჯერა მედეა ხოზრევანიძემ და თავი უნდოდ გადააგდო, – მაგარი მოთმენის უნარი ჰქონია შენს ბუღას! – მეორე ნახევარი შეუქო ნანულის.

– ახალგაზრდები ვიყავით მაშინ, ის 25-ის, მე 19-ის, სად გვეჩქარებოდა... – მოგონებებმა გაიტაცა ნანული, – ასე მოვდივართ ერთად აგერ უკვე 35 წელია და ბედს არ ვემდურით...

– ნელი, შენ არაფერს გვეტყვი?

– რა გაინტერესებთ, როგორ გავთხოვდი? გეტყვით, დასამალი რა მაქვს. 31 წლის ვიყავი, სამი წლით უფროსი კაცი ემზარ ლორთქიფანიძე რომ გამაცნეს, სერიოზულობის არაფერი ეცხო, სულ ოხუნჯობდა და გვაცინებდა. რამდენჯერაც შევხვდი, იმდენჯერვე მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა. მაშინ სკოლაში ვმუშაობდი ქიმიის მასწავლებლად და მასთან ნაცნობობას არ ვამხელდი, ჭორის აგორებაღა მაკლდა. როცა მტკიცედ გადავწყვიტე, დღეს შევხდები და საბოლოოდ, უარს ვეტყოდი ურთიერთობის გაგრძელებაზე, მაშინ რადიკალურად შეიცვალა ყველაფერი. დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას შარვალ-კოსტუმში ელეგანტურად გამოწყობილი, ბელგიური ვარდის თაიგულით ხელდამშვენებული მოვიდა და მეუბნება, მომწონხარ, ჯერ არ მიყვარხარ და შეგიყვარებ თუ არა, წინასწარ, ვერც ამას შეგპირდებიო, მაგრამ ეს კი ვიცი დანამდვილებით, რაც გაგიცანი, იმის მერე ყოველ დღე მენატრები, ვხდები, რომ შენთან ყოფნა არასოდეს მომწყინდება და თუ წინააღმდეგი არ იქნები, ათდღიან კრუისში გეპატიჟები ევროპის გარშემოო. ვიფიქრე, რას ვაგებ, თუ ჩემი ბედი აღმოჩნდა, ხომ კარგი, თუ არადა, ევროპის რამდენიმე ქალაქი მაინც მონახულებული მექნებოდა. თანხმობა განვუცხადე და ბათუმიდან თმომავალს გავყევით. მოგზაუ-

რობისას დავრწმუნდი, რომ სანამ ღრმად არ გაიცნობ ადამიანს, მანამდე ენას კბილი საგულდაგულოდ უნდა დააჭირო. ემზარი დღითიდღე იცვლებოდა და უკეთესზე უკეთესი ხდებოდა, ბევრი საერთო ინტერესიც აღმოგვაჩნდა, ბევრ საკითხზე ვდაობდით და ვკამათობდით. როცა ბათუმში დავბრუნდი, ევროპაზეც მაღალი აზრი მქონდა ჩამოყალიბებული და ემზარის შესაძლებლობებზეც...

– ამ ცულლუტს უყურე შენ, რავა გამოუცვლია ევროპას? აი აქამდე როგორ არ ვიცოდით?! – გაწბილებული ამბობს მაია ხეცურიანი და ყურებს არ უჯერებს.

– შენ თავად რას გაიხსენებ? – კი უნდოდა თავის დაძვრენა, მაგრამ ვერ მოახერხა მაიამ.

– მე რა, უმაღლესი თბილისში დავამთავრე და ბათუმში განაწილებით გამომიშვეს. სადაც ვმუშაობდი, იმ სამსახურის დირექტორის ბიჭი შემიყვარდა, მასაც მოვეწონე და წავყევი. იმის მერე ვცხოვრობთ ერთად, აგერ უკვე რვა წელია და რა ვიცი, ბედს არ ვემდური.

– ქეთი დვალიშვილსაც მოვუსმინოთ, ახლა მაგის ჯერია. – გვაცნო ნანული ბერიძემ.

– ჰო, დაცქვიტეთ ახლა ყურები და სიტყვა არ გამოგრჩეთ, რასაც ვიტყვი, ჩაიწერეთ ან კარგად დაიმახსოვრეთ, – წინასწარ გაგვაფრთხილა ქეთიმ, – კაცების სინსილა გაწყდა ერთ დღეს. ვოტ ტაკ... – დააყოლა ბოლოს.

– ყველა ერთიანად? – შეიცხადია ნელი მანწკავამ. – დაინდე ზოგი...

– ჩემი განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. – შეუვალია დვალიშვილის ქალი და ოთხჯერ გათხოვების შედეგად მიღებულ მდიდარ გამოცდილებას არავის უზიარებს, ქარს ატანს.

– თავს ზემოთ რა ძალაა. იყოს ნება ღვთისა და ნება ქეთი დვალიშვილისა, შენ შეუნდე, უფალო მხევალსა შენსას, რათა არა იქმს, რას ამბობს...

– გეგონოს, არ ვიცი...

მისაღების კარები იღება და ოთახში ლარისა ყურშუბაძე შემოდის.

– აი სად ყოფილხართ შეკრებილი, აქა მშვიდობა?

– ომის წამომწყებს ვის ხედავ აქ? ყველა მშვიდობის და ყავის მოყვარულები ვართ. – დაამშვიდეს ლარისა.

– მაგას რა სჯობია, ზაზა სოფრომაძეს ვეძებ, ერთი საკითხი მაქვს მასთან გასავლელი, ხომ არ დაგინახავთ დღეს?

– როგორ არა, დერეფანში სიგარეტს ეწეოდა, ასე ორი საათის წინ, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, – დააკვალიანა მედეა დამლაგებელმა, – თავის ოთახში არაა, იშვიათად გამოდის გარეთ...

– მაგის ოთახი რომელია? – დაინტერესდა ლარისა და პასუხს დაელოდა.

– მესამე სართულზეა, 36 ნომერი აწერია კარებზე.

– მადლობა, გამოდის, დაბრუნებულა მივლინებიდან... თან გავიცნობ. კიდევ ერთი თხოვნა მექნება, ყველა თანამშრომელს ფეისბუკზე მეგობრობა გამოგიგზავნეთ, ვინც თანახმა ხართ, ვიამხანაგოთ, თანაც, თუ თქვენი სურვილიც იქნება, ნუ გამომაპარებთ ყველაზე უმნიშვნელო თავყრილობასაც კი, თქვენ გვერდით მინდა ვიყო, ფინჯან ყავაზე თუ საჭორაოდ... – თქვა ლარისამ და ოთახიდან გავიდა.

– ამ გოგოს ჩვენთან ადაპტაცია არ გაუჭირდება. – იმედი მიეცა ნელი მანწკავას.

– ღმერთმა კაი ყურით გისმინოს. – დაილოცა მაია ხეცურიანი.

– რა მედიდურად შემოვიდა და გავიდა. ეს ქალი შორს წავა, მითქმია მე... – გაჭორა ქეთევან დვალიშვილმა. მისგან სხვას არც არაფერს მოელოდნენ.

– მედეა ბებო, გასახსენებელი შენ ჩვენზე მეტი გექნება, აბა მოგვიყევი, რით დაიპყარი მეუღლის გული? – ნელი მანწკავა მედეას შეუჩნდა.

– გასახსენებლადაც არ ღირს. – ხელი ჩაიქნია მედეამ, მაგრამ რაკი შეატყო, იოლად ფონს ვერ გავიდოდა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. – წინასწარ გეუბნებით, ამბის მოკლედ მოყოლას ველარ ვახერხებ, სიბერეში ბევრი ლაპარაკი და-

მჩემდა და არ გამიწყრეთ, ვრცელი ნაამბობი თუ გამომივიდეს...

– რას ამბობთ მედეა ბებო, პარლამენტში კი არ ხარ, მიკროფონი გამოგირთოთ, დროში შეუზღუდავი ხართ, გისმენთ... – ენად გაიკრიფა ნანული ბერიძე.

– ჩვიდმეტი წლის ვსრულდებოდი მაშინ, – დაიწყო გახსენება მედეამ, – ჯერ ახლო ნათესავი მიაგზავნეს მამასთან, მეზობელ სოფელში მცხოვრები ზებურა სურმანიძე, ერთი აყლაყუდა, შეუხედავი, მაგრამ კარგად მოსაუბრე, ასეთ საქმეებში გაწაფული და ხელმარჯვე კაცი. მარტო არ იყო, კიდევ ორი ახლდა, რამდენადაც მახსოვს, ერთი ახალგაზრდა ქალი იყო, რომელიც, როგორც მერე გავიგე, საქმროს ხალაშვილი აღმოჩნდა და მეორე ხანშიშესული, სასიამოვნო აღნაგობის, ხუმარა და ენამოსწრებული კაცი, ესეც იმათი ახლობელი, ემიაი. ამ დროს მე გაკვეთილს ვამზადებდი, ჩემს ოთახში ვიყავი და ფიზიკის სახელმძღვანელოს უგულოდ ვფურცლავდი. დედამ დამიძახა, სტუმარი გვყავს და ჩემთან მოდიო. გახარებული გავვარდი მასთან და კარმიხურულ ოთახში მაგიდის გაწყობაში მივეხმარე. შემდეგ გამომყვა, მეორე სართულზე ამიყვანა, მის ოთახში შევედით, კარადის ზედა თაროდან, საგულდაგულოდ, ცელოფნის პარკში შეფუთული ყუთი გადმოიღო, გახსნა და იქედან თვალისმომჭრელად ღამაზი ლურჯი ფერის კაბა ამოიღო, გამომიწოდა და მითხრა, მოიზომეო. ჩავიცვი. ძალიან, ძალიან მომიხდა, ერთხანს სარკეს ვერ მომაშორა, მეც მომეწონა ჩემი თავი სარკეში. შემდეგ, ბოლო თაროდან მეორე ყუთი გამოაძვრინა. იქ ფეხსაცმელი აღმოჩნდა, თეთრი, ოდნავ მაღალი ქუსლებით. ჩემი ზომა იყო, კარგად მომერგო ფეხზე. პატარაც რომ დარჩენილიყო, უარს მაინც ვერ ვიტყოდი, ისე დამმშვენდა.

– თმა დაივარცხნე და შენს ოთახში დამელოდე, ასე ჩაცმული და გალამაზებული, – დამარიგა დედამ, დასევდიანებული თვალებით შემათვალიერა, გულში ჩამიკრა და სანამ წავიდოდა, ჩაილაპარაკა: – წამომეზარდა გოგო...

მე გახარებული დავბრუნდი ჩემს ოთახში და ფიზიკის სახელმძღვანელო მაგიდიდან საწოლისკენ მოვიქნიე. გულში გავიფიქრე, რა იქნება ახლა ზეინაბმა შემოირბინოს, ჩემმა სკოლის მეგობარმა და გულის მესაიდუმლემ. ახალ კაბას ვანახებ, მის აზრსაც გავიგებ, ვილაპარაკებთ... მარტოს, დიდხანს მომიწია ყურყუტი. ვერაფერს ვხდებოდი, რატომ გამომაწყო დედამ და რატომ არ უნდა გამოვსულიყავი ოთახიდან. რისთვის უნდა მეცადა, მცოდნოდა მაინც... დედა გვიან შემეხმიანა, მივედი მასთან, ღუმელთან ფუსფუსებდა და სახეზე აწითლებულიც მეჩვენა.

– ჯერ ხაჭაპურები მიიტანე მაგიდასთან, მალე ბორანოც მოგვისწრებს და იმასაც შეამატებ... – მითხრა და ღუმელს შეშა შეუნთო, – რა დროს დამთავრდა ბალონი, მინახა დრო...

ზალაში მამა, მეზობელი ქაზიმი, რომლის მოსვლა არც გამიგია, ზებურა და კიდევ ერთი კაცი სუფრასთან, უცნობი ქალი კი დივანზე იჯდა. მამაკაცები მადიანად შეექცეოდნენ კერძებს, ქალი კი საოჯახო ალბომს ათვალიერებდა და ტაბლა მაგიდაზე დალაგებულ ტკბილეულობას და მოცვის კომპოტს დროდადრო, გადახედავდა ხოლმე.

– ხვავი და ბარაქა შენს მარჯვენას, შვილო, – დამლოცა ქაზიმ ბიძიამ და ხაჭაპურიანი თეფშის ჩადგმაში დამეხმარა. მისგან შექებას, მოფერებას და კაი სიტყვებს მიჩვეული ვიყავი და არ დავმალავ, გამიხარდა და მესიამოვნა კიდეც.

– მადლობა. – თავი არ ამიწევია, ისე ვუთხარი და გამოვბრუნდი.

– მშვენიერი საპატარძლოა... – წამომეწია ზებურას სიტყვები.

ბორანოს გატანისას შევამჩნიე, სტუმრები დაკვირვებით მიყურებდნენ და უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა ტანში. მაშინღა გავიფიქრე, ამ დოსტებს ჩემ სანახავად ხომ არ შეუწუხებიათ თავი? მოიცა, ჯერ დედას დაველაპარაკო, დედას მე ხომ არაფერს ვუმალავ, ისიც ყოველთვის გულწრფელია ჩემთან და თავზე მეტად რომ ვუყვარვარ, ესეც ვიცი.

სამზარეულოში შესულმა, ენის ამოღება ვერ მოვასწარი, დედა ჩამეხუტა და ცრემლიანი თვალები მომარიდა.

– სკოლას ამთავრებ წელს. – მითხრა.

– ვიცი, მერე რა?

– დიდი გოგო ხარ უკვე, საოჯახო საქმეები გაგეგება, ძროხის მოწველა იცი, ბოსტნის მოვლა, ჭრა, კერვა, ქსოვა, უნარიანი, მშვიდი, დამყოლი და ხალისიანი ხარ, დროდადრო, მტრისა და მოყვრის გარჩევასაც ისწავლი. ისე გაიპარა დრო, რომ ვერც შევამჩნიე, როდის წამომეჩიტე... მთხოვნელები გამოჩნდნენ, აღარ გვასვენებენ. საუკეთესო გვინდა შენთვის, ჩვენში ასე ამბობენ, ქალი დროზე უნდა დაფრთიანდეს, იპოვოს თავისი ბუდე და სიყვარულიო. დროული ყველაფერი კარგია, პირველი შვილი ხარ და არაფერს მიგაკლებთ.

ხმაზე შევატყვე, დედა ტიროდა და თან მე მამხნევებდა, როგორც შეეძლო.

– ბიჭი ვინაა? – გაუბედავად ვიკითხე.

– ფუშრუკაულიდანაა, ცოტა უცნაური სახელი კი ჰქვია, მაგრამ გვიქეს. კარგი ოჯახიდანაა.

– რა დაარქვეს ასეთი?

– ბაბუას სახელი, ჯევდეთი.

– რა? – წამოვიძახე ჩემდაუნებურად, – ეს რა სახელია?

– დამისერიოზულდი აწი. – გამიწყრა დედა.

– ეს სახელი როგორ უნდა დავუძახო?! გამეორებაც მიჭირს...

– როცა შეგიყვარდება, სახელსაც იოლად იტყვი და მოეფერები კიდეც.

– დედა...

– ხო, კაი, კაი, გაგეხუმრე, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. შენზე რვა წლით უფროსია, გვარად ჯაიანია. ოშანახევიდან ფუშრუკაულში გათხოვება სახუმარო საქმე არ გეგონოს.

– რატომ ვითომ, რით სჯობია ჩემს სოფელს, აბა მითხარი?

– სადღაა სოფელი შვილო, გავთითოკაცავდით და დავიცალეთ.

– თუ მოვწონვარ, აქეთ წამომყვება საცხოვრებლად. – დავიმუქრე და ხასიათიც გამომიკეთდა.

– ქალაქში აპირებს საცხოვრებლად გადასვლას, 12 დედმამიშვილიდან მესამეა და გარიგებულია ოჯახთან. გვითხრეს, ბათუმში ოროთახიანი ბინა შეუძენია და ქორწილამდე რემონტსაც მორჩებაო.

– გამოდის, დედა, შენი უფროსი ქალიშვილი ქალაქელი გახდება? მერე იქ რა უნდა ვაკეთო?

– ოჯახში ქალს საქმე არასდროს გამოელევა, დაიმახსოვრე... – დედა დატუქსვაზე გადავიდა, – ბუნებით, ზარმაცი არ ხარ და დიასახლისობას იოლად შეძლებ. ჩვენი ტრადიციები იქაც გაგყვება, იცოდე და შეეცადე მოყვასი, მზრუნველი და მოკრძალებული იყო ყველასთან.

– გპირდები დედა.

იმ დღის შემდეგ, ნაცნობი სტუმრები კიდევ ერთხელ ეწვივნენ მამას, მცირე ხნით ჩამოჯდნენ, ისაუბრეს, წაუხემსეს, ყვავილები, ტკბილეულობა და საჩუქრები დატოვეს და ისე წავიდნენ, ჩემკენ არც შემოუხედავთ. არც მშობლებს უთქვამს ჩემთვის რაიმე. იცოდნენ, მათი ნების წინააღმდეგ არ წავიდოდი და მშვიდად იყვნენ.

ნახევარი თვის შემდეგ, დედამ ბათუმში, საყიდლებზე წამიყვანა, სკოლას ვამთავრებდი და გამოსაშვებ საღამოსთვის, ახალი ჩასაცმელები უნდა შემეძინა. გული არაფერზე დამწყვიტეს. რაც მოვისურვე, ყველაფერი მიყიდეს და მოსაღამოებულზე, როცა მზემ ნამეტნავად დაგვაცხუნა, კაფეში ნაყინის საჭმელად შევედით. იქ გავიცანი ჯევდეთი. მაშინ ეს შემთხვევით მოხდა მეგონა, როცა დავოჯახდით, მერე მიამბო, რა ოფლის ღვრის ფასად მოუხერხებია ყოველივე. მისიანებს ძალით შემოუგდიათ თურმე ჩემ გასაცნობად. შესახედად ჯმუხისა და უკარებას შთაბეჭდილებას ტოვებდა, თან მეტად მოუხერხებელი, ბენტურა და სასაცილო იყო. არ დამიჯერებთ და პირველივე დანახვისთანავე, რაღაც გრძნობა გამიჩნდა. არა, მოწონება-არმოწონებაზე არ ვამბობ, უბრალოდ, მის გვერდით ყოფნა მახალისებდა და თანდათან მიზიდავდა. უნდა გენახათ მისი გამომეტყველება, სიტყვას სიტყვაზე რომ ვერ აბამდა და ისეთ შთაბეჭდი-

ლებას ტოვებდა, თითქოს ენაბლუ იყო. ბუნებრივი სითბო გააჩნდა არაჩვეულებრივი და ეს ვიგრძენი გაცნობისთანავე. ეტყობოდა, დიდი მჭერმეტყველი არასოდეს ყოფილა. არც ცდილობდა ასეთად წარმოეჩინა თავი. რაც იყო, ის სავსებით აკმაყოფილებდა მას და როგორც მოგვიანებით გავათვითცნობიერე, მეც.

– მიირთვით ნაყინი, სანამ მთლიანად გამდნარა. – შევახსენე მაგიდასთან ჩამომჯდარ სასიძოს და ეს იყო ჩემი პირველი სიტყვები, რომელიც გაცნობისას ვუთხარი. იგი უხერხულად შეიშმუშნა და არაფერი უთქვამს, არც ჭამა დაუწყია. უბრალოდ, იჯდა და თავდახრილი მიყურებდა.

მეორეჯერ ჩემს ჯევდეთს სკოლის დამთავრების ბანკეტის შემდეგ შევხდი, ისიც ბათუმში. ესეც მშობლებთან წინასწარ ყოფილა შეთანხმებული.

– უკვე დროა, მარტოდ დარჩეთ და ერთმანეთი უკეთ გაიცნოთ, – შეგვაგულიანა ბიჭის მამიდამ და ჟიგულის კარები გამიღო, – ჩაჯექი, ამ დანდურამ რაღაც უნდა გაჩვენოს.

ისე ღელავდა, ძლივს დაძრა ადგილიდან მანქანა. კიდევ კარგი, ბევრი არ გვივლია, თორემ ფათერაკს გადავეყრებოდით. სტალინის ქუჩაზე, ოთხსართულიან სახლთან გავჩერდით. ჯევდეთი პირველი ჩამოვიდა, ჩემი კარი გააღო და ხელი გამომიწოდა. ამ დროს ძალიან სასაცილო კი იყო, მაგრამ შვენოდა სიტლანქე და მონდომება. განიერი კიბით მეორე სართულზე ავედით და ერთ კარებთან შევჩერდით.

– რემონტი ისევ მიდის, ხელოსნები მპირდებიან, სამ კვირაში დავამთავრებთო. დიდად, მაგათი არ მჯერა, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს. – მითხრა, კარები შეაღო და ოთახში შემიძღვა.

ნათელი ოთახები სხვადასხვა ფერზე, გემოვნებიანად იყო შეღებილი, სამზარეულოს, ეტყობოდა, მალე მორჩებოდნენ, აბაზანაში წვრილმანები, საძინებელში კედლებზე საღებავის მეორე პირის წასმა იყო დარჩენილი, თუ არ იზარმაცებდნენ, დათქმულ დროში უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ პირიანი მოხელე ვის უნახავს?

– როგორია? – დამორცხვებით მეუბნება ჯევდეთი, – თუ სურვილი ექნება, ეს ყველაფერი ჩემი ოჯახის მომავალი დიასახლისის კუთვნილება გახდება.

– შერჩეული გეყოლება? – ვკითხე და თვალებში ჩავხედე.

იმაზე უფრო მეტად დაიბნა, ვიდრე მოველოდი და სიცილი ვერ შევიკავე.

– არის ერთი გოგო. – ამოილუღლუღა და დადუმდა.

– მერე მასთან შეათანხმე, მე რას მეკითხები? – იმფერი საყვარელია, მინდა ერთხანს კიდევ ვაწვალო.

– კარგი, აუცილებლად... – ამბობს და თან, თითებს აწვალებს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მეუბნება, – ეს გოგო შენ ხარ...

– ეს ვიცი, ახალს მეტყოდი მეგონა რაიმეს...

უცებ გამოცოცხლდა, გაუბედავად მომიახლოვდა და მხრებში მომიმწყვდია. არ გავძალიანებივარ. ხატზე დაფიცება შემიძლია, სულ არ იცოდა კოცნა. არა და, ისე ვნებიანად და მონდომებული მომლოშნა, რომ ტუჩები და ცხვირი უმალ ამეწვა. ჩახუტებაში კი ხუთიანი, მგონი, ნახევარი საათი მაინც ვყავდი ჩაბღუჯული და როცა ხელი გამიშვა, ლამის წონასწორობა დავკარგე, ძლივს ვითქვამდი სულს. უსინდისო უნდა ვიყო, რომ ვთქვა, არ მესიამოვნაო. სხვა თუ არაფერი, პირველი კაცი იყო, ვინაც ასე ვნებიანად მაკოცა და მაგრძნობინა, რომ ქალი ვარ და მოფერების გემო გამასინჯა.

სექტემბრის ბოლოს ქორწილით წავყევი, კი მოინდომეს ახალმა მოყვრებმა, სკოლის დამთავრებითანავე გაგვატანეთ პატარძალი და ქორწილს, როცა იტყვით, მაშინ გადავიხადოთო, მაგრამ ჩემები გადაირივნენ, გათხოვილი ქალის ქორწილი ჩვენთან არ მოსულაო და თავისი გაიტანეს. ისე, წინააღმდეგობით, არც სასიძოს მხარეს გამოუდვია თავი, მაშინ ბავშვებს ერთმანეთის ნახვას ნუ დავუშლით და იყოს თქვენი ნებაო, შემოუთვლიათ.

უკვე 45 წელია ვუძლებთ ერთმანეთს, უფრო ის მიძლებს, რაც წლები მომემატა, ვატყობ, ნამ-

ეტანი ანჩხლი გავხდი, ინათიანი და როგორც თვითონ გაბრაზებული ხშირად მეუბნება, აუტანელი. რამდენჯერ ვუთხარი, თუ ამფერი არ მოგვწონვარ, აიღე შენი წილი მუგუზალი და სხვა კერიაში ააბდღვიალე ბუხარი მეთქი, მარა ეყურება რამე? შეჩვეული ჭირი მირჩევნია ისევეო, მეუბნება და ქე შევაბერდით ამასობაში ერთმანეთს. გავზარდეთ ექვსი ბაღვი, ორი ბიჭი და ოთხი გოგო, 14 ბადიში, სამი შვილთაშვილიც გვყავს. ერთი სიძე გასულ წელს დაგვაკლდა, ავარიამ იმსხვერპლა, დანარჩენები მხნედ და მარჯვედ არიან, ჯახირობენ და გააქვთ ჩვენსავით თავი ამ წუთისოფელში, ოდის კარები მუდამ ღიად აქვთ, სტუმარიც უხარიათ და სტუმრადაც მისვლა... – დაამთავრა ამბის მოყოლა მედეა ხოზრევანიძემ და კმაყოფილმა ახედა გაყურსულ მსმენელებს.

– მადლობის მეტი რა გვეთქმის მედეა ბებია, საოცარი ქალი ხართ. – შეაქო ქეთი დვალიშვილმა და გასარეცხი ყავის ფინჯნების შეგროვებას შეუდგა.

– ღმერთმა გაგაძლიეროს და დაგლოცოს. როგორ გაგვახალისეთ. – ენა ამოიდგა მაკა მაღლაკელიძემ და კედლის საათს გახედა.

– რამე ხომ არ გამოვტოვე? – მოულოდნელად ოთახში დირექტორის მოადგილე ემზარ შერიფაძე შემოვიდა და თავისი სტატუსიდან გამომდინარე, ხმას აუწია, – 15 ივლისი უქმედ გამოცხადდა და მე არ ვიცი, თუ რაშია საქმე? – იკითხა და პასუხს დაელოდა.

ენა არავის ამოუღია, ისე დაიწყეს ოთახიდან გაძურწვა.

– ახალი თანამშრომელი როგორია, გაიცანით, დაუმეგობრდით? – იკითხა მოულოდნელად ემზარმა და ოთახიდან გასულები, სათითაოდ უკან შემოაბრუნა.

– კარგი გოგო ჩანს, ახმედოვიჩ. – ყველას დაასწრო ნანული ბერიძემ.

– მე მომწონს. – მაია ხეცურიანი ძველ პოზიციაზეა.

– კარგი და ხალისიანი ჩანს, პუნქტუალური და ყურადღებიანი. – კოლეგებს ხმა შეაწია ნელი მანწკავამ.

– აწი და აწი უფრო დაგვიახლოვდება და ჩვენი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდება. – დაასკვნა ქეთი დვალიშვილმა.

ემზარს სიხარული დაეტყო სახეზე.

– ახლა ლარისა სადაა?

– მიმდინარე კვარტლის ანგარიშს ამზადებდა გუშინდელი შენიშვნების შემდეგ, კორექტირება შეაქვს. – მიუგო მაკა მაღლაკელიძემ.

– თუ რამე ვერ გაიგო, არ მოერიდოს, შემოვიდეს ჩემთან... – უთხრა თანამშრომლებს და თავის კაბინეტში შევიდა.

– დამთავრდა დიდი შესვენება, – თვალი ჩაუკრა გოგონებს ნელი მანწკავამ, – აბა თქვენ იცით, არ დამეკარგოთ.

* * *

ლარისამ ზაზას იოლად მიაგნო. კაცი სამუშაო ოთახში იჯდა და საბუთებში იყო ჩაფლული.

– შეიძლება? – შეღებულ კარიდან იკითხა ლარისამ.

– ჩემთან ხართ? – თავი წამოწია ზაზამ.

– მე სოფრომაძეს ვეძებ.

– მე ვარ, გისმენთ? – თქვა და ფეხზე წამოდგა, – მობრძანდით, – ოთახში შემოიპატიჟა ქალი, – უკაცრავად, თქვენ ვინ იქნებით?

– მე თქვენი ახალი თანამშრომელი ვარ ბუღალტერიიდან, ლალი ყურშუბაძე. – უთხრა და ხელი გაუწოდა.

– სასიამოვნოა ნებისმიერი სიახლე ამ ღვთის მიერ მიტოვებულ სამსახურში, – გულწრფელად მიუგო ზაზამ და ხელი ჩამოართვა, – გისმენთ, რისთვის შეწუხებულხართ?

– დოკუმენტებით, ერთკვირიან მივლინებაში იყავით თბილისში. სინამდვილეში, ათი დღე გამოგივიდათ, საბუთებია წესრიგში მოსაყვანი.

– საკითხი ხელმძღვანელობასთანაა შეთანხმებული, მათი დავალებით გამიგრძელდა მივლინება.

– ვიცი და ამიტომ, როცა მოიცლით, ჩამოდით ბუღალტერიაში ჩემთან და ეს ამბავი მოვაგვაროთ.

– დიდი სიამოვნებით.

– აბა ხელს არ შეგიშლით...

– ხვალ ათ საათზე თქვენთან ვარ.

– ყავას დაგახვედრებთ, იცოდეთ.

– მაშინ ტკბილეულობა ჩემზეა, უარი არ მიიღება.

– კარგი. – დაეთანხმა ლარისა და ასე დაშორდნენ ერთმანეთს. ზაზას ქალისთვის ხეირიანად არც შეუხედავს, უფრო საქმეზე ფიქრობდა, ვიდრე სტუმარზე. მივლინების შედეგებზე მოხსენებითი ბარათი უნდა დაეწერა, მომავალ კვირას, გამოფენისათვის დირექტორის მისასალმებელი სიტყვის ტექსტი ისე უნდა შეედგინა, რომ წამკითხველს ენა არ მოეტეხა და მთელი მისი ინტელექტუალური შესაძლებლობა, მოულოდნელად, დღის სინათლეზე არ გამოეტანა. ახალი ინვესტიციის მოძებნის პერსპექტივაზე პერსპექტიული წინადადებების და სავარაუდო შემოთავაზებების კლასიფიკაცია დროულად უნდა მოეხდინა და განსახილველად დირექტორთან წარედგინა. საქმეც ბლომად ჰქონდა, საფიქრალიც, მაგრამ თავმობმული მუშაობაც იცოდა, სიძნელეების არ ეშინოდა და შედეგსაც აღწევდა.

სახლში მისულმა აღმოაჩინა, რომ ლარისას ფბ-ზე მისთვის მეგობრობის თხოვნა გამოეგზავნა. თხოვნას დაეთანხმა და დამეგობრდნენ. მის გვერდზე შევიდა და სურათები დაათვალიერა. აქ უფრო უბრალო და უკეთესი ეჩვენა, ვიდრე სამსახურში. გემოვნებიანი სურათები ედო, ყველა სხვადასხვა სამოსში და ყოველთვის მარტო იყო. სახეც რაღაც არაამქვეყნიური ჰქონდა, ღია, გულწრფელი, ადამიანური და სევდაშეპარული, რომელიც შვენოდა და თავისებურ ეშხს მატებდა კიდეც. რამდენიმე სურათი ქალიშვილთან ჰქონდა გადაღებული. დედასავით ლამაზი ბავშვის გენში, მამის დამსახურება რამდენი პროცენტი გამოვიდოდა, მიახლოებითაც ვერ განსაზღვრავდი. შვილი დედის ანასხლეტი იყო, ოღონდ უფრო ღია და არა იმდენად შავტუხა, როგორც ლარისა. კაცებთან მარტო გადაღებული ერთი სურათიც ვერ იპოვა ზაზამ. გამოდის, ქალი გათხოვებაზე სერიოზულად ფიქრობს და თავის რეპუტაციას გამოკვეთილად უფრთხილდება, დაასკვნა ბოლოს.

– იცის თავის ფასი, ეს კარგია. – გაიფიქრა ზაზამ და აბაზანაში შევიდა. ხვალინდელ სამუშაო დღისთვის უნდა მომზადებულიყო.

მეორე დღეს ნაადრევად გამოვიდა სახლიდან და ნაცნობ საკონდიტრო საცხობში, რომელიც მეორე ქუჩის დასაწყისში მდებარეობდა და მყიდველებში კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, რამდენიმე ნამცხვარი შეიძინა, რომელიც პატარა, მუყაოს ყუთში ლამაზად ჩაუწყვეს და ფერადი ცელოფნით გამოატანეს. ათს ათი წუთი აკლდა, სამსახურში რომ მივიდა და პირდაპირ ბუღალტერიისკენ გაემართა. ბუღალტრის ოთახში მხოლოდ ლარისა დახვდა, კოხტად ჩაცმული და საოცრად მიმზიდველი.

– გამარჯობა ლარისა.

– გაგიმარჯოს ზაზა.

– ეს შენ, როგორც შეგპირდი. – ზაზამ ცელოფნის პარკი მიაწოდა ქალს და შვებით ამოისუნთქა.

– ამდენს ვინ მოერევა, რატომ დაიხარჯეთ? – გაიკვირვა ლარისამ და ცელოფანი მეორე მაგიდაზე გადადო. იქ უფრო მეტი სიხალვათე იყო და ალბათ, უფრო იმიტომ. – ყავას ორ წუთში მოვადუღებ, დამელოდე...

შემდეგ ყავის ელექტრომადუღარა აიღო და ნაცნობ მაგიდასთან მივიდა.

– შაქრით თუ უშაქროდ? – იკითხა.

– მე მხოლოდ უშაქრო.

– ორი უშაქრო ყავა. კარგი, ბატონო, დაკვეთა მიღებულია... – ჩაილაპარაკა და საქმეს შეუდგა. ორ ფინჯან წყალს ორი კოვზი არომატული ყავა შეამატა, პლასტმასის კოვზით მოურია და მადუღარა შტეფცელში შეაერთა.

– მე საჭირო საბუთები შევაგროვე, თქვენ შეავსეთ და თუ სადმე აუცილებელი დარჩება, შესწორებები შეიტანეთ, მინდა ციფრებს ყურადღებით დააკვირდეთ, რამე უზუსტობა არ გაგვეპაროს... – უთხრა ზაზას და საქმიანი ქაღალდები მიაწოდა.

ამასობაში მადუღარაც აშიშინდა და ლარისამ ქსელიდან გამორთო, ორ ფინჯანში თანას-

წორად გადაანაწილა მადის ამღძვრელი სითხე და გვერდით თეფშზე დალაგებული ნამცხვრები მიუდგა. – შეგვერგოს...

– აუცილებლად... – სულ უთქმელობას, რაღაცის თქმა ამჯობინა ზაზამ და ფინჯანი პირთან მიიტანა.

– არ იჩქაროთ, მდუღარეა, ცოტა ხანი ადროვეთ, გაგრილდება.

ზაზა ყავის დიდი მოყვარული არაა, უბრალოდ, მორცხვი ხასიათის გამო, უარი ვერ უთხრა ლარისას და ჩაიგდო თავი ხათაბალაში.

– ნამცხვარს რატომ არ მიირთმევთ? – ლარისას თეფშისკენ მიანიშნებს და უხერხულად იშმუშნება, რაკი ერთ ნაჭერს უკვე გამოუღო წირვა, ქალს კი ტკბილეული ჯერაც არ გადაეღო.

– დაგეწევი და გაგასწრებ კიდეც, მიყვარს ნამცხვრები... – დაამშვიდა ლარისამ და ერთჯერად თეფშზე ყველაზე დიდი ნაჭერი გადაიღო, – ბარი ბარში ვართ? – ზაზას ახედა.

ზაზამ თავი დაუქნია და შეგრილებული ყავა მოსვა.

იმ დღიდან მოყოლებული, რაღაც უჩვეულო ინტერესს გრძნობდა ლარისასადმი. ბუნებით დინჯი და გათანასწორებული ზაზა მოუსვენარი და ტანში ბუზანკალშემძვრალივით ცქმუტავდა და ერთ ადგილზე გაჩერება უჭირდა. ზოგჯერ საქმესაც ვერ უდებდა გულს და თავს რომ ვერ ერეოდა, ამაზე შემდეგ ძალიან წუხდა. ზაზას სიყმაწვილის ასაკი თაროზე კაი ხანია შემოედო. ორმოცს გადაშორებული, სოლიდური თანამშრომლის სახელი ჰქონდა კოლექტივში და სათანადო ავტორიტეტითაც სარგებლობდა, რაც ჩვენს დროში, პატარა საქმე სულაც არ იყო. საკუთარი ოროთახიანი ბინა ქალაქის ცენტრში, შემოსავლიანი სამსახური, კარგი სანათესაო წრე, ჯანიანი და შეძლებული მშობლები, სოფელი, აგარაკი, მერსედესი... ერთი სიტყვით, არაფერი დაეწუნებოდა. წესით, სასურველი საsიძო უნდა ყოფილიყო, მაგრამ სხვის გულს რას გაუგებ, ხან რა დაუწუნა ერთს, ხან რა მეორეს, მესამემ ჩვენი ყაძახი დააიგნორა, სიმპატიურია, მაგრამ მელოტი და ლურჯთვალებაა. ჰოდა, ასე გაილია წლები, რომელიც ახლაც ჩვეული ტემპით მიიჩქარის. დროთა განმავლობაში, ზაზას ასაკი და ხელფასი მოემატა, მის სამეგობროს, შვილები და ოჯახური ბედნიერება. ასე ჩაიკეტა ჯადოსნურ წრეში და გამოსავალს ვერ პოულობს. ამ დროს გამოჩნდა ლარისა, რომელმაც უჩვეულოდ გამოაცოცხლა ზაზა და ცხოვრების ხალისი შემატა. ბოლო დღეებში აშკარად იგრძნო, რომ თუ ლარისას ვერ დაინახავდა ან ვერ დაელაპარაკებოდა, ვერაფერს უდებდა გულს. ბავშვივით ცქმუტავდა და ცნობისმოყვარეობას, ქალის ფბ გვერდზე შესვლით და სურათების დათვალიერებით იკმაყოფილებდა. იცოცხლე, ყველა ახალ სურათზე მეტად მოზომილ კომენტარს უწერდა. იმდენი ჭკუა კი ჰქონდა, გასათხოვი გოგოს გულის გასახარად რა დაეწერა, მიხვედრილიყო, მაგრამ ფილოლოგი ნამდვილად არ იყო, ყოველთვის საჭირო სიტყვები საჭირო დროს ამოტივტივებოდა გონებაში. ერთი უბრალო, შეყვარებული მათემატიკოსი იყო, კარგი განათლებით და კიდევ უფრო უკეთესი აღზრდით. ლარისა სურათების გადაღების დიდი მოყვარული აღმოჩნდა, დღე ისე არ გავიდოდა, ორი-სამი ახალი ფოტო არ დაედო თავის გვერდზე, ბევრი თანამშრომელი მასთან გადაღებული სურათებიდან გაიხსენა ზაზამ, თორემ მათ სამსახურში იშვიათად ხედავდა. ზაზას კომენტარებსაც ლარისა, მადლობის ნიშნად, ჰემოგლობინმომატებული გულებით უწონებდა და საბრალო რომეოს სიცოცხლეს ახალ მუხტს ჰმატებდა.

პირისპირ, რამდენჯერაც შეხვდებოდა დერეფანში, გული ამოვარდნას ჰქონდა, თავს მომენტალურად დახრიდა და სახეზე ფერი ეკარგებოდა. თქმითაც ვერაფერს ეუბნებოდა, პაემანზე წაყვანა ხომ ფიქრადაც არ მოსდიოდა, უარი რომ მითხრას და მთლად დამეკარგოსო, უფრო ამის შიშით. არადა, ეცადა მაინც, ვინ იცის, რა გამოვიდოდა. ისე, გამარჯობას არ უძვირებდნენ ერთმანეთს. გამოკვეთილად, გოგო გამოირჩეოდა მომეტებული თავაზიანობით და გულისხმიერებით. ეტყობა ასეთი დამოკიდებულება კოლე-

გების მიმართ, ჩვევაში ჰქონდა გადაზრდილი. მისალმებას ყოველთვის ასწრებდა დაბნეულ ზაზას. ისიც, ლარისას დანახვით გახარებული, სიხარული არ დამეტყოსო, ძალით ისერიოზულებდა თავს და კუშტი გამომეტყველებით, ან თავს დაუქნევდა, ან ძლივს გასაგონად მიესალმებოდა სახეგაღიმილებულ ლარისას.

* * *

მთავარი ბუღალტრის მოადგილე, ოთხმოცწელს მიტანებული ელპიტე ქურიძე პენსიაში გადისო, ხმა ელვის სისწრაფით გავრცელდა სამსახურში და უკმაყოფილო არავინ დაუტოვებია. ის კი არა და, ისეთებიც აღმოჩნდნენ, ქალბატონი ელპიტე საერთოდ რომ ვერ გაიხსენეს, მართალია, ბოლო ხუთი წელია, სამსახურში თვალითაც არავის უნახავს, გადაადგილება უჭირდა, სახსრების დაავადებამ შეაწუხა და ლოგინს მიაჯაჭვა, მაგრამ საშტატო გრაფიკში მუდამ თვალსაჩინო ადგილს იკავებდა ყოვლისშემძლე პატრონების შემწეობით. ზენორმატიული სამუშაოების შესრულების გამო, რეგულარულად იღებდა პრემიებს, ბონუსებს და მადლობის ბარათებს. ახლა რა ხდებოდა, ვერავინ ხსნიდა. ლოგიკური მსჯელობით, ან მის მფარველებს შეექმნათ პრობლემები, ან სინდისმა გაიღვიძა მათში და მოხუცის ფორმალურ დასაქმებას წერტილი დაუსვეს. ასეა თუ ისე, ელექტრონული ფოსტით მიღებულ განცხადებაში, ქალბატონი ელპიტე მადლობას უხდიდა მშობლიურ კოლექტივს, კეთილად იხსენებდა მათთან გატარებულ ნაყოფიერი წლებს და სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ დრო არ ეყო და ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების სრულყოფილად რეალიზება. მომავალი თვიდან ემშვიდობებოდა მშობლიურ სამსახურს და ახლო მომავალში გამოსათხოვარი საღამოს მოწყობის იმედს იტოვებდა.

– ამ დღეს მოვესწარით და მაგი რა სალაპარაკოა, – ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე განაცხადა დირექტორის მოადგილემ ემზარ შერიფაძემ და ზაზას ღონისძიების თავიკაცობა შესთავაზა, – არ დაგვაღალატო, აბა, შენ იცი...

– საკითხს შევისწავლი, დავაკონკრეტებ და მოგახსენებთ... – დაეთანხმა ზაზა და ფურცელში რაღაც ჩაინიშნა.

– სანამ ამ კვირაში გასავლელ საკითხებზე ვისაუბრებთ, ერთი სასიხარულო ამბავი მინდა გაცნობოთ. მიღებულია გადაწყვეტილება და მთავარი ბუღალტრის მოადგილის პოსტს ქალბატონი ლარისა ყურშუბაძე დაიკავებს. განსხვავებულ მოსაზრებასაც მოვისმენ, თუ ასეთი იქნება... – ორაზროვნად დაამთავრა თავისი სიტყვა ემზარმა და მაგიდის ირგვლივ შეკრებილებს გადახედა. ვინ რისი მთქმელი იყო, კარგად იცოდა და სრული მხარდაჭერა არ გაკვირვებია. ოვაციები, ტაში, მილოცვები... გაკვირვებული და გახარებული ლარისა ყურებს არ უჯერებდა. იჯდა სკამზე და მილოცვებს იღებდა.

– დიდი მადლობა, შევეცდები, ნდობა გავამართლო. – თქვა ბოლოს.

– ერთი თაიგული და ორი ბოთლი შამპანური დაგვხატავდა, შევრცხვით კაცები. – შეწუხდა ოფის მენეჯერი ჯანო ლორთქიფანიძე.

– ყველაფერი მოესწრება, რას ჰქვია, გვიანაა... – ხმა აიმაღლა ზაზამ, – რამდენიმე წუთით დაგტოვებთ.

– მიდი. – ნება დართო ემზარმა.

ჯანო და ზაზა ერთად გავიდნენ ოთახიდან.

ნახევარი საათის შემდეგ, გემოვნებით მოწყობილ საკონფერენციო დარბაზში ხალისიანი განწყობა სუფევდა.

– ორშაბათს უცხოელები გვეწვევიან, ჩემ გვერდით იყავი დილიდან, – გააფრთხილა ემზარმა ზაზა, – ხომ იცი, დირექტორი თუ გავხდი, მოადგილეობა განაღდებული გაქვს. შეეცადე, დღეს არ დათვრე...

– საერთოთ ვერ ვსვამ...

– რატომ?

– არ მთხოვს ორგანიზმი.

– ყურშუბაძის ქალზე რას ამბობს შენი ორგანიზმი? – გაეხუმრა ემზარი.

ზაზას შერცხვა და თავი დაღუნა.

– რა გემართება, შემომხედე და ჭიქა აიღე! ასე, ყოჩაღ, ახლა ლარისასთან მივიდეთ და დავლოცოთ.

ძალით წააჩანჩალა ლარისასთან ზაზა. ლარისა მაგიდასთან იდგა, თაიგული ეჭირა ხელში, მილოცვებს იღებდა, თან ნელი მანწკავასთან და მაკა მაღლაკელიძესთან ერთად სამახსოვრო ფოტოებს იღებდა.

– ჩვენი სამსახურის განუმეორებელ ლამაზმანებს გაუმარჯოს. – ემზარმა ბოკალი მაღლა ასწია და შამპანურის რამდენიმე ყლუპი მოსვა.

– გილოცავ ლარისა, წარმატებები... – ზაზამ ლარისას ჭიქა მიუჭახუნა და პირთან მიიტანა.

– სანახევროდ არა, ბოლომდე... დღეს ჩემი სადღეგრძელო ბოლომდე ისმება... – ბრძანებლური ტონი დაეტყო მთავარი ბუღალტრის ახალ მოადგილეს, – ყველამ გაიგოს, დღეს შეღავათები არავისზე ვრცელდება, – დაამატა ბოლოს.

– მე წნევა მაწუხებს და მეპატიება. – თავი შეაცოდა დომენტი მაქაცარიამ და მელოტ თავზე ცხვირსახოცი დაიფარა, ყბაში კი ტორტის მოზრდილი ნაჭერი გადამალა.

ლარისამ დომენტი დაინდო და არაფერი უთხრა.

– ესენი სად მიიპარებიან? არ გინდათ ჩემთან სურათის გადაღება? – ემზარის და ზაზას მიმართა ლარისამ.

– თუ გვიკადრებთ, დიდი სიამოვნებით. – ყაბულსაა ემზარი.

– როცა გთხოვენ, რა გაეწყობა. – ზაზაც ემზარის გვერდითაა.

ფოტოგრაფობა მაია ხეცურიანმა ითავა, სურათებს მესენჯერში სათითაოდ ჩაგიყრითო, ისიც შეჰპირდა.

მოგვიანებით, ემზარმა ზაზა თავისთან იხმო და საქაღალდე გადასცა.

– გაეცანი და მეც გამაგებინე, თუ კაცი ხარ, რას გვერჩის, რა უნდა?

– კარგი.

სამუშაო ოთახში დაბრუნებულმა, საქაღალდე გვერდზე გადადო და კომპიუტერში ფბ-ი გახსნა, რომელიც ლარისას სურათებით და მილოცვებით იყო აჭრელებული. რამდენიმე სურათზე ისეთი თბილი და ამაჩუყებელი კომენტარი დაუტოვა, რომ ლარისას უსათუოდ უნდა მოწონებოდა და მისგან ტრადიციულ შეფასებას – გულებს დაელოდა.

ნასიამოვნებმა და კმაყოფილმა დაიძინა იმ ღამეს ზაზამ. სიზმარშიც ლარისა ნახა, პიონერთა პარკის ტბაში, ერთ მანეთად დაქირავებულ ნავში ერთად ისხდნენ და ერთმანეთის ცქერით ტკბებოდნენ.

მეორე დღე შაბათი იყო და გვიან გაიღვიძა. რამდენიმე ჭიქა ალკოჰოლი მიიღო გუშინ და დღეს უკვე ჭკვიანი თავი სტკიოდა. ასპირინმა უშველა, შეღავათი მისცა. ჯერ ივარჯიშა, შემდეგ მსუბუქად წაიხემსა. ნოუთბუქი მოგვიანებით გაახსენდა და გახსნა. რესპუბლიკის ახალ ამბებს, კრიმინალურ ქრონიკას, სტიქიის დაუნდობლობას, სპორტის სიახლეებს გაეცნო. დივანიდან წამოდგა და მწვანე ჩაი მოიმზადა მოზრდილ ფინჯანში. დილაობით ან უშაქრო ყავას, ან უშაქრო მწვანე ჩაის მიირთმევდა ხასიათზე მოსაყვანად. ტრადიცია არც დღეს დაარღვია. ყლუპ-ყლუპობით სვამს სიცოცხლის გამახანგრძლივებელ სითხეს და სიმშვიდე ეუფლება. თორმეტი სრულდება, გარეთ მზიანი ამინდია, ღრუბლის ნაფლეთიც არ ჩანს ცაზე. შუადღეზე სოფელში ავალ, მშობლებს გადავხედავ. – გაიფიქრა ზაზამ. – ნახევარი თვეა, არ მინახავს, ამავსებენ ახლა საყვედურებით და საცოლის მორიგ კანდიდატურასაც დამახვედრებენ, მათი ამბავი რომ ვიცი...

კარზე ზარის ხმა გაისმა. მეხუთე სართულის მეზობელი იყო, ანტონოვნა გარდაიცვალა და სადილისთვის ათ ლარს ვაგროვებთ, დაკრძალვისთვის რამდენსაც ისურვებთო. ლუდმილა ანტონოვნა საქართველოში მივლინებული რუსი ოფიცრის ქვრივი გახლდათ, მისი მეუღლე თადარიგის ოფიცერი გრიგოლ გავრილოვი სამხედრო წვრთნისას, ორმოცი წლის ასაკში დაიღ-

უპა, აქვე დაკრძალეს. მისიანი არავინ ჰყავდა და ქართველმა მეზობლებმა, განსაკუთრებით, გაიოზ შეყრილაძემ, შეუმსუბუქეს ტკივილი და გულის დარდი დაქვრივებულ ლიუდმილას. მერე, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, ერთადერთი ქალიშვილი დაუბრუნდა დედა სამშობლოს, ლიუდმილამ კი არ ისურვა, ჩემი გრიშა, ჩემი ერთადერთი სიყვარული აქ მყავს და ვერ მივატოვებო. თან ქართველებმა იმხელა სითბო და სიყვარული მაგრძნობინეს, რომ გაყინულ რუსეთში წამსვლელი აღარ ვარო და დარჩენილა შავიზღვისპირა ქალაქში. სანამ შეეძლო, უვლიდა მეუღლის საფლავს, აქონდა ცოცხალი ყვავილები, არ ეხერხებოდა ტირილი, მაგრამ როგორც შეეძლო, ისე გლოვობდა. ცრემლიანი თვალებით უყურებდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა მეუღლის გახუნებაშეპარულ სურათს და თავისთვის, ჩუმად ოხრავდა. გუშინ გარდასახულა მარადიულობაში ლუდმილა. ანდერძით, ოროთახიანი ბინა ქართველი შვილობილისთვის, მეხუთე სართულის მეზობლისთვის დაუტოვებია, რომელიც შეძლებისდაგვარად უვლიდა მოხუცს. ზაზამ ოცდაათი ლარი მიაწოდა, მეზობელმა კი მთელი გულით დაპატიჟა ქელეხზე, სიაში მყავხარ და გელოდები აუცილებლადო, უთხრა. ზაზა შეჰპირდა, შევეცდებიო და კარი მიხურა.

ლარისა გაახსენდა. ყვავილები გუშინ მიართვა, შეატყო, მოეწონა. რომ დავამახსოვრდე და გავახარო, ისეთი რა ვაჩუქოო, ჩაფიქრდა. თავიც შეანჯღრია, ვერაფერი მოიფიქრა, იდეებმა გაწირეს და მიატოვეს უკანმოუხედავად. სარკეში ჩაიხედა, ძლივს შემორჩენილი, ისიც აბურძგნული თმით კვაზიმოდოს უფრო ჰგავდა, ვიდრე გულისწორზე მეოცნებე რაინდს. სავარცხელი მოძებნა და რისი გამოსწორებაც მოხერხდებოდა, გამოასწორა. ახლა სარკიდან თმადავარცხნილი კვაზიმოდო იყურებოდა – შეუხედავი და გულდამწვარი.

ალკორიუმში ან სმაგლერსში შევირბენ და კარგ უცხოურ დასალევს ავარჩევ. – გაიფიქრა ზაზამ და ეს იდეა იმდენად მოეწონა, რომ საჩქაროდ პიჯაკს წამოავლო ხელი, მანქანის გასაღები აიღო და ქუჩაში გავარდა. გორკის კვეთაში მდებარე სმაგლერსის სპირტიანი სასმელების საფირმო მაღაზიაში შევიდა. ახალგაზრდა გამყიდველი გოგონა უმალ ფეხზე წამოდგა და შეეგება.

– სასმელების ახალი პარტია გუშინ მივიღეთ, გვაქვს სოლიდური ფასდაკლება გარკვეულ ბრენდებზე, თქვენ რომელი გსურთ: ვისკი, ჯინი, რომელსაც საჩუქრად ტონიკი მოყვება, ლიქიორი, კონიაკი, რომი, ბურბონი თუ უცხოური არაყი...

– ერთი წარმატებული ქალისთვის რას გვირჩევდით?

– ქალი თუა, უფრო ლიქიორს, ლიქიორების დიდი არჩევანი გვაქვს, ამ თაროზე აწყვია და დაათვალიერეთ... – დააკვალიანა სმაგლერსის წარმომადგენელმა ზაზა და ალკოჰოლურ სასმელებთან მარტო დატოვა.

ზაზამ იტალიური ფირმა „ლუქსარდოს“ შოკოლადის ლიქიორი აირჩია და შეიძინა. მაღაზიის ბრენდულ პატარა მუყაოს ყუთში ჩაუდეს და გამოატანეს.

– სამსახურში მისვლისთანავე ვაჩუქებ... – ჩაილაპარაკა თავისთვის კმაყოფილმა ზაზამ, მანქანა ადგილიდან დაძრა და მაგნიტოფონი ჩართო.

* * *

სოფლიდან გვიან ღამით დაბრუნდა. დედას ათასი რამ ჩაეწყო დაწნულ კალათაში. ხვნეშა-ხვნეშით მიიტანა ლიფტიდან ოთახამდე, ისე ემძიმა, სული ძლივს მოითქვა. ტანზეგაუხდელად დივანზე წამოიშხლართა და შვება იგრძნო. მერე ჩაეძინა და გამთენიოს გაახილა თვალები. კი ეხამუშა, საგარეო ტანსაცმელი რომ ეცვა, მაგრამ რას იზამდა, წამოდგა, გამოიცვალა და საძინებელ ოთახში შევიდა. მსუბუქად, სპორტულად ჩაიცვა. აივანზე გავიდა სავარჯიშოდ, მაგრამ რამდენიმე ბუქნის შემდეგ, ვარჯიშიც დაეზარა და ოთახში შებრუნდა, ტელევიზორი

ჩართო და რომელიღაც ქართულ არხზე საინფორმაციო გამოშვების დასასრულს მიუსწრო.

მობილურზე ემზარი შეეხმიანა და ორშაბათს, უცხოელი სტუმრების თაობაზე ელაპარაკა. ქიშვარდი კახიძემაც მოიკითხა და ახალი საბურავების შესაძენად დირექტორის მოადგილესთან შემაწიე სიტყვაო, სთხოვა. თანაკლასელმა ხასან მაკარაძემ საღამოს, შვიდზე ხინკალზე დაპატიჟა. „სასტავი“ ვიკრიბებით და გელოდებითო.

გაახსენდა, დღეს ხემსი არ ჩაედო პირში. სოფლიდან ჩამოტანილ, მოხარშულ დედალს ბარკალი ააცალა, ორი ნაჭერი პური ტოსტერში გაახუხუნა, უშაქრო ყავა აიდუღა და სამხრობას შეუდგა. ვერ შეუწყო ხელი დიეტას. საათების მიხედვით ვერ იკვება, სირბილის დროს ვერ ირბინა. წინა თვეს, დაკლების ნაცვლად, ექვსი კილო მოიმატა და ხელიც ჩაიქნია.

ნოუთბუქში შუადღისას შევიდა და ლარისას სურათების ვერნისაჟი დახვდა. უამრავი სიცილაკით, გიფით, სტიკერით, კომენტარით და მოწონებით. ვის და რას არ ადარებდნენ, ეფერებოდნენ, აქებდნენ, ეპირფერებოდნენ, წარმატებას უსურვებდნენ. და ისიც, კმაყოფილი ადრესატი, სანაცვლოდ, უხვად არიგებდა მადლობებს, ძირითადად სხვადასხვა ფერის გულებს.

ზაზამ თავის რამდენიმე კომენტარზე ლარისას შეფასება მოძებნა და სახტად დარჩა. მის ზევით და ქვევით, ყველა კომენტარს წითელი გულები ამშვენებდა, მისას კი – მხოლოდ ცისფერი ცერა თითი. ქიშვარდი კახიძე, დომენტი მაქაცარია და ნაბოზვარი ქეთი დვალიშვილი რომ გაჯობებს, კი უნდა მოკაკვო თითი, ჩაღუნო თავი და გახვიდე სცენიდან. – დაასკვნა ზაზამ და ლოყაზე ჩამოწოლილი მოზრდილი კურცხალი გადაყლაპა.

იმ ღამის გადატანა ძალიან გაუჭირდა, თვალი ვერ მოხუჭა, შინაგანად ღრნიდა და ანადგურებდა იმის განცდა, რომ მისთვის ძვირფასმა და საყვარელმა ადამიანმა ასე გაიმეტა და დაამცირა. ღმერთი მაღალია, ყველაფერს ხედავს, არ გამწირავს. – ნირწამხდარმა გაიფიქრა და თავი ბალიშში ჩარგო.

დილით სამსახურში გამოფიტული და ენერგიადაცლილი მივიდა. თავდაღუნული ადიოდა კიბეზე, როცა ლარისა შეეფეთა.

– ხომ მშვიდობა გაქვს, ფერი არ გადევს სახეზე. მოხდა რამე?

ზაზამ უენოდ აუარა გვერდი ქალს და გზა განაგრძო.

– სოფრომაძე, ვერ გავიგე? – ლარისა გაოცებული დარჩა. გაბრაზებით მერე გაბრაზდა, როცა ზაზა თვალს მიეფარა.

– რა ბზიკმა უკბინა, ნეტა მაცოდინა...

ზაზა ზევით აუყვა კიბეებს, ლარისა მეორე სართულზე დარჩა. თანამშრომელთა ნაკადი სამ სართულზე, მიზანმიმართულად გადანაწილდა. ისე, როგორც გზაჯვარედინზე, ყველა თავისი გზით წავიდა.

გზაჯვარედინზე ხომ გზები ყოველთვის იყოფა...

გიორგი ტუღუში

* * *

ისტორია ღმერთის ნიღაბია,
რომლის მიღმაც მბორგავი უფალი იბრძვის,
უსასრულოდ, წამდაუწუმ კვდება და კვლავაც კიაფობს.
ჩვენ კი ამ ქარბორბალური ნიღბის უსახელო მსხვერპლები ვართ.
ვის გახსენებია საღებავი, რომლითაც ეპოქალური პიროვნებების
ნიღბები შეიღება, ყველა ხომ ნიღბების მფლობელებს შეჰნატრის.
პოეტები ხედავენ ღმერთის ხილვებს, ხოლო მეცნიერები
ხორცს ასხამენ მათ, რათა საბოლოოდ ამ ხილვებმავე
შთანთქოს სინი.

ოქტომბრის ერთ გრილ და შეყვითლებულ დღეს აივანზე ვიყავი გასული და გვერდითა აივნიდან ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის, ჟან-პოლ სარტრის ასევე საქვეყნოდ ცნობილ რომან „გულისრე-ვიდან“ მხიარული მუსიკა შემომესმა. მაშინვე გავიფიქრე: „ალბათ, მანაც წაიკითხა „გულისრევა“ და ახლა სარტრის მუსიკალური გემოვნება აინტერესებს“.

უფალო, ნუთუ შენც ასეთი მოსაწყენი ხარ, მსგავსად შენი ხატებებისა?

თუ არა და, რაღატომ გვსჯი უფანტაზიობისთვის და ცხოვრებას ჯოჯოხეთად გვიქცევ ხოლმე?

01.10.2024

ნუ მთხოვთ

ნუ მთხოვთ ვაძაგო
ნაზი აზია,
ან დასავლეთი
ვაქო, ვადიდო,
ჩემი ვედრება
და პოეზია
ღამით საფიქრალს
რომ მოვარიდო.

ნუ მთხოვთ განვავრცო
პოლითეიზმი,
ან კიდევ რომი
და ევრაზია,
მე ხომ სულქორფა
პოეზიისთვის
შეუცნობელში
მიმომივლია.
იმ სითეთრესაც
გემო გავუგო,
ნამქერის შეთეთრებას
რომ ახლავს,
რომელმაც უკვე
ძეგლი აგვიგო,
სენტიმენტები
შემოგეყალბათ.
და ვხედავ შვილებს
ჩემს ობელისკთან,
ახალი ხედვის
ცეცხლის თვალებით,
ზამთარი ტყეებს
რომ შეენისლა,
გარდავიცვალე
ფოლიანტებით.
ნუ მთხოვთ
ვაძაგო კაკაფონია,
ან სიჩუმეში
გავისიზიფო,
რთველი მოდის
და მარიამობამ
ყოველი დარდი
გადამისხვისოს!
პარამ პარამ,
პარამ, პარამპამპამ,
ეჰ, მოგონება
გადიარდესო,
სიცოცხლე
იყოს პერიპეტია,
სიბნელე ააიამაისოს.

02.10.2024

მერე რაა, რომ ყველაფერი ჩვენამდე იყო

მე გაურკვეველ მისადგომებთან
ყოფიერების
გამოვიზამთრე და ამერია ცნობიერება.
ყოფიერება, ცნობიერება და ეს ცნებები
არაფერია „უსასრულო“ სიზმრის მორევთან,
რომელსაც პირველად
დაარქვეს სიცოცხლე
და არავის უკითხია, რა იყო სიცოცხლემდე.
ნუთუ უნდა დავიჯერო, რომ ჩვენი ბოლო
შეხვედრით მოგვრილი კანკალი მანამდე
არ არსებობდა და ჩვენ
ვიყავით სიყვარულის
პიონერები? მაშინ ჩვენ ვყოფილვართ ღმერთებიც.
მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი უკვე იყო
და ამ გულების უშორესი კვანტური ტრფიალება
ადრეც შეამკეს ლექსებითა და გვირგვინებით.
იმის თქმა მინდა,
ჩემო თავგზააბნეულო,
რომ რადგანაც ყველაფერი ჩვენამდე იყო,
ახლა მე უნდა დავწერო ლექსი,
რომელიც ამ მართლაც
თანდაყოლილ სიბილწეს გააქალდეურებს.
ჰოდა, აჰა, შენ, მეტად მცირე, კვირტიკო
და ამავდროულად დიდი პოეზია:
მე ხომ მაინც ჩემებურად მიყვარხარ,
მერე რაა, რომ ყველაფერი ჩვენამდე იყო.

03.09.2024

სიზმარიანელობა

გამომწყვდეულს ერთი პატარა
კაცის სიზმარში,
თავადაც მეწვია სიზმარი
და მასშიაც გაჰკიოდნენ
გამომწყვდეულნი, ძირს ცოცხლები,
გაუმარჯოთ
სიზმარიანელებსო.
ვინც გაჰკივის, იგი იმარჯვებსო.

ჰოდა, ქარში ვიდოდი ხევისფერ უდაბნოებში,
მწვანე ქვიშებითა და ქვიშისმიერი მდელოებით.
ვიდოდი და მფარველობდა ის,
ვინც ყველაზე
ხმამაღლა და ყველაზე მეტჯერ იკივლა.
მე კი ვდუმდი და მწვანე ქვიშების შრიალი
მუქარანარევი
აშრიალებით ჩამჩურჩულებდა,
რომ ყოველივე გათავდა
და რომ მალე მეც
უდაბნოურ სიმწვანედ ვიქცევი,
გაიცა განკარგულება.
თუმცა მაინც არ ვჩერდებოდი,
რადგან შენ მეფიქრებოდი
და ამ სევდისმიერი ფიქრის
უძლეველობის დასაძლევად
უხმოდ მივჰქროდი და მინდოდა
მოღალულობის ტკივილს
სულის ბოლო განცდა,
მისი ბოლო ახირება დაეძლია.
რომ თავი დამეღწია სიზმრისთვის
და გარდავცვლილიყავი,
მაგრამ ჩემივე ნაზმანევის
მკვიდრი ძილში მომეპარა
და სამუდამოდ დამაძინა,
რომ არასდროს გამომეღვიძა
და ისიც მარადის ერთ უსასრულო
ნაზმანევში გამოიკეტა.
ჩემივე ნეირონთა პირმშოზე
არც კი გავბრაზებულვარ,
რადგანაც ვიცოდი,
რომ ისიც გადარჩენისთვის იბრძოდა,
ისევე როგორც მე და დაუსაბამო ჩემნაირი.
მერე რაა, რომ ზოგს მარადისობაში
უნდოდა დარჩენა, ზოგსაც კი მის მიღმა.
ეჰ, რა ცხოვრება დადგა,
თავის მოკვლის შესაძლებლობაც წაგვართვეს.
სიზმრის ბოლო ხეივანში მენდობი,
მე კი სადღაც სიზმარივით გავქრები,
ქარიშხალი უკვე ასჯერ მეომა,
შენ რა იცი სიზმარიანელობა.

03.09.2024

ოთარ ჭილაძე და ტოტოჩავა

(დიდი ხალხის ხსოვნას)

ერთი მიამბე,
ჩემო ძმობილო,
ბათუმი მუდამ
ასეთი იყო,
ცათამბჯენებით
შემოალყული,
რომელიც ლამის
ცად აიზიდოს?!
მე მოგიყვები
ბათუმურ ამბებს,
სანამ გურიკო
„პივაზე“ ჩავა,
ერთ დროს ლექსებით
ამკობდნენ ქალაქს
დიდი ჭილაძე
და ტოტოჩავა.
გაუწყლიანდა
მოგვურ თვალები,
სული ზეცისკენ
მფრინავმავალი,
შეფიქრიანდა
და მერე მითხრა:
მაშინ უფრორე
იყო მაღალი.
მე კი გადმოვდექ
აივანზედა,
გადამირბინა მთელმა
ბავშვობამ,
ოქტომბრის ბოლოს
ღრეობდა თოვლი,
მონატრებული
ნამქერობანა.
და ცრემლი ჩემი
ზღვისეულ ცრემლებს
სულის ცახცახით
შემოეთრთვილა,
ცივ ცრემლად იქცა
მთელი ქვეყანა,

ღამე ოქტომბრით
შემომეღრინა.
როცა პოეტი
დარდით მოკვდება,
არ გაისროლოთ
არც ერთი ტყვია,
მის მტერს რომ
ჰკლავდნენ ხოდაბუნები,
მზიურ ქაოსებს
შემოექიმა.
აქეთ მალარმე,
ლორკა და ბრეხტი,
იქით რემბო
და აპოლინერი,
პოეტი როცა
ქალაქში კვდება,
რევოლუციად
გარდაიქმენით!
უკვე მიამბე,
ვინც გაგაწამა,
შლეგასულს რატომ
მივენდოთ კვლავაც?!
აქ ხომ ლექსებით
შემოგვეცალა
ოთარ ჭილაძე
და ტოტოჩავა.

29.09.2024

ციცინო გრიტიაშვილი

სამოვარი

ეძღვნება **ოლია ცხვარიაშვილის** ხსოვნას

დილით გიგამ თვალები რომ გაახილა, ანი სარკის წინ იჯდა და თმას ივარცხნიდა.

– ვერ ვიტან ქალი ჩემს თვალწინ თმას რომ ივარცხნის.

– აბაზანაში სიბნელეა, კორიდორში სიბნელეა. ასე, რომ შენს აზრს ჩემთვის მნიშვნელობაც რომ ჰქონდეს, სხვა გზა არ მაქვს, – ანიმ პომადის ამორჩევა დაიწყო.

– მით უმეტეს, არ მიყვარს, ქალები რომ ჩემს თვალწინ იღებებებიან, – გიგა საწოლში წამოჯდა.

– ეგეც სულ ერთია, ვინაიდან შენი დიდი ხათრის გამოც კი ვერ წავალ სამსახურში მოუწესრიგებელი.

– სად მიდიხარ?!

– აქამდე, ამ დროს ყოველთვის სამსახურში მივდიოდი და ვინაიდან დღეს არც შაბათია, არც კვირა, – პომადა შეარჩია, – დღესაც სამსახურში მივდივარ, – მაინც არ მოეწონა და გაიცალა, – ჩაი ცხელია, შენი საყვარელი ბუტერბროტები გავაკეთე და სამზარეულოში გელოდებიან.

– გაგიჟდი?!

– თუ გავითვალისწინებთ, რომ ათი წელია ერთი და იმავე ინსტიტუტში ვმუშაობ, არ ვაცდენ, არ ვაგვიანებ და ამდენივე წელია შენ გიტან და, – ანი გიგასკენ მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით შემობრუნდა, – კვერცხიან ბუტერბროტებსაც კი გიკეთებ (!!!) სულ თავისუფლად შეიძლება ჩემს ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ეჭვის შეტანა...

– რანაირად მელაპარაკები?!

– შენი „სკოლაა“! – სარკიდან გაუღიმა ანიმ.

– მე ხომ ვთქვი, რომ დღეს ჯვარს დავიწერთ.

– შენ ეგ ერთხელაც სთქვი... ადრე, – ანიმ ისევ გაუღიმა სარკიდან, – და, კიდევ კარგი, არც მაშინ დაგიჯერე, თორემ შეიძლებოდა შენზე წარმოდგენა დამეკარგა და სხვას გავყოლოდი. მით უმეტეს, კანდიდატები...

– კარგი ახლა, დღეს მოვაწერთ ხელს და ჯვარს დავიწერთ.

ანი ერთი წამით გაიყინა სარკესთან.

– ...„უჰ, საპუდრეზე სახურავი მომიტყდა...“ ვინაიდან ქორწინებას სურვილის გარდა კიდევ რაღაც ცნობები სჭირდება მუნიციპალიტეტიდან, იქ კი ყოველთვის რიგებია და შენ რიგში დგომა არ გიყვარს... „რა ყველაფერი ხელიდან მივარდება!“

– ჯერ მმაჩის ბიუროში წავიდეთ და იქ გვეტყვიან, რა არის საჭირო.

– მმაჩის ბიუროში მინიმუმ ერთ თვეს იძლევიან მოფიქრების ვადას და რაკი კარგად გიცნობ, ამ ერთ თვეში თავისუფლად შეიძლება გაქრე ორი-სამი თვით...

– მართლა ასეთი დაუდევარი ვარ?! – ისე, სხვათა შორის იკითხა გიგამ.

– არა, რას ბრძანებთ, – გიგასკენ შემობრუნდა ანი, – ეს დაუდევრობა კი არ გახლავთ, ამას ქართულად „მამაკაცური დამოუკიდებლობა“ ჰქვია. – გაუღიმა.

– ხოდა მთლად უკეთესი...

– კი მაგრამ, არ მეკითხები, ვარ თუ არა თანახმა?!

– ვითომ რატომ არ უნდა იყო თანახმა?! ვსვამ, ვეწევი, მეგობრები მყავს, რომლებიც მიყვარს...

– იმდენი ვინმე სვამს და ეწევა...

– კარგი ახლა, სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია, – საწოლიდან ადგა, შარვალი ამოიცვა, – შენ წეღან რაღაც საინტერესოს მიამბობდი კვერცხიან ბუტერბროტებზე.

– სამზარეულოში გელოდებიან-მეთქი.

– დიდი ხანია?

– ჯერ ისევ თბილი იქნება.

– ახლა უცებ მივხედავ ჩემს თავს...

– მე მართლა არ მინდა დაქორწინება.

– რატომ?! – გიგა უკან შემობრუნდა, საძინებელში.

– იმიტომ, რომ აუტანელი ხარ! იმიტომ, რომ არავის ანგარიშს არ უწევ, იმიტომ, რომ ბოლო მომიღო შენმა „დამოუკიდებლობამ“ და მარტოობას შევეჩვიე. ახლა კი უკვე აღარ მინდა ამ მარტოობაში ვინმემ ხელი შემიშალოს... იმიტომ, რომ... აღარ მინდა დაგელოდო და აღარ მინდა... – ანიმ აღარ დაამთავრა, – ახლა კი მართლა ჩაიცვი და წადი... უკვე საბოლოოდ წადი და რომ ორივემ ვიცოდეთ ეს, – ანის ტუჩები უკანკალებდა, – უკვე აღარ მეგონა, ოდესმე თუ იტყოდი, ვიქორწინოთო და ახლა მივხვდი, რომ აღარც მინდა...

გიგა დიდხანს უყურებდა ანის... მერე კარისკენ წავიდა:

– მე ახლა მართლა წავალ... – შემობრუნდა, – ვისაუზმებ. შენ მანამდე გამოიცვალე, ეკლესიაში შარვლით არ შეგიშვებენ... პირველ „ოჯახურ სკანდალს“ დიდსულოვნად გპატიობ.

* * *

ცხვარიაშვილი ზაქარიას ლამაზი ოლია სახლიდან გაპარულა მოჯამაგირე ნემენცთან ერთადო!

სოფელი შეიძრა.

სადა თქმულა, წესიერი ოჯახის ქალის მამის უკითხავად სახლიდან წასვლა?!

მარტო ზაქარიას სირცხვილია ეგა?! მთელი ნათესაობისა და სოფლისაცო, კაცო!

– როდისღა მოასწრეს, ქა?!

– რო სახლშიც ვერაფერსა ხვდებოდნენ!

მთელი სოფლის ჭკუის დამრიგებელი ზაქარია იყო და საკუთარმა ნაშიერმა, სისხლმა და ხორცმა, ნაფერებმა და ნალოლიავებმა ულამაზესმა გოგომ თავი მოსჭრა საქვეყნოდ.

საკუთარი შვილი ვერ გაზარდა.

ვაი, შენს ზაქარიას!

სად არ ეძებეს და ოლიასა და ნემენცის კვალს ვერ მიაგნეს.

ნაწნავები კოჭებამდე სცემდა.

წელი წვრილი ჰქონდა. მაღალი იყო და სარივით წელში გამართული დადიოდა.

– სადედოფლო ქალია, სადედოფლო!

– ახლა რა ხელი აქ!

სულ ოლიას დაქსოვილი წინდები ეცვათ მოჯამაგირეებიდან დაწყებული ბალღებით დამთავრებული.

ახლა რა ფარდაგებსა და ხალიჩებს ქსოვდა.

– კარგი, გოგო, გაჩერდეს შენი ხელები, სახლში იმდენი არიან, საქმეს მოასწრებენ. მერეც მოასწრებ, როცა გაგათხოვებთ.

საქმეს არიდებდნენ.

თვითონ არ ერიდებოდა.

მთელმა პატარძეულმა იცოდა ცხვარიაშვილ ზაქარიას მშრომელი, ძალიან ლამაზი და მამის მორჩილი გოგო ჰყავდა.

მარტო პატარძეულში კი არა, ახლომახლო სოფლებშიც.

– ნეტავ იმ ოჯახს, სადაც ეგ შევა!

განა მოჯამაგირე ნემენცისთვის უნდოდა ზაქარიას შვილი?!

ვაი, ზაქარია!

სოფელი ისე უსამძიმრებდა, როგორც მიცვალებულის პატრონს.

კრიჭაშეკრული ხმას ვერ იღებდა, ჯერ სირცხვილით სოფლის წინაშე და მერე საყვარელი შვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილის გამო.

არც სიხარულის, არც მწუხარების გამომჟღავნებას დაჩვეული არ იყო. და ეს ოხერი გული რამდენს გაუძლებდა განა!

ძმები და ბიძაშვილები მთელ კახეთში ეძებდნენ გაპარულებს.

დღეები გავიდა.

თვეებიც.

ვერავინ გაიგო საით წავიდნენ.

ეშმაკმა წაართვა შვილი ზაქარიას, ეშმაკმა.

– პირჯვარს უკუღმა იწერდა, ქააა!

„მა ეშმაკი რო არა ყოფილიყო, სახლში როგორ შემოვუშვებდი გადამთიელს?! ან საიდან ჩამოითესლა კახეთში... თავის ენაზე რო რაღაცა მითხრა, ვერ გავიგე, მაგრამ თვალებში რომ შევხედე, მივხვდი სამუშაოს ეძებდა... ჩემი ოჯახის უბედურებად შემოვუშვი სახლში... ხალხი არ მეტყვის, შენ რა კაცი ხარ, შვილი სახლიდან გაგეპარაო?! მუშახელიც საკმარისადა მყვანდა, ბედისწერა რომ არა ყოფილიყო, ზედმეტი მოჯამაგირე რიღასთვინ მინდოდა?!..“

რამდენჯერაც მძებნელი უამბოდ დაბრუნდებოდა, ოლიას დედას იმდენჯერ გულწასულს ასულიერებდნენ.

მკვდარი დადიოდა ზაქარია.

ვეღარც დედის ტირილს უძლებდა.

კიდევ ერთხელ რომ მოვიდნენ მძებნელები უამბოდ, კიდევ ერთხელ რომ ცუდად გახდა ზაქარიას ცოლი და კიდევ ერთხელ რომ მოთქმით დაიტირა დედამ თავისი გაზრდილი შვილიშვილი, ზაქარიამ უსმინა, უსმინა და მაგიდას მუშტი დაჰკრა:

– ვითომც მამკვდარა! კრინტი აღარავის დაგცდეთ!

ეს იმის ნიშანი იყო, რომ ოლიაზე ხმის ამოღების უფლება ჩამოერთვა ოჯახს.

თანდათან შეეჩვივნენ ოლიას დაკარგვას და ზაქარიაც საქმეს მიუბრუნდა.

ოჯახში სიხარულისა და ხალისის სიკვდილს ზაქარიას მამა მიჰყვა.

– ან რა ენაზე მაილაპარაკეს, ქა, იმ არგასახარებლებმა. იმ ნემენცმა ქართული არ იცოდა, ოლიამ კიდე ნემენცური!

ნემენცს ისეთი თვალები ჰქონდა და ოლიას ისეთი ღიმილი ლაპარაკი არც უნდოდათ.

ოლიამ ისედაც არ იცოდა ბევრი ლაპარაკი, მამას ჰგავდა.

ბაბოს გაზრდილი იყო.

– ქალმა, შვილო, ბევრი არ უნდა ილაპარაკოს, კაცმა მით უმეტეს. სანამ რამეს იტყვი, სიტყვა პირში მოხარშე, ითქმება თუ არა. თუ არ ითქმება, უნდა გადაყლაპო. როგორც ყველაფერი არ იჭმევა, ისე ყველაფერი არ ითქმება. რაც უფრო ცოტას ლაპარაკობს ადამიანი, იმის სიტყვას უფრო მეტი ფასი აქ. რაც შენი საქმე არ არის, არ ვიცი-თქო, თქვი. „არ ვიცი“ ერთია და „ვიცი“– ათასი. ხალხმა თქვა, „ქვეყანა ენამ მოჭამა, ვერ ამოღებულმა ხმალმაო“, „სანამ ხმალი მივიდა, ენამ თავი მოსჭრაო“. იმიტომ უნდა დააჭიროს ადამიანმა ენას კბილი.

– აი, შვილო, შენზე აღარც დიდი ვარგა და აღარც პატარა. მე რაც ბავშვობაში ვიყავი, ეხლაც ისა ვარ. ეხლავე თუ არ ისწავლე კარგისა და ცუდის გარჩევა, მერე ვეღარ ისწავლი. ბევრ რამეს ისწავლი და მაგას ვერა.

– დედი, რა იცის ადამიანმა კარგი რა არი და ცუდი?! – ბაბოს ყველა დედიას ეძახდა სახლში, დიდიცა და პატარაც.

– როგორ არ იცი, შვილო. ღმერთმა რო კაცი დაარიგა, არ მოიპაროვო, ტყუილი არა სთქოვო, დედ-მამა გიყვარდესო, აი, ეგ არი კარგი. ვინც ეგრე არ იქცევა, ცუდია. კაცისა რო რამე არ მოგეწონება, უნდა იფიქრო შენ როგორი ხარ. შენ რო სხვა იყო, რა არ მოგეწონებოდა შენი. ეგრე გაზრდი შენ თავს.

– „საბანი სადამდეც გაგწვდება, ფეხი იქამდე უნდა გაჭიმო“. ძალიან ბევრი არ მოგინდეს, სიხარბეა. წესიერად მოიქეცი და ღმერთი ისედაც მოგცემს. გამრჯე რო ხარ, კარგია. ზარმაცს ბარაქა არა აქ.

– სუფრიდან ქალი ნახევრად მშიერი უნდა ადგეს. განა საჭმელი არა გაქ და იმიტომ, გაძღომამდე ღორები ჭამენ. ადამიანი არ უნდა გაღორდეს. მუცელი შენს ქვევით არ არი?! შენ ზევით ხო არ არი?! მუცლის ჭკვაზე არ უნდა იარო. მუცელს აღორებ, ღორია და აქორებ – ქორია.

– მზეს ფეხზე უნდა დახვდე, ხალისი იცის საქმეში. ქალი შენახული უნდა იყოს, როცა საჭიროა, გამააჩინოს... კი არ უნდა დამალო, უნდა გადაინახო. ეგ სხვადასხვა რამეა. ასკილის ყვავილობას, როცა ჯერ არც ახალია და აღარც ძველი, შენახული ქალი მაშინ გამააჩენს ყველაფერს.

– „დაჩივნება თხოვნაა და თხოვნა – ძალიათ წართმევა“. არაფერი ითხოვო, დაიჩივლე, თუ ღმერთს უნდა, ვისთანაც დაიჩივლებ, გულს გაუთბობს და ხელს გაგიმართავს.

– და კიდე ერთი, შვილო, დედ-მამის ნების წინააღმდეგ არაფერი გააკეთო. „ვირმა პალო მოგლიჯა, ერთი პატრონსა ჰკრა და ათი თითონ იკრაო“. დედ-მამის ურჩებს ღმერთი არა სწყალობს.

ასეთი ბაბოს გაზრდილი იყო ოლია.

ოლიამ ნემენცი პირველად სასადილო ოთახში ნახა, სამზადის გვერდით. მდიდარი გლეხი იყო ზაქარია და იმის სუფრას მოჯამაგირეებისა და ოჯახის წევრი კაცების გარდა, მეზობლებიც უსხდნენ. არ ენანებოდა.

ოლიამ არ იცოდა მამას ახალი მოჯამაგირე თუ ჰყავდა. ხონჩაზე დაწყობილი საჭმლით რომ შევიდა, კართან გაჩერდა. ამ შავგვრემან მოჯამაგირეების, მამისა და ძმების გვერდით ქერა, ცისფერთვალა გერმანელის დანახვამ გააქვავა.

„თეთრი გიორგი ხომ არ მეჩვენება, სახლში ჩამოსულიო“, გაიფიქრა.

გერმანელი მოჯამაგირეც არ ელოდებოდა ამნაირი სილამაზის აქ ნახვას.

მერე ოლიამ სინი მაგიდაზე დადგა და გამოვიდა.

მაგრამ შემდეგ, როცა მოჯამაგირეები სასადილო ოთახში ან საუზმობდნენ, ან ვახშმობდნენ, ოლია შიგნით აღარ შედიოდა, თავის ოთახში ჩაიკეტებოდა, საწოლზე დაწვებოდა, ხელებს თავქვეშ ამოიდებდა და იღიმებოდა.

მხოლოდ ის იყო, ეზოს დაგვას მაშინ იწყებდა, ვიდრე მზე ამოვიდოდა, ვიდრე მოჯამაგირეები ისაუზმებდნენ. ეზოში პირის დასაბანად გამოსულებს ირიბად გახედავდა და სახლში შევიდოდა.

ნემენცი იჭერდა იმ ირიბ მზერას.

მერე სახნავშიც ძალა ჰქონდა და სახლშიც.

ვახშმის შემდეგ მთელი ოჯახი მოჯამაგირეებიანად რომ ისვენებდა, ახალი მოჯამაგირე ეზოში, ან სახლში აუცილებლად რამეს მონახავდა გასაკეთებელს. ღობის ძირში დარგული ვარდები სახლის კიბესთან გადმოიტანა. საქონლის შესასვლელი ღობეში სხვა მხრიდან გააკეთა, ეზოში რომ არ ევლოთ. საქათმეს წნელის ღობე შემოუწნა.

ამას, ყველაფერს, ზაქარიას ნებართვით აკეთებდა.

ასე გავიდა გაზაფხული და ზაფხულიც დადგა.

იმ დილით ოლიამ სახლი რომ მიალაგა რძლებთან ერთად, ეზოში გამოვიდა. კუნძზე ჩამოჯდა და თვალი გაუშტერდა.

ზაქარია, ხარების საყიდლად იყო წასული ორივე შვილთან ერთად.

დედა და რძალი მეზობელ ლეონიძიაანებს ეხმარებოდნენ პატარა გოგლას ნათლობის სამზადისში.

მინდორში თივის დასადგმელად ნემენცი და ერთი მოჯამაგირე იყვნენ წასულები, დანარჩენები ზოგი ნახირში იყო და ზოგი სათიბში.

სათიბში სადილი უნდა წაეღო ვინმეს.

– მე წავიღებ სადილს მინდორში – თქვა ოლიამ.

შუადღე იყო და ნემენცი ისვენებდა. მეორე მოჯამაგირე მდინარეზე იყო ჩასული.

ნემენცი მოგროვილ თივაზე იწვა, ხელები გაეშალა და მზეს მიფიცხებოდა.

ფეხის ხმაზე თვალი გაახილა.

არ ელოდებოდა ოლიას.

სადილი ყოველთვის ქალებს მიჰქონდათ, მაგრამ ოლიას არასდროს.

გაკვირვებული წამოჯდა თივაზე.

ოლიამ მის წინ ჩაიმუხლა.

დიდხანს უყურა მოჯამაგირეს, მერე ადგა და წავიდა.

ნემენციც გაჰყვა.

მინდორი გაიარეს.

მინდვრის შემდეგ რიყე იყო.

უკვე გვერდიგვერდ მიდიოდნენ.

რიყის შემდეგ გზა იყო, რომელიც არც ერთმა არ იცოდა, საით მიდიოდა.

მეურმეებმა ჩამოიარეს გზაზე. ფეხით მიმავლები დაიმგზავრეს.

კახელები უთქმელი ხალხია და არავის უკითხავს, ვინ ხართ და საით მიდიხართო.

დაიღალა ოლია ორი დღის მგზავრობით.

დაღლილი უფრო ლამაზი იყო.

მერე უკვე ფეხით შეუდგნენ მთისკენ მიმავალ ბილიკს.

არხოტამდე არმისულები მთის ერთ სოფელში მოხუცმა, უშვილო ცოლ-ქმარმა შეიფარათ.

მაშინვე მოეწონათ ერთიმეორე.

– ღმერთი უშველის, ეს ბიჭი შვილის ადგილას გვეხმარება, ძაან მშრომელია.

– გოგოც. არც ეგ გაჩერებულა მოსვლის შემდეგ. ნეტა, პატრონი არა ჰყავთ? ან აქ რა უნდათ?!

ზამთარიც დაიწყო.

მთაში გრძელი ზამთარი იცის.

ზამთარში გრძელი ღამეები.

ისხდნენ ამ გრძელ ღამეებში ქალები და ხან მატყლს წეწავდნენ, ხან ართავდნენ, ხან ქსოვდნენ.

მეზობლებიც მოდიოდნენ.

– რა ფარდაგებს ქსოვს, ეს დალოცვილი! კი არა ღებავს, რა ფერის მატყლიც ცხვარსა აქვს, იმ მატყლით ქსოვს ფერებს.

ნემენცი იჯდა და ხანდახან ხისაგან რაღაცეებს თლიდა დანით, ადამიანებს, ცხენებს, ოლია გამოთალა ისეთი, მაშინვე მიხვდებოდი, ოლია რომ იყო. დამჯდარი და მუხლებზე ხელებშემოხვეული.

არ ესმოდა, ოჯახის წევრები რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ იმათ სიცილზე ხვდებოდა, ყველა ბედნიერი იყო და თვითონაც იცინოდა.

ისე გავიდა ზამთარი, არც გაუგიათ. უცბად.

ბედნიერებას სცოდნია ასე, ვერ ამჩნევ, თურმე დროს.

ერთხელაც არ გახსენებია ოლიას თავისი ოჯახი.

ეგეც ბედნიერებას სცოდნია, თურმე.

გაზაფხულზე ნელ-ნელა ჩაწვა თოვლი ხევებში.

საქონელი საძოვარზე გარეკა ხალხმა.

გაზაფხულმა საქმე სახლიდან გარეთ გაიტანა.

ოლიაც უკვე მთელი დღეები მარტო იყო სახლში.

საღამოობით ისე ელოდებოდა ქმრის სახლში დაბრუნებას, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი აღდგომის წმინდა დღესასწაულს.

ერთიმეორისა არ ესმოდათ, მაგრამ სულ იღიმებოდნენ.

ეგეც ბედნიერების თვისება ყოფილა, ღიმილი.

– ეგრე არ უნდა პირჯვრის გადაწერა, – ეუბნებოდა ოლია და ნემენციც ისე იწერდა პირჯვარს, როგორც ოლია ასწავლიდა.

ხანდახან, საღამოობით, როცა საქმეს მორჩებოდნენ, გავიდოდნენ ტყის პირას და ისხდნენ.

ნემენცი რაღაცას უყვებოდა ხოლმე თავის ენაზე დიდხანს. ამ დროს ხან ნაღვლიანი თვალები ჰქონდა და ნაღვლიანი ხმა, ხან კი პირიქით, მხიარული. ოლიამ იცოდა, ქმარი თავის თავგადასავალს უამბობდა.

– კარგია, ერთიმეორისა ყველაფერი რომ არ გვესმის. ყველაფერი რომ გვესმოდეს, სიყვარულს ძალა დაეკარგებოდა. – ეუბნებოდა ოლია და ისეთი ღიმილი ჰქონდა, ნემენცს არაფრის გადათარგმნა არ სჭირდებოდა.

* * *

როცა გიგამ შხაპიც მიიღო, ისაუზმა კიდევაც და საძინებელში შემობრუნდა, ანი ტანსაცმლის ღია კარადასთან იდგა.

– ვერ მოვიფიქრე, რომელი კაბა ჩავიცვა.

– შენ რომელი გიხდება?

– ყველა. – გაიცინა ანიმ.

– მაშინ ყველა ჩაიცვი, მხოლოდ, ჩქარა.

– ჯერ ძალიან ადრეა.

– მართლა?!

– ხო, მართლა...

– აბა, რა ვაკეთოთ?!

გიგა საწოლზე მიწვა. ანი გვერდით მიუწვა.

– რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა ანიმ, – ეს ვარდები საიდან მომიტანე?

– გაზონებში დავკრიფე.

– ქალთან ხელის სათხოვნელად მიდიოდი და ყვავილებს გაზონებში კრეფდი?!

– ძალიან გვიანი იყო და ყვავილების მაღაზიის ძებნა არ დავიწყე... გუშინ, ერთ ადგილზე ვიყავი...

– მორიგი „გასვლა“ გქონდა მეგობრებთან ერთად?

– მოიცა. ერთმა კაცმა საინტერესო რაღაც თქვა. ღმერთი, თურმე, კაცს ცხოვრებაში ერთხელ აძლევს ისეთ ქალს, რომელიც მთელი შენი ცხოვრების „ფორმულას“ აკმაყოფილებს. თუ ის ქალი დაკარგე, მერე ძებნას დაიწყებ და სხვას უკვე ვეღარ იპოვიო.

– მერე?

– მერე რა?! სულში ჩავიხედე და შენს მეტი ვერავინ დავინახე.

– რომ მოსულიყავი და აქ ვინმე დაგხვედროდა?

– ვინ უნდა დამხვედროდა?!

– რა ვიცი, ვინმე, ხომ შეიძლება მომბეზრდა...

– შენ ეგეთები არ შეგიძლია.

– ვიხუმრე.

– ისე კი... იმ ფრანგებზე ისე აღტაცებული ლაპარაკობდი...

– ვინ ფრანგებზე?!

– აი, ანრი და პიერი, თუ ვიღაც.

– ვინ ანრი და პიერი?!.. აა, ერთი წლის უკან რომ იყვნენ?! შენ საიდან იცი?!

– შენ არ მიამბობდი? ისე აღმიწერე, ქუჩაში შემხვდნენ და ვიცანი.

– შენ... შენ ისინი ნახე?! – ანიმ გაიცინა, – მეც არ გამიკვირდა, უცბად რომ გაქრი? ახლა მაგონდება, მაშინ სამსახურშიც მომაკითხე... და იმისათვის, რომ ის ფრანგები გენახა?! ღმერთო, ჩემო!

– კარგი ახლა, ეგ სასაცილო არ არის.

– იეჭვიანე?!

– ...ვიეჭვიანე კი არა!..

– კი, იეჭვიანე!

– ისე აღტაცებული ლაპარაკობდი... რა ვიცი!

– იმათ თავის გაჭირვება ეყოფათ.

– რა გაჭირვება ჰქონდათ ამნაირი?!

– ჩვენი ამბავი ხომ იცი, შესვენებაზე გოგოები ერთად ვდგავართ და ვჭორაობთ, ბიჭები ერთად დგანან და ფეხბურთზე ლაპარაკობენ...

– მერე?

– მერე რა! გოგოები ლესბოსელები ვეგონეთ და ბიჭები ჰომოსექსუალისტები. ერთი იმათი გაკვირვებული სახეები გენახა, რომ გაიგეს, რომ მასე არ იყო. ბიჭებმა ლამის სცემეს.

– უჰ, მაგათი ფრანგი დედა ვატირე!

გიგა გაჩუმდა და ჭერს გაუშტერა თვალი.

– გიგა.

გიგამ პასუხი არ გასცა.

– გიგაააა!.. სად ხაარ?

– შენს ინსტიტუტში.

– ჩემს ინსტიტუტში რა გინდა?!

– განცხადებას ვწერ გათავისუფლებაზე.

– გიგაააა, მე ჩემი სამსახური მომწონს!

– კარგი, მაშინ შვებულებაზე.

– შვებულება უკვე მქონდა.

– საქორწინო შვებულება ხომ არ გქონია?!

* * *

ჭალაში იყვნენ.

შველი გადმოუხტათ ტყიდან.

ვიღაცამ ესროლა და ოლიამ შიშით გააყოლა თვალი შველს.

მეორედაც ესროლეს, მესამედაც და კიდევ ერთი-ორჯერ.

თოფის ხმაზე დამფრთხალი შველი ისევ ტყეში შევარდა. ოლიას შიში ღიმილად ექცა.

„გაასწრო... ვერ მოკლეს“ გაიფიქრა და რამოდენიმე ნაბიჯზე ჩამორჩენილ ქმარს მოხედა.

სისხლში ცურავდა ბალახებში წაქცეული ნემენცი.

თვალებს არ დაუჯერა.

შვლის გზას გახედა...

მერე ისევ ქმარს.

აღარც სახე ჰქონდა, აღარც ცისფერი თვალები...

კირის ფერი დაედო...

ძმა საცემად გაიწია. ბიძაშვილმა ძლივს გააჩერა.

მამა ნაწნავებში სწვდა. ორივე ხელზე დაიხვია და ისე უნდოდა ცხენზე ათრევა.

ბიძაშვილმა ხელი შეაშველა და ცხენზე ასწია.

არც გული წასვლია, არც უტირია, არც ხმა ამოუღია, არც გაუბრძოლია...

არც მაშინ და არც მერე.

არც უკან მოუხედავს, ჭალისკენ.

მოსახედი აკი არც აღარაფერი იყო...

სახლში მიყვანილი ბოსელში ჩაკეტეს.

სოფელი სახადშეყრილივით უყურებდა სახლში ოლიასთან ერთად დაბრუნებულ ცხვარიაშვილებს.

– ეგრე ადვილია კაცის მოკვლა?! ქალი წამოეყვანათ და იმისთვის ეცემნათ, მოკვლას რას ემართლებოდნენ?!

ერთი კვირის შემდეგ მეზობლის ხელით მთიდან ოლიას ნივთები გამოაგზავნეს.

რა ნივთები ის იყო!

ერთი ხელი ლოგინი.

ერთი სამოვარი.

ორი ფარდაგი, ოლიას ნახელავი.

ნემენცის გამოთლილი ხის კაცები და ოლია, დამჯდარი და მუხლებზე ხელებშემოხვეული.

თან შემოთვალეს, ნემენცი დავმარხეთო.

გამწარდა ზაქარია.

მომსვლელი პატივისცემით გაისტუმრა, მაგრამ მოტანილი სახლში არავის შეატანინა.

ეზოს გარეთ თივაზე დააწყო და ცეცხლი წაუკიდა.

უხსენებელივით დაწვა ზაქარიამ ნემენცის სახსენებელი.

იმ ღამეს ოლია სახლიდან გაიქცა, თავის მოკვლა უნდოდა.

ცხენით დაეწია მამა, ხევისკენ გაქცეულს.

წამოათრია.

მაშინ კი ამოხეთქა იმდენმა სიბრაზემ და შოლტით სცემა შვილს, მანამდე, ვიდრე გრძნობადაკარგულს მოჯამაგირე არ გადაეფარა.

– ნუ მოკლავ, ზაქარია, თავისი ეყოფა!

კიდევ გადააწნა ერთი-ორჯერ, ცხენზე შეჯდა და წავიდა.

ძლივს მოასულიერეს ოლია დედამ და რძლებმა.

ზაქარიას შიშით სახლში მაინც ვერ შეიყვანეს. ისევ ბოსელში დაუგეს ლოგონი.

უმცროსი ძმის ცოლმა ღამით ნაცარი ჯოხით გაქექა, სამოვარი იპოვა, წყაროზე ჩაიტანა და ქვიშით გახეხა.

ზაქარია რომ სახლში ყოფილიყო, ვერ გაბედავდა.

ჩუმადვე შეიტანა ეზოში და თივის ზვინის ქვეშ დამალა.

ჩუმადვე შევიდა ბოსელში მულთან. სამზადისიდან მაწონი და შოთი გაიყოლა.

– არ მინდაო. – თვალებით უთხრა ოლიამ.

– ცოტა შეჭამე რამე, უბედურო, მოკვდები – უთხრა რძალმა და ტირილი დაიწყო.

თავის ხელით აჭამა ძალით.

– ოლია, შენი სამოვარი შემოვიტანე და თივაში დავმალე. ხვალ როგორმე შევიტან სახლში და შეგინახავ... რად გინდა, მაგრამ მაინც იყოს...

ოლიამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო. გათენებამდე ტიროდა ორივე.

ტყეში პირქვე დამხობილი ზაქარიაც ტიროდა ბავშვივით... როგორც მკვდარს, ისე ტიროდა შვილს...

– მე მაგას ჩემ ცრემლს არ ვაპატიებ ღმერთო!.. არ ვაპატიებ!

ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა სახლში.

ისედაც სუსტი ოლია კიდევ უფრო გამხდარიყო, მაშინვე დაინახა მამამ, მაგრამ ოლიას გამოხედვამ შეზარა.

თვალებში არც უბედურება ედგა, არც გაბრაზება, არც შიში და არც მორჩილება...

გაქვავებული სული უყურებდა ზაქარიას შვილის ორი თვალით და შეეშინდა ზაქარიას იმ გაქვავებული სულის.

ერთი-ორი დღის შემდეგ ზაქარიამ ცოლს სიტყვა გადაუგდო:

– ხვალე შენი შვილის მთხოვნელები მოვლენ. ბოსლიდან გამოათრიეთ და ჩააცვით.

ცოლმა ვერ გაუბედა, ვინ მთხოვნელები მოვლენო და თავი დაუქნია.

* * *

მთისკენ გაუყვნენ ბილიკს.

თავიდან კიდევ კარგად იარა ანიმ, მაგრამ შემდეგ უკვე ზურგჩანთა დაუმძიმდა.

– ხელის მოწერის შემდეგ ყველა მილოცვებს იღებს...

– ეგ ძაააან მოსაწყენი საქმეა. ჩემი ძმაკაცის ქორწილში ვიყავი, ორი დღე იჯდა ფრაკში გამოწყობილი სუფრის თავში და მთვრალ ნათესავებს უსმენდა. შემეცოდა.

– ყველა ნორმალური საქორწინო მოგზაურობით პარიზში ან ლონდონში მიდის, მარტო ჩვენ მივდივართ არხოტში.

– პარიზში და ლონდონში არავინ მელოდება და არხოტში ძმაკაცი მყავს. უნივერსიტეტი ერთად დავამთავრეთ.

– რამდენი ხანია, რაც არ გინახავს?

– რაც უნივერსიტეტი დავამთავრეთ, თხუთმეტი წელია.

– დარწმუნებული ხარ, რომ გიცნობს?

– კი.

– დავიღალე.

– აქ ერთი ნასოფლარი ვიცი, ღამე იქ გავათენოთ.

ანიმ ყველა სახლი შემოარა.

– რა სოფელი იქნებოდა ეს?

– ჯერ ისევ კახეთია, ვიცი, და რა სოფელია კი არა. როცა აქ მოვდივარ, მგონია, რომ ვიღაც ჩემიანთან მოვდივარ. მიყვარს აქ მოსვლა.

– ნახე, გიგა, ამ სახლში სამოვარია.

– ვიცი. ახლა ცეცხლს დავანთებ, თორემ შეიძლება შეგვციოდეს. ხვალ კი უკვე არხოტში ვიქნებით.

* * *

ცხოვრებაზე ალღოაღებულმა სადედამთილომ ნაცემ და ნაშიმშილებ ოლიაში ჭკვიანი, ლამაზი და შრომისმოყვარე მომავალი რძალი დაინახა. აკი ბევრიც ჰქონდა გაგებული ზაქარიას ოჯახზე.

ნიშანიც მაშინვე დაუტოვა.

– მზითებს არა, შავ ქვას მივცემ! – თქვა ზაქარიამ.

– არ გვინდა ზაქარიავ, მზითები. კარგად იცი, შეძლებული ოჯახი მაქ. ქალი კარგია. თითონ არი თავის თავის მზითები. გაგონილი მაქ მაგის ქება.

მეზობელი ლეონიძიაანთ გოგლა შეეჩვია ოლიას. 3-4 წლისა იქნებოდა. დილით შემოვიდოდა, და საღამომდე გვერდიდან არ სცილდებოდა. საღამოობით დედას ძლივს მიჰყავდა სახლში დასაძინებლად. ბავშვმა გადაატანინა კიდევ იმდენი ტკივილი.

ზაქარიამ თქვა, თორემ, უმზითვოდ როგორ გაუშვებდა.

ისეთი მზითვი გაუმზადა, თავადს შეშურდებოდა. მარგალიტისთვლიანი გულსაბნევიდან დაწყებული, ოცი სული ცხვრით დამთავრებული.

ამბობენ, სამი ურმით მიჰქონდათ ოლიას მზითებიო.

ქორწილის წინა ღამეს. ოლია უმცროსი ძმის ოთახში შევიდა. რძლის ნამზითევი ლოგინის ქვეშ სამოვარი მონახა.

იატაკზე დადო და ხელი ფრთხილად გადაუსვა:

– მეგონა შველს მისდევდნენ და ჩვენ მოგვკლეს... ორივე... იმ ჭალაში...

კიდევ ერთხელ გადაუსვა თითები და ოთახიდან ჩრდილივით გავიდა.

რძალმა სამოვარი ოლიას სამზითვოდ გამზადებულ სკივრში ჩადო და ზევიდან ჯამ-ჭურჭელი დააწყო.

ერთადერთ შვილს სასაფლაოს გზას რომ გაუყენებს კაცი, იმ ტკივილით გააცილა თვალებით ჯვრისდასაწერად ოცდაათი წლით უფროს, ქვრივ და მხრებში მოხრილ ქმარზე მთელი თავით მაღალი ოლია.

გოგლა დედას აჰკვროდა და ხმამაღლა ტიროდა:

– რათ გაატანეს ოლია იმ მახინჯს, დედიიი, ჰა?! რათა?!

გააცილა და ზაქარიას გულში კიდევ ერთხელ ჩაკვდა რაღაც.

ჩაკვდა უსიტყვოდ, ყველას დასანახად და სამუდამოდ.

„ეგრე მოუხდება მამის ურჩ შვილს“. გაიმართლა თავი საკუთარ თავთან, მაგრამ ოდნავადაც ვერ უშველა გულში ლოდივით ჩადებულ ტკივილს.

არა და... განა მიგრიაულიაანთ ქვრივი ნიკასთვის ემეტებოდა თავისი ნალოლიავები გოგო?! იმ ეშმაკს რო არ გადაჰყროდა, ნიკასნაირი როგორ გაუბედავდა, შვილი ცოლად მომეციო?!

ოთხი მაზლი და ოთხი მაზლისცოლი დახვდა ოლიას ქმრის სახლში, თორმეტი ბავშვი, ერთი თავის ქმრისა, ცხრა წლის კუტი სონკია და ავი დედამთილი, სოფლის ბებია-ქალი.

დედამთილს ოჯახში თავის კანონები ჰქონდა. იმის ნებართვის გარეშე, კატა ვერ გამოეკიდებოდა თაგვს. სახრე კარს უკან ჰქონდა მიყუდებული და სულ ერთია, ვინ იქნებოდა, თუ ვინმესი რამე არ მოეწონებოდა, გადაჰკრავდა:

– მე ეგრე გითხარი?!

რძლებს ეშინოდათ ავი დედამთილის. შვილებსაც.

– რა დაჰყრილხართ დასიცხული ცხვრებივითა – არ მოუწონებდა, თუკი ვინმეს დამჯდარს დაინახავდა.

ოლიას არც შენიშვნა მიუღია დედამთილისაგან, არც სახრე. მთელი დღე საქმიანობდა. შიშით კი არა, ისე!

– ხვალ შენ გამააცხობ პურს – ვახშამზე უთხრა დედამთილმა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ვიდრე მამალი მესამედ იყივლებდა, ოლიას ცომი მოზელილი უნდა ჰქონოდა.

კახეთში არ შეიძლებოდა ახალ რძალს პური გამოეცხო ერთი წელი მაინც. მოყვანიდან ორმოცი დღის განმავლობაში კი ეზოს გარეთაც არ უნდა გასულიყო.

არც ბებიაქალებს ჰქონდათ პურის გამოცხობის უფლება.

ასეთი იყო კანონი.

ახლა კი უკვე ოლიას პურისცხობის დროც მოვიდა.

მხოლოდ ის ადარდებდა, რომ დედამთილი თავზე უნდა დასდგომოდა და ეყურებინა ცომის მოზელისთვის.

მამალმა მეორედ რომ იყივლა დედამთილი ლოგინიდან ადგა და რძალთან გავიდა.

ლოგინში არ დახვდა.

მარანში შეხედა. ოლიას ცომი უკვე მოზელილი ჰქონდა.

– აი, შე შავი ძაღლისავ, უჩემოდ მოზილე, არა?! მამაჩემსა აქ ცხონება, სახრე არ აგცდება, ერთი კუტი თუ მაინც ამოგიღია თონიდანა!

ოლიას სახრე ასცდა.

– კარგი პური გამოაცხე, ცხვარიაულო, კარგი! – პირველი შემთხვევა იყო, დედამთილმა რომ ვინმე შეაქო.

ოლია, თავის ოთახში შევიდა. ნემენცთან ერთად ნაყიდი სამოვარი კომოდზე ედგა.

– დღეს პური გამოვაცხე. – უთხრა სამოვარს.

ასე დაიწყო ოლიას ცხოვრება კახეთში მთიდან გადმოსახლებული მიგრიაულების ოჯახში.

გერი კარგი მოვლით ფეხზე დააყენა, მაზლებს გამოეყო.

იმის შემდეგ ერთი წისქვილის დოლაბი არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ, ცხოვრებამ არაფერი დააკლო, ყველა სიმწარე აჩვენა.

ორი შვილი მისცა ღმერთმა.

დედა ასაკში მშობიარობას გადაჰყვა.

ობლად დარჩენილი ახალშობილი ძმა წამოიყვანა და შვილსა და ძმას ერთად აწოვა ძუძუ.

დედის წლისთავზე მამა დამარხა და, მამის ორმოცამდე უფროსი ძმა.

უკვე გვიან, კომუნისტებმა გააკულაკეს.

უმცროსი ძმა ტყეში შემოაკვდა მონადირეს.

შვილივით გაზრდილმა გერმა ცხვარში თავი მოიკლა, უფროსი შვილი პირველმა მსოფლიო ომმა წაართვა, უმცროსი – სათიბში წასული მკვდარი მოუსვენეს სახლში.

სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ასაკში სამი შვილიშვილი დამარხა, შვილივით გაზრდილი ძმა გველმა დაგესლა.

მერე ნიკაც მიიცვალა.

სიკვდილი ოლიას ცხოვრების წესად ექცა.

მხოლოდ ის იყო, გათხოვების შემდეგ არც გაღიმებული უნახავს ვინმეს და არც ატირებული.

უცრემლოდ მოსთქვამდა თავის მკვდრებს.

ცრემლიცა და ღიმილიც მთაში დამარხა ნემენცთან ერთად.

ას ჩვიდმეტი წელი აყურებინა ცხოვრების სიმწარეს ღმერთმა!

ას ჩვიდმეტი წელიწადი!

– შენ რა გიჭირს, კარგათა ხარ, – ეუბნებოდა სამოვარს, – მაშინ წახვედი, როცა სიცოცხლე გიხაროდა. მე?! მოვდივარ და მოვტირი ჩემ წუთისოფელს... ცრემლი მაინცა მქონდეს, დარდს გამინახევრებდა... სიკვდილს დავავიწყდი, ბიჭო!.. სიკვდილს!..

მაგრამ ოლია სიკვდილს არ დავიწყებია.

როგორც იქნა, დაამთავრა თავისი წუთისოფელი.

თუ შეიძლება რომ ას ჩვიდმეტი წლის სიცოცხლეს წუთისოფელი ერქვას.

დაამთავრა ისე, დედიას დარიგებისათვის არასოდეს გადაუხვევია, გარდა იმ ერთისა, ნემენცის სიყვარულისა.

ასი წლის განმავლობაში ყოველ შაბათს, კვირაძალზე თავის მიცვალებულებს სანთლებს უნთებდა. თავიდან ერთს ანთებდა, მერე ორს, მერე სამს და... მერე ბევრს...

ბევრი ყავდა იმ ქვეყანაზე.

– ღმერთო, ნათელში ამყოფე ჩემები!.. ღმერთო, აპატიე მამაჩემს, რო ადგა და ამ გიჟ მიგრიაულებს მიმცა!.. რას გვემართლებოდნენ?!

სამოვარი უსმენდა.

* * *

ანიმ იმ ღამით უცნაური სიზმარი ნახა.

კოცონთან, რომელიც გიგამ დაანთო, ახალგაზრდა ქალი იჯდა, ანის უყურებდა და ნაწნავების ბოლოებს ნერვიულად აწვალებდა.

– ვინ ხარ?! – ჰკითხა ანიმ.

– მე ოლია ვარ. ეს ჩემი სახლია, – უთხრა ქალმა. – შენ ვინ ხარ?

– ანი. – უპასუხა ქალს და ფეხზე წამოხტა.

– იჯექი, სტუმარი ღვთისაა! – უთხრა ქალმა ისევ ადგილზე დასვა. – რა ლამაზი ხარ!

– ვითომ?! – გულუბრყვილოდ ჰკითხა ანიმ.

– ხო, ლამაზი ხარ.

– შენც ლამაზი ხარ. – უთხრა ანიმ.

ქალი მართლაც ძალიან ლამაზი იყო.

– გიყვარს?

ანი მიხვდა, ქალი გიგაზე ეკითხებოდა.

– ხო, მიყვარს.

– სიყვარული უბედურებაა.

– არა, ბედნიერებაა. – შეედავა ანი.

– სილამაზეც უბედურებაა, – გააგრძელა ქალმა, – მეც ლამაზი ვიყავი.

– ახლაც ლამაზი ხარ.

– არა, მაშინ უფრო ლამაზი ვიყავი. ცოცხალი და ხორცშესხმული, ჩემი შეხება შეიძლებოდა.

– ახლა ვინ ხარ?! – გაუკვირდა ანის.

– ახლა სული ვარ, აჩრდილი. ამ კარ-მიდამოსა და ამ სამოვარს ვპატრონობ...

– ეს სამოვარი შენია?

– ხო, ჩვენი.

– ვინ თქვენი?!

– ჩემი და ნემენცის... ჩემ მოქსოვილ ფარდაგზე გადავცვალეთ. მერე ის ფარდაგი იცნეს და... – ქალი გაჩუმდა.

– ვინ იცნო?

ქალი ფეხზე ადგა. აწრიალდა.

– ერთმა ჩვენებურელმა კაცმა, პატარძეულელმა... მერე ჩვენებს უთხრა და... ჭალაში მოკლეს.

– რატომ მოკლეს, რა უნდოდათ?!

– მოჯამაგირე იყო ჩვენი და არ შეიძლებოდა. მამის უკითხავად გავყე.

– გიყვარდა?

– ეხლაც მიყვარს. – უთხრა ქალმა, თვალები ცრემლებით აევსო.

– ახლა რამდენი წლის ხარ?

– უჰ, რაღა მახსომს!

– მაშინ რამდენი წლის იყავი?

– ჩვიდმეტისა, – უთხრა ქალმა, – მოკლეს და ნიკას მიმათხოვეს ძალით... მარტო მეზობლი

– მეც სხვა ვერავის სიყვარული შევძელი, გარდა გიგასი.

ქალი გაკვირვებული უყურებდა ანის:

– ეგ როგორ არი, არ ვიცი, მერე დაფიქრდა, – მე სიხარულის უფლებაც არ მივეცი ჩემ თავს. სიხარულიც ავუკრძალე... ღმერთის სიყვარულიც დამავიწყდა... იმიტო მომიკლეს... მაშ, გიგას გარდა არავინ შეგიყვარდა, არა?! მაშ, გინდოდა ვინმე შეგყვარებოდა და ვერ შეიყვარე, არა?! – გაიცინა ხმამაღლა.

ანის შეეშინდა. სახლიდან გასვლა უნდოდა, მაგრამ ქალი კართან იდგა და ხარხარებდა.

– გიგაააა!!!

– გიგაა!!!

– გიგაააა!!!

– რა მოგივიდა, აქ ვარ. – გამოეპასუხა გიგა და კარში შემოვიდა.

ანი საძილე ტომრით წამომჯდარიყო და შიშისაგან ტომარას ვერ ხსნიდა.

– გიგა!

– რა გაყვირებს, რა დაგემართა?! – გიგამ საძილე ტომარა გახსნა.

– ცუდი სიზმარი ვნახე!

– კარგი, დაწყნარდი, მასეთი რა ნახე?!

– ძალიან ცუდი სიზმარი ვნახე.

– სიზმრის შეგეშინდა?!

– ამ სახლის დიასახლისი ვნახე!

– მომკლა შენმა წარმოსახვის უნარმა, ცხადში თუ სიზმარში!

– სამოვარი მაჩუქა.

– მით უმეტეს! – გაიცინა გიგამ, – სამოვარიც უჩუქებია.

– შემეშინდა.

– ნუ გეშინია. დღეა, ცოცხლები ვართ, შეშა მოვიტანე, ჩაის გიდუღებ... და ასე შემდეგ, როგორც ტექსტშია.

– შენი ხმა რომ გავიგე, მაშინვე დავმშვიდდი.

– იცი რა, გიგა? მე მგონი ჩვენს „მისიას“ არხოტში ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა, ის ქალი რომ გამეცნო. ოლია და ეს სამოვარი ეჩუქებინა.

– გადი, დაიკარგე აქედაან! – გაიცინა გიგამ.

იმ ღამით მიგრიაულების სახლს ლანდი მიადგა.

– ცხვარიაულოოო! ცხვარიაულოოო!!! – დაიძახა ხმადაბლა.

– მობრძანდი, რძალოო!!! – გამოეხმაურა ცხვარიაანთ ქალი.

– არა, ოლია, შემოსასვლელად არა მცალიან! შენი სტუმრების ამბავი მინდოდა მეკითხა, როგორ არიან?

– სახლში მობრძანდი, კურდღელაურო! გზიდან სტუმრის კითხვა ვის გაუგია?!

კურდღელაური სახლში შევიდა.

– ცეცხლი ჩამქრალა.

– ხო, ჩაქრა! წავიდნენ და მა ცეცხლს რა მოუვიდოდა?! – უპასუხა გაბრაზებულმა.

– საით წავიდნენ, ოლია?

– თავისი გზა ჰქონდათ... თავისი გზა! – მერე დიდხანს ფიქრობდა ჩამქრალ კოცონთან. – წავიდნენ... ის ბიჭი პაპასა ჰგავ, არა?

– ჰო, ჰგავ... ძალიან!.. რათ გაუშვი, ოლია, ხო ხედამ რო ჟინჟლამს?! წვიმის დროს მთაში სიარული საშიშია.

– არაფერიც არ დაემართებათ! ეგენი ისეთები არიან, რო!... კარგები არიან. – თქვა ბოლოს.

– მეც ეგრე ვიფიქრე.

– სამოვარი გავატანე...

– რათა, ოლია, აღარ გინდოდა?!

– მოეწონა და გავატანე... ისიც მოვუყევი...

– რა ის?

– აი, ის... ნემენცი რო მიყვარდა...

– რათა, ოლია?!

– მინდოდა ვინმესთვის მეთქო... დავიღალე ტარებით... პატარა ხო აღარა ვარ?!

– რო ვინმეს უთხრას?

– უთხრას და უთხრას რა!.. რა ვქნა?! – თქვა ოლიამ, – ხო იყო და!

...და იმ ღამით ღრუბლებში გახვეული მთვარე იყო ისეთი ლამაზი, როგორც აბრეშუმის ჭია ცახზე ახლადდაწყებულ პარკში.

ეკა ჭითავა

* * *

ვხუჭავ თვალებს და ათასი გზა ათას ფერს იცვლის,
მრჩება სიჩუმე, გარინდული ყოფის მორევი,
სმენა კი მისდევს საგანგებოდ შეკვეთილ სიცილს,
საჭირო დროს რომ ასრულებენ კლაკიორები.

ნამში იღვიძებს სამყარო და მისი სტუმრებიც,
შუადღე არის მზის ყველაზე ცხელი ასაკი,
სანამ ვტირივართ, იღბალს აღარ მოვესურვებით,
შავს გადააცმევს ოცნებებს და ვფიქრობთ რასაც კი.

თვალებს ვხუჭავ და იძერწება ტოტებზე ფერი,
და ემსგავსება აწმყო წარსულს, ანდა პირიქით
და ერთადერთი გვაბადია საკუთრივ ჩვენი –
ერთად ვერყოფნით გატკეპნილი შავი ბილიკი...

დაიხურება ეს თვალები ნახევარმთვარედ,
და ვარსკვლავივით ცრემლზე ცრემლი დაეკიდება,
გზაზე ერთმანეთს თავი რადგან ვერ შევაყვარეთ,
ჩვენ შეგვიყვარეს მხოლოდ ჩვენმა ფანჯრის ჩიტებმა.

* * *

ყველაფერი რაც კარგი იყო, ჩემში ის დაშრა,
იქნებ არ იყო და მეჩვენა სუსტი გონებით,
არც დღევანდელმა, არც წარსულმა სიმშვიდე არ შვა,
ყველა ცდუნებას უფრსკულისკენ მივაგორებდი.

ვინ შეაკავებს სურვილების გაწვრთნილ არმიას,
როცა ხედავ რომ სხვას სიამის ზღვაში აცურებს,

უსინდისონი ცასთან უფრო ახლოს არიან
ჩვენ კი გვამძიმებს დედამიწა, სინდისჩაცმულებს.

გაზაფხულია, მაგრამ ფრთები აღარ ფარფატებს,
ყველა ხმაური დახშულია და მოგუდული,
ღამე შემოდის გატეხილი, მხარზე თავს მადებს,
ტვირთად იქცევა გათენება და მომდის გული.

ზოგჯერ საათი ნაკლებია, ვიდრე შეგრძნება,
ყველა ჭიშკარი ჩავლილია ფეხის წათრევით,
უკვე სიკეთით და სითბოთი მადლი ვერ ცხვება,
გული ირღვევა უთვალავჯერ შემონამტვრევი.

ვუცქერი სურვილს, სურვილების ურიცხვ არმიას,
მე გაუბედავს უხერხული სიწითლე მივლის,
და სანამ ნაცარს უსინდისოდ თვალში მაყრიან,
სახელს ვერაფრით მოვუძებნი შეფარულ ტკივილს.

* * *

რა გესიზმრება??
ამ ორი ვარსკვლავით ნეტავ
რომელ ცაზე ანთიხარ...
ხომ არ გადაგყვა სიცხადედან
ქარიშხლების ხმა??
ნაცარწაყრილი თვალები,
ალბათ, ძილის წინ სუფთა ცრემლმა ამოგირეცხა...
როცა ტირიხარ,
თვალებიდან წყაროს წყალი გდის,
შენ შეგიძლია ერთი გვალვა ამატანინო.
რაც შენ მოხვედი,
მე მესიზმრება რომ სრულქმნილი ვარ
და ჩემში ერთი ნაკლიც არაა,
ვხარობ სინაზით,
ტანმოქნეული დავნავარდობ
და ვნანობ დღეებს ჩემი
თავი რომ არ მიყვარდა.
თუ გესიზმრები ნეტავ
სადმე მდინარის
პირას, მე და შენ ერთად
ვითვლით ტირიფებს,
ვიხსენებთ ჩვენს სიმორცხვეს,

ცრურწმენებს და გვესმის ჩრდილში
როგორ ფეთქავს ჩვენი სიცილი.
თუ გესიზმრება სიყვარული,
არა ისეთი ყველამ რომ იცის,
არამედ გულით, სულითა და
ძვლებით რომ უყვართ,
ძვალში ჩასული სიყვარულია
რომ გაჰკივის მარადისობას.
მე დამესიზმრა და სიცხადეში
შევიგრძენი მისი სისრულე.
რა გესიზმრება ნეტავ???
ნეტავ იმ ორი ვარსკვლავის იქით
თუ დავშრიალებ, თუ შემიძლია
ვიფარფატო შენს ხელის გულზე...
რაც შენ მოხვედი რეალობა
ტკბილ სიზმრებს სცდება.

* * *

კიბეზე ადის და ჩამოდის, ვხედავ სილუეტს,
თვალის ხამხამიც მეზარება ისე გავქვავდი –
ჰო, ერთხელ რადგან ჩვენ ერთმანეთს ვერ შევეგუეთ
გავიორმაგეთ წუთისოფლის გადასახადი...

ჰო, არაფერი, ემოცია სადღაც მინავლდა,
ვერ მაიძულებს ვერაფერი, რამე წამომცდეს,
ღმერთო, დალოცე ყველა ის ვინც ასე მიყვარდა,
ყველა ვინც ჩემში ამოძირკვა ხილვა – „სამოთხე“.

და თითქოს ხელებს ვაცეცებდე, ისე დავდივარ,
ამინდიც თითქოს შემკვეთია ღამისებრ ბინდის,
მწარე სიჩუმე იცქირება თმენის ნაღმიდან
და ცაზე ისევ, ძველებურად – ღრუბელი მიდის.

* * *

დავიკრეფ ხელებს, მოვინდომებ არაფრის წერას,
დღე მშვიდი იყო, ღამეც არის რაღაც უქარო,
ღრმა ძილით სძინავს ჩემში ყველა ტკივილს და წყენას,
და თავს ჩავძახი – არაფერი მჭირს სამწუხარო.

* * *

ტერენტი გრანელს

ქარი ხომ მისი პირველი სიყვარულია...
ქარის პოეტი.
თუმც უიმედობით გალუმპულს
სულდგმულობა ვერ გამოუშრო.
შავ ბედისწერას მარადიული პოეზიით შეუტრიალდა.
ხომ არსებობენ განსაცდელები...
მაგრამ სხვა უფრო, რაღაც რთული,
მოკლე სიცოცხლით ზღვა ტკივილი შემოეწერა.
ცისფერი ლანდით მისჩერებია
ბეთჰოვენს და ჩიტს გასძახის გული წაიღოს.
ხე ჭერად ექცა და ფოთლებმა სითბო აძლიეს...
სიზმარში კრთიან გადაუხდელი პანაშვიდები.
ნაცნობი ქუჩის გრამაფონები.
მათი ხმები მის გულთან მიწას აფხვიერებენ.
დაღლილ სხეულზე
ლამპიონები დაჰყურებენ ცოფიანი
თვალებით...
ქარის პოეტი.

ცა-მიწა შორის პოეზიად ამოიღვარა.
ცივ საძინებელს, მის სიმყუდროვეს
დასტრიალებენ ვერშობილი მისი ლექსები...
უგაზაფხულო მერცხლები.
ქარის პოეტი...
ხშირად ილანდება იღლიაში გაზეთამოჩრილი,
თავისებური გულგრილობით დაეშვება
ხის ცივ საწოლზე.
მე მიყვარს ქარის პოეტი...
მსოფლიო სევდა მტკივან
სულში რომ შეიგუბა.
მე მიყვარს ქარის პოეტი...
პირს ვისველებ მისი სტროფებით...
სანამ სუნთქავდა
ტაშნაკლულ იყო...
„და სიჩუმეში იფარებოდა,
მისი სიმართლე და სათნოება“.

* * *

ჩემი ყველაზე სასურველი სურათია
შუაღამის ცა,
ბრწყინავენ ბრილიანტები,
ჩამოუყრელი მშვენიერება.

არ მინდა მიწის დახედვა,
ვნება არწევს და მეტისმეტად ცოდვილობენ
ხორციელი სიტკბოთი პირგამომშრალნი.

მიყვარს სურათი შუაგულ ზამთრის,
ბამბის მინდვრებით...
და სისუფთავე თეთრად ჩაცმული...
მე ზამთრის მუნჯი მგზავრი უფრო ვარ,
არვის განმსჯელი და განმკითხავი.

ხეებს ვიგონებ, უმეტყველო, თეთრსულიანებს,
ყინვებთან უფაროდ,
მხოლოდ საკუთარ ტყავით მებრძოლებს.

ზღვა მიყვარს ისე...
მახსოვს როგორ ჩამბერა სული და ამატალღა...
გამრია თოლიებს შორის...
რა მსუბუქად ამაფრთხიალა.
არ მოვწამლულვარ მისი სიმლაშით.
მხოლოდ ხანდახან მასში პატარა კენჭებივით
ვისროდი აბსურდის სევდას.
მე შემიყვარდა მასში ის რაც იყო ჩვენში სხვაობა,
რომ მის ძალას სამყარო ვერ ამოწურავდა.

* * *

უკვე არ ყვირის ჩემი ხელები,
ჩემი სიგიჟის პანტომიმები,
არ მესევიან მომლოცველები
ფარისევლური გამოტირებით.

სიჩუმის უკან დგება ხმაური,
ამ სიჩუმეზე უფრო საშიში

მწარედ ნათმენი არვის გაუვლის,
სახეზე რჩება, თვალებს აშიშვლებს.

თუმც ფარისევლებს ვერ მოვერევი,
მაინც მივცურავ რწმენის ტივებით...
აღარ ყვირიან ჩემი ხელები,
ჩემი სიგიჟის პანტომიმები...

* * *

შენ ჩემი თავი არასოდეს არ გყვარებია,
არა იმიტომ, რომ ვიყავი მართალი ცამდე,
არა იმიტომ, არ მნახულობ რომ თვეებია,
არამედ – ასე გაგიჟებით რომ შემიყვარდი.

შენ ჩემი თავი არასოდეს დაგნანებია,
ალბათ იმიტომ, რომ ვიყავი მეც სხვების მსგავსი,
ალბათ იმიტომ, რომ შენ გვერდით სხვა ქალებია,
(თუმცა ვერც ერთი შენად მაინც ვერ მოიაზრე).

შენ ჩემი თავი არასოდეს შეგცოდებია,
(თუმც არც ის მინდა, სიბრალურის შარში გავება!)
ვეჭიდავები საკუთარ თავს, აგერ წლებია
და შენთან ერთად საუკუნეც მეცოტავება.

ქორენა
მახაჭაძე

ღმერთის ძიების პრობლემა

(ანზორ კუდბას რომანის „ევლია“ მიხედვით)



აჭარაში მოღვაწე პროზაიკოსთაგან ანზორ კუდბა გამოირჩევა თავისი ინტელექტუალურ-ფილოსოფიური ტექსტებით. ის აფხაზი ეროვნების, თუმცა მენტალიტეტით, მსოფლმხედველობითა და შემოქმედებით ჭეშმარიტი ქართველი მწერალია, რომლის ნაწარმოებები სავსეა სულიერი ძიებებით, მისი პროზის ფილოსოფიური ძირები მრავალშრიანია და ანტიკურიდან დაწყებული, არეოპაგიტული თუ ბიბლიური წყაროებით იკვებება. ამ მიმართებით არც მისი ერთ-ერთი ბოლო, 2021 წელს გამოსული რომანი „ევლია“ არის გამონაკლისი.

საანალიზო ტექსტში მხატვრულად არის დასმული და გადაჭრილი თანამედროვე ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო მოტივი: უღმერთო, ეგზისტენციალური კრიზისის, ღირებულებათა გადაფასების ეპოქაში ღმერთის ძიების პრობლემა. ეს არის რწმენის, ჭეშმარიტებისა და, ბევრწილად, საკუთარი თავის ძიებისა და პოვნის ისტორია. მასში მწერალი ადამიანისა და უზენაესის ურთიერთობის ფაქიზ თემას ეხება, აქვე წამოჭრის აჭარისთვის ესოდენ მტკივნეულ ორღმერთიანობის, ღვთის სახისა და ხატების – ადამიანის მორალური არჩევანის საკითხებს, სიკვდილ-სიცოცხლის, სიკეთე-ბოროტების, სიყვარული-სიძულვილის, მშვიდობისა და ომის ბინარული ოპოზიციების ბრძოლის პრობლემას. ამ ზოგადადამიანური და მარადიული საკითხების შესახებ მწერალი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალგაზრდის პირით გვესაუბრება. სწორედ ნოეს სულსა და გონებაში მიმდინარეობს დაუნდობელი ორთაბრძოლა რწმენისა და ურწმუნობისა, ღვთისა და სატანისა, ადამიანმა უნდა გააკეთოს სწორი არჩევანი. ანზორ კუდბას რომანი ერთ-ერთი ცდაა, ამ არჩევანის გაკეთებაში დაეხმაროს ადამიანს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შემოქმედმა შეძლო თავისი ძირითადი სათქმელის მკითხველამდე მიტანა.

მისი შემოქმედების ქვაკუთხედს მარადიულ ბინარულ ოპოზიციათა დაპირისპირებანი ქმნიან: უფალი-სატანა, სიკეთე-ბოროტება, სიცოცხლე-სიკვდილი, სიყვარული-სიძულვილი, მშვიდობა-ომი. ეს მარადიული და ზოგადადამიანური კონცეპტები მის რომანებში ორიგინალური მხატვრული სამოსით გვევლინებიან და საინტერესო მხატვრულ გადაწყვეტას გვთავაზობენ.

ერთ-ერთი გამორჩეული თემა ანზორ კუდბას ტექსტებისა სწორედ ღმერთის ძიების პრობლემაა. ის წითელ ზოლად გასდევს მწერლის შემოქმედებას და „ღმერთის სიკვდილის“ ეპოქაში განსაკუთრებულ აქტუალობასაც სძენს მის ნაწარმოებებს.

ანზორ კუდბას საანალიზო რომანში „ევლია“ დასმულია დიგიმოდერნისტული ეპოქისათვის ერთ-ერთი უმწვავესი და აქტუალური პრობლემა: პიროვნების ჩამოყალიბების, მის მიერ სწორი ეთიკური ორიენტირების პოვნისა, რასაც, საბოლოო ჯამში, ავტორის ღრმა რწმენით, ღვთის ძიების საკითხამდე მივყვავართ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მას შემდეგ, რაც ნიცშემ კაცობრიობას ოფიციალურად ამცნო ღმერთის სიკვდილის შესახებ, უღმერთოდ, ეგზისტენციალური აბსურდის კრიზისში ჩაძირულ ადამიანს გაუჭირდა სულიერი წონასწორობის შენარჩუნება, ჭეშმარიტი მოწოდების პოვნა, განსაკუთრებით გაუჭირდათ, რა თქმა უნდა, ცხოვრების გზის დასაწყისში მდგარ ახალგაზრდებს, რომელთა მსოფლმხედველობა ჯერ არ იყო საბოლოოდ ფორმირებული, ვისაც ცალ მხარზე ანგელოზი ეჯდა და მეორე მხარეს – სატანა. სწორედ ასეთი ყმაწვილის წინააღმდეგობებით სავსე სულიერ ძიებებს, მის შეცდომებსა და მიგნებებს გვიჩვენებს ანზორ კუდბა თავის რომანში. პროზაიკოსი გვიხატავს, რაოდენ რთულია და, ამასთან, მნიშვნელოვანია ამ ასაკში სწორი არჩევანის გაკეთება, როგორ სასიცოცხლოდ აუცილებელია სიკეთისა და სიყვარულის, მზისა და სინათლის მხარეს დგომა, რადგან ამ სიყვარულის, სიკეთისა და მზის გარეშე (ტრადიციულად სწორედ ეს ტრიადა განასახიერებს უზენაესს – ღმერთს), ძალიან რთულია ცხოვრების გზის გავლა, ადამიანის სახის შენარჩუნება: „ღმერთია სიყვარული და უღმერთოდ, უსიყვარულოდ როგორ გაძლოსო ადამიანმა“ (კუდბა, 2021:7) *[ანზორ კუდბა, „ევლია“, ბათუმი, 2021; შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს],* აკი ვერც ძლებდა, ღმერთდაკარგული ადამიანი თავს საოცრად მარტოსულად და მიტოვებულად გრძნობდა, უჭირდა არა მარტო სამყაროში, არამედ საკუთარ თავში გარკვევაც კი, უჭირდა სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. ამიტომ, ალბათ, ღმერთის დაკარგვის დღიდან დაიწყო მისი ძიებაც. უფლის სახეს ყველგან და ყველაფერში ეძებს ადამიანი, „სხვა თიხისგან მოზელილ“, ფრთებსა და ფრენას მოწყურებულ არცთუ მთლად მიწიერ ლალი-შაქირაში, რომლისაც არავის ესმის, მას კი ყველას მოსმენისა და გაგების უნარი აქვს, ერთი ძირიდან ამოსული სამი მონოთეისტური რელიგია შეუწოვ-გაუთავისებია, რამეთუ მტკიცედ სწამს: ღმერთი ერთია და სხვადასხვა ხალხი მასთან საკუთარი გამოცდილების, ტრადიციის, მენტალიტეტის, კულტურისა თუ ცხოვრების წესის მიხედვით საკუთარი გზებით მიდის: „თვალები დიმიდგეს, ერთი ღმერთი თუ არ განაგებდეს სამყაროს!“ (11) როცა ამას ვკითხულობთ, შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ქართული მწერლობის უდიდესი საძირკვლის დამდების – გენიალური შოთას: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“ (რუსთაველი, 2019:3). სწორედ ასეთ, ღმერთის ცნების ფილოსოფიურ გაგებასთან გვაქვს საქმე ანზორ კუდბას რომანშიც. ღმერთი ყველგანაა და ყველაშია, თუნდაც მას არ აღიარებდე, ვერ შეიგრძნობდე, არ გახსოვდეს. და არა აქვს მნიშვნელობა, მას რას უწოდებ: ალაჰს, ქრისტეს თუ – სხვა სახელს, მთავარია, ის არასოდეს გტოვებს: „რაც ცოცხალია შენში და ამოძრავებულა, ადგილზე რომ ვეღარ დამდგარა, ალაჰიც ის არის, ძიავ... ჩემი სოფლის სულიც ალაჰია... და მერე იზრდება და იზრდება, ფართოვდება ჩვენშივე, ჩვენსავე წარმოსახვაში და ამ წარმოსახვას იქითაც და აქითაც“ (11).

ლალი-შაქარას დახატვით ანზორ კუდბა დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ თითოეულ ადამიანს ამ ცხოვრებაში საკუთარი ჯვარი აქვს სატარებელი, ამას განასახიერებს ამ პერსონაჟის მიერ გადამხმარი ვაზის ძირისგან გამოთლილი ჯვრით, რომელიც მოუშორებლად ბეჭებსშუა აქვს მიმაგრებული, სიარული. მისი უსიტყვო, ფიქრებით საუბარი თანასოფლელებთან კი ღვთისკენ მიმავალი გზისკენ მიუთითებს მათ. ამ გზაზე უმთავრესია: „გვიყვარდეს მოყვასი და... მტერიც გვიყვარდეს ჩვენი... რადგან სიძულვილი დუნია-მემლექეთს დაგვიქცევს“ (20). ამის გარეშე ევლიად – მადლიან, წმინდა, ღვთის კაცად ქცევა შეუძლებელია.

ლალი-შაქარა თანასოფლელთა ცოდვებს აგროვებს, თავად იტვირთავს, თუმცა ისიც იცის, რომ აღდგომისათვის ჯერ დაცემაა საჭირო, ახალგაზრდამ თავად უნდა მიაგნოს ჭეშმარიტებას, თავად უნდა მიხვდეს, რომ გამრუდებულ გზაზე სიარული კარგს არაფერს მოუტანს. სწორედ ამიტომ ლალი-შაქარა მხოლოდ აფრთხილებს, თავისი ფიქრებით მხოლოდ სწორ მიმართულებას აძლევს გზასაცდენილ, სატანას კლანჭებში მოხვედრილ ნოეს, რომლისთვისაც ღვთის სულის კარები მუდამ გახსნილია, თუმცა ცთუნებაც დიდია, რადგან გრაფი-სატანა ცრუ მზედ ევლინება და მისი სულის დაპყრობას ყველა ხერხით ცდილობს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრაფის მხატვრული სახე ანზორ კუდბას რომანიდან აღძრავს ბულგაკოვის გენიალური „ოსტატი და მარგარიტადან“ სატანა-ვოლანდის შორეულ ასოციაციებს.

ანზორ კუდბა ოსტატურად გვიჩვენებს ყმაწვილი ნოეს სულში დატრიალებული ვნებათღელვის, ბრძოლის სურათს, გვარწმუნებს, რომ ადამიანის პიროვნება/სული ყველაზე დიდი და მძიმე ბრძოლის ველია, სადაც ერთმანეთს სინათლე და ბნელი, ეშმაკი და ანგელოზი უპირისპირდებიან. ადამიანი თვითანალიზის, თვითჩაღრმავების, საკუთარი ქვეცნობიერის ძირისძირამდე განჩხრეკის შედეგად უნდა გაერკვეს, მას რა სურს, რომელ მხარეს იზიდავს თავისი შინაგანი მისწრაფებანი, თავისი ზნეობრივი მიდრეკილებანი, ამიტომაც არ ერევა ევლია-ღვთის კაცი ყმაწვილის ცხოვრებაში აქტიურად, აცდის, თავად აწონდაწონოს, თავად გააკეთოს არჩევანი, სასწაული ხომ თავად ადამიანის ხელშია, უფალი მხოლოდ გზას უჩვენებს, ეხმარება, თუმცა „კიდევ მეტსაც მოითხოვს კაცი უფლისაგან, ეშველოს ყველა გაჭირვებულს, ადგილიდან დაძრას გაყინული და მკერდშელეწილი სიკეთე, საკადრისი მიუზღოს ბოროტს!“ (109).

ლალი-შაქარა თავის ნახელავ თიხის კაცს ჩუქნის ნოე-ბიჭს და ამით უდიდეს პასუხისმგებლობასაც აკისრებს, რადგან ახალი სიცოცხლის დასაწყისი – ადამიანობის ანუ სიკეთისა და სიყვარულის გზაზე დადგომის დასაწყისის – სიმბოლოა ეს თიხის კაცი. შემთხვევითი არაა, რომ ნოეს გამოჯანმრთელება სოფლის უხუცესთა, მისი ბაბუას წინაპართა გზაზე დადგომის პირობაც ხდება, ბაბუას, რომლის ისტორიულ მახსოვრობასაც შემოუნახავს წინაპართა რჯულის შესახებ ცოდნა: „ჩვენ პირველი ქრისტიანები ვართ... დიდაჭარა ერთია საქართველოში და ჩვენთან, აჭარაშია იგი“ (112).

ემოციური, ექსპრესიული და შთამბეჭდავია ბაბუასა და შვილიშვილის სულთა გადაძახილი: „კარგად დავაკვირდი ბაბუას და სიხარულის გრძნობით ავივსე: ჩემში წარსული ახმიანებულიყო, ბორგავდა აწმყო და შემოდიოდა მომავალი სულის ყივილით“ (112).

მზის მსგავსად შემოდის უზენაესი სულში და ყველაზე ბნელ კუნჭულებსაც გაანათებს: „მზე თავისი ყოვლისმხილველობითაა ღმერთი... ის ნათება იესო ქრისტეა და იესოა ყველაფერი: სულიერიც და უსულოც, ნდომაც და სურვილიც, ხილვაც და უსასრულო სივრცეც... დრო დაუსაბამო...“ (114). ღვთის რწმენა ე. წ. მესამე თვალს აუხელს ადამიანს, სხვისი ფიქრების წაკითხვისა და საკუთარი ფიქრის გადაცემის უნარსაც სძენს – ასე სჯერა მწერალს.

საინტერესოდაა გადაწყვეტილი რომანში გრაფი-ეშმაკისა და ლალი-შაქარა/ევლიას შედარება-დაპირისპირების ხაზიც: ორივეს სურვილი და მიზანია შეგირდების/მიმდევრების ყოლა, მაგრამ გრაფს უნდა მსახური-შეგირდი, ბრმად მორწმუნე, რომელსაც, მისი მანიპულაციების შედეგად, დამოუკიდებლად აზროვნების უნარი აღარ შერჩენია, ევლია კი თავის მოწაფეს მხოლოდ აჩვენებს სწორ გზას, არჩევანის გაკეთებას კი მას ანდობს, რადგან მხოლოდ საკუთარი შეცდომების გააზრებით, დაცემითა და აღდგომითაა შესაძლებელი ჭეშმარიტების წვდომა, უფალთან მისვლა.

ნოეს მიერ გრაფთან გატარებული დრო ქვესკნელში ყოფნის ტოლფასია, ეს ჭაბუკობაში გადასული ახალგაზრდის ინიციაციის აუცილებელი საფეხურია, ის უნდა გამოიცადოს სულის სიმტკიცეში, ვაჟკაცობაში, რათა შემდეგ აღორძინდეს და მიიღოს საიდუმლო ზიარების უფლება. ამ მიმართებით საინტერესოა მითოლოგიის ბრწყინვალე მცოდნის – ზურაბ კიკნაძის დაკვირვებაც: შუამდინარულ

მითოლოგიაში არ მოიპოვება არც ერთი გმირი, რომელიც „წყვდიადის სახლში“ არ ჩადიოდეს და შემდეგ იქიდან არ ბრუნდებოდეს (კიკნაძე, 1979:238).

„სიცოცხლე-სიკვდილი-სიცოცხლე“ (166) – წუთისოფლიდან-მარადსოფელში და უკან – ასე მიმოიქცევა სიცოცხლე სამყაროში, არაფერი მთავრდება და არაფერი იკარგება. ასეთია ბიბლიური/მითიური დროის – მარადიული წრებრუნვის კანონი. ამ სიბრძნეს ჩასწვდა ჭაბუკი ნოეს სული, რწმენამ აიყვანა ის ამ საფეხურამდე: „უკვდავია კაციც ღმერთივით; სიკვდილი კი წამია ერთი სიცოცხლიდან მეორეში გადასასვლელად დრო-ხიდი“ (195). ასე აღმოაჩინა დაკარგული ღმერთი საკუთარ თავში, რადგან „სიტყვა – სიცოცხლეა და: სიცოცხლეა ადამიანთა ხვედრი“ (200).

ღმერთი სად სახლობსო, ეკითხებიან ღვთისმეტყველს და: სადაც მას შეუშვებენო – პასუხობს. აი, სწორედ უფლის მიღება-არმიღების, საკუთარ სულსა და გულში დაბინავების საკითხია უმთავრესი ანზორ კუდბას რომანში „ევლია“. ის კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ადამიანს მხოლოდ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით, მისი სინდისისა და ზნეობის გავლით, პიროვნული მიგნებებითა და შეცდომებით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით შეუძლია ჩასწვდეს ჭეშმარიტებას, უმაღლეს ეთიკურ კატეგორიებს. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ მოკვდავს უფალთან დასაკავშირებლად ერთგვარი შუამავალი სჭირდება, სწორედ ასეთ დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს ევლია – ღვთის კაცი. ასეთი შუამავლები ბევრია ბიბლიაში: დაწყებული მოსედან და დამთავრებული იესო ქრისტეთი – ღვთაებრივი ლოგოსით, რომელმაც წმინდა სახარების სახით გვასწავლა უზენაესთან მისასვლელი გზები.

„ვერასოდეს მოიგონებს და შექმნის ადამიანი იმას, რაც ბიბლიაში არაა. მწერლის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა ბიბლიის მარადი სიბრძნეები თუ გაფრთხილებები მთელი თავისი მწერლური ხერხებითა და საშუალებებით მიაწოდოს მკითხველს” (დოჩანაშვილი, 1999:107) – როგორც ვნახეთ, დიდი მწერლის ამ სიტყვების დასტურია ანზორ კუდბას შემოქმედებაც, მათ შორის, „ევლია“. ისიც ცდილობს ღმერთდაკარგულ ადამიანებს დაეხმაროს მის პოვნაში, აჩვენოს უფლისკენ მიმავალი გზა, რამეთუ, მწერლის აზრით, რწმენა მხოლოდ ურთიერთკავშირის, ურთიერთგაგების შედეგად ჩნდება: ადამიანი უნდა ენდობოდეს უფალს, მას უნდა გააჩნდეს ის სულიერი კამერტონი, რომელიც გაუადვილებს ჭეშმარიტების ძიებას, ნამდვილს ყალბისაგან განასხვავებინებს და მაშინ უფლისკენ მიმავალი გზაც აღარ იქნება შეცდომებითა და ტკივილებით, სინანულითა და ეჭვებით სავსე და მარადიული ნათელიც დაივანებს ადამიანის სულში.

როგორც ვნახეთ, ანზორ კუდბამ თავის რომანში დასვა და მხატვრულად გადაწყვიტა ეპოქათა მიჯნაზე, უდიდეს სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებათა ფონზე ღირებულებათა გადაფასების, აღრევის პერიოდში ადამიანებისთვის ერთ-ერთი უმწვავესი – ეთიკური ორიენტირების პოვნის საკითხი. მასში აქცენტირებულია დიგიმოდერნისტული ეპოქისათვის აქტუალური პრობლემები: პიროვნების თვითდამკვიდრების, ზნეობრივი ფასეულობების პოვნის, რასაც, საბოლოო ჯამში, ღმერთის ძიების საკითხამდე მივყავართ.

ანზორ კუდბას „ევლია“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს აქსიომატურ ჭეშმარიტებაში: ადამიანი ღვთის ხატი და ანარეკლი უნდა იყოს, შესაბამისად, ის სრულყოფისაკენ უნდა მიისწრაფოდეს – მაგრამ ამ, ერთი შეხედვით, მარტივ დებულებას მუდმივად განახლება და შეხსენება სჭირდება, რადგან მას უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს, ღმერთსმოკლებული ეპოქის, გაუცხოებული სამყაროსა თუ თვით ადამიანის სულში არსებული მარადიული ეჭვისა და სიბნელისაკენ მიდრეკილი ინსტინქტების სახით, ამიტომაც უტრიალებს ამ პრობლემას ანზორ კუდბა თავის შემოქმედებაში, ამიტომაც მსჭვალავს მის რომანს „ევლია“ ადამიანის ყოფიერების ტრაგიზმით გამოწვეული სევდა, ამიტომაც ცდილობს მწერალი გვიჩვენოს, როგორ ცდილობს ადამიანი განთავისუფლდეს მის არსებაში ჩაბუდებული ეშმაკისაგან, სიბნელისაგან და როგორ მიელტვის ის სინათლეს, სიყვარულს, ანუ უფალს.

გამოყენებული ლიტერატურა:

დოჩანაშვილი გურამ, ინტერვიუ, იხ. ჟ. „ცისკარი“, 1999, №3.
კიკნაძე ზურაბ, „შუამდინარული მითოლოგია“, თბილისი, 1979.
კუდბა ანზორ, „ევლია“, ბათუმი, 2021.
რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 2019.

ფიქრები „სევდიანი მონოლოგების“ შესახებ

„რასაც ვერ დავხატავ... დავწერ, და პირიქით,
თუ ვერ დავწერ, იქნებ დავხატო...“

ნინო ნიჟარაძე

ეს სიტყვები უმშვენიერესი და უნიჭიერესი ბათუმელი მხატვრის – ნინო ნიჟარაძის მოგონებათა წიგნიდანაა – „სევდიანი მონოლოგები“ რომ ჰქვია. ქალბატონი ნინო ჩემთვის უპირველესად იყო ბათუმის პედინსტიტუტის რექტორის – ნადიმ ნიჟარაძისა და, ასევე, ბპი-ს პროფესორ ნადია ჯიბუტის ქალიშვილი. მოგვიანებით გავიცანი, როგორც შესანიშნავი ხელოვანი, პედაგოგი და მუზეუმის დირექტორი. გავიცანი, როგორც ამ სამივე საქმის უზადო პროფესიონალი და დახვეწილი, იმავდროულად, პრინციპული ინტელიგენტი.

„სევდიანმა მონოლოგებმა“ *(ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2023; შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ წიგნიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს)* და მხატვრის ნამუშევრების ალბომმა ეს ნაცნობობა ახალი ნიუანსებით გაამდიდრა, სულ სხვა რაკურსით დამანახა ბათუმელი ხელოვანის სახე. უნდა გამოვტყდე, ფერწერისა ბევრი არაფერი გამეგება, მიუხედავად იმისა, რომ გადაკითხული მაქვს ლამის ყველა გენიოს-კლასიკოსის ცხოვრების შესახებ ბიოგრაფიული წიგნები (ჩვენს დროს ხომ უგზო-უკვლოდ ვკითხულობდით ყველაფერს, რაც ხელთ ჩაგვივარდებოდა), სახლშიც მაქვს ამავე კლასიკოსების რეპროდუქციათა ალბომები, მაინც ვერ გამოვდგები მხატვრობის შემფასებლად, დილეტანტობა კი არ მიყვარს, მაგრამ სულ სხვაა სიტყვიერად დახატული პეიზაჟები, პორტრეტები, გრძნობები – აი, აქ რაღაც გამეგება. ქალბატონი ნინოს წიგნმა კი დამარწმუნა, რომ მას შეუძლია არა მარტო ხაზებით, ფერებით ხატვა, არამედ – სიტყვებითაც; და როცა „ფუნჯი ყველა თემას ვერ იმორჩილებს“, მოიშველიებს სიტყვების მაგიას, ქართული ენით ხომ სამყაროში არსებული ყველა ფერის, ყველა გრძნობის, ყველა აზრის გამოხატვა შეიძლება. ეს ქართველმა სიტყვის დიდოსტატებმა: რუსთაველმა, ვაჟამ, გალაკტიონმა, გამსახურდიამ და სხვებმა და სხვებმა დაამტკიცეს. სხვათა შორის, ლადო გუდიაშვილი წერდა ამ უკანასკნელის შესახებ: ეს კაცი მარტო მწერალი კი არა ნამდვილი მხატვარია, მისმა ნაწერებმა უამრავი ტილოს შექმნა შთამაგონესო; ან, რად ღირს „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება, ვიქტორ ნოზაძის მიერ ენციკლოპედიურად შესწავლილი, გალაკტიონის მიერ მხატვრული სახის, მელოდიისა და ფერების უჩვეულო სინთეზით მიღწეული ღვთაებრივი ჰარმონია, ვაჟას მიერ ჯადოსნურად ამეტყველებული, სულჩადგმული ბუნება, რომელი ერთი გავიხსენოთ და ეს ყველა-

ფერი უმდიდრესი და ულამაზესი ქართული ენის დამსახურებაცაა. ამაზე ასე დაწვრილებით იმიტომ ვსაუბრობ, რომ, ჩემი აზრით, მხატვრული სახის, ფერისა და მელოდიის ორგანული ერთიანობა ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების თანმხლებია, რომელ ჟანრსაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს ის.

ქალბატონი ნინო მშობლიური ენის, ქართული ანბანის თაყვანისმცემელია. ამის დასტურია მისი ნამუშევრების ალბომში შესული ქართული კალიგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშები, ასევე, მემუარებში დახვეწილი სტილით, მსუყე ლექსიკით, ლამაზი ქართულით მოთხრობილი ამბები ახლო თუ შორეული წარსულისა. გავიხსენოთ, როგორ გადმოგვცემს ავტორი ქართული შრიფტის გრაფიკული გამოსახულების დანახვაზე უცხოელების რეაქციას: „რა მშვენიერებაა, რა სიფაქიზე... რა შრიფტია ასეთი?“ – მსგავსი შეძახილებით აღსავსე არაერთ ეპიზოდს ნახავთ წიგნში და ისინი მკითხველშიც სიამაყის განცდას აღძრავენ.

ნინო ნიჟარაძეც ოსტატურად იყენებს ქართული ენის უმდიდრეს შესაძლებლობებს, რათა გულწრფელად, ხატოვნად და ემოციურად გაგვიზიაროს თავისი ცხოვრების მღელვარე ისტორიის ფრაგმენტები, გვიჩვენოს, ვინ თუ რამ მოახდინა მისი, როგორც პიროვნების, მოქალაქისა და ხელოვანის ფორმირებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა, რა შთაბეჭდილებები გამოყვა და რატომ.

მოხდენილად შეაფასა ეს წიგნი თავადაც უნიჭიერესმა ბათუმელმა ხელოვანმა, პოეტმა ვახტანგ ღლონტმა, როცა თქვა: ავტორი „ფერებით წერს და სიტყვებით ხატავსო“ (3) და კიდევ: თავად ნინო ნიჟარაძეა მემატიანეც და მთავარი პერსონაჟიც ბათუმური ამბებისაო.

ქალბატონ ნინოს გაუმართლა: ის საქართველოში ცნობილი მეცნიერების ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, საუკეთესო ინტელექტუალებისა და ხელოვნების თაყვანისმცემელთა გარემოცვაში, ბავშვობა გაატარა ბათუმის უმშვენიერეს ბულვარში, ზღვის პირას, ლაღად, თავისუფლად, ცხოვრების გზაზე შეხვდა და ურთიერთობდა გამორჩეულ ადამიანებთან, ცხოვრების თანამგზავრად კი ბედმა სულითა და ხორცით მისი ჯუფთი „საყვარელი მხატვარი“ მოუვლინა – შესანიშნავი ფერმწერის, ვახტანგ ბესელიას სახით, ორი მშვენიერი ვაჟიც აჩუქა უფალმა, სხვა რაღა უნდა ინატროს ადამიანმა? მაგრამ მხატვარი-ქალის სიტყვიერი მონოლოგები მაინც სევდანარევია, რადგან ეს ყველაფერი წუთისოფელში ხდება, რომელიც „თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა“, ყველაზე საყვარელ ადამიანებს ართმევს, ათას განსაცდელს მოუვლენს...

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნინო ნიჟარაძის „სევდიანი მონოლოგები“ არაა ტიპური მემუარისტული ტექსტი. მასში ძირითადი აქცენტი გადატანილია არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით პიროვნების ცხოვრების ან ქვეყნის ისტორიის გარკვეული მომენტების გადმოცემაზე, არამედ გამოკვეთილია ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომლებმაც საბჭოთა იმპერიის განაპირა კუთხეში, აკაკი ბაქრაძეს თუ დავესესხებით, „ხელოვნების მოთვინიერების ეპოქაში“, ელიტურ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ოჯახში აღზრდილი, განებივრებული, ნაბოლარა ფერიასავით გოგონასაგან ჩამოაყალიბა თვითმყოფადი, არაორდინალური ხელოვანი. სწორედ ამ თვითდაკვირვების, თვითანალიზის საინტერესო პროცესის ჩვენებაა ეს ტექსტი და, ვფიქრობ, ამ ინტროსპექციითა ის განსაკუთრებით ძვირფასი და საინტერესო. თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ წიგნში თქვენ ნახავთ იმპრესიონისტულ ჩანახატებს ექსპრესიული რემარკებით. ასე ვეცნობით პატარა ასაკიდანვე ფიქრისა და განსჯისაკენ მიდრეკილ, მოსმენისა და აღქმის ნიჭით დაჯილდოებულ, იმავდროულად, მდიდარი ფანტაზიისა და წარმოსახვის მქონე გოგონას, რომელსაც, მართალია, სუსხიანი საბჭოთა რეალობა ხშირად აფხიზლებს, შეახსენებს თავს, ილუზიებსაც უფანტავს, თუმცა ვერ ახერხებს მისი თავისუფლებისმოყვარე, ამაყი, დამოუკიდებელი, თან მეოცნებე, ჰუმანური ბუნების შეცვლას.

ასე მგონია, ქალბატონი ნინოს ასეთ პიროვნებად და ხელოვანად ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა ბათუმმა, რომლის ულამაზესი ბულვარი, ფაქტობრივად, მისი ეზო იყო, საიდანაც მაგნოლიების მათრობელა სურნელი ფანჯრებში იღვრებოდა, ზღვამ, რომლის ტალღების შრიალში

იძინებდა, ფანტასტიკური მშვენიერების აის-დაისებმა, საცხოვრებელი სახლის იდუმალი ისტორიებითა და სიძველის სურნელით გაჯერებულმა კედლებმა, იქ მცხოვრებმა კოლორიტულმა ადამიანებმა, მშობლების უახლოესმა გარემოცვამ, პიროვნული ხიბლით, ინტელექტით, ტალანტითა და იუმორით სავსე ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა (მარტო ლადო გუდიაშვილის, თენგიზ აბულაძის, ჭაბუა ამირეჯიბის გახსენება რად ღირს!) – ყველამ თავისი წილი შეიტანა ნიჭიერი, ცნობისმოყვარე გოგონასაგან თვითმყოფადი, სხვებისგან განსხვავებული ხელოვანის ჩამოყალიბებაში.

ფაქიზი და დასამახსოვრებელი შტრიხებით იხატება „ბათუმი, ენგელსის ქ. №1 XX საუკუნის 50-იანი წლები...“ (21); აქ მდებარეობდა არქიტექტურული სისადავით გამორჩეული თავად მიხეილ ნაკაშიძის აგურით ნაშენი მოოქროსფრო ევროპული სტილის ორსართულიანი სახლი მანსარდით, სადაც ზაფხულობით გამოქვაბულის სიგრილე, ხოლო ზამთრობით – თბილი სიმყუდროვე სუფევდა. ნინო ნიჟარაძე დიდი სიყვარულითა და ტაქტით აცოცხლებს ამ მშვენიერი სახლისა და მისი, არანაკლებ მომხიბლავი, მკვიდრი თუ „მუდმივი მდგმურების“ ცხოვრებისა და ურთიერთობის ეპიზოდებს.

ნინო ნიჟარაძე სიყვარულით გვიხატავს დედის – სრულიად ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერის, ენერგიული და ორგანიზატორული უნარით დაჯილდოებული ნადია ჯიბუტის სახეს, რომელიც მშვენივრად უთავსებდა ერთმანეთს მკვლევრის, საზოგადო მოღვაწისა და შვილების მეგობრის, მრჩევლის, მკურნალის მოვალეობებს, რომლის „ფრთის ქვეშ“ (6) მთელი ბავშვობა თავს უსაფრთხოდ, მყუდროდ და კომფორტულად გრძნობდა. ადამიანური ურთიერთობის მაღალი კულტურით გამორჩეული ქალბატონი ნადიას დამსახურებაც იყო, რომ სხვადასხვა პროფესიისა თუ ეროვნების სტუმრები თავს შინაურულად და ბედნიერად გრძნობდნენ ნიჟარაძეების „ღირსებითა და იუმორით“ (13) გამორჩეულ ოჯახში. ქალბატონი ნადია იყო „ყველა გარემოებაში, შინ თუ გარეთ, ღირსეული, გონიერი, სიახლეების მიმღები და ყოველთვის – ქალი“ (88), ამიტომაც ცხოვრების გზაზე თან დაჰყვება შემოქმედს დედის, როგორც მისი ყველა მნიშვნელოვანი ნაბიჯის განმსჯელ-დამფასებლის, ხატება.

აქვე იხატება მამის – ნადიმ ნიჟარაძის „ერთი შეხედვით ძლიერი, სულიერად მომწიფებული და ამავე დროს ბავშვურად მიამიტური სახე-პორტრეტი, რომლის გამომეტყველებაში იკითხება ერთდროულად პრინციპულობა, ინტელექტი, იუმორი, სევდა და... სიმორცხვე“ (8), რომლის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი შვილები იყო.

ნინო ნიჟარაძეს აქვს უნარი, თითქოს უმნიშვნელო დეტალით გვიჩვენოს ადამიანური ურთიერთობების ხასიათი, გრძნობათა სიღრმე და სიფაქიზე: თეატრში წასასვლელად ვარდისფერ ბლუზაში გამოწყობილ ქალბატონ ნადიას, მისი მშვენიერებით დაბნეული ბატონი ნადიმი ასეთი სიტყვებით ამკობს – „ატმის ყვავილს ჰგავხარ... ქალბატონო... ნადია!“ (13) – ამას ენის ბორძიკით ამბობს და ეს ერთი სიტყვა ფსიქოლოგიურად ზუსტად ახასიათებს მისი ემოციის გულწრფელობას და დამოკიდებულებას სათაყვანო მეუღლის მიმართ.

ოჯახური ღირებულებები უმთავრესია მოგონებათა ავტორისთვის და ამიტომაც ასე კარგად გვიხატავს ევროპული ქალაქ ბათუმის მკვიდრი ტრადიციული და პროგრესული ოჯახის ქართულ-ევროპულ კულტურასა და ესთეტიკას. უმშვენიერეს გარემოსა და ოჯახში ლაღად იზრდებოდა გოგონა, რომელსაც, ქალაქად თუ გურიის სოფელში მყოფს, ზრუნვა და ალერსი არ მოკლებია, სილამაზის შეგრძნების უნარი და თავისუფლების მათრობელა გრძნობა ბავშვობიდან მოყვებოდა. ღვთითბოძებულ ნიჭთან ერთად, ალბათ, ამანაც განაპირობა ქვეყნად ყველაზე თავისუფლებისმოყვარე, მეამბოხე და ბოჰემური პროფესიის – მხატვრობის არჩევა, რისთვისაც არაერთხელ მადლობა შეუწირავს უზენაესისთვის: „ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა მომანიჭა უფლება პროფესიად მხატვრობა ამერჩია, რაც მუდამ თავისუფლებასთან ასოცირდება“ (211). ხელოვნებაში ყველა ახალი მიმდინარეობის საწყისებთან ხომ მხატვრები დგანან: იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, თუ-

ნდაც პოსტმოდერნიზმი, მეტამოდერნიზმი და ბევრი სხვა, რომლებიც მხატვრობიდან ხელოვნების სხვა სფეროებში, მათ შორის, ლიტერატურაშიც წარმატებით დამკვიდრდნენ.

ნინო ნიჟარაძის გამოცდილი ოსტატ-პორტრეტისტის კალმით იხატებიან კარის მეზობლები, ძმადნაფიცი ნუკრია, თავისი დობილის მცველი რაინდი, თავად მიხეილ ნაკაშიძის თხემით ტერფამდე არისტოკრატი, სორბონის უნივერსიტეტდამთავრებული, პარიზის სილამაზის კონკურსის პრიზიორი, ერთადერთი ღვთისმორწმუნე ქალბატონი სამეზობლოში – თამარ ნაკაშიძე, რომელმაც პატარა ფანტაზიორი და ცნობისმოყვარე გოგონა მესაიდუმლედ აირჩია. იხატებიან „თამარის ამირეჯიბები“, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, გამოირჩეოდა მისი დისშვილი – გენიალური ჭაბუა ამირეჯიბი – თავისი „ჩახრინწული ხმის ტემბრითა და თხრობის განსაკუთრებული მანერით“ (78).

არანაკლები ხელოვნებით ხატავს ნინო ნიჟარაძე მცირე თუ უფრო ხანგრძლივი დროით შემოსტუმრებული მრავალეროვანი ოჯახების წარმომადგენლებს, რუს „დომკომს“ თუ ამერიკელ სტუმარს და, რაც მთავარია, თითოეული მათგანისთვის პოულობს დასამახსოვრებელ შტრიხს, გარეგნობისა თუ ხასიათის განუმეორებელ დეტალს, რაც მკითხველს თვალწინ ცოცხლად წარმოუდგენს კოლორიტულ სახეს ამა თუ იმ ადამიანისა და არა მარტო: რად ღირს თუნდაც „მონოლოგი როიალი“: ინსტრუმენტი „შემოაბრძანეს“ დიდ დარბაზში და მას შემდეგ „მუსიკა განეფინებოდა გულსა და გონებაში“, ამრავალფეროვნებდა მომავალი ფერმწერის შთაბეჭდილებებს, უვითარებდა არა მარტო ყურთასმენას, არამედ „გულთასმენასა და სულთასმენას“ (53).

დაუვიწყარია და უფროსი თაობის ბათუმელებში ნოსტალგიურ გრძნობებს აღვიძებს გასული საუკუნის ბათუმის სიტყვიერ-ფერწერული სურათი. ავტორის თქმით, „იმ პერიოდში ბათუმი საქართველოში ყველაზე ევროპულ ქალაქად ითვლებოდა. პორტში თითქმის ყოველდღიურად შემოდიოდა საკრუიზო გემები აღმოსავლეთ ევროპიდან და „ევროპულად“ ჩაცმული უცხოელები მთელს ქალაქში დასეირნობდნენ...“ (59).

ბათუმში 1962 წელს ამერიკული ჯაზის ერთ-ერთი ვარსკვლავი ერლ ჰაინსიც უკრავდა, ბათუმელი სამოციანელი გოგო-ბიჭებიც მსჯელობდნენ ჯაზზე, ერნსტ ჰემინგუეიზე, მოდის უახლეს ტენდენციებზე, თანამედროვე ფილმებზე, ასე რომ, „60-იანი წლების ახალგაზრდობა ჩაცმულობით, იერით და ინტერესებით – ევროპელები იყვნენ“ (73).

ჩვენს თვალწინ წამოიმართება გასულ საუკუნეში ბათუმის სტუმრებისთვის გამორჩეულად საყვარელი სასტუმრო „ინტურისტი“, მისი კაფე „კოფე“, განსაკუთრებულად არომატული „ბათუმური“ ყავის დავიწყებულ ნელსურნელებასაც შევიგრძნობთ, რომელსაც „ახლავს ზღვის, მაგნოლიის, თამბაქოსა და წვიმით განბანილი ჩვენი ქალაქის ტკბილი სურნელი“ (143).

მხატვარს რომ პეიზაჟების ხატვა სიტყვებითაც ეხერხება, არაა უჩვეულო, მაგრამ, სამწუხაროდ, არაიშვიათად ხვდება ხელოვანს „მხატვრის თვალისათვის მომაკვდინებელი, უღიმღამო... უსახური გარემოც“ (154), ამიტომაც განსაკუთრებულ ბედნიერებას ანიჭებს ფერადოვანი პეიზაჟები, ციტრუსების ბაღის ოქროსფერი ელვარება თუ ვარდისფრად აკიაფებული კავკასიონი და ახერხებს მათი მშვენიერება ჩვენც შეგვაგრძნობინოს: „რა სანახაობა, რა თბილი ნათება, თითქოს ნარინჯისფრად მოკაშკაშე ბაღი მზეს ჩაუდგა ჯიბრში, მისმა თბილმა ფერადოვნებამ უფერულ და „შემცივნებულ“ მზესაც მიანიჭა ფერი – ნარინჯისფერი“ (153).

„ვარდისფრად მანათობელი თოვლიანი მთის მასივი უნაზესი მოხაზულობით შემოჭრილა გავარდისფერებულ ზღვაში“ (155).

ნინო ნიჟარაძე ძალდაუტანებლად გვაგრძნობინებს საბჭოთა ეპოქის სუსხსა და სიავეს, თუნდაც თავად მიხეილ ნაკაშიძის სახლის „ნაციონალიზებით“, თამარ ნაკაშიძის მეუღლის, გეოგრაფიის პედაგოგ ნიკოლოზ ლორთქიფანიძის, უსაყვარლესი ტკბილი მეზობლის – მიშა ჩხეიძის – საბჭოთა რეპ-

რესიებს შეწირული ადამიანების ბედის ჩვენებით; კინოფილმ „მონანიების“ გადაღების ეპიზოდიც თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ 1937 წლის შემდეგ წითელ იმპერიაში ბევრი არაფერი შეცვლილა.

თავისი მოღვაწეობიდან ხელოვანი განსაკუთრებით გამოყოფს თოჯინების თეატრში მთავარ მხატვრად მუშაობას, სტუდია „მთიების“ დაარსებას (რომელსაც ერთმა მშობელმა „სიხარულის სახლი“ დაარქვა), და ხელოვნების მუზეუმის დირექტორის რანგში საქმიანობას.

ქალბატონი ნინო ნიჟარაძე დაწვრილებით გვესაუბრება სწავლების თავისი მეთოდოლოგიის შესახებ: გვიხსნის, როგორ ასწავლიდა პატარებს „მხატვრის თვალით“ აღქმის თავისებურებებს, „მხატვრის თვალი“ ხომ ზეგრძნობიერებისაკენ მიისწრაფვის, იმას ხედავს, რასაც სხვა ვერ ამჩნევს“ (157), გვიჩვენებს, როგორ შეჰყავდა სტუდიელები ხელოვნების სხვადასხვა სფეროს – მხატვრობის, მუსიკის, თეატრის სამყაროში, როგორ ეხმარებოდა ესთეტიკური მშვენიერების შეგრძნების უნარის ჩამოყალიბებასა და გემოვნების დახვეწაში, რადგან უპირობოდ სწამდა: „გემოვნებაზე დაობენ“ (201).

საინტერესოა ქალბატონ ნინო ნიჟარაძის 20-წლიანი მოღვაწეობა ხელოვნების მუზეუმში, რომელსაც ის ტაძარს უწოდებს. ეს იყო გუნდური, ერთობლივი მუშაობის წლები, შემოქმედებითი აღმაფრენითა და უდიდესი პასუხისმგებლობით, ახალი იდეებით სავსე. ასე განხორციელდა უამრავი ინოვაციური პროექტი, რომლებიც, იმავდროულად, ნაციონალური კულტურისა და ხელოვნების ჩვენებას ისახავდნენ მიზნად.

მუზეუმის სტუმრების აღფრთოვანებას იწვევდა იქვე არსებულ გალერეაში ბუნება-მუსიკა-მხატვრობის სინთეზირებით შექმნილი სეზონური კომპოზიციები, თემატური გამოფენები, მაგალითად, „ბავშვთა სახეები მხატვრობაში“, „პიკასო საქართველოში“, „შეხვედრა ფიროსმანთან“ და ა. შ., ამიტომაც იმსახურებდა სპეციალისტთა უმაღლეს შეფასებას ხელოვნების მუზეუმი, რომელშიც ნამდვილი პროფესიონალები, ამასთან ერთად, „ფაქიზი სულის ადამიანები მუშაობდნენ“ (209).

სამწუხაროდ, ეს შემოქმედებითი დუღილი შეეწირა სამუზეუმო გაერთიანებების მორიგ რეფორმას, რომელიც „არა სისტემის გარდაქმნას,“ არამედ მის „ნიველირებას“ (209), მასობრივი კულტურის მდინარესთან შეერთებას, მის კომერციალიზაციას ისახავდა მიზნად. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მმართველად არ გამოდგებოდა ხელოვანი, ვისთვისაც შემოქმედება, თავისუფლება და ეროვნული კულტურა უპირველესი მცნებებია.

ნინო ნიჟარაძეს რომ თანაბრად ეხერხება კალმით და ფუნჯით ხატვა, მისი „სევდიანი მონოლოგებიც“ დაგარწმუნებთ. ეს არცაა გასაკვირი, ხელოვანი ხომ ბავშვობიდანვე დედის ნაჩუქარ ბლოკნოტში იწერდა შთაბეჭდილებებს, ჩანახატებს, პორტრეტებს, რეფლექსიებს, რაც მთავარია, ყველა ეს ჩანაწერი იყო გულწრფელი, მხოლოდ ავტორის თვალისთვის განკუთვნილი. იმდენად მრავალფეროვანი, ექსპრესიული და ფერადოვანია ეს ჩანაწერები, ისე კარგადაა შერწყმული ერთმანეთთან ღიმილი და ცრემლი, მსუბუქი ირონია და ზოგჯერ – თვითირონიაც, ისე ენაცვლებიან ისინი ერთმანეთს, ისე ნატიფადაა დამუშავებული ყველა დეტალი, რომ თითოეულ მათგანზე შეიძლება დაწვრილებით საუბარი, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. ამჟამად მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილებებით შემოვიფარგლებით.

ერთს დავძენ მხოლოდ, ნინო ნიჟარაძის „სევდიანი მონოლოგები“, თუ მასვე დავესესხები, „ხედვის ახალი რაკურსით, ახალი პერსპექტივით“ (212) დაგანახებთ ულამაზესი, საკუთარი სტილის მქონე, ელეგანტური ბათუმელი მხატვრის, პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის პიროვნებას, ხელოვანის მეამბოხე და ნატიფ სულს, ქართული ოჯახის ღირსეულ დედასა და ერთგულ მეუღლეს, სტუმარ-მოყვარე დიასახლისსა და თავმდაბალ შემოქმედს, რომელიც ყველაზე რთულ, მძიმე ცხოვრებისეულ სიტუაციებშიც არ კარგავს ღირსებას, იუმორის გრძნობას, ჭირსა შიგან გამაგრების უნარს და, რაც მთავარია, ყველგან და ყოველთვის რჩება ქართულისა და საქართველოს ერთგულ მეხოტბედ.

თემო ჭახნაკია

ქრისტეშობის თემა ქართულ პოეზიაში

სანამ შობის თემაზე დაწერილ ქართულ, ქრისტიანულ ლექსებზე ვისაუბრებთ, მანამდე წავიკითხოთ რას გვეუბნება წმინდა წერილი აღნიშნული დღესასწაულის შესახებ.

მახარობლებისა და მოციქულების მიერ დაწერილი ახალი აღთქმის 27 წიგნი და ეპისტოლეები: გალატელთა (4:4), ესაია (7:14), ესაია (9:6), გამოცხადება (12:1-5), არაფერს გვეუბნება ქრისტეს დაბადების ზუსტ თარიღთან დაკავშირებით. სახარებისეულ შობის ეპიზოდებში ვკითხულობთ:

ისრაელელი მოციქული მათეს სახარება 1:18-23

ხოლო იესო ქრისტეს შობა ასე იყო: მისი დედა მარიამი დანიშნული იყო იოსებზე და ვიდრე ისინი შეუღლდებოდნენ, დაორსულებული აღმოჩნდა სულიწმიდის მიერ. ხოლო იოსებმა, მისმა ქმარმა, მართალმა კაცმა, არ ისურვა მისი გამხელა და განიზრახა მისი ფარულად გაშვება. როდესაც ამას განიზრახავდა, ეჩვენა მას სიზმარში უფლის ანგელოზი და უთხრა: „იოსებ, დავითის ძეო, ნუ გაშინებს მარიამის მიღება ცოლად, რადგან ის, ვინც მან უნდა შვას, სულიწმიდისგან არის. შობს ძეს და უწოდებ მას სახელად იესოს, რადგან იგი იხსნის თავის ხალხს მისი ცოდვებისაგან“. ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულდეს უფლის სიტყვა, ნათქვამი წინასწარმეტყველის პირით, რომელიც ამბობს: „აჰა, დაორსულდება ქალწული და შობს ძეს, და უწოდებენ მას სახელად ემმანუელს“, რაც თარგმანით ნიშნავს: „ჩვენთან არს ღმერთი“.

სირიელი მოციქული ლუკას სახარება 2:1-14

იმ დღეებში გამოვიდა ავგუსტუს კეისრის ბრძანება, აღეწერათ მთელი ქვეყანა. ეს აღწერა პირველი იყო და მოხდა ის სირიაში კვირინიუსის გამგებლობისას. მიდიოდა ყველა აღსაწერად, თითოეული თავის ქალაქში. იოსებიც ავიდა გალილეიდან, ქალაქ ნაზარეთიდან, იუდეაში, დავითის ქალაქში, რომელსაც ეწოდება ბეთლემი, რადგან იგი დავითის სახლიდან და საგვარეულოდან იყო. რათა აღწერილიყო თავის დანიშნულთან, მარიამთან, ერთად, რომელიც ორსულად იყო. მათი იქ ყოფნისას დაუდგა მარიამს მშობიარობის ჟამი. და შვა ძე, თავისი პირმშო, შეახვია და დააწვინა ბაგაში, რადგან სასტუმროში მათთვის ადგილი არ იყო. იმ მხარეში მწყემსები მინდვრად იყვნენ გასული და ღამის დარაჯად უდგნენ თავიანთ სამწყსოს. და, აჰა, უფლის ანგელოზი დაადგა მათ თავზე და უფლის დიდება გამოუბრწყინდა მათ და შეეშინდათ დიდი შიშით. და უთხრა მათ ანგელოზმა:

„ნუ გეშინიათ. აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისთვის იქნება: რადგან დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი. და ეს გექნებათ ნიშნად: იპოვით ჩვილს, შეხვეულს და ბაგაში მწოლარეს“.

სავარაუდოდ ჩვ.წ-ით 336 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ დაადგინა ღმერთის განკაცების თარიღად 25 დეკემბერი, რომელიც შემდეგ მყარად დამკვიდრდა ქრისტიანულ ტრადიციაში, თუმცა ღვთისმეტყველთა და ისტორიკოსთა აზრით ეს სიმბოლური თარიღია. საეკლესიო მწერლები: ირინეოს ლიონელი (130-200), ტერტულიანე (160-225) და ორიგენე (185-251) ქრისტეშობის აღნიშვნას წარმართულ გადმონაშთად თვლიან, ალბათ ამიტომ წერს პროფესორი სოსო სიგუა: „ახალი ღმერთები იმეორებდნენ ძველი ღმერთების ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს. მაგ. ქალწულის მიერ ქრისტეს შობა; 25 დეკემბერს ეგვიპტეში ზეიმობდნენ ოსირისისა და ისიდას ვაჟის – ჰორის დაბადებას; ამავე დღეს აღნიშნავდნენ მზის ღმერთის – მითრას შობის დღეს ირანში, ისევე როგორც ქრისტიანები – ქრისტეს დაბადებას; ეგვიპტურ ხელოვნებაში ისიდა ძუძუს აწოვებს ჰორს, როგორც საუკუნეთა შემდეგ ღვთისმშობელი – ჩვილ იესოს;

შდრ: ქართული ბაგა, სადაც ღმერთი და კაცი იბადება, ბაგე, რომელიც გამოსცემს უფლის ნებას, ბაგინეთი, რომელიც ღმერთების სამყოფელია“.

გამომდინარე აქიდან, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს 7 იანვარს აღვნიშნავთ შობას, თუ 25 დეკემბერს, თუმცა ჩვენი ისტორიული, ჩრდილოელი მტრის ფაქტორის გათვალისწინებით, პრინციპულად არის მნიშვნელოვანი, რომ მათგან განსხვავებულად, 25 დეკემბერს აღვნიშნოთ, 11 ქვეყნის ავტოკეფალური ეკლესიის მსგავსად. ეკლესიურად აღნიშნული რიცხვი ხომ სინათლის სიბნელეზე გამარჯვების სიმბოლოდ არის აღიარებული.

ერთი რამ ცხადია, ქრისტეშობა განუმეორებელი მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც ახალ ერას მისცა დასაბამი და ქართველ და უცხოელ მწერალთა ინტერესის საგანიც გახდა. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში 1890-იანი წლებიდან ჩნდება პროზაული და პოეტური ტექსტები, რომლებიც უდიდეს ქრისტიანულ მოვლენას – შობას ეძღვნება. 1890-1920 წლების შუალედში 15-ზე მეტი ლექსი და 10-ზე მეტი მოთხრობაა დაბეჭდილი ქართულ პერიოდიკაში, ვნახავთ თარგმანებსაც.

მოგეხსენებათ, რომ 1922 წელს საბჭოთა კავშირი ოფიციალურად შეიქმნა, რომელიც 1991 წელს დაიშალა. ათეისტური, სისხლიანი რეჟიმის პირობებში, რელიგიურ-ქრისტიანულ თემაზე ლექსის დაწერა სახიფათო იქნებოდა და შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა ავტორს, შესაბამისად კომუნისტური სისტემის პერიოდში იშვიათია ქრისტეშობისადმი მიძღვნილი მხატვრული ტექსტები. ვპოულობთ მხოლოდ ათეისტი ლექსმწერების მიერ სატირული ხასიათის ლექსებს შობის თემაზე.

აღნიშნულ თემაზე ნოველები აქვთ დაბეჭდილი შემდეგ ავტორებს: იაკობ მანსვეტაშვილს (1890), გიორგი წერეთელს (1895), გიორგი ბოკერიას (1899), მარიამ დემურიას (1906), ვაჟა-ფშაველას (1910), ნიკო ლორთქიფანიძეს (1910), ნესტორ კალანდაძეს (1910), ნინო ნაკაშიძეს (1911), სერგო ბაირონიშვილს (1912), გიორგი ნანეიშვილს (1914), ეკატერინე გაბაშვილს (1915), დავით კასრაძეს (1917) და სხვებს.

აკაკი წერეთელი 50 წლის ასაკში, 1890 წელს აქვეყნებს 8 სტროფიან ლექსს „შობა“, რომელიც 8-მარცვლიანი სალექსო მეტრით არის დაწერილი და მეორე და მეოთხე ტაეპებია გარითმული. ეს არის ყველასთვის იოლად აღსაქმელი გალექსილი ამბავი, რომელიც ქრისტეშობის იგავს უკავშირდება და ქრისტეს მოციქულის, ლუკას სახარებით არის ნაკარნახევი. ლექსი მაგიურად მბრწყინავი ვარსკვლავის აღწერით იწყება.

ეს ვარსკვლავი გაბრწყინდა ცაზე ყველა ვარსკვლავზე უმეტესად, და მისი ნათელი იყო გამოუთქმელი, ხოლო მისმა სიახლემ ყველა მოიყვანა შეშფოთებაში, ამბობს: წმიდა ეგნატე ღვთისმხილ-

ველი, რომელიც ბიბლიის მიხედვით ღმერთის ქვეყნად მოვლინების მანიშნებელი და მოგვთათვის გეზის მიმცემი უნდა ყოფილიყო. მას ჩვილ იესომდე უნდა მიეყვანა აღმოსავლელი გრძნეულები. პოეტს რატომღაც მოგვები და ვარსკვლავთმრიცხველნი სხვადასხვა პროფესიის ხალხად ჰყავს წარმოდგენილი, არადა ბიბლიურად მოგვი იგივე ვარსკვლავთმრიცხველია, თანამედროვე მნიშვნელობით – ასტრონომი. ვინაიდან ეს პირველთაგანი ლექსია შობის თემაზე, სრულად შემოგთავაზებთ:

„აღმოსავლეთით გამოჩნდა
ვარსკვლავი „სჯულის ცნობისა“,
ჯერ უნახველი კაცთაგან,
უცნაურ სხივოსნობისა!
გაჰკვირდენ ვარსკვლავთ მრიცხველნი,
ვერ მისწვდა მათი გონება...
ინიშნეს მხოლოდ მოგვებმა
და იგრძნეს უფლის მონება.
ჰფიქრობდნენ ქვეყნის მპყრობელის
ამ ქვეყნად დაბადებასა;
თან მიჰყვნენ ვარსკვლავს მიმავალს,
ჰგალობდნენ ქებათ-ქებასა.
გაჩერდა ბეთლემს მნათობი,
ქვაბზე სხივები დაჰფინა,
სთქვეს მოგზაურთა: „აქ არის
ახალშობილის, სჩანს, ბინა!“
შევიდენ, ნახეს მწოლარე
ბაგაში საკვირველი ყრმა;
ნაცვლად „მზე შინას“ ისმოდა
ანგელოზთ საამური ხმა!
ხედავენ ღარიბ სახვევში...
არსად სჩანს ხოჭიჭ-აკვანი!..
დაემხვნენ მის-წინ მორჩილად,
სასოებით სცეს თაყვანი.
ოქრო, გუნდრუკი და მური
შესწირეს ახალშობილსა,
და უგალობდენ სიმდაბლით
საგალობელსა წყობილსა.
„დიდება ყოვლის შემოქმედს!
დიდება მისა მცნებასა!..
დიდება ქვეყნად მაცხოვრის
ხორციელ მოვლინებასა!..“

1910 წელს ვაჟა-ფშაველამ გამოაქვეყნა 146 ტაეპიანი და 8-მარცვლიანი სალექსო საზომით დაწერილი მინი-პოემა „საშობაო ამბავი“, სადაც მოთხრობილია ხელმოკლე გლეხის გეგენას და მისი ღარიბი ოჯახის შესახებ. პოეტი ნათლად აღწერს გლეხის დუხჭირ ყოფას და მის პიროვნულ ხასიათს. ლექსის სიუჟეტიდან ვიგებთ, რომ გეგენა ერთი უქონელი კაცია, რომელიც ცოლ-შვილთან ერთად

ფარღალალა ქოხში ცხოვრობს და მცირე ჯამაგირით ძლივს არჩენს ოჯახს, თუმცა ღვთისმოშიში ადამიანია და მიუხედავად სიღარიბისა, არავის მოპარავს რაიმეს, არც ღმერთს საყვედურობს. სოფელში საშობაო ფუსფუსია, მისი თანასოფლელები საკლავებს კლავენ, გეგენას კი არაფერი ჰყავს ყელგამოსაღადრი და მოწყენილობა სუფევს მის სახლში. ვაჟა-ფშაველას ინსპირაციის წყარო უნდა ყოფილიყო ცნობილი ინგლისელი მწერლის, ჩარლზ დიკენისის მოთხრობა „საშობაო სიმღერა“, რომლის მთავარი გმირი ებენეზერ სკრუჯი ბევრი რამით ჰგავს ვაჟას პოემის გმირს – გეგენას. საერთოდ კი ამ ორი მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტი აღებულია წმინდა წერილიდან (დაბადება, XVIII თავი), სადაც ვკითხულობთ, რომ აბრაამს და მის ცოლს სარას უფალი ესტუმრება, რომელსაც გულუხვად გაუმასპინძლდებიან.

ვაჟა-ფშაველას პოემის სიუჟეტიც მსგავსად ვითარდება, გეგენას გადაცმული ქრისტე ესტუმრება საშობაოდ და მხოლოდ ღამის გათევას სთხოვს, მას თბილად მიიღებენ და დააპურებენ. პოემაში იდეურ-თემატური აქცენტი დასმულია ქრისტესმიერ სათნოებაზე, სტუმართმოყვარეობასა და პატიოსნებაზე, რაც საბოლოოდ ყოველთვის ფასდება. პოემის დასასრულში ვკითხულობთ:

„და არ იციან, ვით დაჰხვდნენ,
სტუმარს ღმერთადა ჰსახავენ!
ერთი ფეხებს ჰხდის, მეორე
უფრო თბილს ადგილს უმარჯვებს
და, თუ რამ მოეპოვება,
მხრებზე გასათბობს უმატებს.
„ღმერთმა გიშველოსთ, ჩემს ნაცვლად
იქნებ მან მოგცესთ წყალობა,
ვევედრი, თქვენს საწყლობასა
მან გაუწიოს წამლობა“.
თავად თუმც ჰშიანთ, მაგრამა
მჭადი სულ სტუმარს მოართვეს
და უხარიან ყველასა –
მშიერი კაცი გააძღეს.
შემდეგ მის მოსასვენებლად
თბილი ლოგინი გააწყვეს.
თავად კი მშივრები დაწვნენ,
რა გადიწერეს პირჯვარი.
ეძინათ, ვიდრე განთიადს
თან მოჰყვებოდა ცისკარი.
IV
პირველად გეგენა ადგა
და გადაქექა ნაცარი,
ცეცხლისა შესანახადა
ნაკვერჩხლებზედა ნაყარი.
დაანთო ცეცხლი. განათდა
ქოხი და ქოხში რაც არი;
გაოცდა მეტის-მეტადა,
სუართი ნახა საზარი:

იმის ქოხისა კელდები
თეთრია, როგორც საყდარი,
სავსეა სანოვაგითა,
რასაც ინატრებ, აქ არი,
მაგრამ ლოგინში სტუმარი,
უყურებს, აღარსად არი!“

შოთა ჩანტლაძემ, 24 წლის ასაკში, სტალინის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1952 წელს დაწერა ქრისტიანული თემატიკის ლექსი „აქ ერთ დროს“, რომელიც ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა.

აღნიშნული ლექსი ამ საუკუნეში რამდენჯერმე დაიბეჭდა. 2010 წელს ეთერ ინწკირველის რედაქტორობით გამოცემულ პოეტის ლექსების კრებულში, 2011 წელს – ალმანახ „ლიტერატურული პალიტრა“-ში, 2014 წელს კი – აკაკი დაუშვილის რედაქტორობით შედგენილ ანთოლოგიურ კრებულში „ქართული ქრისტიანული პოეზია“.

ფორმის თვალსაზრისით ლექსის პირველი სტროფი 12-მარცვლიანი ტაეპებით არის წარმოდგენილი, ხოლო მომდევნო ორი სტროფი 12/9 მარცვლიანი საზომების სისტემური მონაცვლეობით.

შინაარსობრივად აღნიშნულ ლექსში გარდასულ საუკუნეებზე ფიქრია აღბეჭდილი, პოეტის გულს შინაგანი პროტესტისა და ამავდროულად სინანულის განცდა მსჭვალავს, ხანგრძლივი, 30 წლიანი ათეისტური წყობილების ფონზე, სადაც უმოწყალოდ ხოცავდნენ მორწმუნე და პატრიოტ ადამიანებს, იდევნებოდა ყველაფერი ეროვნული და ქრისტიანული. იგი სწუხს დაცარიელებულ მონასტერზე, სამრეკლოს დადუმებულ ზარებზე, მონასტრიდან გაქცეულ წმინდა მამებზე, დანგრეულ ეკლესიასა და საკურთხევლის დაშლილ კარზე, ირგვლივ გამეფებულ მუდმივ უამინდობაზე, სადაც ერთმანეთს მხოლოდ წვიმები და ქარები ცვლიან, მზე კი არსად ჩანს უღმერთოთა ტაროსში. ეს პოეტური ტექსტი ერთ კონკრეტულ სამლოცველოს არ გულისხმობს, ახასიათებს ზოგად, შემაძრწუნებელ ქრისტიანულ სიტუაციას. ლექსის დასასრულში შობის ცნობილი სახარებისეული ეპიზოდია ნახსენები და იკვრება თითქმის ოცსაუკუნოვანი მთლიანობა. შ. ჩანტლაძის შთამბეჭდავ ლექსს სრულად შემოგთავაზებთ:

„აქ ერთ დროს რეკავდნენ ზარები თამამი
და თითქოს დიდებას ამბობდნენ ღმერთების,
აქ ერთ დროს ილოცდნენ წმინდანი მამანი
და ბოლოს დასტოვეს მონასტრის კედლები...
...დაინგრა მონასტრის ზეცა და გუმბათი,
დაინგრა კარები აღსავლის,
დადუმდნენ ზარები და დუმილს უმატეს
და ხმა არ ისმოდა არსაით.
წავიდა წვიმა და მოვიდნენ ქარები,
წვიმები, ქარები მეასედ.
ციოდა მარიამს და დედის მკლავებში
ციოდა პატარა იესოს“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც შიშისა და ტერორის წლებმა ჩაიარა, 1990-იანი წლებიდან ისევ გამძაფრდა ინტერესი შობის თემატიკისადმი, შესაბამისად 20-ზე მეტი ქართველი ავტორის პოეზიაში ვიპოვით აღნიშნულ თემაზე, ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე დაწერილ ლექსებს.

საინტერესოა სევარიონ (სოსო) ნადირაძის პოეტური რეპერტუარი ქრისტეშობის თემატიკასთან დაკავშირებით, მას დაწერილი აქვს ორი ლექსი და ორი პოემა. 14-15-მარცვლიანი საზომებით დაწერილი პოემები: „ვარსკვლავი და მოგვები“ და „გალილეის ნაზარეთში იდუმალი ქარია“, პოეტმა 1993 წელს დაწერა, დაიბეჭდა 2002 წელს გამოცემულ მისი ლექსების კრებულში „ზამთრის მონოლოგი“. პირველი პოემა 4 ნაწილისგან შედგება, რომელიც აღმოსავლეთიდან პალესტინისკენ მოგვების ფათერაკებით აღსავსე, ცხრათვიან მოგზაურობას და განცხრომაში მცხოვრები, უცხოტომელი ჰეროდეს სასტიკ საქციელს აღწერს, რომელმაც ბრძანა ორ წლამდე ასაკის ყველა ბავშვი მოეკლათ ბეთლემში (წმინდა წერილი: ძალიან განრისხდა ჰეროდე, როცა ნახა, რომ გააწბილეს მოგვებმა. მიავლინა და მოაკვლევინა ყოველი ყრმა ორი წლისა და იმაზე უმცროსები ბეთლემში და მთელ მის სანახებში, იმ დროის მიხედვით, როგორც მოგვთაგან გამოიძია), რათა მათ შორის პატარა იესოც მოხვედრილიყო, რომელშიც ბოროტი მეფე კონკურენტს ხედავდა.

მეორე პოემა იწყება ბიბლიური სიუჟეტის იმ მონაკვეთით, სადაც მარიამს გაბრიელი გამოეცხადება და მის წიაღში ქრისტეს ჩასახვის შესახებ ამცნობს. მომავალ დედას შეაშფოთებს და დაზაფრავს აღნიშნული ცნობა, რომელიც დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. ანგელოზისა და მარიამის დიალოგის შემდეგ პოეტი საუბრობს ქრისტეს შობის მისიასა და საკაცობრიო მნიშვნელობაზე. ლექსად აღწერს ქრისტეს შობის, წამების და აღდგომის მთელ მისტერიას. წავიკითხოთ რამდენიმე სტროფი ს. ნადირაძის მეორე პოემიდან:

„მარიამი მწუხარეა, ნათქვამს მძიმედ განიცდის,
და შეჰბედავს, შვილს როგორ ვშობ, მე ხომ კაცი არ ვიცი?!
თვალზე ცრემლი მოადგება, გულს ნაღველით იოხებს, –
ან რა ვუთხრა ანგელოზო საქმროს ჩემსას იოსებს?!“

„იმ დღეებში იქვე ახლოს ცხვარს მწყემსამდნენ მწყემსები,
ღამე იყო დახუნძლული ვარსკვლავების მტევნებით,
უცებ ცაზე ანგელოზი გამობრწყინდა მნათობად,
შეშინებულ მწყემსებს გულზე სითბო გადმოათოვა“.

„უცებ მგზავრთა ნაბიჯის ხმა, თითქოს ვარსკვლავს მოება,
აგერ ძღვენიც მიუტანეს ჩვილ იესოს მოგვებმა.
ჩვილმა ვინაც ჩვენს გულისთვის წმინდა სისხლი გაიღო,
ამ ბაგიდან მთელ სამყაროს ზეცის კარი გაუღო“.

„მაცხოვარო მშვიდი მზერით პილატესაც აოცებ,
დუმილითაც ნათლისმფრქვეველ იდუმალ შუქს გამოსცემ.
შენს დახსნას სთხოვს სინედრიონს, ფართოდ გახსნის დარაბას,
მაგრამ უმალ აირჩევენ მეამბოხე ბარაბას“.

„ნუ ტირიხარ სამარიდან აღსდგა თქვენი მოძღვარი,
გაიხარეთ, მშვიდობის ძე ცოცხალია, ცოცხალი!!!
გაიხარეთ რადგან ქრისტემ დაამარცხა ბოროტი
და ცოცხალი თქვენთან რჩება წუთისოფლის ბოლომდის“.

2013 წელს, დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთის „განმათავისუფლებელის“ 34-ე ნომერში დაიბეჭდა ლეილა ცომაიას კვლევა, ზვიად გამსახურდიასთვის მიკუთვნებული ლექსების „ქრისტეშო-

ბის“ და „ქვაბავაზაკის“ შესახებ, საიდანაც ვიგებთ, რომ საქვეყნოდ ცნობილი ფსევდოეპიგრაფი „ქრისტეშობა“ ჯერ ხელნაწერის სახით გავრცელდა, შემდეგ პირველად დაიბეჭდა უზენაესი საბჭოს დეპუტატის, ზვიად ბოკუჩავას მიერ 1995 წელს გამოცემულ კალენდარში. მეორედ – 1996 წელს, ჯემალ დავლიანიძის რედაქტორობით გამომავალი ეროვნული მოძრაობის გაზეთის „საქართველოს სამრეკლოს“ პირველ ნომერში. მესამედ – 1999 წელს, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მიერ განმეორებით გამოცემულ, პოეტის წიგნში „მთვარის ნიშნობა“. აღნიშნულ წერილში ვკითხულობთ კოკო გამსახურდიას აზრს, სადაც ის წერს: „ლექსი „ქრისტესშობა“ ზვიად გამსახურდიას კალამს არ ეკუთვნის. ესაა ფსევდოეპიგრაფი. იგი არც ერთ პუნქტში არ შეესაბამება მის ტროპიკას, სახისმეტყველებას, რითმათწარმოებას, თეოლოგიურ კონცეპტს ისე, როგორც ეს იკვეთება მის ერთადერთ პოეტურ კრებულში „მთვარის ნიშნობა“ (პირველად გამოიცა 1989 წელს).

აღნიშნული ლექსი 2003 წელს დაიბეჭდა წმინდა ილია მართლის საზოგადოების გაზეთში „შავლეგო“. 2015 წელს გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, იმედია მეტჯერ აღარ დაბეჭდავენ.

ყველაზე პოპულარული საშობაო ლექსის შესახებ ვიზიარებ იმ აზრს, რომ ფსევდოეპიგრაფია. გამორიცხულია, ზვიად გამსახურდიას, ლექსის თეორიის შესანიშნავ მცოდნეს და თეოლოგ-პოეტს დაეწერა ლაფსუსებიანი და აბდაუბდა, გაცვეთილი და ტავტოლოგიურ რითმიანი (ღამეა-რამეა, მიწაზე-დედამიწაზე, დავაკრა-გავაკრა) ლექსი, როგორიც არის „ქრისტეშობა“. აღნიშნული ლექსის დამწერს ბოროტი განზრახვა არ ექნებოდა, როგორც ჩანს ზვიად გამსახურდიას დახვეწილი ლექსი „აღდგომა“ წაიკითხა და მისი გავლენით შეთხზა სხვა ლექსი, რომელიც რიტმით, ზომითა და თემატიკით ძალიან ჰგავს ზ. გამსახურდიას აღნიშნულ ლექსს, რათა საქვეყნოდ იოლად გავრცელებულიყო, გამოიყენა პირველი პრეზიდენტის ავტორიტეტი. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვან ორივე ლექსის დასაწყისს:

„ალბათ თვითონ ღმერთი ირჩევს,
უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ
საოცარი ღამეა.
დეკემბერი დააჭენებს
ყინვით ნაქარგ ეტლებსა,
ამ ღამით ხომ წამებული
ქრისტე იშვა ბეთლემსა
მერე ზეცად აღევლინე,
არ გიგუეს მიწაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები
ცოდვილ დედამიწაზე?“

(ფსევდოეპიგრაფი)
1992

აღდგომა

რა შვებაა, რა ზარია,
აღსდგა ღმერთი სულმნათი,
დედამიწა ტაძარია,
ზეცა – მისი გუმბათი.

რა ზამთარი იდგა ქვეყნად,
ან რა სიმწრის გოდება,
აწ კი ზეცა გარდაგვეხსნა,
ედემი გველოდება.
ზეიმით და ზარით მოდის
წელიწადი წლეული,
აღარ გვმართებს გლოვა ლოდის,
წარწყმდა გველი წყეული.
შვება სუფევს კიდით კიდე,
ქვესკნელით ცის თაღამდი,
მზემ დახია ბნელის რიდე,
ისმის ლოცვა ღაღადი.

ზ. გამსახურდია

1989

„ელექტროლიტის“ 2019 წლის იანვრის ნომერში და „ლიტერატურული გაზეთის“ 2019 წლის ივლისის ნომერში დაიბეჭდა ნიკა ჯორჯანელის სამ სტროფიანი ლექსი „საშობაო“, რომელიც გავრცელებული ათმარცვლიანი (5/5) საზომით არის დაწერილი. ერთი შეხედვით არაფრით განსაკუთრებული, სადა ლექსია, თუმცა თუ შინაარსს დავუკვირდებით, სიღრმეში დიდ ენერგეტიკას ატარებს.

პოეტი ერთ-ერთი შობის ღამის პეიზაჟს აღწერს, სადაც ჩანს, რომ ეს შობა რადიკალურად განსხვავდება იმ პირველი შობიდან, რომლის დროსაც გაბატონებული შეხედულებით ზამთრის სეზონი იდგა (რაც მცდარია), ახლა კი გარეთ მშრალი ამინდია და ღმერთიც არსად იბადება, თუმცა პოეტი ნატრობს ნამდვილი შობის შემსწრე გახდეს. ეს დღე სხვა რიგით, მშვიდ დღეებს ჰგავს. როგორც საერო, ისე სასულიერო პირებიც სიზმრის სამყაროში არიან, თითქოს მნიშვნელობა დაჰკარგვია უდიდეს სადღესასწაულო დღეს. პოეტისთვის შობის ბიბლიური სიუჟეტი იგავური შინაარსის მატარებელია (კ. გამსახურდია იესო ქრისტეს „მეიგავე ებრაელად“ მოიხსენიებდა), მაგრამ მაცხოვარს მაინც სთხოვს, როგორც ახალი აღთქმის ბოლო წიგნში, იოანეს გამოცხადებაშია ნათქვამი, ვიდრე სამყაროს აღსასრულისას მეორედ მოვა, იქნებ კიდევ იმ პირველსახით, მხსნელად და იმედად მოევლინოს ადამიანებს. ნ. ჯორჯანელის ლექსს სრულად შემოგთავაზებთ:

„არც თოვა გარეთ, არც ლოლოს ლხობა,
არც სხვა რაიმე ღმერთის კამეო.
იმ პირველსახით ერთხელაც ხომ არ
დამდგარიყავი, შობის ღამეო?
ღამე ძალიან ჩუმია დღესაც.
თვალები ისევ მძიმედ მილულეს.
არავინ ფხიზლობს, და უკვე მღვდლებსაც
სძინავთ, სიზმრებზე გადახვეულებს.
გასაგებია ყველა იგავი.
მაგრამ შობამდელ თოშში ვახველებთ.
იქნებ ერთხელაც მოსულიყავი,
სანამ ცეცხლით და სანამ მახვილით“.

მირანდა ერისთავი-გოდერძიშვილმა 2023 წლის იანვრის თვეში გამოაქვეყნა ხუთსტროფიანი და 14-მარცვლიანი ლექსი „შობა თუ აბორტი“. პოეტმა ერთ-ერთი ამორალური ქმედება – აბორტი, რო-

მელიც მუცლის ნაადრევ მოშლას გულისხმობს და ბიბლიურად დიდი ცოდვაა, – პოტენციური ადამიანის მკვლელობის აქტი, შემოიყვანა შობის კონტექსტში და საყურადღებო შინაარსით დატვირთა აღნიშნული თემატიკა.

წმინდა წერილის მიხედვით, მარიამი და იოსები შეუღლებულნი არ ყოფილან, როდესაც სულიწმინდის მადლით ღვთისმშობელი დაორსულდა, რასაც ღვთისმშობელი განიცდიდა, რადგან მასებისთვის გაუგებარი და დაუჯერებელი იქნებოდა მისი დაფეხმძიმების ზეციური მიზეზი. ჩნდებოდა მოლოდინი, რომ ხალხისგან რისხვა დაატყდებოდა. ამის გააზრების ფონზე ამბობს ლექსის პირველ სტროფში პოეტი, რომ დედამიწის ზურგზე არავინ დაუგმიათ ქორწინების გარეშე ფეხმძიმობისთვის, როგორც მარიამი, თუმცა მან დიდი წნეხის პირობებში მაინც გაუჩინა იესო ცოდვილ კაცობრიობას. მეორე სტროფში მკაცრად არის დაგმობილი აბორტის საზარელი აქტი, ავტორი კატეგორიულია და არც ერთ შემთხვევაში არ ამართლებს მუცლის განზრახ მოშლას. მისთვის ყველა ფეხმძიმე ქალი იესოზე დაფეხმძიმებული მარიამია. წავიკითხოთ მ. ერისთავის ლექსი:

„იმდენი დევნა არ ჰქონიათ,
როგორც ღვთისმშობელს,
არც ერთ დედას და არც იმ გოგოს, ღვთის რომ არ სჯერა,
და ცივ ბეთლემში ღმერთი მაინც ყველას გვიშობა, –
ჩვენი სულების სახსნელად, თუ გადასარჩენად....

მაგრამ ვილაცა ისევ ისე იკეთებს აბორტს,
ჰკლავს არგაჩენილ შვილს და მასში ღმერთსაც იებად,
გასამართლებლად ტირის, ათას მიზეზსაც ამბობს,
და გვაჯერებს, რომ ეპატიება...

დღეს შობა არის!
არა კაც ვკლათ!
ვშობოთ! დავბადოთ!
გამოვაღვიძოთ ღვთისმშობელი – ჩვენში რომ სძინავს,
რადგან ის ბავშვიც იმ გოლგოთას გადის აბორტით, –
რაც გაიარა თვითონ ქრისტემ დიდი ხნის წინათ...

დღეს შობა არის,
ჰოდა, არა! – სულ ყველა აბორტს!
საკუთარ შვილის სიკვდილს ან რად უნდა ვბედავდეთ!
არც ერთ გოგონას არ დევნიან (და ვდევნით რატომ) –
როგორც ღვთისმშობელს თავის შვილის დაბადებამდე....

დღეს შობა არის!
ჰო – შობას და არა – აბორტებს!
აბორტი არის შვილისა და ღმერთის დეპორტი.
დღეს შობა არის!
მინდა, ღმერთო, ჩვენშიც დაბრუნდე,
და გელი ისე, როგორც ადრე გელოდებოდი!“

შობის თემაზე სხვა პოეტებსაც აქვთ ლექსები:

ანა კალანდაძეს (1977), ანზორ სალუქვაძეს (1987), ნანა ობოლაძეს (2007), მარიამ წიკლაურს (2007-2014), ვასილ ამირიძეს (2008), თენგიზ ლორთქიფანიძეს (2009), ხათუნა შავგულიძეს (2009), ნუციკო დეკანოზიშვილს (2010), თამარ ფარჩუკიძეს (2012), რეზო გეთიაშვილს (2013), ნინო ქოქოსაძეს (2013), რაულ ჩილაჩავას (2013), ბათუ დანელიას (2013), ანდრო ბუაჩიძეს (2014), ედუარდ უგულავას (2015), მეგი მოლოდინს (2015), ჯუბა ღებელს (2016), ნაირა გელაშვილს (2018), მარინა თექთუმანიძეს (2018), ირაკლი ასლანიკაშვილს (2019), ლელა სამნიაშვილს (2021), ალექსანდრე ჯინჭარაძეს (2022), რატი ამაღლობელს (2022), თამარ ჟღენტს (2022), თქვენს მონა მორჩილს (2022) და ალბათ სხვებსაც.

აღსანიშნავია ირაკლი სურგულაძის, ვახუშტი კოტეტიშვილის, კოკო გამსახურდიას და ბათუ დანელიას შობის ლექსთა ბრწყინვალე თარგმანები.

ვიდრე პაატა ნაცვლიშვილის ლექსზე ვისაუბრებთ, გავარკვიოთ ვინ და საიდან იყვნენ მოგვები და რას გვეუბნება მათზე ახალი აღთქმა.

VI საუკუნიდან მიიჩნევა, რომ ბიბლიაში ნახსენები მოგვები სამნი იყვნენ და სახელად ერქვათ გასპარი, მელქიორი და ბალთაზარი.

ჩემი ფიქრით, ეს საკითხი საკამათოა და რეალურად გაცილებით მეტნი იქნებოდნენ. მოგვები ვარსკვლავთმრიცხველები, ბრძენნი და მწიგნობრები იყვნენ, რომლებმაც იცოდნენ წინასწარმეტყველთა გადმოცემა, იუდეაში მხსნელის მოვლინების შესახებ. წარმოშობით იყვნენ ძველი ბაბილონიდან. სავარაუდოდ თანამედროვე ირან-სპარსეთის ტერიტორიიდან წამოვიდნენ ისრაელის მიმართულებით, მათ 1500 კმ-მდე უნდა გამოევლოთ აქლემებით, რაც დიდ დროსთან და სახსრებთან იქნებოდა დაკავშირებული. დასჭირდებოდათ მოსამსახურეები და მცველები. წამოვიდოდა დიდი ქარავანი. მათეს სახარება მოგვებზე ზოგადად გვესაუბრება, სადაც ნათქვამია, რომ ისინი მივიდნენ მარიამის და იოსების სახლში. გაურკვეველია, რა ასაკის იყო მაშინ იესო, მაღალი ალბათობით 1-2 წლის იქნებოდა, რადგან ამ ასაკის ბავშვები დახოცა არაიუდეველმა ჰეროდემ.

წავიკითხოთ მათეს სახარება მოგვების მოსვლაზე:

როცა იესო იშვა იუდეის ბეთლემში, მეფე ჰეროდეს დღეებში, იერუსალიმში მოვიდნენ მოგვები აღმოსავლეთიდან და თქვეს: „სად არის იუდეველთა მეფე, რომელიც იშვა? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“. ეს რომ გაიგონა, შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და მასთან ერთად მთელი იერუსალიმი. შეკრიბა ყველა მღვდელმთავარი და ერის მწიგნობარი და ჰკითხა მათ, სად უნდა შობილიყო ქრისტე. მათ კი უთხრეს მას: „იუდეის ბეთლემში. ვინაიდან ასეა დაწერილია წინასწარმეტყველის მიერ: „და შენ, ბეთლემო, იუდას მიწავ, არაფრითა ხარ უმცირესი იუდას მთავრების შორის; ვინაიდან შენგან გამოვა წინამძღოლი, რომელიც დამწყემსავს ჩემს ხალხს, ისრაელს“.

მაშინ ჰეროდემ მალულად დაიბარა მოგვები და გამოიკითხა ვარსკვლავის გამოჩენის ჟამი. წარგზავნა ისინი ბეთლემს, და უთხრა: „წადით, გულმოდგინედ გამოიკითხეთ იმ ყრმის ამბავი და, როცა იპოვით, შემატყობინეთ, რომ მეც მივიდე და თაყვანი ვცე მას“. მათაც მოუსმინეს მეფეს და წავიდნენ. და აჰა, ვარსკვლავი, რომელიც მათ აღმოსავლეთში იხილეს, წინ უძღოდა მათ, ვიდრე მივიდოდა და დადგებოდა იმ ადგილზე, სადაც ყრმა იყო. ვარსკვლავი რომ დაინახეს, მათ მეტისმეტი სიხარულით გაიხარეს. როცა სახლში შევიდნენ, დაინახეს ყრმა მარიამთან, თავის დედასთან, დაემხნენ და თაყვანი სცეს მას. გახსნეს თავიანთი საუნჯენი და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური. და რაკი სიზმარში გაფრთხილებულნი, რომ არ დაბრუნებულიყვნენ ჰეროდესთან, სხვა გზით წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში“.

პაატა ნაცვლიშვილმა 2021 წლის 7 იანვარს გამოაქვეყნა ლექსი „აპოკრიფი: ქრისტე იშვა ბეთლემსაო“.

არსებობენ ლექსები, რომლის მსგავსს ვერავინ დაწერს, ხოლო თუ დაწერს მეორეულობის განცდას დაუტოვებს გემოვნებიან მკითხველს და ეპიგონობის დონეს ვერ გასცდება. ასეთია პაატა ნაცვლიშვილის ქრისტეშობის თემაზე დაწერილი 15 მარცვლიანი სალექსო საზომით დაწერილი ლექსი.

აღნიშნული პოეტური ნაწარმოები ორიგინალურია უპირველესად ფორმალურ-ექსპერიმენტული თვალსაზრისით, თავისი უცხო არქიტექტონიკითა და ტექნიკური მახასიათებლებით. უნიკალური ყურთასმენის პოეტმა შენიშნა, რომ ბევრი ქართული სიტყვა იწყება „მოგვით“, რასაც ეტიმოლოგიურად არავითარი კავშირი არ აქვს ბიბლიურ „მოგვთან“, მაგრამ ლექსში აქვს მკითხველზე საუცხოო ეფექტის მოხდენის უნარი, თავისი მუსიკალურობით, ალიტერაციულობით და კეთილხმოვანებით. ტექსტში 47 სიტყვა გვხვდება, საიდანაც „მოგვი“ მოგვესმის და თუ გამეორებულ სიტყვებს დავაჯამებთ 105 მოგვი მოგვიგროვდება. ასევე გვხვდება მაჯამური რითმა მოგვი და მოგვი (ხვეტის კონტექსტი). ცალკე თემაა სიტყვაქმნადობის მაგალითები: მოგვიბეთლემდით, მოგვითავთავეთ, მოგვიგვირგვინეთ, მოგვივარსკვლავდით, მოგვიჩქარჩორთდით.

ეს არის საზეიმო ლექსი-სიმღერა, რომელიც მწყემსების პოზიციიდან არის დაწერილი, რაზეც ლექსის პირველივე სტრიქონი მეტყველებს – „აჰა, მწყემსებიც აქა ვართ“. ავტორის მხრიდან ქვეტექსტში მოგვებისადმი კეთილგანწყობა და მოკრძალება იგრძნობა, როგორც იესოს დაბადების მოსალოცად შორგზაგამოვლილი ადამიანების მიმართ. ტექსტი აჩენს პოზიტიურ მოლოდინებს და მკითხველს იმედითა და რწმენით ავსებს, სადაც საგრძნობია მხატვრულ-ესთეტიკური სიმაღლე და ოსტატობა.

წავიკითხოთ პ. ნაცვლიშვილის უბადლო ლექსი:

„აჰა, მწყემსებიც აქა ვართ! სამიც იჩქარის მოგვი!
მოგვიახლოვდით, მოგვებო! მოგვიახლოვდით! მოგვი...
ღვთისმშობელს მოეახლენით! მოგვიბეთლემდით! მოგვი...
ხამს მოგილოცოთ, მოგვებო! ხამს მოგვილოცოთ! მოგვი...

ყრმა მოგვივლინა უფალმა! ყრმა მოგვივლინა! მოგვი...
მოგვითავთავეთ შობა დღე! მოგვიგვირგვინეთ! მოგვი...
მობრძანდით, გვერდს მოგვისხედით, გვერდით მოგვისვით, მოგვი...
მოგიალერსებთ, მოგვებო! მოგვიალერსეთ! მოგვი...

„მოვდივართ, მოგვიხარია! მოგვიხარია! მოგვი...
ცოტას თუ კიდევ მოგვიცდით... ცოტას თუ კიდევ მოგვი...
სათქმელიც მოგვიგროვდება... კარგი სათქმელი მოგვი...
მაღლით ვარსკვლავი მოგვიძღვის! უცხო ვარსკვლავი მოგვი...“

მოგვივარსკვლავდით, მოგვებო! მოგვიჩქარჩორთდით! მოგვი...
ყრმა მოგვივლინა უფალმა! მცველი და მხსნელი მოგვი...
წარმართულ კერპებს მოგვინგრევს, არმაზს და ზადენს მოგვი...
ის არის ჩვენი ბეთლემი, ბეთანია და თმოგვი!

სიკეთის ბაღებს მოგვირწყავს, ნაძვებს მოგვირთავს... მოგვი...
რწმენის მკლავებში მოგვიმწყვდევს... ყველას ცალ-ცალკე მოგვი...

თმენის ყვავილებს მოგვიკრეფს... ზამთარ და ზაფხულ მოგვი...
იმედის ვარსკვლავს მოგვიწყვეტს... ცაზე მოგვიწყვეტს... მოგვი...

„მანდ მოგვიცადეთ, მწყემსებო! მანდ მოგვიცადეთ! მოგვი...
მოგვიშანდაკეთ ბილიკი... მოგვიშანდაკეთ... მოგვი...
მოგვიქანდაკეთ ეგ ბაგა... მოგვილამაზეთ... მოგვი...
თუ გული გულობს, მოსაგველს ორივე ხელით მოგვი...“

თავისი ძე მოგვივლინა! მოგვი... უფალმა... მოგვი...
ოფლს მოგვიწმინდავს სახეზე, ცრემლსაც მოგვიწმენდს... მოგვი...
ცოდვებს შეგვინდობს, მოგვითმენს, შეგვიწყალებს და მოგვი...
დაფნის გვირგვინებს მოგვიწნავს... ეკლის გვირგვინსაც მოგვი...

ვინ უწყის, ვინ ვის... ვის როდის... ვინ რას მოგვივლენს... მოგვი...
ის მოგვიტევებს ცოდვილებს... ის მოგვიტევებს... მოგვი...
ჩვენს სულებს სულზე მოუსწრებს! სულზე მოგვისწრებს! მოგვი...
მოგვიანებით თქვენც მოხვალთ... მოგვიანებით... მოგვი...

„აჰა, მოვედით! მოგვიტკბეთ! მოგვიალერსეთ! მოგვი...
მოგვირთმევია ოქრონი... მოგვირთმევია... მოგვი...
გუნდრუკიც მოგვირთმევია... მოგვირთმევია... მოგვი...
მოგვირთმევია მურიცა... მოგვირთმევია... მოგვი...“

შემოგვიერთდით, მოგვებო! მოგვიგალობეთ! მოგვი...
ყრმა მოგვივლინა უფალმა! მწყემსი კეთილი მოგვი...
რწმენის თორ-აბჯარს მოგვიქსოვს... მტკიცედ მოგვიქსოვს... მოგვი...
ურიცხვ სასწაულს მოგვივლენს... ბევრჯერ მოგვივლენს... მოგვი...

მარჯვნივ და მარცხნივ მოგვისხამს... ყველას მოგვისხამს... მოგვი...
ბრძნულს მოგვიყვება იგავებს... უცხო იგავებს მოგვი...
პურის და თევზის ტაბლაზე მოგვიპატიჟებს... მოგვი...
მერე წყალს ღვინოდ მოგვიქცევს... ღვინოდ მოგვიქცევს... მოგვი...

„ქრისტეშობაა! ამბავი მოგვიტანია... მოგვი...
გილოცავთ! კარგი ამბავი მოგვიტანია... მოგვი...
ლოცვებში მოგიხსენიებთ... ჩვენც მოგვიხსენეთ... მოგვი...
ბევრი არ უნდა ამ ამბავს, – ერთი მარცვალი მდოგვი“.

ქალთამზე ანა სურმანიძე

მწერალი მოკვდა. გაუმარჯოს მკითხველს!



ალბათ, ერთხელ მაინც ყველა მკითხველს შესძრომია ყურში მკბენარა მწერი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს და გაშმაგებით ჩასწივის: – წწწწწამიკითხე! წწწწწამიკითხე! ეს პულჩეროზაა, წიგნების კითხვის აბეზარი შემტყუებელი.

თეონა დოლენჯაშვილის მრავალწახნაგოვანი რომანი „მეამბოხე“ (გამომცემლობა „პალიტრა L, თბილისი, 2024) სწორედ ამ მწერის წყალობით წავიკითხე. მეც შემიძვრა ყურში პულჩეროზა და სანამ კითხვა არ დამასრულებინა, გასაქანი არ მომცა თავისი წუილით.

რომანმა მრავალგვარი ემოციით დამმუხტა. წაკითხვის პროცესში თავი ვიგრძენი ამავე რომანის დაშლილ ფაზლად, რომლის დეტალებიც მუქ ფერებში დომინირებდა, თუმცა დასასრულს, მკვეთრი სინათლის შუქმა, იმედის ფერმა, ხელახლა დაბადების იდეამ ერთგვარად გააბათილა დომინანტი განწყობა.

წიგნს ფონად გასდევს საქართველოს უახლესი წარსულის ელემენტები თავისი მანკიერებებითა და ღირსებებით და სწორედ აქ, ამ ფონზე უდაბნოს ყვავილივითაა აღმოცენებული რომანის მთავარი პერსონაჟი ემა.

ემა 90-იანების საქართველოს სიმბოლური პერსონაჟია, ვინც ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრების მრავალგვარი ბალღამი იგემა. ემას პერსონის გაცნობისას ერთდრულად აღშფოთებაც გერევა და აღტაცებაც. იგი მხევალიცაა და გლადიატორიც; მონაცაა და მებრძოლიც. თუ ერთგან მისი მორჩილება გაღიზიანებს, მალევე დაუდეგარი სულით გაკვირვებს. თუმცა, რომელი ღამე არსებულა დილის გარეშე?! დაღმართი აღმართის გარეშე?! იგი იმიტომ წამოდგა ფეხზე, რომ წაიქცა. მარცხი თუ არ გიგემია, გამარჯვების ფასი უცხოა შენთვის. თუ გულით არ გიტირია, ბედნიერ სიცილს როგორღა დააჭაშნიკებ?! ემას მრავალგვარმა მოთმინებამ და მორჩილებამ, უსამართლობის არაერთმა შოლტმა მასში ამბოხის მიძინებული ლავა აამოქმედა.

ემას ერთ-ერთი აჯანყება საკუთარი სხეულის წინააღმდეგ ბრძოლა გახლდათ. ბავშვობისას მოუქნელი და ფუმფულა პირველი სიყვარულის ძალით ნამდვილ ნიმფად გადაიქცევა. რა არ შეუძლია ნამდვილ სიყვარულს?! მახინჯი იხვის ჭუკიდან მშვენიერ გედამდე გარდასახვაც.

სწორედ მაშინ იწყება მისი ყველაზე დიდი და გრძელვადიანი განსაცდელი. ამ დიდმა აჯანყებამ, მშვენიერ გედად რომ გადააქცია, მომდევნო თორმეტწლიანი ციკლის უბედურების სარჩული შემოაცვა.

ყოველი ადამიანის განსაცდელი, მხოლოდ მისივე გადასატანია, მაგრამ ერთი ქალისთვის ამდენი პირადი ტრაგედია მეტისმეტად ბევრია. ჯერ კიდევ აბიტურიენტობისას საკუთარი პროფესია რომ მამამ შეურჩია და ემაც მორჩილად დაჰყვა, მაშინ ჩასძახა ემას საუკეთესო მეგობარმა კრიალამ, არ დანებებულიყო, თორემ ამ დამორჩილებას სხვა ბევრი მორჩილება და მსხვერპლშეწირვა მოჰყვებოდა. აუხდა კიდეც...

იგი ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობისას მოიწამლა წიგნით და მას შემდეგ მისსავე მთავარ მეგობრად, ნავთსაყუდლად იქცა.

ემა სიმბოლური პერსონაჟიდან, გარკვეულწილად, არქეტიპულ პერსონაჟად გარდაისახება; სიტყვების ჯადოქრად, მწერალ ალქიმიკოსად; ვინც მიზნად დაისახავს სიტყვებს მისცეს ისეთი ფერი, ფორმა, სუნი, გემო, რომ წიგნი იარაღად აქციოს, იმ იარაღად, რომელიც უსამართლობას, ჩაგვრას, ავტორიტარიზმს დაამარცხებს; იარაღად, რომელიც ჯანსაღ და კრიტიკულ აზრთან განდგომილ და გადაგვარებულ ლეგიონერებს „ტკბილ მოგონებებად ჩაუხტება“ და სიყვარულის უნარს დაუბრუნებს. იარაღად, რომელიც ბოროტებას სიკეთით დაუპირისპირდება და საბოლოოდ წიგნების რევოლუციას მოახდენს.

„მეამბოხე“ ოთხნაწილიანია. პირველი, მეორე და მესამე ნაწილი რეალისტური ხატ-სურათებითაა წარმოდგენილი (ყოფითი ცხოვრების ამსახველი ისტორიული რეალობა); სავსეა დისტოპიური პასაჟებით (საზოგადოება კატაკლიზმურად დაკნინებულია; ზეობს კრიმინალი, ძალადობა, სიღარიბე); ბოლო, მეოთხე ნაწილი კი ნატურალისტური ჟანრის ნიმუშია. რომანის დასასრულის ასეთი მკვეთრი ცვლა ოსტატობასთან ერთად ავტორის მეამბოხეობაზეც მიგვანიშნებს. თავად მწერალიც რომანის წერის მანერით, სტილითა და სათქმელის ფორმობრივი ცვლით, „ბეწვის ხიდზე გავლით“ მეამბოხეა. იგი არ უშინდება გამოწვევებს, არ უშინდება მკითხველისა თუ კრიტიკოსის მიერ „ჯვარზე გაკვრას“.

ნატურალიზმის ფუძემდებელი ემილ ზოლა ამბობს „რომანისტმა უნდა გააანალიზოს გრძნობები, ისევე როგორც ექიმი შეისწავლის სხეულს. ნატურალისტებს პოზიტივისტური სურვილი ამოქმედებთ. მწერალმა უნდა აჩვენოს ფაქტების მექანიზმი ხასიათებზე, გრძნობებზე, მოვლენებზე ისეთივე ოპერაციების ჩატარებით, როგორც ამას აკეთებს სხეულზე ქიმიკოსი.“ თეონა დოლენჯაშვილის რომანის „მეამბოხის“ მთავარი იდეაც ესაა, გრძნობების გაანალიზებით შეისწავლოს სიტყვები, ჩაატაროს სიტყვებზე ცდები, დაადგინოს ადამიანზე წიგნის კითხვით ზემოქმედების ფორმულა; ჩაატაროს ისეთი ოპერაცია დისტოპიური საზოგადოებისგან უტოპიური (აქ: სრულყოფილი) საზოგადოების შექმნის იდეა აამოქმედოს.

ავტორი ინტერტექსტუალურ თხრობას ანიჭებს უპირატესობას. იგი „მეამბოხეს“ სხვადასხვა ნაწარმოებიდან ციტატებით, ანალოგიით, ალუზიებით, რემინისცენციებით და სხვა ტიპის მინიშნებებით (პირდაპირ თუ შეფარულად) უფრო საინტერესოსა და აღქმადს ხდის. იგი თხრობის ამ სტილის არჩევით ხაზს უსვამს ტექსტის ფაბულას. ინტერტექსტუალური თხრობა ამ რომანში სრულიად ბუნებრივია, რაც შეიძლება მკითხველთათვის ერთგვარ „გზამკვლევად“ ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ ტექსტს რემინისცენციად გასდევს სიზმარი. სიზმარი, რომელსაც პერიოდულად ნახულობს მთავარი პერსონაჟი და თავისი ცხოვრების მთავარ მინიშნებებად უხდება. აქ ალუზიურად „გველის-მჭამელიდან“ მზიას წინასწარმეტყველური სიზმარი გაგვახსენდება, რომელიც დაღუპვას უქადის და აუხდება კიდეც. „მეამბოხეც“ ასეა წინასწარ ნახულობს სიზმარს, რომელიც დაღუპვას მიანიშნებს „როდესაც მძინარე გაიღვიძებს“.

კარგი მკითხველიდან წიგნების რევოლუციონერ მწერლად ტრანსფორმირებული მთავარი პერსონაჟი ექსტრავაგანტულია თავისი მიზნებითა და მისწრაფებებით, შეუვალობითა და გამძლეობით, იდეოლოგიითა და რწმენით. მან პირველმა გამოიცნო საზოგადოებრივი „სიბრმავის“ გასაღები, მანვე ჩამოასხა ამისი ყალიბი და მო-

არგო კიდეც კლიტეს. აკი, თავადაც იმოწმებს სარამაგუს. აქვე შესაძლოა, „იგავიც“ გაგვახსენდეს და „ცხოველთა ფერმაც“.

მთავარი პერსონაჟი, აწ უკვე ნატურალისტად მოვლენილი, საბოლოოდ, აღწევს მიზანს. ავრცელებს მის მიერვე ალქიმიით შექმნილ წიგნებს და წაკითხვის შედეგად იწვევს საზოგადოების ისტერიულ გამოფხიზლებას, თვალების ახელას, სიბრმავის განკურნებას. აღგზნებული საზოგადოება ლეგიონერების მიერ დატყვევებულ მწერალს ათავისუფლებს და ითხოვს მორიგ წიგნს.

რა შეუძლია ამ დროს მწერალს? შეასრულოს საზოგადოების დაკვეთა თუ უბრალოდ, ადგეს და მოკვდეს? განა ეს ის საზოგადოება არაა ერთი და იმავე ადამიანის ჯვარზე გაკვრაც რომ შეუძლია და გაღმერთებაც?! ეს ის საზოგადოება არაა, ერთდროულად ტექსტის წაუკითხავად ავტორის გათახსირებაც და განდიდებაც რომ შეუძლია?! მაშ რა ქნას მწერალმა?! რა უყოს იმ სიზიფესეულ სიზმარს პერიოდულად ერთსა და იმავე მთაზე რომ მიაგორებინებს თავის განსაცდელს? რამდენჯერაც დაუგორდება, იმდენჯერ რომ მისდევს და მის სიმაღლეზე ატანას, გაკეთილშობილებას ცდილობს?

მეამბოხე ჭკვიანია. ის გაშმაგებით წერს თავის „სიკვდილს“ და წერს, „წერს, რათა მოკვდეს, მოკვდეს, რათა წეროს“. მან კარგად უწყის, რაცაა მკითხველ-მწერლობის ცირკულაცია. მისი ბოლო „წიგნი ცარიელია, ისეთივე, როგორც დასასრული; ისეთივე სუფთა, როგორც დასაწყისი“.

კვდება მწერალი, რათა ხელახლა დაიბადოს. კვდება, რათა დასასრული გაუტოლოს დასაწყისს; კვდება, რათა შეკრიბოს (აიხდინოს) პერიოდულ სიზმართა ჯამი.

ზოგადად, წიგნის ღირებულების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტიც ხომ ისაა, მკითხველს არამარტო თანაგანცდა, არამედ წიგნში ცხოვრება შეაგრძნობინოს ავტორმა. მე ეს განვიცადე.

თეონა დოლენჯაშვილი თანამედროვე ავტორთა შორის გამორჩეული ავტორია, სათქმელის აქტუალურობითა და მოქნილობით; მაღალმხატვრულობითა და წერის ტექნიკით.

წიგნების რევოლუციის იდეა ნატურალისტობის მიუხედავად, ხელშესახები და ხელჩასაჭიდია. მართლაც, რას შეუძლია ბრმა საზოგადოების თვალის ახელა თუ არა წიგნს?!

ანანია
ჯროველი

ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაცია და იმპერიული ძალების მარცხი

ბალყარელ ძმადნაფიც აბრაგს, ბილალ ზანკშს დათა თუთაშხია ასეთ რამეს ეუბნება: „იმ კაცმა სამი წლის წინ იცოდა, მისთვის ძღვენი რომ უნდა მიმერთმია“ (გვ. 648. 2003 წლის გამოცემა). ცნობილია, რომ ეს კაცი მუშნი ზარანდიაა.

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ დათა თუთაშხია, როგორც დევნილი, იწყებს სტატუსის შეცვლას – იგი იწყებს აქტიურ მოქმედებებს იმ სახელმწიფოსა და მისი ერთი აღზევებული მოხელის წინააღმდეგ, რომელი მოხელეც, ვარაუდის დონეზე, თავის უშუალო მდევნელად ჰყავს შეცნობილი.

მოკლედ შევეხოთ ამ ოპერაციასთან დაკავშირებულ თარიღებს.

შალვა თუხარელის მონათხრობის მიხედვით „დათა თუთაშხია ცხრაას შვიდი წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში გაიქცა“ (გვ. 607) ციხიდან. ციხეში მყოფი აბრაგი ჟანდარმს ძღვენის მირთმევის შესახებ შეტყობინებას არ გაუგზავნიდა. ეს ყოველგვარ ლოგიკასა და აზრსაა მოკლებული. სავარაუდოდ, მას ეს გაქცევის შემდეგ უნდა გაეკეთებინა.

გრაფი სეგედის ცნობით, „ათას ცხრაას ცხრა წლის მაისი თავდებოდა“ (გვ. 621), როცა მას, აგარაკზე მყოფს, მოულოდნელად მუშნი ზარანდია ესტუმრება. სეგედის თქმით, ამ შეხვედრისას ზარანდია მინიშნებებით ამცნობს მას, „... რომ მან დათა თუთაშხიას უკვე დაუგო რაღაც ჯოჯოხეთური ხაფანგები“ (გვ. 624). თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სეგედის ეს ვარაუდი, დროში სრულად ვერ ასახავს სინამდვილეს. იმავდროულად, აბრაგმა არაფერი იცის ამ ხაფანგების, ან თუნდაც მათი რაღაც ნაწილის დაგების შესახებ, ვიდრე ზარანდია სეგედის არ მიაწვდის ამის თაობაზე ზოგადი ხასიათის ინფორმაციას, ეს უკანასკნელი კი სანდრო კარიძეს. გრაფი სეგედი სასწრაფოდ, ზარანდიას სტუმრობის მეორე დღესვე იბარებს თავისთან სანდრო კარიძეს, რათა ჟანდარმისგან მოსმენილი ინფორმაცია გაუზიაროს მას, რომ მანვე გააფრთხილოს დათა თუთაშხია მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

სეგედისვე მონათხრობის მიხედვით, დათა თუთაშხიამ აგვისტოს დასაწყისში ენგური აიარა (წელს არ აფიქსირებს, შესაბამისად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისევ ცხრაას ცხრა წელია) და ბალყარეთისკენ მიმავალ გზას დაადგა. ბილალ ზანკშმა მას მოჰგვარა მუჰამედ გუტეს თავლებიდან გამოყვანილი ულამაზესი ცხენი, რის შემდეგაც „თუთაშხია მულახში გადმოვიდა, ოქტომბრის ბოლომდე ისევ გუჯეჯიანებთან სტუმრობდა“ (გვ. 648). დათა თუთაშხიას თავისი ოპერაციის ეს ნაწილი დაზამთრებამდე უნდა მოესწრო, ვიდრე გზები ჩაიკეტებოდა, თანაც „ნაპარავი“ ცხენი დიდი ხნით არ ჰყოლოდა ბა-

რად. სწორედ ამიტომ, იგი დროულად ბრუნდება სვანეთში და ოქტომბრის ბოლომდე რჩება იქ, – მისთვის და ძღვენისთვის უსაფრთხო ადგილას. იმავდროულად მას აინტერესებს სვიმონ გულიას ვაჟის ქორწილის დღე, რომელიც დეკემბრის დასაწყისშია ჩანიშნული და რომელ ღონისძიებაზეც მას, მის მიერვე შერჩეული პირის (მოსე ჯაგალია) ხელით, მუშნი ზარანდიასთვის, როგორც ამ ქორწილის ერთი სტუმრისთვის, ულამაზესი „ნაპარავი“ ცხენი უნდა მიერთმია. სწორედ ამიტომ არ გაითვალისწინა აბრაგმა გუჯეჯიანების თხოვნა, მათთან დარჩენისა და გამოზამთრების შესახებ (გვ. 649).

როგორ მოქმედებს მუშნი ზარანდია ცხენის „ჩუქების“ შეტყობინების მიღების შემდეგ? იგი აბრაგს სასიკვდილო მახეებს უგებს და ამ საქმისთვის ირჩევს სამ ძირითად ადგილს, რომელ ადგილებსაც თუთაშხია, აუცილებლობიდან გამომდინარე, ხშირად სტუმრობდა: ა) ბიკენტი იალქანიძე და მისი დუქანი სოფელ ხარნალში; ბ) ბეჩუნი პერტიას სახლთან ახლოს, ბექობზე მდგომი შარუხიას წისქვილი, რომელ ბექობსაც და წისქვილის გარშემო არსებულ მიდამოებს აბრაგი, ზარანდიას ვარაუდით, საყვარელ ქალთან მისვლამდე სიტუაციის დასაზვერად გამოიყენებდა. გ)თვით ბეჩუნი პერტიას სახლი.

ვინ შეარჩია, ანუ ვისი მეშვეობით დაგეგმა მუშნი ზარანდიამ აბრაგთან დაპირისპირება? რამდენად ძალუძდათ მათ აბრაგთან პირისპირ შებმა? ნაწარმოების მიხედვით, მხოლოდ ასთიონაა მიჩნეული მკვლელად. ბონია მეწისქვილეს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არცთუ დიდი ხნის წინ შეასყიდვინა ზარანდიამ ზემოხსენებულ შარუხიასაგან წისქვილი და მხოლოდ ამის შემდეგ ასწავლა სროლა; მესამე დასაპირისპირებელი პირი გახლავთ აბრაგის უკანონო შვილი, თოთხმეტი წლის არასრულწლოვანი გუდუნა პერტია. გრაფი სეგედი ბონია მეწისქვილეზე საუბრისას ასეთ დასკვნას აკეთებს – „ამის შემდეგ (წისქვილის შესყიდვა – ა. ბ.) ყველაფერი ზარანდიას მიერ გადაბირებული მეწისქვილის ღირსებებსა და შესაძლებლობებზე იქნებოდა დამოკიდებული“ (გვ. 665-666). რეალურად კი, ჟანდარმის მიერ დაგეგმილი კონტროპერაცია უფრო მეტ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული – რომანში აღწერილი ხაფანგებისა და მათში მონაწილე ყველა დაპირისპირებული პირის ღირსებებსა და შესაძლებლობებზე და ახლადწარმოქმნილ (თუ ხელოვნურად შეცვლილ) სიტუაციურ გარემოებებზე.

რა შედეგები დადეს ზარანდიას მიერ შერჩეულმა პირებმა? ანუ, რა ღირსებებისა და შესაძლებლობების მქონე პირები დაუპირისპირა ჟანდარმმა აბრაგს? დუქანში მიმტანად მომუშავე ასთიონა მედუქნე იალქანიძემ მარტივად გააბრიყვა და თუთაშხიას ნაცვლად ბოდღო ყვალთავა და დათა ჩოჩია მოაწამლვინა; ბონია მეწისქვილე, როგორც აბრაგის წინააღმდეგ მოწყობილი ერთ-ერთი ხაფანგის აქტორი, დათა თუთაშხიამ თავად გააბა მახეში (კატის გამოყენება) და მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებაში დაამარცხა იგი; ყველაზე რთული თუთაშხიასთვის საყვარელი ქალის სახლში მისივე უკანონო შვილის გამოყენებით დაგებული ხაფანგი აღმოჩნდა, რასაც პრინციპული ახსნა აქვს. ამ შემთხვევაში უკანონო შვილის რაღაც უნარებზე საუბარი უადგილოა. საქმე თვით აბრაგშია, რომელიც ერთხელ, საირმეში, მიწის მთხრელ სეთურს სტუმრობდა აბრაგ მოსე ზამთარაძესთან ერთად. ეს ორი აბრაგი იქაური მაცხოვრებლების აგრესიულად განწყობილ შვილებს (40-50 სული) გადაეყარნენ ტყეში, რომელი შეხვედრაც მათი მარცხით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ დათა თუთაშხიამ ციხეში ყოფნისას აითვისა ფართო მასების მართვის ცოდნა, არასრულწლოვნებთან ურთიერთობის ენა, როგორც ჩანს, მისთვის ბოლომდე უცხო ენად დარჩა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მას თავის შვილთან საუბარი არ გამოუვიდა (ცალკე საკითხია ის, რომ იგი არ ელოდა ხაფანგს საყვარლის ოჯახში), რასაც მისი სასიკვდილოდ დაჭრა მოჰყვა.

მუშნი ზარანდია ცხენის „ჩუქების“ შეტყობინების მიღების შემდეგ აბრაგს მახეებს ერთდროულად არ უგებს. იგი მიმართავს თან-

მიმდევრობითობის პრინციპს. სავარაუდოდ, ხარჯებიდან და საჭიროებიდან (დრო, სივრცე) გამომდინარე. ხარჯებთან დაკავშირებით ზარანდიას მომჭირნე დამოკიდებულების საკითხი ნაწარმოებში ბევრგანაა დაფიქსირებული და აქ დამატებით არაფერს ვიტყვი. გრაფი სეგედის მონათხრობის მიხედვით (გვ. 672), ბონია მეწისქვილე უდასტურებს მასთან ღამის სამ საათზე შევლილ თუთაშხიას, რომ ამ საქმეზე იგი მუშნი ზარანდიამ ივნისის თვეში დაითანხმა ქუთაისის ჟანდარმერიაში. ეს ნიშნავს იმას, რომ მაისის ბოლო რიცხვებში სეგედისთან სტუმრად მისული ჟანდარმის მიერ აბრაგის წინააღმდეგ გახმოვანებულ საფრთხეებში წისქვილთან დაკავშირებული ხაფანგი, როგორც ან უკვე დაგებული, არ იგულისხმება. ამ ხაფანგის დაგებას ზარანდია სეგედისთან სტუმრობის შემდეგ მიმართავს. გარდა ამისა, ბონია მეწისქვილე თუთაშხიას ასეთ რამესაც ეუბნება: „– ახლა მასწავლეს სროლა, ამ საქმისთვის... ქუთაისში“ (გვ. 667).

როდის შეაგზავნა-დაასაქმა ზარანდიამ მკვლელი ასთიონა იალქანიძის დუქანში? გუჯეჯიანებს გამომშვიდობებული და ბარისკენ „მოპარულ“ ცხენთან ერთად დაშვებული დათა თუთაშხია სოფელ ხარნალში მეგობარ ბიკენტი იალქანიძეს შეუვლის. დროის თვალსაზრისით, ნოემბრის დასასწყისია. მედუქნე მასთან სტუმრად მისულ აბრაგს საუბრის დასაწყისშივე უხსნის, რომ ასთიონას კანდიდატურა ციხის ზედამხედველმა უდოდოვმა მისი წინა სტუმრობისას შესთავაზა, რაზეც იალქანიძემ, გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, უარი არ თქვა (გვ. 653). როდის შედგა ეს ბოლო სტუმრობა? გრაფი სეგედისავე მონათხრობის მიხედვით, მეგობრებს „...წელიწადზე მეტი იყო, ერთმანეთი არ ენახათ“ (გვ. 649). ეს ნიშნავს იმას, რომ ასთიონას მონაწილეობით ზარანდიამ თუთაშხიას გაცილებით უფრო ადრე დაუგო ხაფანგი (წელიწადზე მეტი ხნის წინ), ვიდრე ბონიას ჩართულობით (დაახლოებით ხუთი თვე). ამ მსჯელობისას ათვლის წერტილი, დროის თვალსაზრისით, გახლავთ ათას ცხრაას ცხრა წლის ოქტომბრის ბოლო, ნოემბრის პირველი რიცხვები.

რაც შეეხება გუდუნა პერტიას თუთაშხიას მოსაკლავად მომზადებას, ამის შესახებ ისევ გრაფი სეგედის მონათხრობიდან (გვ. 624) ვიგებთ, რომ ბეჩუნი პერტიამ თავის შვილს რუსულის მასწავლებლად პატარაობაშივე დაუქირავა ვინმე ბიქტორ სამუშია, რომელიც შემდგომში ლათინურსაც ასწავლიდა ბავშვს. ეს მასწავლებელი პოლკოვნიკ კნიაზევს მუშნი ზარანდიას დავალებით გადაუბირებია. გუდუ პერტია თორმეტ-ცამეტი წლის იყო, როცა მისმა ტოლმა ბიჭებმა რამდენჯერმე უთხრეს მას, – ნაბიჭვარი და დათა თუთაშხიას ბუში ხარო! სწორედ ამ ფონზე იწყებს მასწავლებელი სამუშია ბიჭის მკვლელად ქცევა-მომზადებას, თუმცა თვით მომზადების შესახებ ნაწარმოებში კონკრეტული ცნობები არ გვხვდება. როდის უნდა დაეწყო ზარანდიას აბრაგის არასრულწლოვანი უკანონო შვილის მკვლელად მომზადება? გუდუნა პერტია მათთან სახლში შუაღამით მისულ თუთაშხიას ერთ-ერთ კითხვაზე პასუხობს, რომ იგი, იმ მომენტში არის თოთხმეტი წლის, მეთხუთმეტეში (გვ. 673). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მისმა ტოლებმა ნაბიჭვრობის ინფორმაცია მას თორმეტ-ცამეტი წლის ასაკში გააგონეს, გამოვა, რომ მუშნი ზარანდიამ არასრულწლოვანი გუდუნა პერტიას მკვლელად მომზადება, ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ცნობის მიღებიდან ახლო პერიოდში (დაახლოებით ორი წლის წინ) დაიწყო, რაც ლოგიკურია, ვინაიდან ეს საქმე უფრო მეტ დროს საჭიროებდა, ვიდრე ასთიონასა და ბონიას შემთხვევაში.

მცირე დასკვნები: ა) მუშნი ზარანდიამ ცხენის „ჩუქების“ ოპერაციის შეტყობინების მიღებიდან ახლო დროში აბრაგის წინააღმდეგ პირველი რაც მოიფიქრა და შემდეგში განახორციელა, არასრულწლოვანი უკანონო შვილის მომზადება იყო მამის მოკვლის მიზნით. ამ საქმისთვის მან პოლკოვნიკ კნიაზევს გუდუნა პერტიას მასწავლებელი გადააბირებინა; ბ) ვინაიდან ზარანდიამ იცის თუთაშხია-იალქანიძის ახლო მეგობრო-

ბისა და თანამოაზრეობის ამბავი (ციხეში დაწყებული) და ისიც, რომ ამ უკანასკნელს ხარნალში იჯარით დუქანი აქვს აღებული, მედუქნეს უდოდოვის მეშვეობით ასთიონა შესთავაზა მიმტანად; გ) სეგედისთან სტუმრობის მომენტისთვის ზარანდია ამ ორი, – „ა“ და „ბ“ ხაფანგების იმედადაა, ხოლო სტუმრობის შემდეგ, იგი რატომღაც იღებს კიდევ ერთი ხაფანგის დაგების გადაწყვეტილებას – უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები, მრავალშვილიანი, თუმცა უკვე გადაბირებული ბონიასთვის ვინმე შარუხიასგან ყიდულობს ბეჩუნი პერტიას სახლთან ახლოს მდგომ წისქვილს და დაჩქარებული წესით იწყებს ამ ახალი მფლობელის სროლაში მომზადებას. დ) ზარანდიამ თუთაშხიას კიდევ ერთი ხაფანგი დაუგო, რომელსაც თავისი დანიშნულება ჟანდარმის საქართველოში ჩამოსვლისას (დეკემბრის დასაწყისი) უნდა შეესრულებინა (გვ. 680), თუმცა ამის შესახებ ნაწარმოებში დაწვრილებითი ხასიათის ცნობები არ გვხვდება.

რა შედეგებით დასრულდა ზარანდიას მიერ ორგანიზებული ოპერაცია, მოწყობილი აბრაგის წინააღმდეგ, მისი ფიზიკური მოსპობის მიზნით, რომელიც, რეალურად ცხენის „ჩუქების“ შეტყობინების მიღების შემდეგ დაგეგმა, როგორც კონტროპერაცია? აი, ეს შედეგებიც: ა) ცხენის „ჩუქების“ თუთაშხიასეული ოპერაციისთვის ხელის ვერ შეშლა („მოპარვისთვის“ ხელის შეშლის მცდელობები ნაწარმოებში არ ჩანს); ბ) ზარანდიას მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაბირებული ასთიონას გაბრიყვების გზით (იალქანიძის მხრიდან) ორი ბოროტმოქმედის მოწამლვა; გ) ორი გადაბირებულის (მოსე ჯაგალია, ბონია მეწისქვილე) დაკარგვა მათი გადასვლით აბრაგის სამსახურში (თუნდაც დროებით, ერთჯერადად); დ) გადაბირებული ასთიონას სიკვდილი; ე) გადაბირებული ბიქტორ სამუშიას სიკვდილი; ვ) გუდუნა პერტიას მკვლელად ვერ ქცევა, ვერ გაფორმება; ზ) დათა თუთაშხიას „აორთქლება“ და მის სიკვდილში ბოლომდე ვერდარწმუნება; თ) თვით „...მუშნი ზარანდიას ავადმყოფობა მელანქოლიის მძიმე ფორმებით...“ (საქართველოდან პეტერბურგში დაბრუნებისთანავე) „...და სამიოდ წლის მერე რაღაც სხვა მძიმე სენით...“ გარდაცვალება (გვ. 681).

აქ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან (ცხადია, ბოლო პუნქტის ჩაუთვლელად) ჟანდარმისთვის ყველაზე მძიმე, ალბათ, ბონია მეწისქვილის სახეცვლილება უნდა ყოფილიყო, რომელიც, არა უბრალოდ მიემხრო დათა თუთაშხიას წისქვილში გამართული საუბრის დასასრულს და პირადი, უანგარო სამსახურიც კი შესთავაზა მას („არ მინდა ფული, ისე გეტყვი იმ კაცებს, ვინც მოვა და მკითხავს...“ გვ. 671), არამედ აბრაგს ზარანდიასთან შეხვედრის ყველა ნიუანსი მოუყვა და ისიც უთხრა, რომ „ძალიან ვერაგი კაცია მუშნი ზარანდია...“-ო (გვ. 672). ამის შემდეგ მეწისქვილე აბრაგს დიდი სიფრთხილისკენ მოუწოდებს, ანუ იწყებს ვერბალურ ზრუნვას მის უსაფრთხოებაზე. ეს იყო აღზევებული ჟანდარმის სრული ფიასკო. სავარაუდოდ, ამის შემდეგ, მას ძალიან უნდა გასჭირვებოდა იმ საქმის წარმოება-კეთება, რასაც გადაბირება ჰქვია.

მუშნი ზარანდიასთვის არანაკლებ მძიმე უნდა ყოფილიყო მოსე ჯაგალიას ქცევის გაცნობიერებაც. ყოფილი მეჯინიბე ჯაგალია, თვეში სამ მანეთად ნოკო ბასილაიასთან მისული კაცების დამმახსოვრებელი და პოლიციისთვის ამ ცნობების სისტემატურად მიმწოდებელი, ამავე პოლიციას არაფერს ატყობინებს იმის თაობაზე, რომ მას თუთაშხიამ საიდუმლოდ, ოცდახუთი მანეთის სანაცვლოდ ულამაზესი, ორი ათას თუმნიანი ცხენის შენახვა-მოვლა დაავალა, რომელი ცხენიც, თუთაშხიასავე დავალებით პირადად უნდა მიერთმია მუშნი ზარანდიასთვის სვიმონ გულიას ვაჟის ქორწილში, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ. ეს ფაქტიც ჟანდარმის ფიასკოზე მეტყველებს, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ცხენის ჯაგალიასთვის მიბარებიდან რამდენიმე საათში აბრაგი მარადისობაში გადადის თავისივე უკანონო შვილის მიერ განასროლი ტყვისგან. სხვაგვარად რომ ვთქვა, თუთაშხიას გარდაცვალების მიუხედავად, რომელი გარდაცვალების ვარიანტებს, ჭორის დონეზე არსებულს,

ჯაგალიაც შეიტყობდა უცილობლად, იგი უარს არ ამბობს აბრაგისგან მიღებულ დავალებაზე და მას ბოლომდე პირნათლად ასრულებს, რაც ჟანდარმისა და მის უკან მდგომი იმპერიული სახელმწიფოს საფუძველთა საფუძვლების შერყევის ტოლფასია, ვინაიდან ასეთი სახელმწიფოსთვის საყრდენის გამოცლას ნიშნავს. უფრო ცუდი ამ ტიპის სახელმწიფოსთვის აქ ის არის, რომ წინააღმდეგობის გამწევ ძალას უჩნდება გარკვეული ცოდნა-გამოცდილება მსგავსი საყრდენების გამოცლის შესახებ.

ახლა მივმართოთ დამატებით ანალიზს.

ვინაიდან დათა თუთაშხია ციხიდან ათას ცხრაას შვიდი წლის სექტემბრის ბოლოს გაიქცა, ხოლო ძმადნაფიც ზანკშს ათას ცხრაას ცხრა წლის აგვისტოში შეხვდა, სამი წელი მხოლოდ რიგითობის მიხედვით გამოდის და არა აბსოლუტური გამოხატულებით. ეს ცნობისათვის. მუშნი ზარანდიასთვის ძღვენის მირთმევის ცნობის წინდაწინ შეტყობინების არსი, თუთაშხიასავე სიტყვებით იმაშია, რომ აბრაგი ჟანდარმს საკმაო დროს აძლევს მოსამზადებლად და დარწმუნებულია, რომ მას მაინც არაფერი გამოუვა, რომ მდევნელი დევნილს ვერ აჯობებს.

მუშნი ზარანდია მხოლოდ მაშინ ესტუმრება ჟანდარმთა ყოფილ შეფს, აწ უკვე სამსახურიდან გადამდგარ გენერალს – გრაფ სეგედის, – როცა რამდენიმე სასიკვდილო მახე უკვე აქვს დაგებული თუთაშხიასთვის და სასურველი შედეგის დადგომის მოლოდინშია. დათა თუთაშხია პირიქით – წინდაწინ, ცხენის „მოპარვის“ ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე ატყობინებს ჟანდარმს თავისი ოპერაციის მთავარ დეტალებს – მხოლოდ ცხენის პატრონისა და მომპარავის ვინაობას, მის „მოპარვა-ჩუქებასთან“ და საქართველოში მისაყვან გზებთან დაკავშირებულს. ზარანდიას სეგედისთან სტუმრობის ერთი სავარაუდო მიზანი თავისი „საგმირო საქმისთვის“ მოწმის (ამბის გამხმოვანებლის) შეძენაა! გარდა ამისა, მას აინტერესებს ერთხელ უკვე დამარცხებული ყოფილი შეფის კიდევ ერთხელ „შენჯღრევა,“ვინაიდან იცის, რომ ეს უკანასკნელი, გადადგომის შემდეგ, საზოგადოებაში კარგად ცნობილი თავისუფალი ადამიანებით (კარიძე, თუთაშხია) ინტერესდება და გარკვეულ სიმპატიებს ავლენს თვით ამ საზოგადოების მიმართაც. ზემოთქმულის გარდა, მოცემულ შემთხვევაში, ზარანდია ცდილობს ისარგებლოს სეგედის საინფორმაციო არხით, რათა ამცნოს თუთაშხიას ის, რომ იგი გენერალური დაპირისპირებისთვის მზად არის. ცხრაას ცხრა წლის მაისის ბოლოს კარიძისგან ინფორმაცია-მიღებული თუთაშხია იღებს გადაწყვეტილებას აგვისტოს პირველ რიცხვებში გაემგზავროს შეპირებული ძღვენის – ულამაზესი ცხენის მისაღებად (ძმადნაფიცის მეშვეობით) და საქართველოში გადმოსაყვანად. ანუ, დათა თუთაშხია ოპერაციის უშუალო განხორციელებას მხოლოდ მას შემდეგ იწყებს, როცა იგებს, რომ ზარანდიამ გამოწვევა მიიღო და იგი მზადაა საპასუხო მოქმედებებისთვის. იმავდროულად ვიცით ისიც, რომ თუთაშხიას ბალყარეთში ჩასვლის მომენტისთვის, ბილალ ზანკშს ქართველი ძმადნაფიცისთვის გადასაცემი ულაყი გუტეს თავლებიდან უკვე გამოყვანილი ჰყავს და სრულიად სხვაგან, – ლისკენის ტყეებში მალავს (გვ. 646).

მუშნი ზარანდიამ თითქმის ყველაფერი იცოდა დათა თუთაშხიას ცხოვრების, მისი შეხვედრებისა და საუბრების შესახებ, აფიქსირებდა რა აბრაგის აზრებსა და შეხედულებებს აგენტურული შეტყობინებებით. დათა თუთაშხია კი, იცის რა იმის შესახებ, რომ ზარანდია მას აჩრდილივით დასდევს და იცის ისიც, რომ ამ რეალობას ვერ გაექცევა, მიმართავს ღია თამაშს და სწორედ ამიტომ უთვლის რამდენიმე წლით ადრე ჟანდარმს – ულამაზესი ცხენი უნდა გაჩუქოო. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, აბრაგი პირდაპირი ფორმით იწვევს ჟანდარმს მანამდე არნახულ დაპირისპირებაში, რომელიც სცდება პიროვნული დაპირისპირების საზღვრებს და იძენს თავისუფალი აზრისა და თავისუფალი მოქმედებების მასშტაბურ ჰორიზონტებს. თუმცა, ზარანდიას დარად (ჟანდარმთა შეფი

სეგედისთვის მისაწოდებელი ინფორმაციებიდან რაღაც ნაწილის მიწოდება და სხვა ნაწილის გამოტოვება), თუთაშხიაც მხოლოდ იმ დონის ცნობებს აწვდის ჟანდარმს, რაც მას აწყობს, მის მიერვე დაგეგმილი ოპერაციის ეფექტიანად განსახორციელებლად – მხოლოდ ცხენის პატრონისა და მომპარავის ვინაობას, ასევე საქართველოში მისი შემოყვანის გზებს. შესაბამისად, ჟანდარმმა წინდაწინ არაფერი იცის იმის შესახებ, თუ სხვა რა ფაქტების წინაშე აღმოჩნდება იგი ცხენის „ჩუქების“ შეტყობინებული ოპერაციის განხორციელების პროცესში.

მუშნი ზარანდია ვერავის გაუმჟღავნებდა ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ აბრაგისგან მიღებულ შეტყობინებას – სახელმწიფო, მამის ოჯახი და ა. შ. სწორედ ამიტომ ესტუმრა იგი თავის ყოფილ შეფს, გადამდგარ გრაფ სეგედის. თუმცა იგი ვერც სეგედის უმხელს ღიად იმ ხათაბალის ამბავს, რომელ ხათაბალასაც თუთაშხიამ გადაჰყარა. სწორედ ამიტომ, ზარანდია მასპინძელ სეგედის ძალიან შორეული მინიშნებების დონეზე ამცნობს იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს ბოროტების სიკეთედ გარდაქმნას (ცხადია, იმპერიის სასარგებლოდ და აბრაგის ფიზიკური არსებობის საზარალოდ).

მუშნი ზარანდიამ კარგად იცის, რომ აბრაგი არ განკარგავს საძღვნე ულამაზესი ცხენის შესასყიდ თანხებს. ამიტომ, ჟანდარმი უნდა მიმხვდარიყო, რომ „ნაპარავი“ ულამაზესი ცხენის „ჩუქებასთან“ ექნებოდა საქმე და რომ ამ ინფორმაციის მიწოდებით, აბრაგმა მას რეალურად ამცნო შემდეგი – ვიცი, ჩემ წინააღმდეგ დღემდე წარმოებული ყველა ოპერაციის თავი და თავი შენ ხარ; თუმცა დათა თუთაშხია, ზარანდიას პიროვნულ მეტოქეობაში სულ ბოლოს რწმუნდება – ჯერ გრაფი სეგედის მიერ (უფრო კარიძის) მიწოდებული ინფორმაციის მეშვეობით (მაისის ბოლოს, რაც მისთვის ნაწილობრივი რწმუნებაა), შემდეგ კი ბონია მეწისქვილესთან საუბრისას (ნოემბრის დასაწყისი – საბოლოო დარწმუნება). გუდუნასგან დაჭრილი დათა თუთაშხია სწორედ ამიტომ ამბობს თავისთვის, – „რამ მოაფიქრებინა ეს!.. მაჯობა მაინც...“ (გვ. 676). ეს არ გახლავთ ვარაუდის დონეზე ნათქვამი, ან ნაგულისხმევი აზრი, არამედ უკვე დარწმუნებულის სიტყვებია, ვინაიდან დაჭრილმა თუთაშხიამ იგი მას შემდეგ წარმოსთქვა, რაც ბონია მეწისქვილისგან რამდენიმე წუთით ადრე მარწმუნებელი ხასიათის ინფორმაცია მიიღო წისქვილის შესყიდვის საქმეში ჟანდარმის უშუალო მონაწილეობის თაობაზე.

ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ თუთაშხიასეული ოპერაცია გაცილებით უფრო დიდი ოპერაციაა, ვიდრე ის ოპერაციები, რაც თავად ზარანდიამ დაგეგმა ჯერ დოცენტის, ხოლო შემდეგ სახნოვის წინააღმდეგ. ეს ოპერაციები იმ საზოგადოების ცალკეული წევრების წინააღმდეგ მიმართული ოპერაციები იყო და მიზნად იმპერიული სახელმწიფოს გაძლიერებას ისახავდა. დათა თუთაშხიას მიერ დაგეგმილი ოპერაცია კი პირიქით, აღზევებული ჟანდარმისა და მის უკან მდგომი იმპერიული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ოპერაციაა. ამიტომ აბრაგის მიერ მოფიქრებული ოპერაცია, თავისი მასშტაბებითა და შედეგებით, საბოლოო ჯამში კი, მნიშვნელობით, გაცილებით უფრო დიდი ოპერაციაა. მუჰამედ გუტეს ულამაზესი ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაცია არ გახლავთ მხოლოდ საკუთრივ ცხენთან, მის „მოპარვა-ჩუქებასთან“ დაკავშირებული პროცესი. იგი მრავალმხრივი ოპერაციაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მას ახლავს თანამდევი პროცესები – ზარანდიას მიერ მოსყიდული, იმპერიის სასარგებლოდ გადაბირებული პირების უკან გადმობირება-გამოსყიდვისა და მათი აბრაგის სამსახურში ჩაყენების წარმატებული მცდელობები – მოსე ჯაგალია, ბონია მეწისქვილე. ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს გადმობირებულების რაოდენობას, ვინაიდან უმთავრესი გახლავთ პრინციპის პოვნა და პრაქტიკაში მისი წარმატებით გამოცდა-გამოყენება. თუთაშხიას ეს ოპერაცია არსებული იმპერიული სისტემისა და მისი ერთი იდეური ავტორის – მუშნი ზარანდიას საპირწონე ოპერაციაა. ეს ოპერაცია გვიჩვენებს იმას,

თუ როგორ შეიძლება ერთმა, თავისუფალი ნების მოფიქრალ-მოაზროვნე ადამიანმა დაშალოს უკვე არსებული, ძლიერმოქმედი იმპერიული სისტემა, მშვიდობიანად გააუვნებელყოს მისი სტრუქტურული ნაწილები და ისინი ამავე სისტემის წინააღმდეგ გამოიყენოს.

მუშნი ზარანდიამ წინდაწინ არაფერი იცის იმის შესახებ, რომ „ნაპარავი“ ცხენის „ჩუქებასთან“ ერთად, რომელსაც იგი ვერ დაიტოვებს და იძულებული იქნება გაზაფხულზე, გზების გახსნის შემდეგ პოლიციის მეშვეობით დაუბრუნოს ნამდვილ პატრონს – მუჰამედ გუტე, – დასუსტდება რამდენიმე გადაბირებულით, რომელთაგან ერთი (მოსე ჯაგალია) ნოკო ბასილაიასთან მისულ ადამიანებს იმახსოვრებს თვეში სამი მანეთის სანაცვლოდ და აწვდის შესაბამის ინფორმაციას პოლიციას, ხოლო მეორე – ბეჩუნი პერტიას სახლთან ახლოს მდგომი წისქვილის ახალი მეპატრონე (სახელმწიფოს ფულით შეძენილი) ბონია – გაცილებით უფრო დიდი ამოცანის წინაშეა: აბრაგის საყვარელ ქალთან მისულებს აფიქსირებს თხუთმეტ მანეთად და იარაღასხმული ელოდება თუთაშხიას იმ არემარეში გამოჩენას ან მის წისქვილში შევლა-სტუმრობას მისივე მოკვლის მიზნით.

ოპერაციის მსვლელობისას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა, ჟანდარმი მარცხდება დუქანში, დათა თუთაშხიას მეგობრისა და თანამოაზრისგან – ბიკენტი იალქანიძე. როგორც უკვე ითქვა, ამ დუქანში ზარანდიას შეგზავნილი (დასაქმებული) ჰყავდა მკვლელი – მიმტანი ასთიონა, რომლის გასაგონადაც იალქანიძე სამზარეულოში ახმოვანებს ყალბ ინფორმაციას, რომელი ინფორმაციის გამგონეც, მიღებული ცნობის საფუძველზე წამლავს ყაჩაღ ბოდღო ყვალთავასა და მის ამხანაგს – დათა ჩოჩიას. სიკვდილის პირას მყოფი ყვალთავა კი, ცეცხლსასროლი იარაღით კლავს ასთიონას. ყოველივე ეს იმის პირდაპირი დადასტურებაა, რომ იმ რეგიონში, რომელიც აღწერილია ნაწარმოებში, არსებობენ იმპერიული სახელმწიფოსთვის წინააღმდეგობის გამწევი ძალები და რომ დათა თუთაშხია „...გალოკილი თითივით მარტოკაცი“ (ზარანდიას თვითშეფასება. გვ. 99) კი არაა, არამედ ძალაა, ასეთი ძალის ცენტრია, მისი ერთი უპირველესი ამძრავი. გავიხსენოთ, თუ რას ეუბნება იალქანიძე აბრაგს განშორებისას, დუქანში დატრიალებული მოწამლვა-მკვლელობების შემდეგ: „შენთან რომ ვარ, ისეთი მინდა გავაკეთო რამე... შენს გვერდით რომ არის, ყველას ასე უნდა ეს... ვინც გიცნობს კარგად...“ (გვ. 663).

რა ძალებზეა საუბარი? თავისუფალი ადამიანების მიერ იმპერიული სახელმწიფოსადმი წინააღმდეგობის გამწევ ძალებზე. ნაწარმოების მიხედვით, ამ ძალებს დათა თუთაშხია აერთიანებს ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაციამდეც, მისი განხორციელების დროსაც და ნაწილობრივ, გარდაცვალების მერეც. ამ ძალას თუთაშხიასთან ერთად განასახიერებს ჟანდარმთა ყოფილი შეფი – გრაფი სეგედი, სანდრო კარიძე, ბილალ ზანკში, გუჯეჯიანები, ბიკენტი იალქანიძე, ნოკო ბასილაია, მალაქია ნინუა (მან თუთაშხიას სახელით ჯაგალიას უნდა მიაკითხოს მოგვიანებით და უთხრას – ვის და როდის მიუყვანოს ცხენი. გვ. 678.), ვინმე უცნობი (ვინც ბიქტორ სამუშიას შუაღამით კარებზე მიუკაკუნა და უთხრა – „თუთაშხია ვარ, ძაღლის შვილო!“ – რის შემდეგაც პირველს გული გაუსკდა). ეს და სხვა ადამიანები აბრაგს მხოლოდ სიტყვით კი არ თანაუგრძნობენ, არამედ საჭირო დროს მის გვერდით დასადგომად და სამოქმედოდ არიან მზად. სწორედ ამ ძალების იმედად დაგეგმა დათა თუთაშხიამ ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ბრწყინვალე ოპერაცია და მათივე უშუალო მონაწილეობით (მეტნაკლები ხარისხის), ბოლომდე განახორციელა იგი კიდეც, მიუხედავად გარდაცვალებისა.

ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაცია ჰუმანური ოპერაციაა, რომელიც აბრაგის გეგმის მიხედვით არ ითვალისწინებს ბოროტ ან რაიმე ტიპის უზნეო ქცევებსა და მოქმედებებს, ვინმესთვის მატერიალური ან სხვა სახის ზიან-ზარალის მიყენებას, გარდა ერთი პირის დარწმუ-

ნებისა და მისი სამსახურებრივი რეპუტაციის შელახვა-შერყევისა – მუშნი ზარანდია. თუთაშხიას სიტყვებით, მისი მიზანი შემდეგშია: „თვითონ თუ ვერ დარწმუნდა, რომ ვერ მჯობნის და თუ ვერ მიხვდა, რატომ ვერ მჯობნის – ხალხი დარწმუნდება და ერთხელ კიდევ დაინახავს, ავი საქმე კარგ საქმეს რომ ვერ აჯობებს საბოლოოდ“ (გვ. 648). შესაბამისად, დათა თუთაშხიას მიზანი ისაა, კარგმა საქმემ (არა კეთილმა!) აჯობოს ავ საქმეს.

ოპერაციის მსვლელობისას, როგორც ამის შესახებ ითქვა ზემოთ, ადგილი აქვს დამატებით მოვლენებს, რასაც „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაციასთან პირდაპირი და უშუალო კავშირი არ აქვს. იგულისხმება იალქანიძის დუქანში მომხდარი მოწამლვა-მკვლელობები, რომელთა ინფორმატიული სულისჩამდგმელი და „რეჟისორი“ თუთაშხიას მეგობარი მედუქნეა. ვინაიდან ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ოპერაცია არ ითვალისწინებდა მოვლენების ასეთ განვითარებას, სწორედ ამიტომ ეუბნება დათა თუთაშხია ბიკენტი იალქანიძეს: „მაგას თუ აპირებდი, მოვალე იყავი, გეთქვა!.. მე ხომ ვერ გკითხავდი?! ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე!..“ (გვ. 661).

ახლა შევეხოთ ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ ზოგიერთ დეტალს:

ა) ბალყარეთში გადასული თუთაშხია ხვდება ძმადნაფიც აბრაგს, ბილალ ზანკშს, რომელმაც ამ შეხვედრიდან „...სამი დღის შემდეგ ჯერ კიდევ გაზაფხულზე მუჰამედ გუტეს თავლებიდან გამოყვანილი და ლისკენის ტყეებში საიმედოდ გადამალული ულაყი დათას მოჰგვარა“ (გვ. 646). როგორც ვხედავთ, საძღვნე ცხენი ბილალ ზანკშმა ცხრაას ცხრა წლის გაზაფხულზე გამოიყვანა (ნაწარმოების მიხედვით, ბალყარელს ეს ცხენი არ მოუპარავს, არამედ გამოიყვანა) გუტეს თავლებიდან, ანუ წინდაწინ მოამზადა ძღვენი, რათა თუთაშხიას, დროის თვალსაზრისით, ჩუქების პროცესში ხელი არ შეშლოდა და მხოლოდ საქართველოში მისი გადაყვანის საკითხი ყოფილიყო აქტუალური. ვფიქრობ, საძღვნე ცხენის წინდაწინ გამოყვანა გუტეს თავლებიდან და ზანკშის „ტერიტორიაზე“ გადამალვა თუთაშხიას გეგმის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ბ) როგორი იყო აბრაგის რეაქცია ამ ცხენის ხილვისას? „თუთაშხიას ამ ულაყის მშვენება და სახელი გაგონილი ჰქონდა, მაგრამ ასეთს მაინც არაფერს მოელოდა. ისე მოეწონა, რომ ერთიანად აცახცახდა, მოახტა, იქამდე იჯირითა, სანამ თვითონაც გამოეცალა არაქათი და ცხენსაც“ (გვ. 646). როგორ შეაფასა ბილალ ზანკშმა ეს ჯირითი? მან „უკვე ჭარმაგი, სახელგანთქმული აბრაგისა და კეთილშობილი ცხოველის ერთმთლიანობა ნახა, აღტაცებამ თუ სიამაყემ ყელში ცრემლი მოაბჯინა. როცა თუთაშხია ჩამოხტა, ბილალმა აღგზნებულსა და სახეგაბრწყინებულ ძმადნაფიცს სინანულით უთხრა: – ამ ულაყზე ჯდომა ქვეყანაზე მხოლოდ შენ გეკუთვნის, ალლაჰსა ვფიცავ, დათა!“ (გვ. 646).

ეს ორი ციტატა, არა მარტო „სახელგანთქმული აბრაგისა და კეთილშობილი ცხოველის ერთმთლიანობას,“არამედ ცხენის, როგორც თავისუფლების სიმბოლოსა და მისი მხედრის, როგორც თავისუფალი ადამიანის ერთმთლიანობას გამოხატავს. დათა თუთაშხია, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი, გმირი აქ უკვე თავად გვევლინება თავისუფლების სიმბოლოდ. იმავდროულად, ეს ერთმთლიანობა ნიშნავს იმასაც, რომ თუთაშხია სრულად ეუფლება თავისუფლებას, როგორც ასეთს, მის აღქმა-გაგებასა და სამოქმედო პრინციპებს, რომელთა გამოყენებითაც იწყებს ასეთ თავისუფლებაზე დაფუძნებული ოპერაციის განხორციელებას (მართვას) ჟანდარმისა და მის უკან მდგომი იმპერიული სახელმწიფოს წინააღმდეგ;

გ) აბრაგი ასაკოვან მოსე ჯაგალიას არამარტო ცხენს უტოვებს მოსავლელად, არამედ დაასწავლის ტექსტს, რომელიც ყოფილმა მეჯინიბემ ზარანდიას ცხენთან ერთად უნდა გადასცეს, როგორც თუთაშხიას დანაბარები;

დ) „ქორწილის მეორე დღეს ერთმა კაცმა გულიას ეზოში გასაოცარი სილამაზის ცხენი შეიყვანა, მუშნი ზარანდიას მიართვა და თუთაშხიას

დანაბარები გადასცა. პოლკოვნიკმა სინანულით განაცხადა, – აბრაგი შეცდა, ძღვენი მე არ მეკუთვნისო. ცხენი პოლიციამ წაიყვანა“ (გვ. 681). დავაზუსტებ: ამ ცხენის მუშნი ზარანდიასთვის გადაცემის მომენტისთვის აბრაგი ერთი თვის გარდაცვლილია; თუთაშხიას ჟანდარმისთვის წინასწარ არ შეუთვლია, თუ სად და როდის გადასცემდა (მით უფრო, პირადად გადასცემდა თუ სხვისი მეშვეობით) „ნაპარავ“ ულაყს. ამიტომ, დეკემბრის დასაწყისში ქორწილში სტუმრად მისულ ზარანდიას, თუთაშხიას გარდაცვალების ცნობებიდან გამომდინარე, ცხენის ჩუქება-გადაცემის მოლოდინი, წესით, აღარ უნდა ჰქონოდა. თუმცა, ჯერ მოვუსმინოთ გრაფ სეგედის: „მუშნი ზარანდიასთვის თუთაშხიას ამბავი, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გახდა ცნობილი, მაგრამ არ აჩქარებულა, საქართველოში დეკემბრის დასაწყისში ჩამოვიდა, ანუ იმ დროს, როცა მისი წინასწარი ვარაუდით, დათა თუთაშხიასთვის დაგებულ ერთ-ერთ მახეს თავისი დანიშნულება უნდა შეესრულებინა. ჩამოსვლის ოფიციალურ მიზეზად ზარანდიამ ახლო მეგობრის, სვიმონ გულიას ვაჟის ქორწილი დაასახელა“ (გვ. 680-681). როგორც ვხედავთ, ზარანდიასთვის ზემოხსენებული ქორწილი მხოლოდ მიზეზია, რეალურად კი იმისთვისაა ჩამოსული, რომ პირადად შეესწროს თუთაშხიას ხაფანგში გაბმას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის აბრაგი ერთი თვის გარდაცვლილია და ჟანდარმს აქვს ცნობები ამის შესახებ, უჭირს დაჯერება და მორიგ ხაფანგზე უარს არ ამბობს.

რატომ არ თქვა ზარანდიამ უარი ბოლო ხაფანგზე? რა ვარაუდი შეიძლებოდა ჰქონოდა მას, ამ შემთხვევაში? პასუხი ორნაწილიანია: ა) დათა თუთაშხიას უხილავობის უძლიერესი მომენტი, გამომდინარე აბრაგული ცხოვრების წესიდან, რაც ნაწარმოებს ერთ-ერთ მთავარ ხაზად გასდევს. სწორედ ეს მომენტი აიძულებს ჟანდარმს არ ენდოს თუთაშხიას გარდაცვალების შესახებ არსებულ ცნობებს, გაცემულს მისივე ყოფილი სამსახურის მიერ; ბ) ზარანდიას ვარაუდი, იმავდროულად, შეიძლება კავშირში იყოს საძღვნე ცხენის მაღალ ფასთან – ორი ათასი თუმანი (გვ. 647). მუშნი ზარანდიას ძალიან უნდა გასჭირვებოდა იმის დაჯერება, რომ აბრაგი ასე ძვირადღირებულ ულაყს ვინმეს ანდობდა („...ამ პიროვნული და საყოველთაო სულმოკლეობის პირობებში“ – სანდრო კარიძე. გვ. 485), მოსავლელად მიაბარებდა, მით უფრო მის მიერვე გადაბირებულ მოსე ჯაგალიას, რომელი გადაბირებულის თვიური ანაზღაურება სამი მანეთი იყო. ამიტომ, ყველა ლოგიკით, ზარანდიას ვარაუდი ის უნდა ყოფილიყო, რომ, დათა თუთაშხია, ასე ძვირფას საჩუქარს თავად მიართმევდა მას. სწორედ ამაზე უნდა ჰქონოდა გათვლა ზარანდიას, რომ სვიმონ გულიას სახლთან მისასვლელ გზებზე ან თუნდაც სადღაც უფრო შორს დაეხვედრებინა აბრაგისთვის ვინმე მკვლელი და მკვლელობის ფაქტს ცხელ კვალზე თავადაც შესწრებოდა.

რა ხდება მას შემდეგ, რაც „ცხენი პოლიციამ წაიყვანა“? ჟანდარმი უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ აბრაგი ნამდვილად მკვდარია, ვინაიდან ძღვენის გადაცემის თუთაშხიასეული განზრახვა, – უძვირფასესი (და ულამაზესი) ცხენის სხვისი ხელით (და არა პირადად) მირთმევა – სახეზეა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ულაყის სხვისი ხელით „მირთმევიდან“ „ცოტა ხნის შემდეგ პოლკოვნიკმა ორი კაზაკისა და მეგზურის თანხლებით თუთაშხიას შესაძლო სიკვდილის ადგილისკენ გასწია“ (გვ. 681).

ამ წერილის სათაურში გამოყენებული სიტყვა „ოპერაცია,“ მართალია, ცხენის „მოპარვა-ჩუქების“ პროცესებს ასახავს, თუმცა იგივე პროცესი სხვა რამესთან გვაახლოებს, სხვა რამეს გვიხსნის – ესაა აბრაგის მინიშნებითი ხასიათის საუბარი ჟანდარმთან. ამ ცხენთან დაკავშირებული თუთაშხიასეული ოპერაცია თავისუფალი აზრის მქონე თავისუფალი ადამიანის საუბარია ასეთის არმქონესთან, გარკვეული, ჩაკეტილი სისტემის შიგნით აღზევებულთან, რომელი სისტემაც არამხოლოდ ადამიანების, არამედ ძალის გამოყენებით დაპყრობილი ხალხების თავისუფალი ნების წინააღმდეგ მიმართული სისტემაცაა.

მაინც რა უთხრა დათა თუთაშხიამ თავის მამიდაშვილ ჟანდარმს ამ ულამაზესი ცხენის „ჩუქებით? რა იყო ამ საუბრის დედააზრი? აი, ისიც: ა) სიბრტყე, რომელზეც იმყოფები, თავისუფლებაშეზღუდული (და შემზღუდავი) სიბრტყეა და რომ მაგ სიბრტყიდან კარგი საქმის მკეთებელ თავისუფალ ადამიანს პიროვნულად ვერ აჯობებ; ბ) სიბრტყე, რომელზეც იმყოფები, არამხოლოდ თავისუფლებაშეზღუდული, არამედ „შეზღუდული და სულიერად ხელმოკლე კაცები“-ს (სეგედი. გვ. 325) სიბრტყეა და შეუძლებელია მათი გამოყენებით აჯობო მოფიქრალ-მოაზროვნე და სულიერად შეძლებულ, სწორი ხედვა-ანალიზის მქონე კაცებს.

მუშნი ზარანდიასა და მის უკან მდგომი იმპერიული სახელმწიფოს მარცხი, ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა, განაპირობა ამ ორგანიზებული ძალის მხრიდან გამოვლენილმა ადამიანის, მისი ღირებულებითი სისტემის არცოდნა-უგულებელყოფამ. ზარანდია ადამიანში, როგორც ზემოთ გაანალიზებული შემთხვევებისას დავინახეთ, უპირატესად ბოროტსა და მოღალატეს, ფულზე დახარბებულს ხედავდა, ასეთს აქეზებდა, ხოლო დათა თუთაშხიამ თავისი საუბრებით მოსე ჯაგალიასა და ბონია მეწისქვილესთან გვაჩვენა და აჩვენა ჟანდარმს, რომ ადამიანი გაცილებით მდიდარი, მრავალფეროვანი ბუნებისაა და მისი დაყვანა მხოლოდ ბოროტების ჩამდენ სუბიექტამდე მხოლოდღა იმ ტიპის იმპერიულ სახელმწიფოშია შესაძლებელი, რომელშიაც იგი ასე აღზევდა. გარდა ამისა, ასეთი დაყვანა მაშინვე მარცხდება, როგორც კი ჩნდება ალტერნატივა. ზარანდიას კონტროპერაციის მთავარი მიზანი სწორედ ამ ალტერნატივის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციაა და ეს ალტერნატივა, უპირველეს ყოვლისა, დათა თუთაშხიაშია, მის გარშემო არსებულ ადამიანებშია, ხოლო გარეგნულად აბრაგის მიერ გარკვეული დროით გამოყებულ ცხენშია, როგორც მინიშნებასა და თავისუფლების საყოველთაო სიმბოლოში.

ალექსანდრე ჩხაიძე

პირველი მსოფლიო ომი (1914-1918 წწ.) და ბათუმი

(სხვა ევროპა)

XX საუკუნეს განვითარებული სამყარო მრავალმხრივი პროგრესით შეეგება. ვითარდებოდა საწარმოო ძალები, ელექტროობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ცაში დაფრინავდნენ დირიჟაბლები (ცეპელინები), მედიცინაში იყენებდნენ რენტგენის სხივებს, სარგებლობდნენ მტვერსასრუტებით, მაცივრებით. მრავალფეროვანი და მოსახლეობისათვის უფრო მისაღწევი ხდებოდა კულტურა, ხელოვნება და ა. შ. ევროპა ივიწყებდა ომს (იქ ბოლო ომი, საფრანგეთსა და პრუსიას შორის მიმდინარეობდა 1870-1871 წლებში).

იმავე პერიოდში საოცარ განვითარებას განიცდიდა ბათუმიც. 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი, მათ შორის ბათუმი რუსეთთან ერთად საქართველოს ერგო. იმ დროს ჩვენი ქალაქი იყო პატარა (დაახლოებით 1500-2000 მცხოვრებით), ეკონომიკურად ჩამორჩენილი, ფეოდალური ტიპის დასახლება. 1878 წლიდან, ახალ გარემოში მოხვედრის შემდეგ, მდგომარეობა შეიცვალა. XIX საუკუნის ბოლოს (1878 წლიდან) და XX საუკუნის დასაწყისში (1914 წლამდე) ის ზღაპრულად განვითარდა. გაკეთდა ხელსაყრელი ნავსადგური, გაჩნდა ნავთობის ბიზნესი, ამუშავდა ელექტროობა, აშენდა და ფუნქციონირება დაიწყო მრავალმა საწარმომ. შემოვიდა საერო განათლება, კულტურა, ხელოვნება, გაიხსნა სკოლები, ბიბლიოთეკები და ა. შ. XX საუკუნის დასაწყისში აქ ცხოვრობდა დაახლოებით 30 ათასამდე ადამიანი. მართალია XX საუკუნის დასაწყისში რიგმა გარემოებამ ქალაქის განვითარება შეაფერხა, თუმცა ბათუმი სულ უფრო ემსგავსებოდა საშუალო დონის ევროპული ტიპის დასახლებულ პუნქტს. აღნიშნული 20-30-იოდე წლის მანძილზე ჩვენმა ქალაქმა გადადგა ნაბიჯი სიბნელიდან სინათლისკენ.

სამყაროში ცხოვრება წინ მიდიოდა ახალი აღმოჩენებისკენ, საოცრებებისკენ. მაგრამ ეს მხოლოდ მედლის ერთ მხარეს წარმოადგენდა. იმ დროს პროგრესის ნაყოფი კაცობრიობის მხოლოდ ერთ ნაწილს ეკუთვნოდა. კაცობრიობის მეორე, უმეტესი ნაწილი კი, ძირითადად აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში, კოლონიებში, ჩამორჩენილობასა და მორჩილებაში

ცხოვრობდა. ცივილიზებული ქვეყნები ბატონობდნენ კოლონიებზე. განვითარებად ბათუმშიც მიუხედავად პროგრესისა მშრომელთა კლასი სიდუხჭირეს განიცდიდა.

1914-1918 წლებში სამყაროს თავს დაატყდა საშინელი I მსოფლიო ომი. ის შემთხვევით არ დაწყებულა, ასეთი რამ არ ხდება. მიუხედავათ წინსვლისა, გლობალური ეკონომიკის განვითარებაში მიმდინარეობდა არასასურველი პროცესები, ჩნდებოდა წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. მათ საკუთარი ფარული თუ აშკარა აგრესიული მიზნები ჰქონდათ. როგორი იყო იმპერიალისტთა ძირითადი მიზნები:

გერმანია ადრე დაქუცმაცებული იყო. XIX საუკუნის ბოლოსათვის ის უკვე გაერთიანებულ და ეკონომიკურად მზარდ იმპერიას წარმოადგენდა. ამასთან, მან ვერ მოასწრო საკმაო კოლონიების დაპყრობა, რადგან ისინი უკვე დაპყრობილი ჰყავდათ კონკურენტებს და ისინი მნიშვნელოვნად ნაკლები ჰქონდა ვიდრე დიდ ბრიტანეთს, საფრნგეთს და სხვებს. გერმანიის ძლიერმა ეკონომიკამ შექმნა კარგად აღჭურვილი არმია. ამ ქვეყნის იმპერიალისტებს სურდათ მსოფლიო გადაენაწილებიათ თავის სასარგებლოდ.

ავსტრია-უნგრეთს, რომელიც გერმანიის მოკავშირედ გამოდიოდა, სურდა სერბეთის დამორჩილება, დაპყრობილ სლავ ხალხზე კონტროლის შენარჩუნება, ბატონობის განმტკიცება ბალკანეთსა და ადრიატიკის ზღვაზე.

დიდი ბრიტანეთი იმ დროს ყველაზე ფართო იმპერია იყო. მსოფლიო სხვადასხვა კონტინენტზე უამრავი ხალხები და ერები ჰყავდა მორჩილებაში. მის საზღვრებში მზე არ ჩადიოდა. მაგრამ არც ამით კმაყოფილდებოდა. სურდა გერმანიის კოლონიებისა და ოსმალეთის იმპერიის დაპყრობილი ტერიტორიების ხელში ჩაგდება.

საფრანგეთი გეგმავდა გერმანიის მიერ წართმეული ელზასისა და ლოტარინგიის დაბრუნებას, ასევე გერმანიის ტერიტორიის – საარის ქვანახშირის აუზისა და მისი კოლონიების ნაწილის დაპყრობას.

რუსეთი იმ დროს ეკონომიკურად სწრაფად ვითარდებოდა. თუმცა განვითარების დონით ჩამორჩებოდა დასავლეთის დიდ იმპერიებს. ამიტომ იმ დროს ნაკლებად სურდა ომი. მაგრამ რადგან იმ დროს რუსეთი ფინანსურ დამოკიდებულებაში იყო საფრანგეთთან და ნაწილობრივ ინგლისთან იძულებული იყო ჩართულიყო ომში. ამასთან რუსეთის იმპერიალიზმს არ უნდოდა გერმანიის გავლენა გაძლიერებულიყო თურქეთსა და ბალკანეთში, რადგან თვით სურდა იქ გაბატონება. გარდა ამისა გერმანული საქონელი სერიოზულ კონკურენციას უწევდა რუსულს, რაც საზიანო იყო რუსეთის კაპიტალისტებისათვის.

ოსმალეთის იმპერია ოცნებობდა ხელახლა დაემორჩილებინა ბალკანეთი. ომის დაწყებისათვის ოსმალეთის სამხედრო მინისტრი და ქვეყნის ფაქტობრივი დიქტატორი იყო ენვერ ფაშა. ის გეგმავდა დიდი თურქული სახელმწიფოს – თურანის შექმნას ანუ კავკასიის, შუა აზიისა და ვოლგისპირეთის მიერთებით უზარმაზარი იმპერიის შექმნას. ამიტომ მთელი ომის პერიოდში ოსმალები ეგვიპტესა და ბალკანეთისგან განსხვავებით კავკასიას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ.

იტალიის მიზანს შეადგენდა საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიის ზრდა სხვა ქვეყნების ხარჯზე.

წინააღმდეგობებმა დიდ მტაცებლურ ქვეყნებს შორის ჩამოაყალიბა ორი ბლოკი. ერთი მხრივ, სამთა შეთანხება ანუ ანტანტა: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი, მეორე მხრივ, სამთა კავშირი: გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია. მათ შორის ომის წამომწყები იყო გერმანია, ხოლო დამნაშავე, როგორც ზემოთ მათი მიზნებიდანაც დავინახეთ, ყველა ქვეყნის იმპერიალისტები. იგი ორივე მხრისთვის დამპყრობლურ ხასიათს ატარებდა. თუმცა ამას ვერ ვიტყვით ყველაზე და ყველაფერზე. ომის შედეგად ისტორიული საქართველოს ტერიტორიების გაერთიანება სამართლიანობის აღდგენა იქნებოდა.

1914 წ. გაზაფხულიდან ბათუმის ოლქში მომრავლდა ოსმალეთიდან გადმოსული სამხედრო პირები. ისინი თავს დეზერტირებად ასაღებდნენ და მერე კი რუსეთის წინააღმდეგ ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას. იმ დროს აქაური სასულიერო პირების ნაწილი აშკარად ოსმალეთის მხარეზე იდგა (1.36-37).

პირველი მსოფლიო ომის წინ ბათუმის ოლქის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ადგილობრივი მოსახლეობა გაეწვია ჯარში. შედგა შესაბამისი სამობილიზაციო გეგმა (იქვე,126). ჩამოყალიბდა საჯარისო რაზმები. თუმცა ისინი საბრძოლო მოქმედებებში არ ჩართეს, რადგან მთლიანად ვერ ენდობოდნენ (იქვე, 67-68).

პირველი მსოფლიო ომის წინ ბათუმი აგრძელებდა განვითარებას აღმავალი ბურჟუაზიული გზით. 1905-1907 წწ. რევოლუციის და მისგან გამომდინარე ეკონომიკური კრიზისის შედეგები დასრულდა. 1910 წლიდან აქ სამეურნეო გამოცოცხლება დაიწყო. იმატა გემების მიმოსვლამ, შესაბამისად, ვითარდებოდა ტვირთბრუნვაც.

იმ დროს ჩვენი ქალაქის ნავსადგურიდან ტვირთი გაჰქონდა 16 ქვეყნის 30-ზე მეტ სანაოსნო კომპანიას. აქ საქმიანობდა ათეულობით, როგორც სავაჭრო, ისე სამრეწველო ფირმა. მათ შორის იყო მსხვილი კომპანიებიც: „ძმები ნობელები“, „სიმენსი და ჰალსკე“, შუტცი და ციმერმანი“, „ვარნეკე და კომპანია“ და სხვ.

მართალია აქ ნავთობის ბიზნესის განვითარება შეფერხდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. გარდა ნავთობის ბიზნესთან დაკავშირებული საწარმოებისა ფუნქციონირებდა სხვა პროფილის ქარხნები, აგრეთვე ფაბრიკები, წვრილი საწარმოები. მათ შორის აღსანიშნავია მექანიკური ქარხანა, ტყავის ქარხანა, თამბაქოს ორი ფაბრიკა, საღებავების დამამზადებელი ორი ქარხანა და სხვ. (2.96-97).

ბათუმში მუშაობდა თბოელექტროსადგური, რითაც ქალაქის სულ უფრო მეტი ქუჩა და შენობა ნათდებოდა. აგებული იყო 38 ვერსის საერთო წყალსადენი.

1914 წელს ბათუმში ცხოვრობდა 34.067 სული (იქვე, 34).

I მსოფლიო ომის საბაბი ბალკანეთიდან წამოვიდა. იქ რთული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები მიმდინარეობდა. ბოსნია და ჰერცოგოვინა ფორმალურად ოსმალეთის იმპერიის ქვეშ იყო მოქცეული. მაგრამ 1908 წელს ის დაიპყრო ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ. იმავე დროს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაზე პრეტეზია ჰქონდა სერბეთს (რუსეთის მოკავშირეს). სერბები და საერთოდ სლავები ცუდად უყურებდნენ დამყრობელს ანუ ავსტრია-უნგრეთის იმპერიას. გარდა ამისა 1912-1913 წლებში ადგილი ჰქონდა ე. წ. ბალკანეთის ომებს. ესენი იყო „დიდი მიწისძვრის საწყისი ბიძგები“.

უშუალოდ ომის საბაბის სცენა გათამაშდა 1914 წლის 28 ივნისს. იმ ავადსახსენებელ დღეს სლავური ორგანიზაციის „მლადა ბოსნას“ დავალებით გავრილო პრინციპმა ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში მოკლა ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდი. ავსტრია-უნგრეთმა მხარდაჭერისათვის გერმანიას მიმართა. ბერლინში მიხვდნენ, რომ ეს ამბავი დიდ ომს ააგორებდა და ვენას უბიძგეს კიდეც ამისკენ. გემანიის იმპერატორმა ვილჰელმ II თქვა: „ან ახლა, ან არასოდეს“. ავსტრია-უნგრეთმა სერბეთს დამამცირებელი წინადადებით მიმართა, რომელიც სერბეთმა არ მიიღო. 28 ივლისს ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლებამ სერბეთს ომი გამოუცხადა და მის ტერიტორიაზე შეიჭრა. ავსტრია-უნგრეთის მიერ სერბეთის დაპყრობა და

მთელ ბალკანეთზე გაბატონება არც რუსეთს და არც მის მოკავშირეებს არ აწყობდა. რუსეთში დაიწყო სამხედრო მობილიზაცია სერბეთის მხარდასაჭერად. ამის საპასუხოდ 1 აგვისტოს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. დაიწყო მსოფლიო ომი. 3 აგვისტოს გერმანიამ ომი საფრანგეთსაც გამოუცხადა.

1914 წლის 2 აგვისტოს გერმანიამ და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს საიდუმლო სამხედრო-სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ოფიციალურად კი ოსმალეთის ხელისუფლებამ 3 აგვისტოს გამოაქვეყნა დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ. ცხადია, ნეიტრალიტეტი შირმას წარმოადგენდა. თურქები აპირებდნენ ომში ჩაბმას და ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად მიაჩნდათ ბათუმის დაკავება.

გერმანიამ წინასწარ შემუშავებული „შლიფენის გეგმის“ თანახმად გადაწყვიტა ბელგიაზე გავლით საფრანგეთის დამარცხება, შემდეგ კი აღმოსავლეთით რუსეთის დამარცხებაც. ამას კი, სავარაუდოდ, ოსმალეთის იმპერიის მიერ საქართველოს და მთელი კავკასიის დაპყრობა მოჰყვებოდა. როგორც კი გერმანელები ბელგიაში შეიჭრნენ, დიდმა ბრიტანეთმა ამ ქვეყნის დაცვის საბაბით 4 აგვისტოს ომი გამოუცხადა გერმანიას. ომში თანდათან ჩაერთო ათეულობით სახელმწიფო. რადგან იმ დროს მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპის დიდ სახელმწიფოთა კოლონიებს წარმოადგენდა, მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონტინენტებზე არსებული კოლონიებიც.

კაცობრიობას არ ენახა მსგავსი მასშტაბის კონფლიქტი. იქ მოქმედებდნენ თანამედროვე მანქანები და აეროპლანები, ჯავშნიანი ლინკორები და გიგანტური დირიჟაბლები, ტანკები და მომწამვლელი გაზები, წყალქვეშა ნავები, გიგანტური ჰაუბიცები.

ცივილიზებული ევროპის სამხედრო მანქანები მხეცებს დაემსგავსნენ. ეს იყო ომი წესების გარეშე, როცა ყველა საშუალება მისაღებია მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ომს შეეწირა მილიონობით ადამიანი.

1914 წელი

1914 წ. 4 აგვისტოს გერმანელების მიერ ბელგიაში შეჭრით დაიწყო ზემოთ აღნიშნული „შლიფენის გეგმის“ განხორციელება. მომხვდურებმა დაამარცხეს ბელგიის ჯარი და შემდეგ საფრანგეთში შეიჭრნენ. ფრანგები და ინგლისელები უკან იხევდნენ, საფრთხე მოელოდა პარიზს.

საფრანგეთის დახმარების მიზნით აგვისტოს შუა რიცხვებში რუსეთის ორი არმია აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრა. იმავე დროს რუსებმა შეტევა დაიწყეს ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგაც. გერმანელები ამას არ ელოდნენ, რადგან რუსეთი ომისათვის სათანადოდ მზად არ იყო. მათ ჯარის ნაწილი საფრანგეთიდან რუსეთის წინააღმდეგ გადაიყვანეს, რომლის შემდეგ ძალა არ ეყოთ პარიზის ასაღებად.

5 სექტემბერს საფრანგეთში, მდინარე მარნაზე დიდი ბრძოლა გაიმართა. გერმანელებმა ცოტა უკან დაიხიეს. მათი „ელვისებური ომის“ გეგმა ჩაიშალა. ისინი იძულებულნი გახდნენ ეომათ ორ ფრონტზე. კერძოდ, დასავლეთით, ინგლისისა და საფრანგეთის და აღმოსავლეთით რუსეთის წინააღმდეგ.

დასავლეთიდან მოხსნილი გერმანელთა სამხედრო ნაწილები აღმოსავლეთ პრუსიაში ჩავიდნენ, სადაც მოახერხეს რუსების დამარცხება. დამარცხებულებმა ახალ პოზიციაზე გადაინაცვლეს. იმავე დროს რუსები წარმატებას აღწევდნენ ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1914 წლის ბრძოლების შედეგად ომმა ევროპის სამხედრო თეატრზე პოზიციური ხასიათი მიიღო. ანუ თუ კი მანამდე, ომებში ჯარები უტევდნენ, უკან იხევდნენ, გადაადგილდებოდნენ ე. ი. ბრძოლები მანევრული იყო, ახლა ჯარისკაცები უმეტესად სანგრებში ჩაიმალნენ. სანგრების წინ კი დანაღმული ველები და ეკლიანი მავთულხლართების რიგი იყო გაშლილი.

დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის ძლიერ ფლოტებს შორის გააფთრებული დაპირისპირება იყო ზღვაზეც.

1914 წლის 29-30 ოქტომბერს თურქებმა ზღვიდან დაბომბეს სევასტოპოლი, ოდესა, ფეოდოსია, ნოვოროსიისკი. იმავე დროს მათ სამხედრო მოქმედება დაიწყეს კავკასიაშიც.

30 ოქტომბერს ოსმალეთის ჯარი ბათუმის ოლქში შემოიჭრა. მათ რუსეთის მხარე მიეგება. 1 და 2 ნოემბერს ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. რამოდენიმე დღეში ოსმალები ბათუმისკენ გაიჭრნენ. 12 ნოემბერს ოსმალეთის სულთანმა ანტანტის წინააღმდეგ საღვთო ომი გამოაცხადა.

ნოემბრის ბოლოს რუსეთის მხარე ბათუმის მისადგომებთან გამაგრდა. 27 ნოემბერს და 11 დეკემბერს გერმანია-ოსმალეთის ფლოტმა ბათუმი დაბომბა. 27 ნოემბერს დაბომბვის შედეგად დაინგრა ორიოდე შენობა, დაიჭრა ხუთი და დაიღუპა ერთი მოქალაქე. სანაპიროს დაცვამ იმარჯვა და სხვა ზარალს ადგილი არ ჰქონია. იმავე დროს, ოსმალთა მხარემ აიღო ქედა და ხულო. მტერი შეეცადა ბათუმის წყლის სათავის მოწამვლას, თუმცა წარუმატებლად.

1914 წლის დეკემბრის ბოლოს რუსებმა წარმატება იზეიმეს სარიყამიშთან. წლის მიწურულისათვის რეგიონში თურქებმა დაკარგეს მიღწეული წარმატების უმეტესობა, გარკვეულ ადგილას ბრძოლა მათ ტერიტორიაზე გადავიდა. ოკუპანტს რჩებოდა მხოლოდ ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი – ართვინის რაიონი.

ომი, უამრავი ადამიანის სიცოცხლესთან ერთად შთანთქავდა უზარმაზარ მატერიალურ რესურსებს. რუსეთის უზარმაზარ იმპერიას გაუჭირდა ომთან დაკავშირებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ბათუმში ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოების უმეტესობა დაიხურა, ნავთობის ზღვით გატანა შეწყდა. იგი 1917 წელს განახლდა და ისიც მხოლოდ რუსეთში.

საომარი მოქმედებების არეალში მნიშვნელოვნად დაზარალდა სოფლის მეურნეობა. შეფერხდა ტრანსპორტის ფუნქციონირება. იგი ზღვაზე სახიფათო გახდა, ბათუმი კი გადაიქცა მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად. სარკინიგზო საშუალებანი დაექვემდებარა სამხედრო საქმეს. თავისთავად, ცხადია, საგარეო ვაჭრობის ზარალი, შეფერხდა საშინაო ვაჭრობაც.

1915 წელი

1915 წელს ევროპაში მნიშვნელოვანი ბრძოლები გაიმართა აღმოსავლეთ ფრონტზე. იქ იანვარ-მარტში რუსებმა დაამარცხეს ავსტრია-უნგრეთის ჯარები და დაიკავეს მნიშვნელოვანი სიმაგრე პერემიშლი.

სამხრეთის, კავკასიის სამხედრო თეატრზე, უკვე წლის დასაწყისში დაიწყო საბრძოლო მოქმედებები. იმ დროს ოსმალებს ჯერ კიდევ დაკავებული ჰქონდათ ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი – ართვინის რაიონი. იანვარში დაწყებული რუსების შეტევა, სამი თვის განმავლობაში წარმატებით წარიმართა. მარტის ბოლოს ბათუმის ოლქი გაწმინდეს თურქების ჯარებისაგან.

ოსმალთა სარდლობა კვლავ შემოიჭრა და ბათუმის აღება დაგეგმა. ამ მიზნით სანაპიროს გასწვრივ ლაზისტანში შეკრიბეს მნიშვნელოვანი ძალები, ხოლო ჩვენს ოლქში შემოიგზავნა ემისრები, ფული და იარაღი. აპრილში დაიწყო მათი კონტრშეტევა. რუსების მხარემ არა მხოლოდ შეაჩერა ის, არამედ თვით, საზღვაო დესანტით დაიკავა ზღვისპირა დასახლებული პუნქტები ხოფის ჩათვლით.

1915 წელს პოზიციურ ბრძოლებზე გადასვლასთან დაკავშირებით დასავლეთ ფრონტზე დიდ ბრძოლებს ადგილი არ ჰქონია. იმ დროს იქ აღსანიშნავია გერმანელების მიერ საერთაშორისო ნორმების დარღვევით მომწამვლელი ნივთიერების – ქლორის ორთქლის გამოყენება. ეს მოხდა აპრილში, ბელგიის ქალაქ იპრთან, რითაც მცირე უპირატესობას მიაღწიეს. სულ მალე გერმანელებმა იგივე ნივთიერება გამოიყენეს რუსების წინააღმდეგ.

გერმანელებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ რუსეთის არმიის სუსტი მხარეებით და 1915 წელს მთავარი დარტყმა მისთვის მიეყენებიათ. 2 მაისს ძლიერი საარტილერიო ცეცხლის შემდ-

ეგ მათ გაარღვიეს რუსების თავდაცვის ხაზი გორლიცასთან და უკან დაახევინეს მას. მოკავშირეები ვერ დაეხმარნენ რუსებს. ხუთთვიანი ბრძოლების შემდეგ რუსების ჯარმა დატოვა რიგი ტერიტორიები და უკან, ახალ პოზიციებზე გადაინაცვლა. ამის შემდეგ, შემოდგომაზე ბულგარეთი ომში ჩაერთო ანტანტის წინააღმდეგ.

თავდაპირველად იტალია გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან იყო დაკავშირებული. თუმცა ომის დაწყების შემდეგ პოზიცია შეიცვალა და 1915 წლის მაისში ანტანტის მხარეს გადავიდა.

1915 წლისათვის აღსანიშნავია გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და ბულგარეთის ჯარების მიერ სერბეთის დამარცხება. ინგლისელები და ფრანგები გვიან მივიდნენ სერბების დასახმარებლად. მათ შექმნეს ბალკანეთის ფრონტი. თუმცა იქ 1918 წლამდე სამხედრო მოქმედებანი თითქმის არ წარმოებდა. სერბთა ჯარების ნაშთები გადავიდნენ კუნძულ კორფუზე.

1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში თურქებმა განახორციელა სომეხი ხალხის გენოციდი.

1915 წელს ბათუმში ჩატარდა ქალაქის სათათბიროს არჩევნები. იმ დროს აქ ცხოვრობდა 7385 სული. ე. ი. ომამდელი მოსახლეობის 20%. ეს ომისა და ბათუმის ფრონტისპირა დასახლებულ პუნქტად გადაქცევის გამო. ქალაქის შემოსავალიც შემცირებული იყო. არჩევნების შედეგად სათათბიროს ხმოსნის სტატუსი მიიღო 41 კაცმა. ქალაქისთავად კვლავ ივანე ანდრონიკაშვილი აირჩიეს, მის მოადგილედ კი ევგენი კრინიცკი (3).

რუსეთის ეკონომიკა გადასული იყო სამხედრო რელსებზე. მას უჭირდა დაძაბულად მუშაობა. საქმეში ჩართული იყო როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საწარმოებიც. ცხადია, ფრონტისპირა ბათუმის ტექნიკურად შედარებით კარგად აღჭურვილი ქარხნებიც და ფაბრიკებიც შესაძლებლობის მიხედვით სამხედრო საქმისთვის გამოიყენეს.

1905-1907 წწ. რევოლუციის შემდეგაც, ომამდე, ჩვენს ქალაქში ადგილი ჰქონდა მუშათა გამოსვლებს. ომის დაწყების შემდეგ ისინი მინელდა. თუმცა 1915 და 1916 წლებში მაინც ჰქონდა ადგილი რიგ ანტისამთავრობო გამოსვლებს. მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და ახალგაზრდათა გაფიცვებს (4.233-234).

1915 წლის მარტში ბათუმში 1.5-ჯერ მეტი სამხედრო პირი იყო, ვიდრე ქალაქის მცხოვრები. აპრილში თვითმმართველობის მოთხოვნით ჯარების ნაწილი ქალაქის შემოგარენში გაიყვანეს (5.110).

ომის დაწყებიდან მოყოლებული ბათუმში დენა დაიწყო ოსმალეთიდან გამოქცეულმა ლტოლვილებმა. მათმა რაოდენობამ ისე იმატა, რომ 1915 წ. 22 ოქტომბერს ჩვენს ქალაქში ხელისუფლების წარმომადგენლებმა განიხილეს ლტოლვილთა მდგომარეობა და სამედიცინო საკითხები. მთავრობამ შექმნა ომისაგან დაზარალებულთა დახმარების საოლქო კომიტეტი. ის ბათუმში 1 ნოემბერს შეუდგა მუშაობას. თუმცა მოსახლეობისათვის გამოყოფილი თანხა უმნიშვნელო იყო.

საქართველოში არსებულ პარტიებს ომის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ. სოციალ-დემოკრატები გაყოფილნი იყვნენ ბოლშევიკებად და მენშევიკებად. ყველაზე მრავალრიცხოვანმა – მენშევიკთა პარტიამ გამოაცხადა „აქტიური ნეიტრალიტეტი“. მათი აზრით ომი იმპერიალისტური იყო, მაგრამ პროლეტარიატმა საკუთარი სამშობლო უნდა დაიცვასო. ბოლშევიკებიც ომს უყურებდნენ როგორც იმპერიალისტურსა და უსამართლოს. ამასთან ისინი ქადაგებდნენ, რომ სხვადასხვა ქვეყნის მშრომელებს იარაღი საკუთარი მთავრობების წინააღმდეგ უნდა მიემართათ, დაემხოთ ისინი და სამართლიანი წყობილება დაემყარებინათ. სოციალ-ფედერალისტები ცდილობდნენ, რომ ომში ქართველების მონაწილეობა რუსეთის სასარგებლოდ, გამოეყენებიათ ავტონომიის მისაღებად. ეროვნულ-დემოკრატებმა საქართველოს დამუკიდებლობის აღდგენა დაუკავშირეს გერმანიის და ოსმალეთის გამარჯვებას.

ომის დროს შექმნილი იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. ის გერმანიას-

თან კავშირით ცდილობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. მისი ეგიდით 1914 წლის ბოლოს შექმნა ქართული ლეგიონი 600-მდე მებრძოლით. 1915 წ. ბოლოს იქ ირიცხებოდა 800-მდე ჯარისკაცი (6.377-378). მალე, ომის ბოლომდე იქ ჯარისკაცთა რაოდენობა შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ ლეგიონს ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია.

1916 წელი

1916 წელს გერმანელებმა გადაწყვიტეს გაეძლიერებინათ შეტევა დასავლეთის მიმართულებით. 21 თებერვალს ისინი შეეცადნენ მნიშვნელოვანი სამხედრო პუნქტის, ვერდენის აღებას. წინასწარი, ძალზე ძლიერი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ მათმა ფეხოსნებმა შეტევა დაიწყეს. თუმცა ფრანგების საპასუხო, მომცელავ ცეცხლს წააწყდნენ. გერმანელთა განახლებულ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. აქედან მოყოლებული მსგავსი მცდელობანი რამოდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. თუმცა მოიერიშეებმა მხოლოდ ოდნავ წაიწიეს წინ.

1916 წელს კავკასიის ფრონტზე კვლავ წარმატებით მოქმედებდა რუსეთის მხარე. თებერვალში მათ აიღეს ერზრუმი. ამან სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ოსმალებისა და გერმანელების სარდლობაში. მათ ახალი ნაწილები გადმოისროლეს აქეთ და კონტრშეტევისათვის მოემზადნენ. მაგრამ რუსებმა დაასწრეს. 5 (18) აპრილს მათ აიღეს ტრაპიზონი. ეს სერიოზული წარმატება იყო. 1916 წლისათვის მთელი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. კავკასიის ფრონტზე რუსეთის მრავალეროვან არმიაში თვალაჩინო როლს ქართველები ასრულებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, 1916 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ვერდენთან. ფრანგების სარდლობამ რუსების სარდლობას სთხოვა რამე ზომები მიეღო რათა გერმანელთა ძალების ნაწილი მიეზიდათ. კერძოდ, გერმანელთა ჯარის ნაწილი

იძულებული ყოფილიყო აღმოსავლეთ ფრონტზე გადაეყვანათ. რუსების სარდლობამაც გენერალ ბრუსილოვის მონაწილეობით დაგეგმა მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია. შედეგად, რუსების შეტევა დაიწყო 4 ივნისს. მოიერიშეებმა ავსტრიელთა ფრონტი გაარღვიეს ლუცკის აღმოსავლეთით. ავსტრია-უნგრეთის არმია კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ შეტევა შეჩერდა საბრძოლო მასალის უკმარისობის გამო. გერმანელები კი იძულებულნი გახდნენ ძალები აღმოსავლეთით გადმოესროლათ, რითაც შესუსტდა ვერდენის სიმაგრეზე ზეწოლა.

1916 წ. ზაფხულში ბრუსილოვის წარმატებული შეტევის შედეგად, რუმინეთი ანტანტის სასარგებლოდ ჩაება ომში, მაგრამ დამარცხდა. რუსეთი იძულებული გახდა სასწრაფო დახმარება აღმოეჩინა მისთვის.

1916 წელს აღსანიშნავია ბრძოლა სომაზე. ინგლისელებმა და ფრანგებმა იქ შეტევა დაიწყეს ივლისში და შეტევები ხანგამოშვებით ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდა. სწორედ სომაზე ბრძოლისას ინგლისელებმა და ფრანგებმა პირველად ისტორიაში გამოიყენეს ტანკები, გარკვეული მცირე ეფექტით. მათ ვერც სომაზე და ვერც ვერდენთან, სადაც ბრძოლები დეკემბრამდე გაგრძელდა, ფრონტის ხაზი ვერ გაარ-

ღვიეს. ზარალი კი ორივე ადგილას უზარმაზარი იყო. კერძოდ, 2 მილიონზე მეტი კაცი მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით.

1916 წ. მიწურულს გამოიკვეთა, რომ ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო ტექნიკამ შედარებით გაუსწრო გერმანულს.

კვლავ გადავინაცვლოთ კავკასიის ფრონტზე. ომის დროს ბათუმის მრეწველობა არ ჩამკვდარა, ის სამხედრო რელსებზე გადავიდა. 1916 წელს იქ საინტერესო წამოწყებას ჰქონდა ადგილი. ამ წლის ივლისში დაიწყო ბათუმ-ტრაპიზონის სარკინიგზო გზის მშენებლობა.

უმეტესად ფრონტს ემსახურებოდა ბათუმის სასაკლაო. ბათუმის სასაკლაოზე 1915 წელს „დაიკლა 14 ათასზე მეტი ხარი, 6567 ძროხა, 2300-ზე მეტი კამეჩი, 20 ათასზე მეტი ცხვარი და თხა, 4 ათასზე მეტი ღორი და სხვ. 1916 წ. განმავლობაში კი – 7 ათასზე მეტი ხარი, 3 ათასამდე კამეჩი, 6 ათასზე მეტი ძროხა, 15 ათასამდე ცხვარი და თხა, 5 ათასამდე ღორი. ბათუმის სასაკლაოზე ხდებოდა ტყავის პირველადი დამუშავებაც. შემდეგ კი იგი მიეწოდებოდა თავდაცვაზე მომუშავე ფაბრიკებს – ჩექმების, ქურთუკების, ხელთათმანების, უნაგირების და ა. შ. დასამზადებლად“ (5.109-110).

სამხედრო საჭიროებამ გამოიწვია ქალაქის მთელი რიგი საზოგადოებრივი შენობის შესაბამისი გამოყენება. კერძოდ, იქ გაიხსნა სამხედრო ნაწილები, განთავსდა დიდი სამხედრო საწყობები, საევაკუაციო პუნქტები, ლაზარეთი და სხვა.

რადგან ომის დროს ბათუმი ფრონტისპირა ქალაქად გადაიქცა, თვითმმართველობის საქმიანობაც შეფერხდა. შემოსავლის ძირითად წყაროებს წარმოადგენდნენ: წყალგაყვანილობა, ელექტროსადგური და სასაკლაო. ამ თანხების ძირითადი ნაწილი შესაბამისი მომსახურებისათვის გადაიხადა სამხედრო უწყებამ. დაფინანსება შეუმცირდა ქალაქის კეთილმოწყობას, განათებას და ა. შ.

მიუხედავად ომისა და ოკუპაციისა ქალაქის თვითმმართველობამ შესძლო „მცხოვრებთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვა და ქალაქის მეურნეობის შენარჩუნება“ (იქვე, 291). მაგრამ ცხადია ეს არ ნიშნავდა, რომ სერიოზული პრობლემები არ იქმნებოდა.

1916 წელს ბათუმში გართულდა სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა. შემცირდა სურსათ-სანოვაგის მარაგი, მოსახლეობა სიძვირემ შეაწუხა. ამიტომ 7 აგვისტოს მათ სტიქიურ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი. მასში ძირითადად ქალები მონაწილეობდნენ. დაარბიეს ბაზარი, მაღაზიები, პოლიციას ქვები დაუშინეს. საბოლოოდ გამოსვლები აღკვეთეს. 24 ქალი და 7 მამაკაცი დააკავეს, თუმცა პასუხისგებაში არ მიუციათ. მსგავსი ბუნტები რუსეთის სხვა ქალაქებშიც ხდებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ბათუმის ქარხანა-ფაბრიკები ხელისუფლებამ სამხედრო წარმოებისთვისაც გამოიყენა. 1916 წ. ზაფხულისათვის აქ სამხედრო დაკვეთების ღირებულებამ გადააჭარბა 6.9 მილიონ რუბლს. ეს კი იმ დროს ამიერკავკასიაში სამხედრო დაკვეთების 29,6% შეადგენდა (6.369).

ბათუმში აღსანიშნავია პეტროგრადელი ბიზნესმენის გ. პიტოევის საქმიანობა. მან 1915 წ. ბოლოს იჯარით აიღო „ბნიტოს“ (ყოფილი როტშილდის), ხაჩანტრიანცის და არვანიტიდის ქარხნები, სადაც გადაწყვიტა ხელყუმბარების დამზადება. 1916 წ. 1 თებერვალს ისინი აამუშავა და იმ წლის ბოლოსათვის იქ დამზადდა 1 მილიონი ხელყუმბარა. თუმცა მათ შორის იყო წუნდებულიც. გარდა ამისა, ჩვენს ქალაქში სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა „შელენგოვსკისა და კომპანიის“ სააქციო საზოგადოების მოსათუთიებელი ქარხანა, ვ. კაპლანის მექანიკური ქარხანა, სადაც 1916 წლის შემოდგომაზე 2 ათასი ნაღმი დამზადდა. 2700-მდე ნაღმი დაამზადეს ბათუმის სახარატო სასწავლებელში. ფანერის ფაბრიკა კი ამზადებდა ყუთებს ბათუმშივე წარმოებული საჭურველისა და სხვა სამხედრო დანიშნულების ტვირთის შესაფუთავად.

ომის დასაწყისიდან მოყოლებული და მოცემულ პერიოდშიც ჩვენი ქალაქი აგრძელებდა,

მართალია შეზღუდული, მაგრამ მაინც ბურჟუაზიულ ყაიდაზე ცხოვრებას. 1916 წელს აქ ფუნქციონირებდა 22 სასტუმრო, 29 რესტორანი და სასადილო, 86 პურ-ფუნთუშეულის საცხობი, 4 ძეხვეულის საამქრო, კანფეტების ფაბრიკაც კი. ასევე სხვა ქალაქისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები (იქვე, 370).

უნდა გამოვყოთ იმ პერიოდის ჩვენი რეგიონისათვის მნიშვნელოვანი საკითხი. ომის დროს ხდება, როცა სხვადასხვა მოტივით ცალკეული პირები გადადიან მოწინააღმდეგის მხარეს. ასე იყო სამუსლიმანო საქართველოშიც. მაგრამ ხელისუფლებამ აქ საქმე გაბერა და მრავალი ადამიანი „სახელმწიფო ღალატში“ დაადანაშაულა.

1916 წ. 10 ივლისს აკაკი ჩხენკელს კავკასიის არმიის შტაბიდან გადასცეს ცნობა, რომლის მიხედვით „სახელმწიფო ღალატისათვის“ 388 კაცი მისცეს პასუხისგებაში. ამათგან 217 გაამართლეს, 171 კი გაამტყუნეს. ვინც გაამტყუნეს მათ ზოგს სამუდამოდ, ზოგს კიდევ სხვადასხვა ვადით მიუსაჯეს კატორღა, ზოგიც ციხეში ჩასვეს. დანარჩენები კი ადგილიდან გაასახლეს (იქვე, 389).

1917 წელი

1917 წელს კავკასიის ფრონტზე რუსეთის მხარე კვლავ მომგებიან მდგომარეობაში იმყოფებოდა. ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ტერიტორიები, მათ შორის ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, რუსეთის საოკუპაციო ზონას წარმოადგენდა. აღნიშნული წლის თებერვალში პეტროგრადში განვითარდა მნიშვნელოვანი მოვლენები. მოსახლეობის მასობრივი ანტისამთავრობო გამოსვლების შედეგად მეფე გადადგა. ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ერთი მხრივ მას IV სახელმწიფო სათათბიროს მიერ ჩამოყალიბებული დროებითი მთავრობა, მეორე მხრივ კი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები მართავდა. დროებითმა მთავრობამ ომში მონაწილეობის გაგრძელების პირობა დადო. ყოფილ იმპერიაში დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესები. ახლა ამიერკავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ ერთი მხრივ დროებითი მთავრობის მიერ გამოგზავნილი ე. წ. ოზაკომი, მეორე მხრივ მუშათა საბჭოები. ბათუმის მუშათა დეპუტატთა საბჭომ ბათუმის ოლქის აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ევგენი კრინიცკი. ოზაკომმაც ბათუმის ოლქის კომისრად იგივე პირი დანიშნა. პარტიებმა თავისუფალი მოღვაწეობის საშუალება მიიღეს.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბათუმელი ბიზნესმენები იმედოვნებდნენ, რომ მალე ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდებოდა. ასევე არწმუნებდნენ ხალხსა და საკუთარ მუშებს, მაგრამ ყველაფერი მალე გაირკვა (7.97-98).

რევოლუციის შედეგად მშრომელთა სასარგებლოდ ზოგი რეფორმა გატარდა. თუმცა ქვეყანაში არასტაბილური ვითარების გამო, მათი და საერთოდ მოსახლეობის უმეტესობის ეკონომიური მდგომარეობა უარესდებოდა.

1917 წელს ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 35 ათასამდე სულს (2.34).

I მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატები იცავდა ნეიტრალიტეტს. მაგრამ მიმდინარე მოვლენებმა მდგომარეობა შეცვალა. გერმანიის წყალქვეშა ნავები ძირავდნენ ყველა სავაჭრო და სამგზავრო გემებს, რომლებიც ანტანტის ქვეყნების ნავსადგურებისკენ მიემართებოდა. მათ შორის აშშ-ის გემებსაც. ეს ზარალს აყენებდა ამერიკელ ბიზნესმენებსაც. აშშ რამოდენიმე გემის ჩაძირვის შემდეგ ამ ქვეყნის ხელისუფლებამ 1917 წლის აპრილში ომი გამოუცხადა გერმანიას. თუმცა მათი ჯარები ევროპის კონტინენტზე 1918 წლამდე არ მისულან. თებერვლის რევოლუციის ქარმა ბათუმში პოლიტიკური ვნებათაღელვა გააძლიერა. მაისში ბათუმში მყოფი რუსი ოფიცერი ნიკოლოზ სერგეევი წერდა: „მიტინგებმა წაიღეს ქალაქი“ (7.104).

1917 წ. გაზაფხულისათვის ანტანტის სარდლობამ დაგეგმა ერთდროული შეტევა მთელ ფრონტზე. თუმცა გეგმა ვერ განხორციელდა.

მათ მიერ აპილში რეიმსის რაიონში დაწყებული შეტევა, რომელიც შვიდი კვირა გაგრძელდა, წარუმატებლად დასრულდა.

ანტანტის სარდლობამ რუსეთის ახალ ხელისუფლებას მოსთხოვა შეტევის დაწყება, რათა იქეთ მიეზიდა გერმანელთა სამხედრო ნაწილები. რუსეთის ხელისუფლებასაც ეს უნდოდა, რათა ყურადღება ჩამოეცილებინა და მოსახლეობას არ მოეთხოვა რევოლუციის გაღრმავება. შეტევა ივლისში დაიწყო. გერმანელები იძულებულნი გახდნენ აღმოსავლეთ ფრონტზე გადაეგზავნათ გაკვეული სამხედრო ძალები. რუსების ივლისის შეტევა წარუმატებელი გამოდგა.

1917 წ. ზაფხულში, როგორც რუსეთში, ისე საქართველოსა და ბათუმში პოლიტიკური პარტიები ცდილობდნენ მოსახლეობის მიმხრობას. იმ დროს ჩვენს ქვეყანაში დომინირებდა სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ფრთა. თუმცა თანდათან ბოლშევიკებიც მიისწრაფოდნენ გავლენისაკენ. მაგალითად ბათუმში, პიტოევის ქარხნაში სადაც 300-მდე მუშა შრომობდა, კოლექტივი მათკენ გადაიხარა (4.245). უნდა ითქვას, რომ 1917 წელს პიტოევს მისცეს შეკვეთა დაემზადებინა ნაღმის გამსროლი დანადგარები. პიტოევიც საქმეს შეუდგა. მაგრამ ცუდი მომარაგების გამო საწარმოო დაიხურა.

ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებს თან სდევდა მშრომელთა გაფიცვები. მუშათა დასაცავად აქტიურობდნენ პროფკავშირები.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არსებობდა ქართული ლეგიონი, რომელიც გერმანიის და მის მოკავშირეთა სასარგებლოდ ჩამოყალიბდა. მის მიზანს შეადგენდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, რათა საქართველო რუსეთს გამოყოფოდა. ეს ლეგიონი ოსმალეთში იდგა და თურქებიც პრობლემებს უქმნიდნენ, რადგან თურქებს მთელი საქართველოს დაპყრობა სურდათ და საქართველოს დამოუკიდებლობა მათ გეგმებში არ შედიოდა. 1917 წ. მაისში ლეგიონი გადავიდა ევროპაში. იმ დროს მის შემადგენლობაში ირიცხებოდა 140 მებრძოლი. იგი რუმინეთში დარჩა 1918 წ. ივლისამდე. შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა.

1917 წ. ოქტომბერში ბათუმში სასურსათო კრიზისთან დაკავშირებით შემოიღეს საბარათო სისტემა.

1917 წ. ოქტომბრის ბოლოს (ძველი სტილით) პეტროგრადში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ. კავკასიაში პოლიტიკური პარტიების უმეტესობამ ეს არ აღიარა და თავი დამოუკიდებლად დაიჭირეს. იმ დროს „ბათუმში ანარქია გამეფდა“ (7.105). 18 და 19 ნოემბერს გაიფიცნენ ბათუმელი პურის მცხობელები. 20 ნოემბერს ქალაქელებმა პური ვერ მიიღეს. დეკემბერში ეკონომიკური მიზეზით გაიფიცნენ მეეტლეები. 5 დეკემბერს ქალაქის ხელისუფლება აღიარებდა, რომ ქალაქში ადგილი აქვს გაუგონარ მძარცველობას, ხულიგნობას, მკვლელობებს. მილიცია ვერ უმკლავდებოდა დამნაშავეობას. უკმაყოფილონი იყვნენ სკოლის მოსწავლეებიც (8.42-43).

1917 წ. ბოლოს, როცა პეტროგრადში ქვეყნის სათავეში ბოლშევიკები იყვნენ და კავკასიის პოლიტიკურ ძალთა უმეტესობა ამას არ აღიარებდა, რუსეთის არმიას ჯერ კიდევ ეკავა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიები. ე. ი. ისტორიული საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორიები. ბოლშევიკებმა ყველა ქვეყანას შესთავაზეს სამართლიანი, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი, მაგრამ ამას არავინ გამოეხმაურა. 1917 წ. 5 (18) დეკემბერს რუსეთის მხარემ ერზინჯანში დროებითი ზავი შეკრა ოსმალეთთან, რითაც კავკასიის სამხედრო თეატრზე საბრძოლო მოქმედებანი შეწყდა.

1918 წელი

1917 წ. ბოლოს და 1918 წ. დასაწყისში, გერმანია-საბჭოთა რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთი ომოდან გავიდა. თითქოსდა გერმანიას საქმე უნდა შემსუბუქებოდა, მაგრამ მდგომარეობა უფრო რთული იყო. ყოფილი რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიებზე, რომლებიც ახლა ოკუპანტებმა დაიკავეს, პარტიზანული ბრძოლები დაიწყო. ეს

კი იქ გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის სამხედროებს ბოჭავდა. მარტო უკრაინაში 1 მილიონზე მეტი გერმანელი და ავსტრია-უნგრელი ჯარისკაცი იმყოფებოდა. იმავე წელს აშშ-ის ჯარები უნდა მისულიყვნენ ევროპის ტერიტორიაზე. ამიტომ გერმანიის სარდლობას უნდა ეჩქარა.

1918 წლის დასაწყისიდან მოყოლებული კავკასიის ფრონტზე განვითარდა მოვლენები, რომლებიც საბედისწერო აღმოჩნდა ისტორიული სამხრეთ-აღმოსავლეთის საქართველოსათვის. აღნიშნული 1917 წ. 5 (18) დეკემბრის ერზინჯანის დროებითი ზავის შემდეგ რუსეთის არმიის ჯარიკაცები ჯგუფ-ჯგუფად ტოვებდნენ ფრონტს. რადგან რუსეთის მხარე მიდიოდა და ფრონტი გაშიშვლდა, ოსმალებმა დაარღვიეს დროებითი დაზავება, თებერვალში დაიწყეს წინსვლა და მოწინააღმდეგის მიერ დატოვებული ტერიტორიების დაკავება. 19 მარტს არტაანიც დაიკავეს. ამით ოსმალებმა გადმოლახეს რუსეთ-თურქეთის 1914 წლის საზღვარი. ისინი საქართველოს სიღრმეში მოიწევდნენ.

რუსეთის უკანდახეულ ჯარს წინ მიუძღოდა ლტოლვილთა დიდი მასა. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „ოსმალეთის ფრონტის დაცარიელებამ (უმთავრესად ტრაპიზინის ფრონტის დაცლამ) ბათუმი ჭრელი ხალხით აავსო. ვინ გინდა რომ დღეს ბათუმში არ იყოს: ეპოლეტახდილი გენერალ-აფიცრები, ჯარისკაცები, მატროსები, ბედის მაძებარი სპეკულანტი მოიჯარადენი, ინჟინრები, უსახლკარო ბერძნები, სომხები და სხვები. ქალაქი სავსეა ლტოლვილებით...“ (9).

1918 წ. 3 მარტს ერთი მხრივ საბჭოთა რუსეთის და მეორე მხრივ გერმანიისა და მისი მოკავშირეებს შორის ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას. იქ, პირობებს შორის შეტანილი იყო კავკასიის ფრონტის საკითხიც. კერძოდ მისი მიხედვით ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქებში უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი, რომელზედაც მოსახლეობა გადაწყვეტდა თუ ვის დარჩებოდა ეს რეგიონები.

ამიერკავკასიის ხელისუფლება – სეიმი არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას და არც მის ხელმოწერილ ბრესტ-ლიტოვსკის ზავს. ამიტომ სეიმმა გადაწყვიტა დამოუკიდებელი მოლაპარაკება გაემართა ოსმალეთთან.

1918 წ. 14 მარტიდან 5 აპრილამდე ტრაპიზონში მიმდინარეობდა კონფერენცია ამიერკავკასიის ხელისუფლებას – სეიმს და ოსმალეთს შორის. სეიმის მხარეს სურდა აღდგენილიყო 1914 წ საზღვრები. თუმცა ოსმალეთის მხარე სარგებლობდა თავისი უპირატესობით და ითხოვდა ბრესტის ზავის პირობების შესრულებას. მან ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ძალმომრეობით დაიკავა, რითაც დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები. ტრაპიზონის მოლაპარაკება ჩაიშალა.

1918 წ. მარტის მეორე ნახევარში ოსმალთა ჯარი ბათუმისკენ დაიძრა. თვის ბოლოს ჩვენი ქალაქი საომარ ყაიდაზე ცხოვრობდა. 9 აპრილს მას ოსმალები მიუახლოვდნენ. ბრძოლების შემდეგ ქალაქი დანებდა. 14 აპრილს აქ თურქები შემოვიდნენ. ოკუპანტებმა დაიწყეს თავიანთი რეჟიმის დამყარება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება ბათუმის ოსმალეთში ინტეგრირებისათვის. დამპყრობლები წინსვლას აგრძელებდნენ. მათ ოზურგეთიც დაიკავეს. ისინი მთელ საქართველოს ემუქრებოდნენ დაპყრობით. ამიტომ იმ დროს საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი და წამყვანი – სოციალ-დემოკრატიული პარტიის-მენშევიკების ლიდერებმა გადაწყვიტეს გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა და შესულიყვნენ გერმანიის მფარველობაში. ასეც მოხდა, 1918 წ. 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. 4 ივნისს ბათუმში, ოსმალეთთან დამარცხებულმა საქართველომ თურქებთან ხელი მოაწერა მძიმე ზავს. მისი მიხედვით ოსმალეთის საზღვრებში გადავიდა ბათუმის, ყარსის, არტაანის ოლქები, ასევე ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები (აბასთუმნისა და აწყურის გამოკლებით). გარდა ამისა საქართველო მოვალე იყო დაეთმო რკინიგზა თურქი ჯარისკაცების გადასაყვანად, საქართველოში იზრდებოდა მუსლიმი სასულიერო პირების უფლებები და ა. შ.

ბათუმსა და მის ოლქში ოსმალური სამოქალაქო ადმინისტრაცია 1918 წ. აპრილიდან ყალიბდება. კერძოდ, პოლიციის სამმართველო, სასამართლო, ფოსტა, საბაჟო და ა. შ.

ახლა გადავინაცვლოთ დასავლეთ ევროპის სამხედრო თეატრზე. 1918 წ. მარტის ბოლოდან ივნისის დასაწყისამდე გერმანელებმა სამი შეტევა მოაწყვეს ანტანტის წინააღმდეგ და დიდი დანაკარგების ფასად გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს. ისინი პარიზს 70 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ. მაგრამ ინგლისი და საფრანგეთის არმიები განადგურებულნი არ ყოფილან. გერმანელებს მობილიზაციის საშუალება ამოეწურათ, ვინც ჯარში გასაწვევი იყო, ყველა გაიწვიეს. 15 ივლისს მათ უკანასკნელი მეოთხე იერიში მოაწყვეს, თუმცა წარუმატებლად. ახლა ანტანტის ჯერი დადგა, 18 ივლისს ფრანგები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და წინა ოთხი თვის განმავლობაში დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნეს. ამერიკიდან დამხმარე ძალა მოვიდა. 8 აგვისტოს გერმანელთა 16 დივიზია განადგურდა. ეს იყო „ყველაზე შავი დღე გერმანიის არმიის ისტორიაში“. დაიწყო ანტანტის გენერალური იერიში და გერმანელთა უკან დახევა.

როგორც ვხედავთ გერმანელთა საქმე ევროპაში ცუდად წავიდა. იმ დროს კი ოსმალეთს ჯერ კიდევ ეკავა ჩვენი რეგიონი. 14 ივლისს ოკუპანტებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩაატარეს რეფერენდუმი თუ ვის უნდა დარჩენოდა ეს მხარე. იგი დარღვევებით წარიმართა, რითაც თითქოს ოსმალეთის მხარემ გაიმარჯვა. ამის შემდეგ ჩვენს რეგიონში გაგრძელდა ოსმალური რეჟიმის დამყარება. 15 აგვისტოს კი ჩვენს ქალაქში გამოცხადდა სულთნის ფირმანი, რომლითაც აჭარა „სამუდამოდ შეუერთდა“ ოსმალეთს (8.75). ბათუმში ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ რთული რჩებოდა. პრობლემა იყო როგორც სასურსათო, ისე სამრეწველო საქონლის შოვნა. მოსახლეობას უჭირდა გადასახადების გადახდა. ოსმალთა ოკუპაციის დროს (1918 წ. აპრილ-ნოემბერში) ბათუმის ელექტროსადგური სერიოზულ რემონტს საჭიროებდა. ეს საკითხი მაშინ ვერ მოგვარდა.

ოსმალთა კავკასიის ფრონტის სარდალმა ვეჰიბ ფაშამ ბათუმის რეზერვუარებში არსებულ ნავთს, სულ 5 ათასამდე ტონას, კონფისკაცია გაუკეთა. როგორც აღმოჩნდა, ეს მან გააკეთა პირადი სარგებლობის მიზნითაც. ამის გამო ის თანამდებობიდან გადააყენეს და დაიწყეს ამ საქმის გამოძიება (5.256).

1918 წ. ბათუმში პოლიტიკურად არასტაბილური მდგომარეობის, ოსმალური ოკუპაციისა და მძიმე სამეურნეო-ეკონომიკური სიტუაციის გამო, მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა. თუ კი 1917 წელს იქ ცხოვრობდა 35 ათასამდე სული, 1918 წელს ის დავიდა 15 ათას სულამდე (2.34).

1918 წლის შემოდგომაზე გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა დამარცხება აღიარეს. მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: სექტემბრის ბოლოს გერმანიის მოკავშირემ, დამარცხებულმა ბულგარეთმა ხელი მოაწერა დროებით ზავს. ასევე დამარცხებულმა ოსმალეთის იმპერიამაც 31 ოქტომბერს პორტ მუდროსში ხელი მოაწერა დროებით ზავს. ქანცგაწყვეტილ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში გაძლიერდა ეროვნულ განმათავისუფლებელი ნოძრაობა. ეს იმპერია დაიშალა. 3 ნოემბერს ავსტრია-უნგრეთის სარდლობამაც ხელი მოაწერა დროებით ზავს.

1918 წ. ნოემბრის დასაწყისში რთულ მდგომარეობაში მყოფ გერმანიაში რევოლუცია დაიწყო. 9 ნოემბერს იქ რესპუბლიკა გამოცხადდა. 11 ნოემბერს კი გერმანიამაც ხელი მოაწერა ზავს. I მსოფლიო ომი შეწყდა.

31 ოქტომბერს პორტ მუდროსში ანტანტის ქვეყნებსა და ოსმალეთის იმპერიას შორის გაფორმებული ზავის ერთ-ერთი პირობით თურქებს დაუყონებლივ უნდა გაეყვანათ ჯარი კავკასიიდან. ორიოდე თვეში ოსმალები ბათუმიდან და საერთოდ მიმდებარე რეგიონიდან წავიდნენ. მათ ნაცვლად ჩვენს ქალაქში ჩადგა ინგლისის ჯარი.

I მსოფლიო ომი ოფიციალურად დასრულდა ვერსალის საზავო ხელშეკრულებით.

ვერსალის ზავზე ხელმოწერა

მას 1919 წ. 28 ივნისს ხელი მოაწერა ერთი მხრივ გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა: აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, მეორე მხრივ გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა. ხელშეკრულების მიხედვით მსოფლიო ომის გაჩაღებაში დამნაშავედ გამოცხადდა გერმანია და დაეკისრა რეპარაციის გადახდა. ის წავიდა ტერიტორიულ დათმობებზე მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. ასევე, დაკარგა კოლონიური სამფლობელოები. ვერსალის ხელშეკრულების ძალზე დამამცირებელი პირობები გერმანიის მიმართ იყო ამ ქვეყანაში ნაციონალიზმის გაძლიერება მიზეზი და ჰიტლერის სახელმწიფოს სათავეში მოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

პირველი მსოფლიო ომის შედეგები. პირველ მსოფლიო ომში (1914-1918 წწ.) მონაწილეობდა მაშინ დედამიწაზე არსებული 59 სახელმწიფოდან 38, ასევე, მონაწილე სახელმწიფოთა უზარმაზარი კოლონიების მოსახლეობა. სულ მობილიზებული იქნა 70 მილიონამდე კაცი. მოკლულთა და დაჭრილთა შესახებ არაერთგვაროვანი მონაცემებია. სავარაუდოდ დაიღუპა 10 მილიონამდე და დაიჭრა 20 მილიონამდე სამხედრო. გარდა ამისა, დაიღუპა 7 მილიონამდე მშვიდობიანი მოქალაქე. ცხადია, სამოქალაქო მცხოვრებთა შორისაც იყვნენ დაჭრილები და დაზარალებულები.

დიდი იყო მატერიალური ზარალი. დაინგრა ქალაქები და სოფლები, საწარმოები. მოიშალა ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ფინანსები. ომის დროს ძალზე გამდიდრდა აშშ.

ომის შედეგად დაინგრა რამოდენიმე იმპერია: რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და ოსმალეთის.

* * *

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სამიოდე წლის განმავლობაში 1918 წ. დეკემბრიდან – 1920 წ. მარტის ჩათვლით ბათუმში განვითარდა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით დატვირთული, ცვლილებებით სავსე, მღელვარე მოვლენები. 1918 წ. დეკემბრიდან 1920 წ. ივლისამდე ის ეკავა ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას. იმ დროს ჩვენს ქალაქს მეზობელი სახელმწიფოები ეპოტინებოდნენ, ხოლო ევროპის წამყვან სახელმწიფოთა პოლიტიკურ წრეებში სურდათ აქ დამოუკიდებელი ქალაქ სახელმწიფოს ჩამოყალიბება. თუმცა ლოგიკურია, რომ ბათუმში იმარჯვა და უპირატესობა მოიპოვა ქართულმა ძალამ. შედეგად, 1920 წ. ივლისის დასაწყისში ჩვენს რეგიონში შემოვიდა ქართული ჯარი. ბათუმის ოლქი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა.

1921 წ. თებერვალში საქართველოში, მისი გასაბჭოების მიზნით შემოიჭრა წითელი არმია. იმ დროს, მარტში თურქეთი შეეცადა ბათუმის მიტაცებას, თუმცა უშედეგოდ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ბათუმის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა.

P. S. I მსოფლიო ომის დაწყებიდან ზუსტად 110 წელი გავიდა. იმ ომის საშინელმა გაკვეთილებმა მაშინ ჭკუა ვერ ასწავლა ევროპას. არასწორი პოლიტიკით ის უარეს – II მსოფლიო (1941-1945 წწ.) ომში გადაეშვა. 1945 წლიდან გამოცდილებამ და გონიერებამ თავისი გაიტანა და ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობებში მდგომარეობა შედარებით სტაბილური გახდა.

უახლოესი ისტორიის რთულმა სამხედრო-პოლიტიკურმა მოვლენებმა მსოფლიო კვლავ რეალურად დააყენა მსოფლიო ომის საფრთხის

წინაშე. მას წინა ომებზე უარესი შედეგები, შეიძლება მსოფლიო კატასტროფაც კი მოჰყვეს. მაგრამ ახლა XX საუკუნის პირველი ნახევარი არ არის. ცივილიზებული სამყარო არ გაიმეორებს წარსულის შეცდომებს. მიუხედავად მსოფლიო გლობალური ომის პარტიის მცდელობისა, ჯანსაღი აზრი გაიმარჯვებს. აუცილებლად მოინახება გზა, რომელიც სამყაროს არსებული ჩიხიდან გამოიყვანს და უკეთესი მომავლისაკენ წაიყვანს.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ო. გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1910-1918 წლებში, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 1999.

2. თ. კომახიძე, ივანე ანდრონიკაშვილი, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2003.

3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 7, საქმე 580, ფურც. 134; საქმე 602, ფურც. 11.

4. И. С. Чулок, Очерки истории Батумской коммунистической организации (1890-1921 годы), издателъство „Сабчота Аджара“, 1970.

5. მ. სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2002.

6. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი III, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2008.

7. ო. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2005.

8. М. Чавлеишвили, Октябръская революция и борба за советской власти в Аджарии, издателъство „Сабчота Аджара“, Батуми, 1987.

9. გაზეთი, „ერთობა“, 1918 წ. №42.

მაყვალა გოგუა

სახელოვანი ბრძოლის ისტორიიდან (1877-1878 წ.წ.)

საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აჭარას. იგი საქართველოს სისხლხორცეული ნაწილია, მას ბევრი მძიმე განსაცდელი გამოუვლია. საქართველოს ამ უძველესი მხარის წარსული მდიდარია სამშობლოსათვის თავდადებისა და გმირული ბრძოლების ფურცლებით.

მე-16 საუკუნეში მომხდურებმა საქართველოს მოწყვიტეს მისი საუკეთესო ნაწილი – სამხრეთი და იქ თავიანთი მმართველობა დაამყარეს. სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად თურქეთმა დაიპყრო ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და მკვიდრ მოსახლეობას თავისი რეჟიმი მოახვია თავს. ეს მხარე 24 სანჯაყად (ადმინისტრაციულ ერთეულად) დაყვეს. აღწერეს მოსახლეობა და შეადგინეს ეგრეთ წოდებული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ამიერიდან მიწით სარგებლობის უფლება ეძლეოდათ გამუსულმანებულ სამხედრო პირებს. ქართველებს დაეკისრათ მრავალმხრივი გადასახადები. ცდილობდნენ მოესპოთ მატერიალური და სულიერი კულტურა. სამაგიეროდ კი აარსებდნენ ჯამე-მედრესეებს.

რუსეთთან შეერთებამდე ბათუმში სადაც 1.383 სული ცხოვრობდა, სამი დიდი ჯამე იყო: „აზიზიე“, „მუფთიე“ და „ახმედიე“. რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი პატრიოტები ცდილობდნენ რუსეთის გამოყენებით დედა-სამშობლოსათვის დაებრუნებინათ ძალით მიტაცებული სამხრეთ საქართველო. ოკუპანტები სამხრეთ საქართველოს მკვიდრთ უნდობლად უყურებდნენ.

ჯერ საქართველოსა და შემდეგ რუსეთის ჯარებთან ბრძოლაში ოსმალეთის წარუმატებლობას ქართველ მაჰმადიანებს აბრალებდნენ.

დიდი და გულმოდგინე მუშაობა წარმოებდა სამხრეთ საქართველოში, რათა ქართველ მოსახლეობას ქართული ენა არ დავიწყებოდა. ქართული საზოგადოება მუდამ ზრუნავდა მისი შენარჩუნებისთვის და ამ მიზნით ხშირად შემოჰქონდა სამხრეთ საქართველოში და კერძოდ აჭარაში ქართული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. მაშინ ბათუმელი ლევან და გრიგოლ მჭედლიშვილები თბილისიდან იწერდნენ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს და ავრცელებდნენ მოსახლეობაში. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა 1860 წელს თბილისიდან და ახალციხიდან მიიღო წიგნები.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ოსმალო დამპყრობლებისა და მათი მომხრე მოხელეების წინააღმდეგ ბრძოლა გაძლიერდა. ამ დროს ახალციხის ფაშა იყო შერიფი, რომელმაც თავისი მოქმედებით ხალხს თავი შეაძულა. სამხრეთ საქართველოს მოწინავე საზოგადოებამ დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ამ დროს ხელმძღვანელობდა სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი.

სელიმ ბეგ ხიმშიაშვილს მაშინ მოუხდა ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ, როცა აჭარაში დაძაბული მდგომარეობა იყო.

ეკონომიკა დაცემული იყო. ტყვეთა მოტაცება და ადამიანებით ვაჭრობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. შერიფ ფაშას თავგასულობამ ხალხის მოთმინების ფიალა აავსო. სელიმ ხიმშიაშვილმა არა მარტო აჭარლები, არამედ მთელი სამხეთ საქართველო აამხედრა ფაშას წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დროს მას მუდმივი კავშირი ჰქონდა ერეკლე II-სთან და სოლომონ I-თან. სელიმმა შეძლო ფაშას დამარცხება და თითონ გახდა ახალციხის ფაშა.

სელიმი თავიდანვე ოსმალეთის წინააღმდეგ იყო განწყობილი. იგი არც ჯარით არ ეხმარებოდა იუსუფ ფაშას. სულთნის რეჟიმმა და რუსეთის უღირსმა მოხელეებმა თავი მოაბეზრეს სელიმს. ამიტომ მან წერილი მიწერა ციციანოვს. „მე არამც თუ თქვენთან ომი და თქვენი დაშორება მინდა, არამედ მენატრება, რომ თქვენი ჯარის დახმარებით მთელი ამ გურჯისტანის ადგილები ჩამოართვეს ოსმალეთს და იგი გადაკეთდეს ისეთ სახელმწიფოდ, როგორც ის ათაბაგობის დროს იყო“. მეფის მოხელეები არ ენდობოდნენ სელიმ ხიმშიაშვილს, როგორც მეამბოხე მთავარს. შექმნილი მდგომარეობის გამო სელიმის მიზანი განუხორციელებელი დარჩა. მან თავი შესწირა სამშობლოსათვის უთანასწორო ბრძოლას. სიკვდილის წინ მას განუცხადებია: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემ შვილებსაც დავუტოვებ“ (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. II, ბათუმი, 1972:8).

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველი ერის ისტორიაში. ქართველებს იმედი მიეცათ, რომ აჭარა და საერთოდ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ამჯერად მაინც დაუბრუნდებოდა დედა-სამშობლოს. აჭარის, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ „ოსმალოს საქართველოს“ საკითხისადმი ქართული საზოგადოება განსაკუთრებით დაინტერესდა XIX ს-ის 60-იან წლებში. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინ საქართველოში დაიწყო სახალხო ლაშქრის შედგენა. სულ ომის პერიოდში სახალხო ლაშქარში შევიდა 38 ათასზე მეტი კაცი. ომის მიზეზი რუსეთის სოციალ-ეკონომიური განვითარება იყო და მისი გაბატონებული ფენების ინტერესებიდან გამომდინარეობდა... ხოლო სლავი ხალხის განთავისუფლების ლოზუნგი ცარიზმმა მოხერხებულად გამოიყენა თურქეთთან დიპლომატიური და სამხედრო ბრძოლის საბაბად.

აჭარელი პატრიოტები ემზადებოდნენ არსებული ხელისუფლების დამხობისა და საქართველოსთან შეერთებისათვის. განსაკუთრებით აქტიურობდა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი. მანამდე მოხდა აჯანყება ქობულეთში. ამ აჯანყების შესახებ ს. მესხი წერდა: „ქობულეთში ოსმალოს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს – აი, იქნება გაწყრეს ღმერთი და რამე გამოვიდეს – ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ – იქნებ ეს ჩვენი ქართველები, რომლებიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი), ჩვენ შემოგვიერთონ, ბლომად ვიქნებით, კარგია ყოველ შემთხვევაში“ (მესხი,1980:190).

ქრისტიან ქართველებს მუდამ აწუხებდათ მაჰმადიანი ქართველების ბედი. ქართველთა განთავისუფლების ბედი 1877-1878 წლების ომმა გადაწყვიტა. ქართველ საზოგადოებას დიდად აინტერესებდა სამხრეთის მუსლიმანი ქართველების მდგომარეობა. ამ მიზნით ბევრმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და მეცნიერმა – დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა. პ. უმიკაშვილმა, ი. კერესელიძემ. გ. ერისთავმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. ნიკოლაძემ, გ. გურიელმა და სხვებმა იმოგზაურეს ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალზე.

სამხრეთ საქართველოში ამ დროს მეტად მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა სუფევდა. ყველა რაიონში დაიწყო აჯანყება. მაგრამ განსაკუთრებული სიმძაფრით მან საზღვრისპირა რაიონებში იფეთქა. რუსეთის მთავრობა დიდ იმედს ამყარებდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა, რომ „შორაპნის მაზრაში მთავრობის მოთხოვნილებით ყოველ ას

გლეხზე ორი გლეხი უნდა წასულიყო ლაშქარში, მსურველი კი ათჯერ მეტი აღმოჩნდა. განსაკუთრებული ხალისით მიდიოდნენ ლაშქარში გურულები“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V, თბ., 1970, გვ. 44).

1877 წლის აპრილში ოზურგეთის მოედანზე შეკრებილ ხალხს მაცნემ ახალი ბრძანება გააცნო. რუსი ხელმწიფე ბათუმის დაბრუნებას აპირებსო, მილიცია იქმნება ოსმალებთან საბრძოლველადო. სამ დღეში ამ მოედანზე 1000 კაცი უნდა შეიკრიბოსო – სამი დღის საგზალითო – ასეთია ხელმწიფის პრიკაზიო, 1000 კაცის შეგროვება ხუმრობა საქმე არ იყო. გურია დალხენილი როდის იყო, მაგრამ მაშინ განსაკუთრებით უჭირდა და ამდენი ხალხი იქნებ ვერც შეკრებილიყო გურიაში დიდიან-პატარიანად, მაგრამ დათქმულ დღეს 4-ათასი კაცი დაბარებულივით გამოცხადდა. ოზურგეთის მოედანზე მდუმარედ იდგა 4-ათასი კაცი და მზის ამოსვლას ელოდებოდა.

1877 წლის მაისის გაზეთი დროება წერდა: „გურულები ძალიან მხნეობას და შესამჩნევ სურვილს ბრძოლაში მონაწილეობისას იჩენდნენ. ამას წინათ 12-16 წლის ყმაწვილები მივიდნენ თურმე ჯარის უფროსთან და სთხოვეს, რომ საცა ჩვენი მამები და ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყოთო, თოფი მოგვეცით და ჯარში ჩაგვაყენეთო“. ომისათვის ორივე მხარე ემზადებოდა. შიპკის უღელტეხილზე ბრძოლებში უდიდესი გმირობა გამოიჩინა არტილერიის მე-3 ბრიგადის თავადმა ივანე ონისიმეს-ძე ვაჩნაძემ (მეგრელიძე, 1974:66). დიდი ბრძოლები გაიმართა მდ. ჩოლოქზე. განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები გაიმართა მუხაესტატესა და ხუცუბანისათვის.

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი

სამხრეთ საქართველოში საომარი ოპერაციები უმთავრესად ბათუმის, ყარსისა და არტაანის მიმართულებით წარმოებდა. ბათუმის მიმართულებით ბრძოლების მთავარი პუნქტი იყო ციხისძირი. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლები გაჩაღდა 1878 წლის 18 იანვარს. ციხისძირთან წარმოებულ ბრძლებში ბევრი ადამიანი დაიღუპა. დიდი წარმატებები მოიპოვეს რუსეთის ჯარებმა და ქართულმა მილიციამ. განსაკუთრებით აქტიურობდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. მან ყველა კუთხეში შექმნა თავის მომხრეთა ჯგუფი. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოხელეებთან, კერძოდ: ი. კერესელიძესთან, გ. ყაზბეგთან, გ. გურიელთან, დ. ბაქრაძესთან.

ბათუმისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ მიერ დაკავებულ პოზიციას. მათ შორის ყველაზე ძლიერი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი მტკიცედ ადგა აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას (ტ. V. 1970:447).

ომი თანდათან მწვავდებოდა. რუსეთის ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ და იკავებდნენ ქალაქებსა და სოფლებს. როცა ოსმალეთის დედაქალაქს ორი მხრიდან დაემუქრა რუსის ჯარი. დაშინებულმა ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა, კერძოდ ინგლისმა, გააფრთხილა რუსეთის მთავრობა, არ შესულიყო სტამბოლში. რუსეთის მთავრობამ ამის გარანტია არ მისცა მთავრობას.

რუსეთის მთავრობა ომის დამთავრებას აჭიანურებდა, რუსეთის ჯარების მოძრაობა სტამბოლის მიმართულებით არ შეჩერებულა. ამის გამო ოსმალეთის მთავრობამ 31 იანვარს ანდრიანოპოლში (ედირნეს) ზავის წინასწარ პირობებზე მოაწერეს ხელი. ეს არ მოეწონა ინგლისს და 8 თებერვალს დიდი ბრიტანეთის ფლოტი შევიდა სტამბოლის სრუტეში სულთანთან შეთანხმების გარეშე, თუმცა მალევე უკან გაიყვანა. ინგლისი და ავსტრია რუსეთის მთავრობას წინადადებას აძლევდნენ, რათა ჯარები არ შეეყვანა სტამბოლში. მიუხედავად ამისა ოსმალეთმა 1878 წლის 3 მარტს ხელი მოაწერა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებას. ამ ზავით ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეხადა 410 მილიონი მანეთი მიყენებული ზარალის სანაცვლოდ. 1878 წლის 30 მაისს ხელი მოეწერა რუსეთ-

ინგლისის შეთანხმებას. ამ ხელშეკრულებით ინგლისი წინააღმდეგი არ იყო, რომ ბათუმი, ყარსი, აგრეთვე სხვა ოლქები და ქალაქები რუსეთს გადასცემოდა. თუმცა ინგლისმა საიდუმლო ხელშეკრულება გააფორმა ოსმალეთთან კვიპროსის თაობაზე.

რუსეთ-ოსმალეთის ზავის საბოლოო პირობების შემუშავებას მიეძღვნა ბერლინის კონგრესი, რომელიც გაიხსნა 1878 წლის 13 ივნისს და გაგრძელდა 13 ივლისამდე. კონგრესს ესწრებოდნენ 6 სახელმწიფოს წარმომადგენლები, ბისმარკი (გერმანია), გორჩაკოვი (რუსეთი), ბიკონსფილდი (ინგლისი), ანდრაში (ავსტრია-უნგრეთი). კონგრესზე მწვავედ დაისვა ბათუმის საკითხი. დიდი დავის შემდეგ ბათუმი მაინც გადაეცა რუსეთს, მაგრამ იგი თავისუფალ ნავსადგურად პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა. რუსეთს გადაეცა ყარსისა და არტაანის ოლქები. ბაიაზეთი, რომელიც სან-სტეფანოს ხელშეკრულებით რუსეთს გადასცეს, ისევ ოსმალეთს დარჩა (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. VII. 1972:34).

ადგილობრივი ოსმალოფილები მოსახლეობას მოუწოდებდნენ არ შემოეშვათ რუსეთის ჯარები აჭარაში. დერვიშ-ფაშა აწყობდა პროვოკაციებს რუსეთის წინააღმდეგ, ასევე ხალხს აქეზებდა ინგლისი რუსეთის წინააღმდეგ ბათუმში. ინლისელებმა სამი ხომალდი იარაღი მოიტანეს და დაარიგეს მოსახლეობაში.

ბათუმში მოქმედებდა ე. წ. ინთიკამის (შურისმაძიებელი) ორგანიზაცია, რომლის მიზანს შეადგენდა ტერორისტული აქტების ჩადენა რუსების წინააღმდეგ.

ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბებულა ოსმალეთში, მისი წევრები იგზავნებოდნენ პროვინციებში. გენერალ კომაროვის მოკვლაც ჰქონდათ განზრახული, რომელიც მაშინ ბათუმის გუბერნატორი იყო.

ბერლინის ხელშეკრულებით რუსეთის ჯარი 15 აგვისტოს უნდა შემოსულიყო სამი მიმართულებით: ჭოროხის, აჭარისწყლის ხეობის და ქობულეთის მხრიდან, მაგრამ მთავარსარდალმა აჭარის ჩაბარების ვადა 10 დღით გადადო, ასე რომ 25 აგვისტოსათვის დერვიშ-ფაშას ბათუმი მთლიანად უნდა დაეცალა.

1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარი შემოვიდა ბათუმში. გენერალ სვიატოპოლ-მირსკიმ დერვიშ ფაშასაგან ჩაიბარა ქალაქი. დერვიშ-ფაშის უკანასკნელი გემი ბათუმის ნავსადგურიდან 31 აგვისტოს გავიდა.

ბერლინის ხელშეკრულებისა და რუსეთის მთავრობის მიმართვის მე-4 მუხლის თანახმად, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას უფლება ჰქონდა მუჰაჯირად წასულიყო ოსმალეთში სამი წლის ვადით. ამან გამოიწვია დიდი აღშფოთება მოსახლეობაში, რადგან ბევრი ადამიანი ტოვებდა მშობლიურ მიწა-წყალს.

ქართველი ხალხი აღტაცებით შეხვდა ოსმალთა მიერ მიტაცებული მიწების დედა-სამშობლოსთან შეერთებას. 1878 წლის ნოემბერში ქართველმა



საზოგადოებამ აჭარის დელეგაცია მიიპატიჟა თბილისში. სამხრეთ საქართველოს შემოერთებით აღტაცებული ილია ჭავჭავაძე ქართველ ხალხს მოუწოდებდა: „ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგული იყვნენ და რომელნიც დღეს შენთან მოვიდნენ, შეეწივნენ, რითაც შეგიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით. ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ამისა და ძმის წინაშე“ (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტომი II:18).

აჭარაში გამოგზავნილ მუშაკებს ილია განსაკუთრებულ რჩევა-დარიგებას აძლევდა. საქართველოსთან შეერთების შემდეგ აჭარის პროგრესული მოღვაწეები, მათ შორის შერიფ ხიმშიაშვილი ქართველ ხალხს სთხოვდა დახმარებას და აჭარელ ახალგაზრდობას მოუწოდებდა სწავლა-განათლებისაკენ.

განუსაზღვრელად დიდია სხვა კუთხეების ქართველთა ამაგი აჭარლების განთავისუფლებისა და გათვითცნობიერების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეგრელიძე შ. „საქართველო აღმოსავლეთის ომებში“, თბ., 1974.
2. მესხი მ. „წერილები'' თბ., 1980.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, თბ., 1970.
4. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტომი II, ბათუმი, 1972.

მარგარიტა
ხვადაგიანი

წარმაჯებული ქართველი არქიჯექჯორი

არქიტექტორი გიორგი სტეფანეს ძე მოსაშვილი ჩემი ბაბუა (დედის მამა) იყო. 1879 წელს სიღნაღში დაბადებული 1935 წელს, 58 წლის ასაკში გარდაიცვალა, როცა მისი ქალიშვილი (დედაჩემი) ნინო მოსაშვილი 10 წლისა ყოფილა, ამიტომაც არ მქონდა ბედნიერება მოვსწრებოდი მას სიცოცხლეში.

ბავშვობაში დედისაგან ხშირად მესმოდა მოგონებები მისი საამაყო მამის შესახებ, ბევრი დამამახსოვრდა მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუმცა ბავშვობაში განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. დედის მონათხრობიდან მახსოვს, რომ ბაბუაჩემმა სიცოცხლის უმეტესი ნაწილი საქართველოს გარეთ გაატარა.

დედა საინტერესოდ მიამბობდა აგრეთვე ბაბუას დის, ნინო მოსაშვილის ზღაპრული სილამაზის შესახებ. მხარზე წყლით სავსე დოქით უნახავს ნორჩი ნინო პირველად კავკასიაში რკინიგზის მშენებლობის ხელმძღვანელს, ცნობილ რუს ინჟინერს ალექსანდრე პუშეჩნიკოვს და მისი სილამაზით აღფრთოვანებულს უთქვამს: „მე აქედან არ წავალ მის გარეშე“-ო. თავად მისულა მოსაშვილებთან სახლში და ნინოს მშობლებისათვის ქალიშვილის ხელი უთხოვია. სტეფანეს წინააღმდეგობა გაუწევია. მათი შეუღლებისათვის გასაბათილებლად მოუყვანია ისიც, რომ გოგონამ არ იცის რუსული ენა. ამ ვერსიის საწინააღმდეგოდ ინჟინერს სიამაყით განუცხადებია, რომ ნინოს მარტო რუსულს კი არა, ფრანგულს და სხვა ენებსაც ვასწავლითო. ინჟინერმა მოიგო ნინოს გული, დაქორწინდა, წაიყვანა მოსკოვში, სადაც ფუფუნებაში ცხოვრობდნენ, უამრავი მოსამსახურით და გუვერნანტებით გარშემორტყმული.

სამწუხაროდ, წყვილს შვილი არ ეყოლა.

ცოლ-ქმრული ურთიერთობის რამდენიმე წლის შემდეგ ნინოს თხოვნით მოსკოვში სასწავლებლად ჩამოუყვანიათ მისი ორი უმცროსი ძმა – გიორგი და ვასილი. ორივეს დაუმთავრებია გიმნაზია, შემდეგ უმაღლესი სასწავლებლები – ჩემს ბაბუას არქიტექტურის, მის ძმას კი კავშირგაბმულობის ინჟინრის სპეციალობით. სხვათა შორის, ვასილი დანიშნეს ბათუმში, ახლადაგებული ფოსტის უფროსად, რომელიც სტალინის ქუჩაზე მდებარეობდა. ვასილი ბათუმში ოჯახით გადმოვიდა საცხოვრებლად 1925 წელს. ამავე წელს ბათუმში დაიბადა მისი ქალიშვილი თამარა მოსაშვილი.

ქვემოთ მოტანილი ჩემი მონათხრობი ძირითადად დამყარებული იქნება ბავშვობის მოგონებებზე, ინტერნეტიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული ცნობები გადმოვიტანე ამ ინფორმაციის მართებულობის მტკიცებად და გასამდიდრებლად.

გიორგი მოსაშვილის ბიოგრაფიიდან ზუსტი თარიღები და შემოქმედებითი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მოვლნების შესახებ მონაცემები ავიღეთ სამეცნიერო მასალებიდან, კერძოდ მე-15 საერთაშორისო კონფერენციის (The new Ideas...) მოსკოვის საისტორიო არქივიდან, დიდი რუსული ბიოგრაფიის ენციკლოპედიიდან, ბაიკალსიქითა მხარის ენციკლოპედიიდან და სხვა წყაროებიდან, სადაც არქიტექტორი გიორგი მოსაშვილი იყო ნახსენები...

ამრიგად, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გიორგი მოსაშვილი შევიდა ქანდაკების, ფერწერისა და არქიტექტორის მოსკოვის სასწავლებელში, სადაც სწავლება გრძელდებოდა 10 წლის მანძილზე. სასწავლებელი მცირე ვერცხლის მედალზე დაამთავრა 1908 წელს, 29 წლის ასაკში და სხვა კურსდამთავრებულებთან ერთად წარდგენილი იყო არქიტექტურის ოსტატი მხატვრის წოდებაზე, რაც აძლევდა სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლებას. თავდაპირველად იგი მუშაობდა ბაქოს გუბერნიაში 1911-1913 წლებში – ბაიკალსიქითა მხარეში, ხოლო 1913 წელს დაინიშნა მოსკოვის საქალაქო მმართველობის მე-5 განყოფილების არქიტექტორად, 1915 წლიდან ქალაქის შენობების ლაზარეთად გადაკეთების სამსახურში შრომობდა. მოსკოვში მუშაობის პერიოდში, ლევენსონის და „ტრიოხპრუდნის“ ჩიხში მდებარე ულამაზესი შენობების გადაკეთების დროს მან განახორციელა მათი გარეგანი მოპირკეთება ორიგინალური მეთოდით.

ლევენსონების სახლი

ამ მოპირკეთების დეკორი და ბარელიეფი, როლებიც დღემდეა შენახული, ამტკიცებენ ავტორის ქართულ წარმომავლობას. აქაურ მუშებს აქვთ ქართული გარეგნობა, ფასადის მარცხენა ზედა ფილაზე გამოსახულინი არიან ქართულ სვასტიკასთან (ბორჯღალო) ერთად. ისინი ახლაც ამშვენებენ ყოფილი სამეფო კარის სახელგანთქმულ ტიპოგრაფიის შენობას, რომელიც ახლაც მე-19 საუკუნის არქიტექტურის ძეგლად ითვლება.

ვილაპარაკოთ ბაბუაჩემის ბაიკალსმიღმა მხარეში მოღვაწეობის შესახებ, რასაც მისი მეუღლის მოგონებებიც ადასტურებენ. ამ მხარეში რკინიგზის ხაზების მშენებლობის პერიოდში გიორგი მოსაშვილი მუშაობდა ქალაქ ჩიტაში არქიტექტორის თანამდებობაზე, პარალელურად ასწავლიდა ქალთა გიმნაზიაში და სამხარეო სასწავლებელში, იღებდა აგრეთვე კერძო შეკვეთებს.

ჩიტაში დაიბადა გიორგი მოსაშვილის გენიალური ქმნილება – ძმები შუმოვების სასახლე, რომელსაც დღეს დიდებულების ხაზგასასმელად „ჩიტას ვერსალს“ უწოდებენ.

შუმოვების სასახლე

ჩვენამდე მოაღწია თქმულებამ, რომ ბაიკალსიქითა მხარის უმდიდრესმა ადამიანებმა, ოქროსმაძიებლებმა, ძმებმა შუმოვებმა გადაწყვიტეს თავიანთი სახელების უკვდავყოფის მიზნით აეგოთ ფეშენებელური სასახლე. დიდხანს ფიქრობდნენ, საიდან მოეწვიათ არქიტექტორი – იტალიიდან თუ საფრანგეთიდან. ნინოს ქმარმა, ცნობილმა ინჟინერმა ალექსანდრე პუშაჩნიკოვმა ურჩია ძმებს სასახლის აგება მიენდოთ უნიჭიერესი არქიტექტორის, მისი ცოლისძმის, გიორგი მოსაშვილისათვის. ძმებმა მიიღეს წინადადება და სასიამოვნოდ გაოცდნენ, როცა მათი სასახლის პროექტმა 1912 წელს პარიზში გამართულ არქიტექტორთა მსოფლიო კონკურსში გრან-პრი დაიმსახურა – გუსტავ ეიფელის კოშკის მსგავსად. შენობა ააგო გიორგი მოსაშვილმა ფიოდორ პანმარიოვთან ერთად.

პროექტში გემოვნებით იყო შერწყმული ორი დახვეწილი სტილი – ბაროკო და კლასიციზმი და ითვლება მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდის არქიტექტურის შედევრად. ინტერნეტში განთავსებულია მრავალი დაწვრილებითი ინფორმაცია შენობის შიდა და გარეგანი მოპირკეთების უნიკალურობის შესახებ. დაგეგმილი ყოფილა სასახლეზე მიშენებაც, მაგრამ დღეისათვის უცნობ გარემოებათა გამო მიუტოვებია ბაიკალსიქითა მხარე, თუმცა აქ მას განუხორციელებია კიდევ რამდენიმე პროექტი, მათ შორის ქალაქის მმართველობის, პოლუტოვის სახლები და ხელახლა დაბრუნდა მოსკოვში. შუმოვების სახლის დასრულება მიანდო არქიტექტორ ფ. ე. პონომარიოვს.

1922 წელს, არქიტექტორების: გუშჩინის, პაშკოვის და სხვათა მიბაძვით მოკლე ხნით გადავიდა შანხაიში, სადაც დასახელებულ არქიტექტორებთან ერთად შეიტანა წვლილი ქალაქის მხატვრული არქიტექტურის განვითარებაში.

ნინო მოსაშვილი ადრე გარდაიცვალა, ხოლო ჩემი ბაბუა დაბრუნდა საქართველოში, სადაც დაქორწინდა ბებიაჩემზე – ელენე ვიქტორის ასულ ვიშნევსკაია-მოსაშვილზე და 1925 წელს მათ შეეძინათ ქალიშვილი ნინა. ნინა ამაყობდა

ქალაქის მმართველობის შენობა

პოლუტოვის სახლი

თავისი მამით, რომელმაც თბილისში ყველაზე მძლავრი შენობა „სტამბა“ ააგო... კარგად მახსოვს დედის მონაყოლი, რომ ამ პროექტზე ბაბუა ბევრს მუშაობდა, ძირითადად ღამის საათებში და ბევრს ეწეოდა. დილით, როცა ნამწვავებით სავსე საფერფლეს ნახავდა, ბებია აღშფოთებით ეკითხებოდა: „შენ რას სჩადიხარ გიორგი?“, რაზედაც ის პასუხობდა: „ო, ელენე, მე ისეთ შენობას ვაგებ, რომელსაც ვერავინ დაანგრევს“-ო.

წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ეს სიტყვები: ტიპორგაფიის შენობა კოსტავას 14-ში, გამოდგა ერთადერთი საქართველოში, რომელიც დაპროექტებული იყო არქიტექტურულ მიმართულებაში „კონსტრუქტივიზმი“-ს პრინციპით. ეს მიმართულება უარყოფს ზედმეტ ფორმებსა და დეკორატიული ელემენტების სიუხვეს. ამ მიმართულებით დაპროექტებული შენობის მთავარი მოთხოვნა იყო მისი დანიშნულება და ფუნქცია და არა გარეგნული სახე. არქიტექტო-

რები სპეციალურად იკვლევდნენ, როგორ გამოეყენებინათ მომავალი ნაგებობა. როგორც ჩანს, გიორგი მოსაშვილი მთლიანად ჩაერთო ამ გრანდიოზული პროექტის შექმნასა და განხორციელებაში. ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება მას უკვე ჰქონდა მიღებული მოსკოვში ლევინტონის სახლის აგებაში მონაწილეობით. ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროებით ცნობილია, რომ „სტამბის“ შენობა აიგო 1930 წელს და ჩვენს დროს კომპანია Adjara group-ის მიერ იქნა რეკონსტრუირებული პროექტის ავტორის გაფრთხილების გათვალისწინებით. ახლა მასში განთავსებულია ორი პრესტიჟული სასტუმრო „Stamba“ და „Rooms“, რესტორნები, კაფეები, დასვენების ზონები, ბიბლიოთეკა, მუზეუმები, სათბური და სახურავზე ბასეინი.

სტამბის შენობა

დიდად ვემადლიერები კომპანია „Ajara group“-ს, პირადად მის აღმასრულებელ დირექტორს, ბატონ ვალერი ჩეხერიას და ყველას, ვინც ბაბუაჩემის მიერ აგებული შენობის რეკონსტრუქციაზე მუშაობდა. ამასთანავე, როგორც ბატონი ვალერი აღნიშნავს, შენარჩუნებული იქნა შენობის მრავალი ორიგინალური დეტალი, აღდგენილია ორიგინალური ფასადი, ბეტონის კედლები, მაღალი ფანჯრები და ჭერი, სიფრთხილით ინახება შენობის თავდაპირველ ფუნქციასთან დაკავშირებული ისტორია.

სასიამოვნოა, რომ ამ შენობას უწოდებენ „თბილისის ჯადოქრულ არტეფაქტს“. ამასთანავე, ძალიან მეტკინა გული, რომ ინტერნეტში განთავსებული სტატიის ბოლოს, ცხრილში არქიტექტორების გრაფა ცარიელია. ნუთუ არავის არ აინტერესებს უნიკალური შენობის პროექტის ავტორის ვინაობა; რატომაა, რომ ქართველი არქიტექტორი, რომელმაც ხანმოკლე სიცოცხლეში ნაყოფიერი შრომით შეძლო დაეტოვებინა შენობა-ნაგებობები, რომლებიც XIX და XX საუკუნეების კულტურის ძეგლებადაა აღიარებული, მოხსენიებულია საზღვარგარეთულ ენციკლოპედიებში, უცნობია თავისი ხალხისათვის, მათ შორის არქიტექტორთა წრისათვის. შესაძლოა ამაში ჩვენი, გიორგი მოსაშვილის ნათესავების, ახლობლების ბრალიც ურევია.

დედაჩემის ბიძაშვილი, ზემოთხსენებული თამარა მოსაშვილი, ვასილი მოსაშვილის ქალიშვილი მიჰყვა თავისი სახელოვანი ბიძის ნაკვალევს, იყო ცნობილი კონსტრუქტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში დიდ სამშენებლო ობიექტებზე, ეკავა სამშენებლო დარგში ხან ერთ, ხან მეორე სამინისტროში მინისტრის მოადგილის მაღალი პოსტები. მისგან ვიცი, რომ გიორგი მოსაშვილს ეკუთვნის თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობის პროექტი.

სახელოვანი წინაპრების ღვაწლის დაფასება და მომავალი თაობებისთვის შენახვა ჩვენი ვალია.

ᲥᲝᲠᲝᲮᲘ 5

2024